


K293 222

3



සාමුහ්‍ය ප්‍රජාව
සාමුහ්‍ය ප්‍රජාව
සාමුහ්‍ය ප්‍රජාව



ඩීප් සාමුහ්‍ය ප්‍රජාව




ඩීප් සාමුහ්‍ය ප්‍රජාව





ଶ୍ରୀମତୀ
ଶ୍ରୀମତୀ









Եղիշ Վահագոն

ՀՈՅՈ ԸՆԿԵՐՈՒԹՅՈՒՆ

(ՑՐՑ ՑՐՑ ԵՑ ՑՐՑ Ո)



ՀԱՅՈՒԹՈՒ
1958



ქართული
კულტურული
ძალის სამსახური

(•)

(•)


ცის ქადაგი

(•)


ჩერები
და სამართლები

(•)

K 24B.222
3




რესთაველის საზოგადოების
გამომცემლობა „სარანგი“
თბილისი
1990



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
Ազգային
Գրադարան

63.3 Դր+66.62

841



ნო 1 გორდანია

(11 იანვარს 1953)

განგვეშორა საუკუნოდ დიდი ქართველი. ხანგრძლივი იყო ცხოვრება მისი. იგი სრული 85 წლისა იყო, როდესაც უზენაესმა მას თავისთან მოუწოდა. მწერალი, მოაზრე, პოლიტიკოსი, რომელიც ახალგაზრდობითგანვე იღვწოდა თვის იდეალთა განსახორციელებლად და თვისი ერისათვის, დღეს ჩვენს შორის აღარ არის.

მას ვიგლოვთ მისნი მეგობარნი და დამფასებელნი მისი ღვაწლისა. მე პირადი უმცროსი მეგობარიც ვიყავი მისი და დამფასებელიც მისი ღვაწლისა, მცოდნე მისი პიროვნების ლირსებისა. ამიტომ მსურს მისთვის მცირე სიტყვა ვთქვა.

არ მინდა მისი ბიოგრაფია ვთქვა ამ სიტყვით, — ცხოვრების აღწერა მისი მომავლის საქმეა. მე მინდა მსოლოდ შევეხო არსებას მისი ბუნებისა და მისს ღვაწლს, რომელიც მას თვისი ქვეყნის წინაშე გაუწევია, მის საქმეთ. საუკედურების თქმა დიდ-კაცთათვის, კრიტიკა მათ საქმეთა წრერილმანი და იაფი, და სხვა ამგვარი რაზ, არარაობის თქმაა და არარაობისაგან არ ოდეს არაფერი კარგი უოფილა. ამას გარდა, დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკოსთაგანაც ვის არ მოსვლია შეცდომა? რა არის ნოე უორდანიას შეცდომები იმ „შეცდომებთან“ შედარებით, რომელის გამო დღეს კაცობრიობა კატასტროფის წინაშე დავა!

ნოე უორდანიას მსოფლიოს-ხედვა მარქსისტული იყო. მარქსისტული იყო მისი ახალ-გაზრდობის ხანაში მსოფლიოს-ხედვა ეკონომიკა და რუსეთის სოციალისტთა უმეტესობისა. იგიც გაიტაცა ამ დიდმა მოძრაობამ და წარსული საუკუნის მე-90-ე წლებითგან იგი ოცდაათი წლის განმავლობაში თვის მსოფლიოს-ხედვას, თვის სოციალურ და პოლიტიკურ იდეალებს უქადაგებდა ქართველ მუშათ და გლეხთ და ქართველი ერის სხვა ნაწილებსაც, — მთელს ქართველ ერს. მაგრამ მისი ღვაწლი მარტო კალმით და სიტყვით არ ამოიწურებოდა. მარქსიზმი რევოლუციური მოძრაობა იყო, მოძლვრება კლასსთა ბრძოლისა, ბრძოლისათვის კი საჭირო იყო დალვრება იყო, მოძლვრება კლასსთა ბრძოლისა, ბრძოლისათვის მებრძოლი და შეგნიბული მხედრობის შექმნა. და ნოე უორდანიამ და მისმა თანამოაზრებმა პირველად დარაზმეს განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური იდეალის მეონე ქართველობა: მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, თვით თავად-აზნაურობის მოზრდილი ნაწილიც შედიოდა მათგან შექმნილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ეს იყო დიდი საქმე მათგან ქმნილი მაშინდელ მძიმე პირობებში ცარისტული რუსეთის ბატონობისა საქართველოში, და ჩვენც, არა-მარქსისტებმა და ნაციონალისტებმა დიდი საქმე მოწინააღმდეგისაც დიდად უნდა ვსცნოთ.

ქართული ნაციონალიზმი მაშინ იდეურად ძლიერი იყო, მაგრამ ხალხის დარაზმა ეროვნული თავისუფლების იდეალის განსახორციელებლად მან კერ შესძლო. ქართულ მარქსიზმს კი რუსეთის რევოლუციურ ძალებთან ერთად მოქმედებით შიაჩინდა შესაძლებლად თვით-მპურობელობის დამხობა, სოციალური რეფორმები.

მშრომელ კლასსთათვის და დამყარება დემოკრატიული თავისუფლებისა. ამ შეზან-
თა მისწევის შემდეგ მისი რწმენით ერიც კვლავ მოიპოვებდა დაფურტვულებულე-
ბებს. ნაციონალისტური ბრძოლის წარმოება უზარმაზარი იმპერიუმის წინააღმდეგ,
თვით ამ იმპერიის რევოლუციონურ ძალთა დაუზმარებლად, მას სრულიად უიმედოდ
მიაჩინდა.

ამ ნიადაგზედ სწარმოებდა ბრძოლა სხვადასხვა მიმართულების ქართული ნაცი-ონალიზმისა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ჩვენში, როგორც ყველგან, ხშირად მწვავე იყო და მავნებელი მთელი ერისათვის, მაგრამ ქართველი სოციალ-დემოკრატების არც კლასსთა ბრძოლის ქადაგებას და არც ქართველი ხალ-ხის მიმართვას წმინდა სოციალურ-პოლიტიკური იდეალებისაკენ ქართველი ერის მთლიანობა არ დაურღვევია. დადგა დრო და მთელმა ქართველმა ერმა, განურჩევ-ლად პარტიათა, აჩვენა ქვეყანას, თუ რა იყო მისი ნება და სურვილი.

ქართული სოციალ-დემოკრატიის მხოლოდ ბოლშევიკური ნაწილი, ე. ი. უმცირესი ნაწილი იყო, რომელსაც საქართველოს პოლიტიკური უფლებანი არ აინტერესებდენ. ხოლო ნოე უორდანია და მისი პარტიის უმეტესობა, მიუხედავად მათი გრძოლის ტაქტიკისა, რომელიც თითქოს ამ უფლებათა უარყოფას მოასწავებდა, არ ივიწყებდენ ქართველი ერის კანონიერ პოლიტიკურ-ეროვნულ მოთხოვნილებათ. თვით ნოე უორდანია საქართველოში იყო და არა ლონდონის ინტერნაციონალში, იგი ქართულად სწერდა და გახდა დიდი ქართველი პუბლიცისტი, იგი ქართულად უქადაგებდა თავის იდეალებს ქართველ მშრომელთ. რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ყრილობაზედ 1902 წელს იგი მოითხოვდა ჭეორე ქართველ სოციალ-დემოკრატთან ერთად საქართველოს ავტონომიას, ავტონომიას ავტონომიას სხვა ჩაგრულ ერთათვას რუსეთის იმპერიის წიაღში. და როდესაც დადგა უამი, აჩვენა ქვეყანას, თუ რაგვარ უფლებანი სწამდა მას მისი მშობელი ერისათვის და სხვა უფლებაახდილ ერთათვისაც.

პირველი დიდი ომის დროს, როდესაც ქართველ ნაციონალისტთა ჯგუფი გერმანიაში მოქმედებდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების აღსაღენად, გამამხნევებელი ხმა საქართველოთვან, გარდა ამ ჯგუფის თანამოაზრეთა, ნოე უორდანიასაგან გვესმოდა, ინტერნაციონალისტ-სოციალ-დემოკრატისაგან, არა ნაციონალისტურ პარტიათაგან. ნოე უორდანიამ იცოდა, რომ დაღვა უამი რუსეთის იმპერიის მიერ დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა და მარჯვე დროს უცდილა, რომ მისი შვეუნისათვისაც აღედგინა დიდი ხნითვან დათრგუნვილი სახელმწიფოებრივობა. მან იცოდა, რომ მას უნდა ეკისრა ეს დიადი საქმე, რათვანაც იგი იყო წინამღლოლი ქართველი ერის დიდი უმეტესობისა.

ნოე უორდანიას მცირე ღვაწლი არ მიუძღვის კავკასიის ერთა სოლიდარობის
იდეის შექმნისათვის. და როდესაც რუსეთის მმართველობა დაიშალა კავკასიაში
1917 წ. რევოლუციის დროს, ამ იდეით იყო მხოლოდ შესაძლებელი ამიერ-კავკა-
სიის კომისარიატის შექმნა. როდესაც ოსმალეთის ფრონტითგან მოაწვა საქართვე-
ლოს და მთელ კავკასიას ნახევარი მილიონი დამარცხებული და გაბოლშევიკებული
ჯარი, ნოე უორდანიას ენერგიულმა და ჰქვიანმა ზომებმა და ასეთმაცე ზომებმა კავ-
კასიის უველა ერთა მეთაურობისა შესაძლებელ ჰყო ამ დაშლილი მხედრობის შინ-
გაგზავნა და ამით ანარქიის თავითგან აცილება, რომელსაც შეეძლო მთელი კავკასია-
სრულიად დაელუპა. ესეც იყო დიდი საქმე, ნოე უორდანიასაგან ქმნილი საქართვე-
ლოსათვის 1917 წელს, რაისათვისაც მთელი ერი, განურჩევლად კლასსთა, მის მი-
მართ მადლით იყო აღსავსე.

1917 წ. ალდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ჩაეყარა საფუძველი
ქართულ უნივერსიტეტს, და დაარსდა ქართული ეროვნული საბჭო, რომელის თავ-

მჯდომარე ნოე უორდანია იყო. ეს საბჭო შთანაჩენი იყო მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობისა. იგი შექმნილი იყო მთელი ერის ნებით, რომელმაც ნოე უორდანია თვის მეთაურად სცნო. ამან კვლავ დაუბრუნა ქართველ ერს მისი დიდი ნაწილი, პოლიტიკურად შეგნებული მშრომელი კლასები. ქართველი ერი ახლა ერთი იყო და საქართველოს თავადაზნაურობამაც ამ კვლავ გამრთელებულ ერს მთელი თვისი ქონება გადასცა, რაც მას ეკუთვნოდა კოლლექტიურად. ეს იყო მისი კეთილშობილური პასუხი ნოე უორდანიას ეროვნულ აქტზედ.

შემდეგ, 1918 წელს, საქართველოს და სხვა ქვეყნებს კავკასიისა, — სომხეთს, ადერბეიჯანს, მთას — სრული შესაძლებლობა მიეცათ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნისა, როდესაც დაიშალა ამიერკავკასიის კომისარიატი. და ეს არ იყო მხოლოდ იძულება გარეთგან, როგორც ბევრს ჰგონია, არამედ გამომდინარება მათი პოლიტიკური ნებისყოფისა. — 26 მაისს 1918 წელს გამოაცხადა საქართველომ დამოუკიდებლობა ას ჩვიდმეტი წლის პოლიტიკური მონობის შემდეგ, და მის მაგალითს კავკასიის სხვა ერებიც მიჰყვნენ. ნოე უორდანია იყო მაშინ ქართველი ერის ხელმძღვანელი და იგი გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი და თავმჯდომარე მისი მთავრობისა. მე არ ვიცი, ვინ შესძლებდა ნოე უორდანიას გარდა მაშინდელ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელი მასზედ უფრო დიდი ნაციონალისტი, არა-სოციალისტი ან თუ გამოაცხადებდა, როგორ იქმნებოდა შესაძლებელი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, თუ მას არ იწამებდა ნოე უორდანია და მისგან ხელმძღვანელი მშრომელი კლასები, რომლებიც ქართველი ერის დიდ უმეტესობას შეადგენდენ? საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნოე უორდანიას და მისი პარტიის თანხმობის გარეშე სამოქალაქო ომი მოჰყვებოდა და დაამხობდა ახლად შექმნილ სახელმწიფოს.

ხოლო ნოე უორდანიას მთავრობა მისი ხელმძღვანელობით ენერგიულ ღვაწლს შეუდგა სახელმწიფო აღმშენებლობისა. დამოუკიდებელმა საქართველომ 1921 წლამდე იარსება, და რაც ამ მოკლე დროის განმავლობაში საქართველოში გაკეთდა, იმაზედ მეტი უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბევრ ახალ სახელმწიფოში არ გაკეთებულა. დავანებოთ აქ თავი კრიტიკას. მას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელობა აქვს იმას, რაც შეიქმნა მოკლე დროის განმავლობაში და საფუძველს უყრიდა საქართველოს ბრწყინვალე მომავალს უკეთეს პირობებში.

ძნელი იყო კრიმინალური, განსაკუთრებით ბოლშევიკური ელემენტების ალაგმვა, მაგრამ მთავრობამ ამ სიძნელესაც სძლია სწრაფად და არა დიდი სისხლის ლვრით. საქართველოს ფიქრადაც არ მოსვლია მეზობლებთან ბრძოლა, მათგან რაისამე წაგლეჩი, მაგრამ თუ თავს დაესხმოდენ, ივი თავს იცავდა და იმარჯვებდა. დამყარდა მშვიდობიანობა და წეს-რიგი შიგნით და თანხმობა მეზობლებთან, რომლებიც ფასსა სდებლენ საქართველოსთან მეგობრულ განწყობილებას. უკვე სჩანდა შესაძლებლობა კავკასიის ერთობისა, კავკასიის ერთა კონფედერაციისა, და ეს იყო მესამე დიდი საქმე, რომელთანაც ნოე უორდანიას სახელი იყო დაკავშირებული.

კიდევ ერთი რამ მაგონდება, რაც ჩემთვის დაუვიწყარია და სამაყო, და აგრეთვე ყოველი ქართველისათვის დაუვიწყარი და სამაყო უნდა იყოს. ყველამ იცის, თუ რა გრძნობებს იწვევს ერში მისი დაპყრობა უცხო ერის მიერ, ეროვნული ჩაგვრა, გამორიცხვა თავისუფალ ერთა კრებულითგან. ცარისტულმა რუსეთმა. მოწვეულმა საქართველოში მოკავშირედ და დამცველად, საქართველო, ორი-ათასი წლის ისტორიისა და მაღალი კულტურის მქონე, გუბერნიებად გარდაპქმნა და 117

წლის განმავლობაში გამარტინულ პოლიტიკას აწარმოებდა, მოსპო ბაგრატიონთა დინასტია, რომელიც 1200 წლის განმავლობაში ემსახურებოდა საქართველოს შინაგან დამოუკიდებლობა მისი ეკლესიისა, კანონიერად ცნობილი უკვე მერვე საუკუნითგან, სდევნიდა მის ენას და კულტურას, სკოლებითგან და სასამართლოებითგან საც განდევნა ქართული ენა, და სხვ.

რომელი ერის გულში არ დაგუბდებოდა სიძულვილი მჩაგვრელთა და დამამცირებელთა მიმართ და რომელი ერი არ იძიებდა მათ შურს, თუ ამისი შესაძლებლობა მიეცემოდა? ხოლო დამოუკიდებელ საქართველოში არ მომხდარა არც ერთი აქტი შურისძიებისა იქ დარჩენილ რუსთა წინააღმდეგი პირიქით მათ სრული უფლებები მიეცათ საქართველოს მოქალაქისა, და ბოლშევიკებისაგან დევნილი რუსებიც საქართველოს აფარებდენ თავს, სადაც იგინი ძმურ მიღებას და დახმარებას მოელოდენ, და არც ერთს რუსს, ჩვენ ქვეყანაში მცხოვრებს, ან შემოხიზნულს ეს მოლოდინი არ გაცრიცებია. ასეთივე იყო ქართველთა დამოკიდებლობა რესპუბლიკის უკელა არაქართველ მცხოვრებთა მიმართ. ამ მხრივ ნოე უორდანიამ განაგრძო საამაყო ტრადიცია ქართველი ერისა, რომელსაც არ უყვარს სისხლი. განსაკუთრებით სისხლი უდანაშაულოთა და უსუსურთა, რომელსაც მუდამ ჰქონდა სხვა ერთა პატივისცემა და შორს იყო მისგან სიძულვილი მათი და შურის ძიებისა ან სამაგიეროს გადახდის გრძნობა თვით დამნაშავეთა მიმართ.

ნოე უორდანიას ორმად უყვარდა თვისი ერი და მისი კულტურა. მასსოვს შარზინ ლევილში რომ ვიყავი, პატარა გუნდმა შვენიერი გურული სიმღერები მოგვასმენია. ნოეს გვერდში ვიწერი და ვუსმენდი. მოხუცი აღელდა, ხელის მოძრაბას აყოლებდა სიმღერებს და ეტყობოდა თვითონაც გულში მღეროდა. როდესაც გუნდმა სიმღერები გაათავა, უორდანიას ცრემლები წამოუვიდა, თქვა: „ჩამ-ზენი ხანია რაც გურიაში აღარ ვყოფილვარ და ეს სიმღერები აღარ მომისმენია“-ო. სწრაფად აღგა მძიმელ ჩაფიქრებული და ჩქარი ნაბიჯით გავიდა განსვენებული სიმონ წერეთლის ქონითგან, სადაც გუნდი იმღეროდა, და გაეშურა თავის ბინისაკენ.

სამ წელიწადს გაძლო მხოლოდ დამოუკიდებელმა საქართველომ, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად იყო ცნობილი მრავალ სახელმწიფოთაგან და მიუხედავად იმისა, რომ იგი საბჭოთა რუსეთმაც იცნო, მანვე დაიპყრა იგი ვერაგულად თავსდასხმით 1921 წელს. ნოე უორდანიას მთავრობა ივროპაში გადმოიხვეწა და აქეთგან განაგრძოდა ბრძოლას მტრის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლას შეალია ნოე უორდანიამ მთელი ზისი ენერგია, და აქაც ორმა პატივისცემა მოიპოვა მან უკელას წინაშე, ვისაც სწამეს ერთი თავისუფლება და უოველგვარი მონობის წინააღმდეგ იბრძვის. ორმად მოხუცებულსაც არ შეუწყვეტია მას ეს ბრძოლა. დღეს იგი აღარ არის, დაუღილავი მებრძოლი თავისი ერის თავისუფლებისათვის და თვის იდეალთათვის, მისგან ქმნილი დიდი საქმეებით შეარულა რა ის ვალი, რომელიც მას დაადვა მისმა ერმა და მისმა რწმენამ.

ნოე უორდანიას აჩრდილთა სამეფოში შესვლით დასრულდა ერთი დიდი ეპოქა საქართველოს ცხოვრებისა. — „ანერ აპეთანე“ მაგრამ სახელი მისი საუკუნოდ დარჩება ქართველი ერის მეხსიერებაში.

დავიბადე ორ იანვარს 1868 წ.

ჩემი მოწაფეობის პირველ ხანაში, როგორც ლანჩხუთის სოფლის სკოლაში, ისე ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, მქონდა მხოლოდ ორი სახელმძღვანელო: „დედა ენა“ და „როდნოე სლოვო“. გაგონილი მქონდა რომ არსებობს ქართული მეორე სახელმძღვანელო — „ბუნების კარი“, მაგრამ არსად შემხვედრია და მისი შინაარსის არაფერი გამიგია.

მანსონს, ერთხელ (1879 წ.) მივდივარ ქართული მილიციის ყაზარ-მის წინ, უცებ გავიგონე ჩემი სახელის ამოძახილი. შევხედე, ჩემი სახლი-კაცი მილიციონერი კოდრატი უორდანია მიძახოდა: მოდი, მოდი, „ბუნების კარს“ მოგცემო. გამეხარდა, გადავხტი ლობეზე, ქარების მონახვაზე დრო არ დავკარგე, მივირბინე — ვხედავ ერთ დიდ გობს სავსეს მოხარჩული ხორცის ნაჭრებით. კოდრატიმ აიღო ერთი და მითავაზა — „ბუნების კარი“-ს მაგიერათ მიიღო. მეწყინა, ხორცი გადავაგდე იქვე მიწაზე და გამოვბრუნდი, მართლა წიგნს მაძლევდი ზეგონა, საჭმელი კი არ მიჭირს-თქვა. ეს იყო რაღაც დაუფიქრებელი სიამაყე, ვინაიდან საჭმელი მუდამ მაკლდა და ამ მოულოდნელ გაზასპინძლებას დიდის მაღლობით უნდა შევხვედროდი.

გავიდა კიდევ ერთი წელი. თავი ჩაქინდრული მაქვს „როდნოე სლოვო“-ში. მეშინია ჩემი ამხანაგი თხილაშვილის ბედი არ მეწვიოს, რომელიც გამოაგდეს სასწავლებლიდან იმიტომ რომ ვერ ისწავლა ზეპირათ ერთი რუსული ლექსი — „პჩელკი ნა რაზვეტკას“. მართლაც, რაღაც საკვირველი ამბავი სჭირდა ამ ბავშვს. ამ ლექსის გამო ორჯერ დაარჩინეს ერთ და იმავე კლასში, ხოლო ბოლოს გარეთ გამოუძახეს. რუსული სახელმძღვანელოს ასეთი სიძნელე ჩვენთვის აიხსნებოდა ჩვენი რუსული ენის სრული უცოდინარობით და ამიტომ უმძიმეს სატანჯველათ მიგვაჩნდა რუსული ენის გაკვეთილი.

ერთ დღეს რუსული ენის მასწავლებლის მაგიერ შემოვიდა /გრკვე-
თილზე ქართული ენის მასწავლებელი და გამოგვიცხადა — მასწავლე-
ბელი ვერ მოვა, ავათ არის, სამაგიეროთ, მე წაგიკითხავთ /ქართული
წიგნიდან რამდენიმე ადგილს. ამოიღო მოსქო წიგნი, დავინახეთ სა-
თაური „ბუნების კარი“ და დაიწყო კითხვა ლექსების, აწერილობის
საქართველოს კუთხეების და სხ. გაკვეთილის გათავებისთანავე მი-
ვირბინე მასწავლებელთან და ვსთოვე რამდენიმე დღით ეთხოვებია
წიგნი. მათხოვა და გახარებული გავიძეცი შინისაკენ.

შეუდექი კითხვას. განსაკუთრებით დამაინტერესა ბუნების მოვლე-
ნათა ახსნა-განმარტებამ. წვიმა, თოვლი, ქუხილი. მეხი და სხ. ამის-
თანაებზე წერილების წაკითხვამ გამაოცა, გამაშტერა, წაკითხულს არ
ვუჯეროდი, რამდენიმეჯერ ვკითხულობდი ერთ და იმავე წერილს.
აზროვნება შემერყა. ვიცოდი, და დარწმუნებული ვიყავი, რომ ყვე-
ლა ეს მოვლენანი ლვთის საქმეა, როცა უნდა წვიმას მოიყვანს, როცა
უნდა სიმშრალეს, ახლა კი გამოდის რომ ღმერთი არაფერ შუაშია, ის
არც კი სჩანს, მის მაგიერობას ასრულებს თვით ბუნება და მისი ძა-
ლები. დარწმუნებული ვიყავი ქუხილი — ეს წმინდა გიორგის ცხენის
ჰენებაა ცის სივრცეში, ახლა კი ვხედავ რომ არც წმინდა გიორგი
ურევია ამ საქმეში, არც მისი ბედაური. დავეჭვდი, პირველათ დავ-
ფიქრდი და შევეკითხე ჩემს თავს — ღმერთი სად არის და არის კი
საღმე. ამ დღიდან თავს აღარ ვგრძნობდი ჩემს ტყავში, რაღაც მაწუ-
ხებდა და ეს ჩემი ეჭვები არ მასვენებდენ. ერთ დღეს გაკვეთილებს
შორის დასვენება, ავდარის გამო, კლასში გავატარეთ. რაღაცამ ამი-
ტაცა, ოთახის შუაგულში დავდექი და დავიძახე: ბალნებო, ყური
ღამიგდეთ, ახალ ამბავს გეტყვი; უცებ შესწყვიტეს ხმაურობა და
შემომესიენ — თქვი, თქვიო. იცით თუ არა ერთი ამბავი, ღმერთი არ
ყოფილა — წამოვროშე უეცრათ. შეიქნა ხმაურობა — რა თქვი, რა
თქვი, ღმერთი დაგჭის, მოინანიე ახლავე, შემომძახეს აქედან-იქიდან.
შემრცვა, შემეშინდა ლვთის, მაგრამ თავი მაინც არ ვაჩვენე ბავშვებს
მოშიშარათ და უკანდამხევათ. გამოვარდი გარეთ, ბალკონზე და იქ
ჩემთვის ვიძახე: ღმერთო შემინდვე, ნუ მიკანონებ და რამდენჯერმე
ტუჩებზე მუშტიც დავირტყი, რა წამოვროშე-თქვა.

მაგრამ ჩემი სულიერი აფორიაქება ამ ინცინდენტით არ გათავდა.
ის ოხერი ეჭვი თავიდან არ მომშორდა და განვაგრძე ბუნების-მეტყვე-
ლებით დაინტერესება. მინდოდა უეჭველათ გამეგო, ღმერთი თუ არ
არსებობდა, თუმცა ამავე დროს ყველა მარხვას ვინახავდი, წელიწად-
ში ორჯერ ვეზიარებოდი, აღსარებას და წირვა-ლოცვას არ ვაკლდე-

ბოდი, ვიყავი ეკლესიის ერდგული შვილი. ამავე დროს კი ის ეჭვი
ლრღნიდა ჩემს სულს და ძიებისაკენ მიწვევდა.



ამ დღიდან დავინახე რომ მე გადმოვარდი ჩვეულებრივი, საყო-
ველთაოთ მიღებული აზროვნებიდან, გადმოვარდი ბარტყივით ბუდი-
დან და მარტოთ-მარტო უგზო-უკვლოთ ვხოხავდი, ვერც ძველ ბუდეს
დავუბრუნდი, ვერც ახალს მივაგენი; ამ მდგომარეობის შეჩვევა ად-
ვილი არ აღმოჩნდა; ვხედავდი, ყველა ნაცნობი და უცნობი ცხოვ-
რობს და ფიქრობს გაკვალული გზით, არ შორდება ერთი-მეორეს არც
ზნით, არც ჩვეულებით, არც ფიქრით. ის არ იცვლის კალაპოტს. ჩემს
თავს ვთვლიდი ამ ხალხში უცხოთ, გარედან მიწებებულათ და ვნატ-
რულობდი ერთ იმაუგანათ გახდომას. ვცდილობდი, არაფერი გამო-
დიოდა, ჩემს თავს ვერ გავეჩცეოდი, ჩემს ეჭვებს თავს ვერ ვალწევ-
დი. ოზურგეთი ვერ მაკმაყოფილებდა, რაღაც ნაყარ-ნუყარი წიგნე-
ბით ვერ ვპოულობდი პასუხს ჩემს კითხვებზე. ამიტომ როგორც კი
სასულიერო სასწავლებელი გავათავე, დედ-მამას გაუცხადე თფილის-
ში სწავლის გაგრძელების სურვილი. დედა გაჯავრდა, ერთი შვილი
მყავს და მას არ ვკარგავო. ქალს შვილათ არ თვლიდა. მამა ჩემი ვა-
ჩუმდა, ვატყობდი არ იყო წინააღმდეგი, თუ ხარჯს მოახერხებდა.
დედას შეუჩინე ლვდელი, ჩვენი მოძლვარი ფ. ბარამიძე. მან მიგნებუ-
ლი ლაპარაკი იცოდა და დედასაც სწორათ მიუდგა, შვილი ლვდელი
გეყოლება, გიწირავს, გაცხონებს, ამაზე უკეთესი რა იქნებაო — გამო-
უცხადა დედას და ამ ჰანგებით გასტეხა მისი წინააღმდეგობა. მამა კი
ამბობდა, აზნაურის ლვდლობა ვის გაუგონიაო. მოახწია მარიამობის
თვის ბოლო. მამაჩემმა გაყიდა წისქვილთან მდებარე ორი ქცევა მიწა,
იყიდეს რუსიე შვილებმა 80 მან. და ამ ფულით მამის თანხლებით გა-
ვიმგზავრე თფილისში. შევედი სემინარიაში და დავდეჭი კერძო ოჯა-
ხში თვეში ათ მანეთად (1884 წ.).

ერთ დღეს თფილისის დათვალიერების დროს, წავაწყდი რუსის
სობოროს გვერდით ძველი წიგნების სავაჭროს, მაშინვე შეუდევი
ძებნას ბუნების მეტყველებიდან რაიმე შრომის და უცებ, მოულოდ-
ნელათ თვალი მოვკარი ერთ დიდ წიგნს ამ სათაურით: „ბოგ ვ
პრიროდე“ („ლმერთი ბუნებაში“). გამეხარდა, ვიყიდე მაშინვე და
გავსწიე შინისაკენ. წიგნის ავტორი აღარ მახსოვს, ხოლო წიგნი კი შე-
ვინახე სამუდამოთ, დავტოვე ჩემს წიგნებში ლანჩხუთში.

ეს წიგნი გადავიკითხე რამდენიმეჯერ, ლექსიკონით (ჩუბინაშვი-
ლის) ხელში. დავრწმუნდი რომ ლმერთია თვით ბუნება; ცალკე, რო-
გორც პიროვნება, თეთრწვერიანი და ტახტზე მჯდომარე არ არსებობს.
ეჭვები გაქრა, სულიერათ დავწყნარდი. ასე გავატარე პირველი წელი-
წალი. მაგრამ მეორე წელს ისევ ეჭვები აღმეძრა. ვფიქრობდი, თუ კი

ბუნების პატრონი და ბატონი ბუნებაა, ხალხის ბატონი და პატრონი ვინ უნდა იყოს; საზოგადო აზრი იყო, რომ ხალხის პატრონები შევთქმით, ხოლო მეფე დაყენებულია ლმერთის მიერ. და თუ ლმერთი აღარაა, ხელმწიფე იმპერატორი მისი დაყენებული არ არის და თავის ტახტზე ვისი ბრძანებით და ავტორიტეტით იჯდა, ვეღარ გავიგე. ახლა ვატ-ყობდი, რომ მე მეორე ბუდიდანაც ვარდებოდი, ვცდილობდი თავის შეკავებას და ამ ფიქრებისაგან თავის დაღწევას. ვეძებდი წიგნებს და რაც კი შემხვდებოდა ვკითხულობდი. ამ დროს გავიცანი ზ. ჭიჭინაძე და დამპირდა წიგნების მოცემა. მივედი მისას, მთაწმინდაზე, ვნახე, მართლა, ბევრი წიგნების საწყობები. მკითხა რა მაინტერესებს, ჩემი ეჭვები ვერც გაუმულავნე, ვერც მთლათ დავმალე, ვუთხარი ისე გაკვრა-გამოკვრით. წამოსვლისას ხელში მომცა ორი ნომერი რაღაც რუსული გაზეოთ, და დამარიგა არავის აჩვენო, როგორც წაიკითხო — დამიბრუნეო. ვერ მოვითმინე, გზაშივე გადავშალე და დავინახე სათაური — „კოლოკოლ“ (ზარი). ამ უურნალმა გადასწყვიტა ჩემი ყველა ეჭვები. მეფე ისეთივე გამოგონილი ავტორიტეტია, როგორც ლმერთი. ეს ორთავე ერთ დონეზე დავაყენე. ათე-იზმი და რესპუბლიკანიზმი ერთი მეორის ტყუპათ დავსახე.

თავიდანვე დამჩემდა ერთი ზნე — რასაც ახალს გავიგებდი უეჭ-ველათ სხვებისათვისაც გადამეცა. მიყვარდა განსაკუთრებით სოფელ-ში ლაპარაკი ამ საგანზე. მახსოვს ობურგეთიდგან ჩამოვედი „ბუნების კარი“-ს კითხვის შემდეგ ლანჩხუთში. ჩვენ წინ, მინდორში, არის პატარა გორაკი, რომელსაც დაარქვეს „ფიქრის გორა“, საღაც უორ-დანიები იკრიბებოდენ და დაობდენ მამულზე. აქვე ისვენებდა ყველა მოსეირნე და საუბრის მოყვარულნი. მეც ჩამოსვლისათანავე გავედი მინდორში და გავჩერდი „ფიქრის გორა“-ზე, ნელ-ნელა თავი მოიყა-რეს მეზობლებმა, გამვლელ იაშომვლელებმა, დაიწყეს საუბარი, ცის და ბარის ამბავი. მე ჩამოუგდე ლაპარაკი ბუნების მოვლენაზე. ავხ-სენი მათი მიზეზები; ახალგაზრდები არ დაინტერესდა, ერთ ყურში შეუშვეს — მეორედან გამოუშვეს, ეტყობოდათ. ხნიერები ისმენდენ ყურადღებათ. როცა გავათავე ერთმა მათგანმა თქვა: ლმერთო დაი-ლოცა შენი სახელი, როგორ კარგათ გაუნაწილებია თავის საქმეებიო. ყველა წვრიმალში რომ ყოველთვის თვითონ ჩაერიოს — ეს რა იქნებოდა და სხვა, გააგრძელა ამ თემაზე ბასი. ახლა რომ ვუკვირდები, ეს იყო ბრძნული განსჯა, ლვთის და ბუნების კანონების მორიგება, ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ არა იმდენი, რომ ჩემი ეჭ-ვები გაეფანტა.

როცა ხელმწიფის და მისი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას გა-

ვეცანი, მინდოდა „ფიქრის გორა“-ზე ეს საგანიც აღმეძრა. ეს კი გა-
ცილებით უფრო ძნელი საკითხი იყო, ვინემ წვიმა-ქუხილზე კლაპტარა
კი. ერთხელ „ივერია“-ში დაიბეჭდა ფელეტონი, სადაც ნიჭიქრათ
იყო აწერილი ედისონის მიერ ელექტრონის სანთლით მთელი ბალის
უეცრათ განათება. ლანჩხუთში ჩამოსვლისთანავე ეს ამბავი მოუყე-
ვი გორაზე თავმოყრილ ხალხს, ძალიან გაუკვირდათ. ბოლოს ერთმა
ხმამალლა თქვა: დიდება შენ ღმერთო, რას არ გამოიგონებს რუსის
ხელმწიფე! გამიკვირდა, სრულიად არ მიხსენებია არც რუსეთი, არც
მისი ხელმწიფე, ვლაპარაკობდი ამერიკაზე და ედისონზე. შემდეგ
ლაპარაკიდან გამოვარკვიე, რომ ხალხში ასეთი აზრი იყო: თუ სადმე
რამე კარგი კეთდება — სულ ყველა რუსის ხელმწიფის მეოხებით. ამ
რწმენას დაერთო ახალი გარემოებანიც.

ამ დროს (1886—1890 წ.წ.) გურიის სახელმწიფო ტყეების გამ-
გეთ, რომელსაც „ლესნიჩის“ უწოდებდენ, იყო ვინმე ქიქოძე. ამ მო-
ხელებ ზედმეტი გულმოლგინეობის გამოსაჩენათ ალბათ, მთავრობის
წინაშე, ყველა კერძო პირთა ტყეები გამოაცხადა სადაოთ და მოით-
ხოვა ხაზინისათვის გადაცემა. დაიწყო გაუთავებელი საჩივრები. აი
ამ დავაში მთელი გლეხობა დადგა ხაზინის მხარეზე და უმოწმებდენ
ხაზინის ვექილს რასაც ითხოვდა ქიქოძე. გამოვიდა რომ მთავრობას
შეუერთდა გლეხი და ორივე ერთად ებრძვის მემამულეთ. თანაც
„ლესნიჩის“ აგენტები მოხერხებულათ ავრცელებდენ ხალხში იმ
აზრს რომ გლეხობა ხომ ხაზინის ხალხია და რასაც მემამულეთაგან
ამოიგებენ მას გადაეცემათ. გაჩაღდა ნამდვილი პროპაგანდა „რუსის
ხელმწიფის“ სასარგებლო ინტერესების ნიადაგზე და ვის შეეძლო
ხმა ამოელო საჯაროთ, ხალხში, მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ ჩვე-
ნი ახალი აზრები რჩებოდა მოსწავლეთა და ინტელიგენციის ამარათ.
განსაკუთრებით მე არ შემეძლო ამ მიმართულებით მელაპარაკა
„ფიქრის გორა“-ზე, ვინაიდან დავა ქონდა ხაზინას სწორეთ უორდა-
ნიებთან და ხალხი ჩემს ნალაპარაკევს მიიღებდა მეგვარეთა დაცვათ.
გლეხობა აშკარათ გამოდიოდა ხაზინის დასაცავათ, ხდებოდა ყრი-
ლობები კანცელარიასთან და სხ. ამ მოძრაობის დღიურიც კი ვაწარ-
მოვე გაშვინ (რაც ჩავაბარე ერთ პირს, 1919 წ. და დღემდე არ და-
უბრუნებია).

თუ რუსული ლიტერატურიდან ვეცნობოდი რევოლიუციურ აზ-
რებს, პოლიტიკურ და სოციალურ მიმდინარეობას, ქართულიდან ვეც-
ნობოდი ნაციონალურ და პატრიოტულ სულისკვეთებას. ვფიქრობდი
ამ საგანზედაც მექნებოდა ბაასი ლანჩხუთის „ფიქრის გორა“-ზე,
მაგრამ ნათელი მოთხოვნილებანი ვერ ამოვიკითხე ვერსად. მხოლოდ
აკაკის ლექსებიდან გამოგვექონდა დასკვნები, რომ საქართველო უნდა

იყოს თავისუფალი; ყველა სხვა მოთხოვნილებანი ეხებოდენ დღიურ ჭირვარამს — ქართული შკოლა, ქართული მწერლობა და სხვაგური ში ნაციონალურ მიმართულებას ნიადაგი სრულიად არ ქონდა. ყველა ნატრობდა რუსულის ცოდნას, „ორი კლასის“ გათავებას და სამსახურის შოვას. ქართული ენა იყო მიჩნეული საშინაო სახმარებლათ, ერთი-მეორესთან წერილის მისაწერათ, რითაც თავი არ ირჩინებოდა და არც რაიმე გასავალი ქონდა დაწესებულებებში. მეორეთ, რაც მთავარია, გურია მდებარეობდა ოსმალეთის საზღვარზე, იყო მუდამ შიში შემოსევის და განადგურების და ამიტომ დიდათ კმაყოფილი რუსეთით, რომელიც იდგა საზღვარზე და მათ იცავდა. უკმაყოფილო იყვნენ მხოლოდ გურიელები, რომელთა მართველობა შესცვალა რუსეთმა და დაწესა თავის მართველობა. ოზურგეთში სწავლის დროს ვიცნობდით მათ ნაცნობს, მესმოდა მათი ნაამბობი. დიმიტრი გურიელი, გვარის მეთაური და იესე გურიელი ნატრულობდნენ „ძველ დროს“ და ფიქრობდენ მის დაბრუნებას ახალციხის და ახალქალაქის ბეგების დახმარებით... ეს იყო მათი შინაური ნატვრა, რაც სავსებით ეპირდაპირებოდა ხალხის სულისკვეთებას. ხალხი იტანჯებოდა ახირებული ჩვეულებით, ახალ-გაზრდა ქალ-ვაჟთა ჩოლოქს იქით გატაცებით და იქ გაყიდვით. განსაკუთრებით იყიდებოდა გოგოები და ფასიც კარგი ქონდა. მე ვიდექი ერთ ოჯახში, რომლის მეთაური ცხოვრობდა „ტყვეს გაყიდვით“. მე მისი არ მეშინოდა, რადგან იყო ჩემი ნათესავი და თან ხანში შესული. სწორეთ ჩემს დროს, ომის აფეთქების წინ, რამდენიმე მაგალითი მოხდა ტყვეს გადაცემის და გაყიდვის ჩოლოქს გალმა. ვიყავი მუდამ შიშში, არ გამიტაცონ თქვა. ეს შიში შემინელდა ომის აფეთქების შემდეგ, როცა ოზურგეთი გაივსო რუსის ჯარებით და საზღვარზე გაჩალდა ომი. მაგონდება ერთი ამბავი, რომელიც მაშვინ გავიგონე და რაც შემდეგ დამიდასტურა ამბის მონაწილემ, ზემოთ მოხსენებულ ყოფილმა მილიციონერმა კოდრატი უორდანიამ.

ოსმალოს დამარცხების შემდეგ ჩოლო ე ჩვენი ჯარები შევიდა აჭარა-ქობულეთში. გურული მილიციის ერთი რაზმი ანტონ ქარცივაძის მეთაურობით დაბანაკდა ქ. ართვინში. ანტონმა მიიღო დაპატიჟება სადილათ თავისი რაზმით ერთ ბერძნის ოჯახში. სტუმრები გამოცხადდენ, შესვდა ახალ-გაზრდა ლამაზი გიასახლისი, რომელმაც დაახვედრა ჩვენებური სადილი. ქმარი შინ არ იყო. შუა ჭამაში რომ არიან ანტონს ფერი ეცვალა, დაკვირვებით ათვალიერებს დიასახლისს, უცებ იცნო და იქვე სტოლის ქვეშ ჩაიკეცა. მივარდენ, ააყენეს, გაიყვანეს მეორე ოთახში საყვედურებით — ბევრი დაულევიაო. ჩამ ქალმა მიხვდა რაშიდაც არის საქმე, მიხვდა რომ ქარცივაძე

ის იცნა, შევიდა მასთან ოთახში და ანუგეშებს — წარსული მე უკვე
დიდი ხანია დავივიწყე, ხომ ხედავ ღმერთმა არ მომიძულა, მოვეს-
წარი გურულების ნახვასაც... გამოჩნდა, რომ ეს ქალია გურიანთე-
ლი გლეხის შვილი, მოტაცებული და გაყიდული სწირუთ ანტონ
ქარცივაძის მიერ. როცა ამ სცენას კოდრატი დაწვრილებით ამიწერ-
და, ყოველთვის თვალებში ცრემლები მომაღებოდა. რა სულ
გრძელი და დიდებულია ქართველი ქალი!

ასეთ ატმოსფერაში აღზრდილი გურულები ვერც კი წარმოიდ-
გენდენ თავისუფალ საქართველოს. თვით ამ სახელზედაც არ ქონდათ
ნამდვილი წარმოღენა. საქართველო ნიშნავდა ქართლს, ქართველი—
ქართლელს, ხანდახან — კახელსაც. ერთი მთლიანი ქართველი ერი,
ერთი მთლიანი საქართველო მის წარმოღენაში სრულებით არ არ-
სებობდა. ის მუდამ ფიქრობდა თავის დაცვაზე თათრებისაგან, ამ საქ-
მეში მის დამხმარეთ ვერავის ვერ ხედავდა გარდა რუსისა. რუსი
მოხელე არ უყვარდათ, ალბათ, იმიტომ რომ ვერას გააგებინებდა და
არც ენდობოდა. სამაგიეროთ დიდ პატივს სცემდენ რუსის მხედ-
რობას, ოფიცრებს და ჯარის კაცებს. ეს უკანასკნელნი ეცოდებოდათ.
რამდენჯერ მინახავს ქალი ჭიშკართან მიმდგარი გამვლელ სალდათს
უძახოდა — რუსო, რუსო და მას ხილს აწვდიდა. ისინიც კარგათ.
ზრდილობიანათ ეპყრობოდენ მცხოვრებთ და არ მინახავს, არც გა-
მიგონია რაიმე უსიამოვნება ყოფილიყოს ჯარსა და მცხოვრებთა
შორის. სამაგიეროთ რუს პოლიციელს და ხალხს შორის ხშირი იყო
დატაკება. კარგათ მახსოვს ერთი ამბავი: ჩვენში დანიშნეს პრისტ-
ვათ ვიღაც რუსი. ერთ ყრილობაზე გლეხს მან რუსულათ დედა
დააგინა. ეს გაიგონეს თუ არა, ყრილობამ ჩამოათრია პრისტავი კან-
ცელარიის ბალკონიდგან, სცემეს, ძლივს გამოართვეს ხელიდან
ცოცხალ-მკვდარი პოლიციელი. შეიქნა დიდი ამბავი, მოიჭრენ მაზრის
უფროსი, გუბერნატორის მოადგილე, გამომძიებელი, აფრინეს დე-
პეშები — ლანჩხუთში ბუნტიაო და სხ. მთელი ეს ისტორია გათავდ
ვშვიდობიანათ — პრისტავი გადაიყვანეს, რუს მოხელეთ ცირკული-
არით აუკრძალეს ქართველების გინება, ხოლო გამლახველნი არც და-
უჭირიათ, არც დაუსჯიათ. მე მგონია ეს საქმე თფილისში მიაფუჩე-
ჩეს. საერთოდ, იმ დროს გურიისაგან დამრჩა ერთი შთაბეჭდილება—
ხალხს არ სურდა რუსის მოხელეები, რუსული საშინაო წესები, ხო-
ლო რუსის ჯარი კი უნდოდათ და მას პატივით ეპყრობოდენ.

ამნაირათ, ხალხს იმ დროს ვერ მიეკარებოდი ვერც პოლიტიკუ-
რი, ვერც სოციალური და ვერც ნაციონალური პროპაგანდით. ეს ძა-
ლიან მაწუხებდა და იძულებული ვიყავი სოფელში მეცხოვრა ზაფ-

ხულობით, როგორც სტუმარი, უცხო კაცი. სამავიეროთ, თფილისში ვოწაფეთა წრეები იძლეოდა ასპარეზს სწავლის და აზრთა გავრცელების. პირველათ მე ვიყავი წევრი-მოსწავლე ასეთი ურალეგალური წრის, შემდეგ მე თვითონ მყავდა წრეები და მათ ვხელმძღვანელობდი. ორივე შემთხვევაში საგანი ჩვენი მეცადინეობისა იყო სოციალური და პოლიტიკური საკითხები. ნაროდნიკული დოქტრინა გახდა ჩემი დოქტრინა ცოტაოდენი ცვლილებებით. ჩავიჭრი წიგნების სამეფოში, სემინარიის წიგნები არ იძლეოდა რაიმე დაკმაყოფილებას, არც მისი წიგნთ-საცავი, არც სახელმძღვანელოები. მიუვარდა ისტორია, ილოვაისკიდან ვერავითარ აზრს ვერ შეადგენდი, ვერც რუსეთზე, ვერც ევროპაზე. ლიტერატურას ასწავლიდენ მხოლოდ პუშკინამდე. მერმე ვინ იყო, რა იყო — არავინ იცოდა. ქართული ხომ სრულიად არაფერი, გარდა გაბრიელ ეფისკოპოზის ქადაგებისა, რასაც გვიხსნიდა თედო უორდანია და ამასაც რუსულათ. ყველა წიგნს, რაც არ იყო შემოღებული სახელმძღვანელოთ, არ იძლეოდენ წიგნ-საცავიდან, ითვლებოდა აკრძალულათ, რის წაკითხვა იწვევდა სასტიქ სასჯელს. და მეც სწორეთ ამ აკრძალულ წიგნებს დავაწევი და მათ შერჩევა-გაცნობაში ვხარჯავდი თითქმის მთელ ჩემს დროს.

ამ შერჩევაში დამჩემდა ერთი ზნე — ხელალებ უარსვყოფდი ბელეტრისტიკას, ყოველნაირ შეთხზულ აწერილობას და მხოლოდ „რეალისტურ“ წყაროებს ვეტანებოდი. წავიკითხე მხოლოდ ერთადერთი რომანი — „ჩტო დელატ“, ისიც იმიტომ რომ ეკუთვნოდა ჩერნიშევსკის და შეიცავდა რევოლუციონერთა ცხოვრების აწერილობას. ამ ცალ-მხრივ განვითარების წყურვილი აიხსნებოდა ერთი გარემოებით — ეს იყო რეაქცია წინააღმდეგ იმ ფანტასტიური ატ-მოსფერისა, რომელშიაც მე ბავშვობაში ვიზრდებოდი.

ლირს ამ საგანზე შეჩერება.

ჩემი ბავშვობის ხანაში ლანჩხუთის მცხოვრებთ, ალბათ მთელ გურიასაც, ქონდათ წარმოდგენა ქვეყნიერებაზე სავსებით ზღაპრულათ და სასწაულებრივათ. საერთო აზრი იყო: ქვეყანა დასახლებულია უჩინარი სულებით, რომლებიც ებრძვიან აღამიანებს და მათ ვზას უბნევენ. ეს სულებია: ჭინკა, ქაჯი, ეშმაკი, დევი, კულიანი, მზაკვავი და სხ. ბავშვებს ყავთ მიჩენილი ჭინკა, ხოლო დიდებს ყველა დანარჩენი. ეს ჭინკა მაინც მუდამ მაგონდებოდა და სულს მიწუხებდა. ერთხელ ჩემი თამაშის ამხანაგი სამი დღის განმავლობაში მინდონში არ გამოჩენილა. შემდეგ მოვიდა და ჩემს შეკითხვაზე — თუ სად იყო ამდენ ხანს, მომიგო: დედა-ჩემმა წისქვილში გამაგზავნა, ვემოღამებული იყო, შევედი თუ არა წისქვილში, მომესმა ხმაურობა

და ყვირილი — ვინ მოსულა, მოკიდეთ მას ხელი. უცებ კუთხეები-ლან გამოვიდენ ჭინკები და დაშესია. მოვასწარი კუთხეში ღადგომა, ამოვილე ჯაყვა-დანა, ვილრიალე ირგვლივ მათ მოსაგვრებლათ, მოვიდან დამება და ლოცვა ველარ ვთქვი, თუმცა დედამ დამაპარა ლოცვისას დაგავიწყდეს, წისქვილმა ჭინკა იცისო. შემდეგ, არ ვიცი რამდენი ზრო გავიდა, დედას შეშინებოდა — სად არის ამდენ ხანს ბიჭიო, მოვიდა და როგორც კი სინათლით შემოვიდა... ჭინკები მაშინვე გაქრენ. მერე ლოცვებით მომასულიერეს და ფეხზე დამაყენეს. ამ ამბვის გაგონებისთანავე გავიქეცი შინ და დედა-ჩემს უთხარი — წის-ქვილში აღარ გამაგზავნოთ და უამბე რაც მოხდა. არა ნენა, როგორ გაგაგზავნი მარტოთ, ლამე კი არა, არც დღით. ის წყეული სინათლეზე იმალება ხან წყალში, ხაზ ბორბლებში-ო.

ერთხელ ოზურგეთიდან მოვდივართ ლანჩეუთში ოთხი ბავშვი; გვყავდა ერთი ცხენი და ზედ ვჯდებოდით მორიგეობით ორ-ორი. ჭარანებს გალმა ვიყავით, რომ მზე ჩაღიოდა. მე და ჩემი სახლი-კაცმა წარის შემოსაკლებლათ გადავაჭიქურეთ გორაკებით, ხოლო მეორე წყვილი ცხენით შოდიოდენ შარა გზით. მივადექით მდინარეს, როგორც კი შევდექით ხიდზე მომესმა ძახილი: ვერ წახვალთო და რაღა-ც წყალში მოახდინა ტყაპუნი, ნაპირიდან გადახტა. ჭინკა დაგ-ხდიან — დავიძახეთ და შეშინებულებმა მოვკურცხლეთ უკან. შევ-ხდით ამხანაგებს, უამბეთ რაც მოხდა და გადავწყვიტეთ უკან დაბ-რუნება. მივდივართ ყველა ფეხით შეშინებული, დაფიქრებული. შე-მოგვხვდა ერთი თოხიანი კაცი და გვკითხა: სად მიხვალთ აქეთ, აკი ორაგვისაკენ მიხვიდოდითო. ჩვენც უამბეთ რაც მოხდა, მან მოგვი-გო: მეისპო მისი სახელი, იმ ხიდესთან მართლა იცის ყოფნა, წამო-დით მე გაგიყვანთ, თუ გაბედა შემოტევა ამ თოხის ყუას შიგ შუა-გულში მივახეთქებო. გავყევით გულის ფანცქალით. მივედით ხიდ-თან, გვეშინოდა ზედ შედგომა, წინამძღოლი გვიჯავრდება, კინაღამ თოხის ყუა ჩვენ არ მოგვარტყა, გავედით როგორც იყო მშვიდო-ბით და მოვკურცხლეთ. ორი კვირა დედა-ჩემი მატარებდა მოლაზონ-თან „შეშინებულის“ გამოსალოცავათ.

ლანჩეუთში ხმა გავარდა — ნათლისმცემელში მცხოვრები ერთი მოლაზონი ტურაზე იჯდა და მიაჭინებდაო. ეს იყო უტყუარი ნიშანი იმის, რომ ის კუდიანია. მოახდინეს ყრილობა, 30 კაცმა და ქალმა და-ამოწმა — ჩვენი თვალით ვნახეთ ტურაზე იჯდაო. დედაკაცი გადაა-სახლეს „პრიგოვორით“ საზოგადოებიდან. მთელ ამ საქმეს მეთა-ურობდა ერთი ჭიკვიანი გლეხი ოფონა ბოლქვაძე. გავიდა ათ წელზე მეტი. მე შინ ვარ თფილისიდან ჩამოსული. მამა ჩემთან მოვიდა ეს

ოფონა, მუსაიფა... დროს ჩემი თანადასწრებით მამამ კითხა: ოფონა, მითხარი თუ კაცი ხარ, ძველი ამბავია, მართლა დაინახე რომ ის მოლაზონი ტურასე იჯდაო? ოფონას გაეცინა და უპასუხა: ნიკო ჭიჭიანი კაცი ხარ ღ, ასეთ აბდლურს რაფერ მკითხავ. აღამიანის ტურაზე ჯდომა ვის გაუგონია. იმ დედა-კაცმა შემაწუხა, ჩემი კარის მეზობელი იყო, სულ მწყევლიდა და გადავწყვიტე რამენაირათ თავიდან მომეშორებია. ერთ დღეს აღრე ავდექი, იყო ნისლი, დავინახე მოლაზონი მიღიოდა შუაში და დაუცაცხანე. უცებ მოუფიქრებლათ შევძახე — ტურაზე ზის, ტურაზე. გადმოცვინდენ მეზობლები, მოლაზონი შეშინდა და მარბის გამწარებული, ხალხი უყურებს შორიდან და „დაინახა“ რომ მართლა ტურაზე იჯდაო. მე გამეცინა, სწორეთ ახალ-გაცნობილი ვიყავი თეორიას მასიურ გალიუციაციაზე. მაგრამ იმ დროს როცა ეს ამბავი მოხდა, მე ღრმათ მწამდა მთელ ხალხთან რთად მისი სინამდვილე.

კიცნობდი ერთ მონადირეს, ხალვაშის გვერდში იდგა. ყოველ-თვის ნაღირით დაბრუნდებოდა ტყიდან. ხალხში ამბობდენ: რა უჭირს, რატომ არ დაბრუნდება საგძლით, ქაჯი სწყალობსო. ეს ქაჯი ტყის ბატონია და ვისაც შეიყვარებს — ნადირს მიურექსო. ქაჯი კი უეჭველათ ქალი უნდა ყოფილიყო და ეძებდა ადამიანებს საყვარლათ.

მამა ჩემს ჩემთვის უამბია: მყავდა ერთი შინაყმა, წვებოდა სამზარეულო სახლში, ღამე შეიქნებოდა ყვირილი და ქვების სროლა. შევარდებოდით სახლში, ვხედავთ ბიჭს ათრთოლებულს და დიდ ქვებს. შეკითხვაზე თუ რა ამბავია, მეტყოდა — რა ვქნა ბატონო, მსდევს ქალ-ქაჯი, მე რომ არ გავყვები აი ამ ქვებს მესვრის და რაღაც ნაირათ კედლებიდან ისე ცვივა შიგნით, რომ ფიცარს არ ამტვრევსო. ეს განმეორდა მრავალჯერ. წავიყვანე ოდაში და დავაწვინე ჩემს ოთახში. ეძინა დილამდე, არათერი არ მომხდარა. როგორც კი სამზარეულოში დაბრუნდა მარტო — მეორდებოდა იგივე ამბავი. ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ წავიდა შინ, დაცოლშვილდა და დიდი ხნის შემდეგ გამოტყდა: არ ვიცი რატომ, მაგრამ ზნეთ დამჩემდა ქალ-ქაჯის ჩემი დევნა მომეგონებია, ქვები დამეგროვებია სახლის კუთხეში და ამეტეხა ის აურ-ზაური, რის მოწამე იყავიო.

ასეთ ატმოსფერაში ვატარებდი ჩემს ბავშვობას, რაც სინამდვილეში იყო, არ მიტაცებდა და შთაბეჭდილებას არ ახდენდა, რაც უჩინარი და ფანტასტიური იყო — ის მაღელვებდა და სინამდვილე მეგონა. ამიტომ ადვილათ წარმოსალგენია, რა გამიხარდა როცა ამ უჩინარი ქვეყნის აწერილობა დაბეჭდილი ვნახე. რაღაც შემთხვევით ხელში ჩამივარდა ყარამანიანის ერთი კარი. გადავიკითხე და გავშ-

ტერდი — აი რა ამბები ხთება ქვეყანაზე და მე კი არ ვიცოდი თქვა. ვეძებლი მხოლოთ ასეთ წიგნებს. ჩემს საყვარელ საკითხავათ განდა ყარამანიანი, ვარშაყიანი, ბარამიანი, ამირანიანი, ქალ-ვაჟიანი. ვიყავი გართული ამაების კითხვაში და ღრმათ მწამდა ამ ამბების სინაშე დვილე. მხოლოდ მას შემდეგ რაც „ბუნების კარმა“ დამინგრია ჩემი რელიგიური შეხედულებები, დამინგრია ამ წიგნების რწმენაც, შეთხზული და გამოგონილი ამბების პატივისცემა და თავისთავს ვეკითხებოდი — რატომ ვიყავი ისე გამოსულელებული, რომ ზღაპრები ნამდვილი მეგონა.

ამ პსიხოლოგიით ჩამოვედი თფილისში და შეუდექი წიგნების მკაცრ შერჩევას — არ შემომპაროდა გამოგონილი ამბები. ბუნების-მეტყველებამ და სოციოლოგია-ისტორიამ დაატყვევა მთელი ჩემი ყურადღება. ორი-სამი წლის შემდეგ ამ ორ დარგს შორის საბოლაოთ გავაკეთე არჩევანი უკანასკნელის სასარგებლოთ, ბუნებისმეტყველებას გამოვეთხოვე. ვიხარშოდით ჩვენსავე წრეებში, გარეთ ვერაფერი გადამჯონდა, ერთად-ერთი „ფიქრის გორა“ იყო ჩემი ასპარეზი და იქ მეფობდა სრული სიბნელე, ხალხს ვერ მიეკარებოდი ახალი აზრებით. ერთ ზამთარში (1889) დიდმარხვაში, სემინარიის ბურსაკებს მოსძულდათ ყოველ-დღე ლობიოს ჭამა და გამოაცხადეს გაფიცვა. გაკვეთილები შეწყდა, მოითხოვეს საჭმლის გაუმჯობესობა. მე ვიყავი „პრისოდიაშჩი“, გარედან მოსიარულე და არავითარი ინტერესი არ მჯონდა სემინარიის ბურსაში, თავი მოვიყარეთ სამმა პირმა — მე, თ. კიკვაძემ და ფ. მახარაძემ. გადავწყვიტეთ გაფიცვისათვის მიგვეცა ნაციონალური ხასიათი, წამოვაყენეთ შემდეგი მოთხოვნილება: შემოლება სემინარიაში ქართული ენის, საქართველოს ისტორიის და ქართული ლიტერატურის. ბურსაკებმა გაიზიარეს ეს პროგრამმა და გაიმართა ბრძოლა. ერთი კვირე დაიკეტა სწავლა, სანამ არ მოვვცეს დაპირება ეგზარხოსის მოადგილის ალექსანდრე ეფისკოპოზის პირით, მოთხოვნილებათა შესრულების, სწავლა არ დავიწყეთ. ეს იყო ერთად-ერთი ბრძოლა, რაიცა გადავიხადე სემინარიაში ყოფნის ღროს. ვსცემდით ხელ-ნაწერ უურნალს, სახელათ — „სინათლე“-ს და „ყვავილს“. პირველ ნომერში მოთავსებული ჩემი წერილის წინააღმდეგ დაბეჭდა მეორე ნომერში ფ. მახარაძემ, თუმცა ჩემი წერილი გათავებული არ იყო და რასაც ის ლაპარაკობდა, ჩემს მეორე წერილში იყო, და მოთავსებული მისი წერილის გვერდით, მეორე ნომერში. გამოიწვია სიცილი და დაცინვა მოწაფეებში. წერილების შინაარსი არ მახსოვს.

ერთი სიტყვით გავხდი სოციალისტ-ნაროდიკი. მომხრე რევო-

ლიუციის, მაგრამ თვით დოქტრინა არ მაკმაყოფილებდა. რუსეთში იყო „ობშჩინა“, ჩვენში — კერძო საკუთრება; რევოლუცია უნდა გვექადაგა გლეხებისათვის, მაგრამ გლეხი იყო მონარქისტიული უერ ვეკარებოდით. ამ ჩიხიდან ვერ გამოვედით სემინარიაში. ნაროვნიკობა აღიარებდა რევოლუციას, მაგრამ არა დემოკრატიულს, არამედ პირველადვე სოციალისტურს; ყოველი გარდამავალი საფეხური იყო გამორიცხული; ესეც იწვევდა ეჭვს. სოციალიზმის განხორციელება გამოყრუებულ ხალხის დახმარებით მიმაჩნდა საეჭვო საქმეთ. მიუხედავათ ყველა ამ ეჭვებისა, მე მაინც აქეთ მქონდა პირი. არავითარი სხვა ხასიათის რევოლუციური მიმართულება და ლიტერატურა არ იყო, არც გამეგონა. უნდა ამომერჩია ორში ერთი: ან ეს ხაზი, ან ხუცობა. უკანასკნელი იყო თავიდანვე მიულებელი, ურწმუნო ლვდელი შეუძლებელია. დამრჩა პირველი გზა. დედა-ჩემს დიდი იმედი ქონდა ჩემი — ლვდელი იქნება, მიწირავს და მაცხონებსო.

1890 წ. გავათავე სემინარია. პოლიტიკურათ განწყობილნი სემინარიელნი ვიყავით ცოტა, სულ რამდენიმე პირი, ამათ შორის მე ვიყავი ბუნტარულ გუნებაზე. ვფიქრობდი ერთი მოხერხებული ბუნტი, მსგავსათ სემინარიის ბუნტისა, რომელიმე სოფელში, ხალხს გამოალვიდებს თქვა. მაგრამ ნიადაგი ვერ დავინახე. ბუნტი თუ იყო ხალხის — იყო მთავრობის აგენტების დახმარებით მემამულეების დასაშინებლათ.

ასეთი დაეჭვებული სოციალისტურ დოქტრინაში და ტაქტიკაში, იმედგატეხილი და უნიადაგო გავემგზავრე 1891 წ. ზაფხულს ვარშავაში ვეტერინარ ინსტიტუტში შესასვლელათ. ვეტერინარობა არ მაინტერესებდა, არც მინდოდა; და თუ შევედი ამ ინსტიტუტში — იმიტომ რომ აქ გვიღებდენ სემინარიელებს, ისიც პირველი ხარისხით გათავებულთ. და ვფიქრობდი ამ შემთხვევით სარგებლობას ჩემთვის საინტერესო განათლების მისაღებათ. ჩამოსვლისთანავე მოვაწყვეორი სამაცადინო წრე — ქართველ სტუდენტების, ქართულ ენაზე, რუს-ქართველ სტუდენტების რუსულ ენაზე. პირველისათვის დავსწერე მოხსენება „რა არის პროგრესი“ (პ. გელეიშვილს ჩავაბარე) ნაროვნიკული მიმართულებით. ეს იყო ჩემი უკანასკნელი ნაზრევი რუსული სოციალიზმის ფარგალში. 1892 წ. კი დაიწყო ჩემთვის სრული რევოლუციით ამ სფეროში.

რუსული წრე შედგებოდა მხოლოდ რუს სტუდენტებისაგან; აშათ შორის ვიყავი ერთი ქართველი. პირველ ყოვლისა წავიკითხეთ კაუცკის „მარქსის ეკონომიკური მოძღვრება“, რუსული გამოცემა. პირველი ნაწილი. ამ ბროშურამ ჩემზე ვერ მოახდინა დიდი შთაბეჭდილე-

ბა და ჩემს ეჭვებს არ უპასუხებდა. ამ ბროშურის შემდეგ წრის ერთ-მა წევრმა რუს-ებრაელმა, გვარად ვიტკინდ, მოიტანა იმავე ფავტორის მეორე წიგნი გერმანულ ენაზე, სადაც იყო ახსნილი და განმარტებული ისტორიული მატერიალიზმი. ვიტკინდი ამას კითხულობდა და იქვე გვითარებიდა რუსულათ. აი ამ დღიდან დაიწყო ჩემში სწრაფი ევოლიუცია. ერთი ნარიდნიკული სკამიდან მეორეზე, მარქსისტულ სკამზე, გადაჯდომა. აქ პირველათ დავინახე რომ რუსული სოციალიზმი ნამდვილი უტოპიური და რეაქციონური მიმდინარეობაა და თუ ის მართლა განხორციელდა სადმე, დავექანებით უკან ბარბაროსობაში. ეს ერთი.

მეორეთ, ნამდვილი ევროპიული სოციალიზმის მატარებელი და განმახორციელებელი ყოფილა მრეწველობაში ჩაბმული მუშა ხალხი, ეს მისი მოძლვრებაა და მაშასადამე ყოველ ნაირი ფართე მოქმედება პოლიტიკურ ასპარეზზე უნდა იქნეს დაწყებული მუშათა კლასის გაცნობიერებით და ასპარეზზე გამოყვანით.

მე თფილისში კარგათ ვიცოდი რომ მუშა რევოლიუციის ერთი აგენტთაგანია. მაგრამ მუშას ვეძახოდით კურტნის მატარებელ მოზუშავეთ, ანდა აისორ-სპარსელ ამბალებს და ვერასოდეს ვერ წარმომედგინა რომ ფაბრიკის, ან რკინის გზის მუშა რევოლიუციურ მუშათა კატეგორიაში შედიოდა. ერთხელ, მახსოვს, საღამოს ჩამოუარე სიონის უბანში დანგრეულ საჩაიას, რომელშიაც შედიოდენ აისორ-მუშები, ნახევრათ ტიტველნი და მშიერნი, შევისედე და დავინანე მრავალი მათგანი წამოწოლილი მიწაზე. ეს იყო მათი ბინა. ვიფიქრე აი ნამდვილი ბოგანო, გაპროლეტარებული მუშა და შევედა გადაწყვეტილებით გამეწია მათთვის პროპაგანდა. მაგრამ გამოჩნდა, რომ არც ერთმა არ იცოდა არც რუსული, არც ქართული და იძულებული ვიყავი გამოვბრუნებულიყავი. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია ჩემი განცვითრება როცა ვარშავაში გავიგე ვინ არის მუშათა კლასი, მისი სოციალური მოძლვრება, მისი ისტორიული მოწოდება.

შესამე, რაც მთავარია, აქ გავიგე, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში პირველ ყოვლისა, უნდა მოხდეს პოლიტიკური რევოლიუცია, დამკვიდრდეს დემოკრატია და მხოლოდ შემდეგ, ეკონომიკურაა განვითარების გაძლიერების და ფართო ორგანიზაციების შემწერაბით მივალთ სოციალურ რევოლიუციამდე. ამით ისპობოდა ნარიდნიკული სოციალიზმის ძირი: პირდაპირ სოციალიზმი, ძირს პოლიტიკაო.

ამ სამმა დებულებამ სამუდამოთ მოკლა ჩემში იმდენი წლის შეთვისებული რუსული სოციალიზმი და გადამიყვანა ევროპიულ ნიადაგზე. ამით ტაქტიკაც აშკარათ დავინახე. მონარქისტულ გლეხს



ინტელიგენცია ვერ ვუდგებით, მაგრამ მისი მოძმე ქართველი მუშა
ადვილათ მიუდგება და მას ჩაბერავს ახალ აზრებს. აღმოჩენდა **გლე-**
ხობის გადასაბრუნებელი საჭე.

ამ მიმდინარეობის საფუძვლიან გაცნობით მაშინვე შევუდექი
შესაფერ ლიტერატურის მოძებნას და გაცნობას. დიდი შთაბეჭდი-
ლება მოახდინა ჩემზე პლეხანოვის ბროშურამ — „გორე ტიხომირო-
ვუ“ (ვაი ტიხომიროვს). რასაკვირველია, ყველა ამ აღმოჩენების შე-
სახებ ვრცლათ ვსწერდი ეგნ. ინგოროვას (ნინოშვილი) და სილ.
ჯიბლაძეს. ამასთანავე ვუგზავნიდი არა-ლეგალურ რუსულ ლიტერა-
ტურას.

ვარშავამ ჩემში მოახდინა დიდი შთაბეჭდილება ნაციონალურ
სფეროშიაც. როგორც კი მივუახლოვდით ვარშავას რკინის გზით,
ვაგონში შემოვიდა პოლონელი კონდუქტორი და დაიწყო ბილეთების
ჩამორთმევა. ჩემს გვერდით იჯდა პოლონელი მგზავრი და მას პო-
ლონურათ მოსთხოვა ბილეთი. ეს გაიგონა ჩემს უკან მჯდარ რუსის
უანდარმა, წამოხტა, მივარდა კონდუქტორს და ოქმი შეუყენა —
პოლონურათ ლაპარაკის გამო. გამიკვირდა. გავვოცდი. ჩვენში არა-
ფერი ამის მსგავსი არ მენახა, თუმცა ქართველი კონდუქტორები მუ-
დამ ქართულათ ელაპარაკებოდენ ქართველ მგზავრებს. მივეღით
ვარშავაში. დამასახლეს ერთ პოლონურ იჯახში, მეორე დღეს გამო-
ვედი ქუჩაზე, შევედი დუქანში ქალალდის და საწერ კალმის საყიდ-
ლათ, ველაპარაკებოდი რუსულათ, ხმას არავინ მცემს, ამბობენ „ნო-
კოპისკო“ — არ გვესმისო. მე პოლონური არ ვიცი. დავიარე რამდე-
ნიმე დუქანი, ყველგან იგივე პასუხი. დაუბრუნდი სახლში და შევ-
ჩივლე ერთ პოლონელ სტუდენტს. მას აუტყდა ხარხარი, წამოდი წა-
მოდიო. ნახავ რომ ისინი შენზე უფრო კარგათ ლაპარაკობენ რუსუ-
ლათო. წავყევი. შევიყვანე პირველ დუქანში საიდანაც ხელცარიელი
გამომისტუმრეს. ჩემმა თანამგზავრმა რაღაც უთხრა პოლონურათ,
მივხდი უთხრა — ეს ქართველიაო. მედუქნემ ჩაიცინა და მშვენიერი
რუსული ენით მესაუბრა. დავინახე რომ რუსულ ენას ქონდა გამო-
ცხადებული ბოიკოტი. შემდეგ გავიგე, რომ ის მეღუქნე ვინც დაარ-
ღვევდა ამ ვადაწყვეტილებას, კარგავდა პოლონელ მუშტრებს, მასთან
ალარ შედიოდენ სავაჭროთ. გავიგე აგრეთვე ისიც, რომ ყოფილა
ფართო საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებდა პასიურ
ბრძოლას რუსებთან და რუსეთთან. ამიტომ ვარშავა დარჩა წმინდა
პოლონური ქალაქი, სულით და გარეგნობით.

ასეთი ნაციონალური დარაზმულობა ჩემთვის იყო სრულიად ახა-
ო ამბავი. რასაკვირველია, შეუდექი ამ საკითხის გაცნობას. მე პო-



ლონური არ ვიცოდი, რუსულ ენაზე რაფერი იყო, გარდა ~~შემოწმების~~
ისტორიისა. მივმართე პოლონელ სტუდენტებს ჩემთვის გაეცნოთ
ნაციონალური საკითხის არსებობა მიმდინარე მომენტში. ორი-სამი
თვის მეცადინეობის შემწეობით გამოვარკვიე შემდეგი. 1863 წ.
აჯანყების შემდეგ პოლონელი საზოგადოებიდან და ყველა მისი
დაჯგუფებებისაგან გაქრა პოლონეთის დამოუკიდებლობის მოთხოვ-
ნილება და მისთვის ბრძოლა. მისი ალაგი დაიჭირა მოთხოვნილებამ
პოლონეთის ავტონომიისა. ამას ითხოვდენ ბურუუაზიული პარტი-
ები, სოც.-დემოკრატები და წინეთ კილევ პარტია პროლეტარიატი.
თუმც ეს ორი უკანასკნელი წან აყენებდენ სოციალურ და პოლიტი-
კურ რეფორმებს. ბრძოლა წარმოებდა კულტურის ფარგლებში — პო-
ლონური ენა, პოლონური შეკლა, პოლონური ადმინისტრაცია —
ერთი სიტყვით შინაური ავტონომიის მისაღწევათ.

ეს მდგომარეობა მავონებლა იმ მდგომარეობას, რომელიც იყო
ჩვენში. აქ ყველა სწერდა და ქადაგებდა ქართული ენის და ქართუ-
ლი შეკლის აუცილებლობას. მაგრამ მას არ ქონდა არც პოლიტი-
კური ხასიათი, არც პროგრამული და საბრძოლველი არსება. საერთო
იყო მხოლოდ ერთი უარყოფითი თვისება: არც პოლონელები, არც
ჩვენები დამოუკიდებლობას არ ვითხოვდით. მაგრამ ვარშავის ქართ-
ველი სტუდენტობა აქ არ ჩერდებოდა და დამოუკიდებლობის იდეას
აყენებდა, ეს იყო მისთვის მით უფრო აღვილი, რომ ასეთ მოთხოვნი-
ლებას ქონდა ხასიათი პლატონიური, მოსწავლური, რომლის არ-
გვლივ არ იკრიბებოდა საზოგადოება და არც არავინ ფართე წრეე-
ბიდან იბრძოდა.

აქვე უნდა გავისენოთ, რომ ერთად-ერთი პოლონური პარტია,
რომელმაც თავის პროგრამაში წამოაყენა პოლონეთის დამოუკიდებ-
ლობა, იყო პოლონური სოციალისტური პარტია (პ. პ. ს.) მაგრამ ამ
პარტიის დაარსება, ისიც უცხოეთში და ნაციონალური პროგრამის
წამოყენება მოხდა შემდეგ ჩემი ვარშავაში ყოფნისა, 1893 წ. მაშასა-
დამე ამ პარტიას ჩვენზე გავლენა ვერ ექნებოდა.

მე ავათმყოფობის გამო იძულებული ვიყავი დავბრუნებულიყავი
სამშობლოში აგვისტოს დასაწყისში 1892 წ. იქიდან გამოვიტანე ნა-
ციონალურ სფეროში ავტონომიურ-კულტურული აზრები, ხოლო
ტაქტიკა კი სავსებით იქაური პარტიების. პოლონეთის ნაციონალის-
ტები თუ სოციალისტები ფიქრობდენ ავტონომიის მოპოვებას რუ-
სეთის არსებული რეუიმის შეცვლით და უფრო ლიბერალური რეუი-
მის შემოღებით. ბურუუაზიული დემოკრატია ამის მიღწევას ფიქ-
რობდა არა რევოლუციით, არამედ ოპოზიციით რუსეთის ოპოზიცი-

ასთან ერთად. ხოლო სოციალისტები რევოლუციური გზით რუსეთის რევოლუციანერებიან ერთად. ყოველ შემთხვევაში ცეკვალებაში უნდა მომხდარიყო საერთო ძალ-ღონით რუსეთის მასშტაბით. ჩვენი პატარა ერისთვის ეს ტაქტიკა თავისთავად საგულისხმო და მისაღები იყო, მარტო ქართველობა ხომ ვერ გაუმკლავდებოდა რუსეთის ვეჭაპს. ჩვენთვის საჭირო იყო მოქავშირე ბრძოლაში, რომ იზოლიაციაში არ მოვხვედრილიყავით და არ გავლესილიყავით.

როცა „ფიქრის გორაზე“-ზე მოვხვდი და ზოგი ჩემი აზრი გაუზიარე სოფლელებს, ვერავითარი გაგება და გამოხმაურება ვერ ვპოვე. სოფელი რჩებოდა ძველებურათ ყრუ. აქ კიდევ თხოვნების და საჩივრების კულტი ბატონობდა. სამაგიეროა შეგირდებში, რომელთა რიცხვი 7-8 კაცს არ აშორდებოდა, ვპოვე დიდი ენტუზიაზმი და საერთო აზროვნება. სამწუხაროთ, ამ ერთობის ზერელობა გამოჩნდა პირველ ჩვენ კონფერენციაზე ყვირილაში 1892 წ. დეკემბერში, სადაც გაიმარჯვა ნაროდნიკულ მსოფლმხედველობამ. ამის მთავარი საბუთი იყო იგივე ნაროდნიკული. ამბობდენ: ჯერ გააცნობიერე მუშები, შემდეგ ისინი გააცნობიერებენ გლეხებს; ამის შემდეგ ისინი შეერთდებიან და მოახდენენ რევოლუციას — ამ გრძელ წილადობილას ჩვენ ვერ მოვესწრებით, ჩვენი შვილებიც ვერ მოესწრება, ეს გრძელი გზაა, ჩვენ კი გვეჩარებათ.

საკითხი თითქოს გადაწყდა, მაგრამ მე მაინც არ მოვეშვი და ს. ჯიბლაძესთან და ეგნატესთან ერთად გადაგწყვიტეთ ხელახლა შეყრა. შეუდექით მოხსენების დაწერას. ამ მოხსენებას იცნობენ, დაბეჭდილია; ვიტყვი ზხოლოდ, რომ საკითხებისადმი მიღვიმა იყო ორი მხრით — ნაციონალურის და ტაქტიკურის. უნდა მომენახა ისეთი ღერძი, რომლითაც შეიძლებოდა ძველი საზოგადოების გადატრიალება. ასეთ პიონერათ მიმაჩნდა მუშები და ეს ელემენტები უნდა მომენახა ჩვენს ცხოვრებაში. ახლა მე არ შემიძლია ახსნა მეორე დებულების — ერის თავისუფლების აუცილებლობის. არ ვიცი საიდან ამოვილე ეს, არც ერთ ნაწერში, რომელიც კი წამიკითხავს იმ დროს, ასეთი აზრი არ იყო გატარებული, არც ერთი ქვეყნის სოციალისტები ამ დებულებას არ აყენებდნენ. რუსები, პოლონელები, პირიქით, მას ებრძოდენ, ხოლო ევროპის ლიტერატურას გაცნობილი არ ვიყავი. როცა ჩვენ ეს საზოგადო პროგრამული მოთხოვნილება წამოვაყენეთ და კონფერენციაზე მივიღეთ, ორი თვის შემდეგ შეიყარა ევროპაში პ.პ.ს. და მიიღო იგივე დებულება კონკრეტიული ფორმით — პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა. მაშასადამე, ისინი არ იზიარებდნენ ამ დებულების საყოველთაო მნიშვნელობას, ერთა სა-

ზოგადოთ თავისუფლებას და ქმაყოფილდებოდენ თავის ქვეყნის თავისუფლების მოთხოვნით. ჩემი დებულება იყო საერთო ხასიათის მოქალებული კონკრეტიულ ფორმას. არ იყო ნათქვამი საქართველოს განთავისუფლება. თუმცა მასში სწორეთ ამას ვგულისხმობდი. მაგრამ პირდაპირ ამის თქმა ნიშნავდა მთელი პროგრამის ჩაფლავებას და ისევ ნაროლნიკულ აზროვნებისაკენ დაბრუნებას — სოციალისტური რევოლიუცია ყველა ანგარიშს გაასწორებსო. რა ძირითად მოსაზრებებიდან გამოდიოდა ერის თავისუფლება? მხოლოდ ერთიდან — დემოკრატიულ მსოფლმხედველობიდან. თუ კი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი, როგორც დიდი ეთნიური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ქონდეს თავისი სახელმწიფო. ეს იყო ჩვენთვის ლოლიკური დასკვნა და სწორეთ დიდი დისკუსიის შემდეგ ჩვენმა წრემ გაიზიარა ის. რაკი ერთხელ მივიღეთ არსებობა პროგრამის მინიმუმის, ჯერ ერთი დემოკრატიული ეტაპი და შემდეგ მეორე, ამით საბოლაოთ დავშორდით ნაროლნიკულ, რუსულ ყველა სკოლის სოციალიზმს, რომელიც ასეთ ეტაპებს არ სცნობდა და ერთბაშად ყველას მიწიერ სამოთხეს პირდებოდა.

ამ ნაირათ, ტრადიციული მარქსისტული სოციალიზმის პირველი შეხეთქა მოხდა თფილისში, თებერვლის კონფერენციაზე (1893 წ.). შან მიიღო ნაციონალური ფორმა. ეს იყო სოციალისტური ინტელიგენციის აზროვნების გამოხატულება, გარეშე მუშათა და გლეხთა აზროვნებისა და პსიხოლოგიისა. ეს პროგრამმა ჯერ კიდევ არ იყო მიტანილი მასამდე, არ იყო შეფარდებული მის მოთხოვნილებათან. ეს ამბავი მოხდა შემდეგ და ამან კიდევაც გამოიღო შესაფერი ნაყოფი. ამაზე ქვევით.

ამ დროს ჩემი ამხანაგები ვარშავაში, ქართველი და არა ქართველი, ყველა დაიჭირეს, მოსალოდნელი იყო ჩემი დაჭერაც, რადგან მათთან მქონდა მიწერ-მოწერა. საჭირო იყო საქართველოს გავცლოდი ამ ხიდათს და მაისში ბათუმიდგან გავემგზავრე ევროპაში. ასეთი იყო გადაწყვეტილება პიონერთა ჯგუფის (სილვა, ეგნატე, კარლო, დ. კალანდარაშვილი, ისიდორე რამიშვილი, არ. წითლიძე); ჩემი გამგზავრების ორი თვის შემდეგ მართლა მოსულიყო ლანჩხუთში ბრძანება ჩემი დაჭერის შესახებ. კარგს ღრმა გავასწარი. გავხდი ძალაუნებურათ ემიგრანტი, თუმცა პასპორტი მქონდა კანონიერი.

უნევაში ჩამოსვლის მეორე დღეს დავესწარი ერთ რუსულ კრებას, რამაც გამაკვირვა. ყველა ორატორი იყო ნაროლნიკი და დამსწრენი მხურვალე ტაშით აჯილდოვებდნენ. ვერ მოვითმინე, სილვა

ავიღე, თუმცა არავის ვიცნობდი და გამოვთქვი ჩემი აზრით მეც
ტაში დამიკრეს. ხმა გავარდა ერთი მარქსისტი ჩამოსულია. ურთმა
გამიხმო და გამომკითხა ვინაობა და გამეცნო როგორც მარქსისტი,
გვარათ ბლუმენფელდი. ჩემს შეკითხვაზე თუ რამდენი მარქსისტი
არიან აქ, მომიგო — სულ ხუთი პლეხანოვიანათო! გამიკვირდა, გა-
ვოცდი, ჩამოვედი მათგან მარქსიზმის შესასწავლათ, ახლა გამოდი-
ოდა რომ მე უნდა მესწავლებინა მათთვის ეს მეცნიერება.

ვნახე პლეხანოვი, ვერა ზასულიჩი, ლევ დეიჩი, გუკოვსკი და ერ-
თი თუ ორი ბუნდოველი. ამით ამოიწურებოდა მარქსისტების მთე-
ლი უენევის ჯგუფი, სოლო ნაროდნიკულ ბანაკში ითვლებოდა ასო-
ბით. შევუდექი მარქსისტულ ლიტერატურის გაცნობას, მაგრამ მთა-
ვარი ჩემი ინტერესი გახდა — საზოგადო პოლიტიკური და სოცია-
ლური ვითარება ევროპის. ჯერ კიდევ სემინარიის მესამე კლასიდან
ვოცნებობდი აქეთ გამომგზავრებას; ამ მიზნის მისაღწევათ კიდევაც
შევედი ლ. ალნიაშვილის გუნდში და მივიღე მონაწილეობა ქართულ
პირველ კონცერტში (1887 წ.) სახაზინო თეატრში. ალნიაშვილმა
აღგვითქვა თუ გუნდის საქმე კარგათ წავიდა, წავალთ ევროპაშიაც
და მას მოვივლით კონცერტებითო. სამწუხაროთ, კონცერტი პირვე-
ლათვე ცუდათ იქნა მიღებული ქართველ საზოგადოების მიერ. დაეს-
წრინენ მხოლოდ ინტელიგენცია, გალიორკაში კი კინტოები, გათავე-
ბისას აქედან-იქიდან გვესმოდა — რა სიმღერებია, მე ბავშვობიდან
ვიცი ყველა ეს, უკეთესათ ვიმღერებთო და სხ. მეორე კონცერტი
აღარ გამართულა.

გულგატეხილი დავრჩი, შემჩრია მხოლოდ ცოტაოდენი ფრანგუ-
ლის ცოდნა, რასაც მასწავლიდა ა. მირიანაშვილი. დარწმუნებული
რომ ევროპაში წავალთ. ფრანგულის სწავლას მაინც განვაგრძობდი
ჩემით, ეგების ოდესლაც ბედმა გამილიმოს მეთქი. და სწორეთ ასე
მოხდა. თუმცა გვიან. ამიტომ ჩამოვედი თუ არა შვეიცარიაში, მთა-
ვარი ყურადღება მივაქციე ხალხის ყოფა-ცხოვრებას, უმთავრესათ
კი გლეხობისას. ბურუუაზია არ მაინტერესებდა, ვინაიდან ეს კლასი
ჩვენში თითქმის არ მოიპოვებოდა. აქ კი არ მოიპოვებოდა თავად-
აზნაურობა. სამაგიეროთ ორივე ქვეყანაში არსებობდა გლეხობა და
მუშები. აი ეს ორი კლასი გახდა ჩემი ყურადღების საგანი.

მუშათა კლასის როლზე და მნიშვნელობაზე კარგათ ვიყავი ვა-
გებული მარქსისტული ლიტერატურიდან, მაგრამ გლეხობის შესა-
ხებ აქ მე ვერაფერი ვნახე გარდა იმისა, რომ მისი ხვედრია გაპრო-
ლეტარებაო. ეს პერსპექტივა მე არ მაკმაყოფილებდა და ვეძებდი
ამ იდეური ჩიხიდან გამოსავალს. პირველ ყოვლისა შევუდექი შვეი-



ცარის სოფლების დათვალიერებას და გლეხთა ცხოვრების გატურიანება
ბას. ჩემი შთაბეჭდილებები იმ დროს იბეჭდებოდა „კვალ“-ში და აქ
ამაზე ლაპარაკს არ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ რომ გაპროლე-
ტარების კვალი ვერსად ვნახე და ვფიქრობდი ამას კაპიტალი ასე
იოლად ვერ მოერევა. აღვილად წარმოსადგენია ჩემი განცვიფრება,
როცა ათი წლის შემდეგ (1904 წ.) მე ისევ მოვხვდი ამ ქვეყანაში,
დავიარე ჩემი ნაცნობი სოფლები, ვევეს ზემოთ და ისინი ვეღარ
ვნახე! გლეხთა ოდების ალაგას სანატორიუმები, საავათმყოფოები და
სხვა კერძო დაწესებულებები. კაპიტალი მორევია გლეხს და იქიდან
გადაუყრია. საერთოთ მთელი ეს არე-მარე აღარ გავდა პირველად
ჩემ მიერ ნახულ არე-მარეს.

1895 წ. წავედი პარიზში. მსურდა უნივერსიტეტიდან
გამოტანილი ცოდნა შემევსო აქ. ქალაქის გაცნობის შემდეგ უნდა
ამომერჩია ორში ერთი: ან სორბონის ლექციები ან ნაციონალური
ბიბლიოთეკა. ამოვირჩიე ეს უკანასკნელი, სადაც დილიდან სალა-
მომდე ვმეცალინეობდი სამი თვის განმავლობაში. ამ დროის პარიჟი
სრულიად არ გავს ახლანდელს. იყო ნამდვილი წარმტაცი პანარამა.
სამგზავრო საშვალება იყო მხოლოდ ცენტრალური და კონკა, ორი-
ვე გვარიან ზანტათ მოსიარულე. უუარებელი ხალხი დადიოდა ფე-
ხით, მთელი ქუჩები გატენილი იყო მოსიარულენთ, დიდი ბულვა-
რები გეგონებოდა მღელვარე ოკეანე, იმდენი ზღვა ხალხით იყო სავ-
სე. მეც ყოველ დილით სენ-მიშელის ბულვარიდან მივდიოდი ფეხით
ნაციონალურ ბიბლიოთეკამდე და ფეხითვე ვბრუნდებოდი სალაშოს.
კონკა კი იყო საუკეთესო საშვალება ქალაქის დასათვალიერებლათ,
იჯექი მეორე ღია სართულზე, მიხვიდოდი ნელა და ხედავდი ყოვე-
ლივეს. ჩემი პარიჟი ყოფნის დროს ვინახულე უიულ გედი, პოლ
ლაფარგი და სხვა ფრანგი სოციალისტები. დიდი შთაბეჭდილება
მოახდინა ჩემზე ლაფარგმა. მას უყვარდა ლაპარაკი სოციალურ თე-
მებზე; ვსეირნობდით ნასაღილევს მისი სოფლის მიღამოებში და
ჩემს კითხვებზე დაწვრილებით და დალაგებით მიპასუხებდა. გავატა-
რე გასთან ოთხი თუ ხუთი კვირა დღე და ბევრი ვისწავლე.

პარიჟი გავეცანი სხვადასხვა სოც. პარტიების პროგრამებს და
ვერსად ვერ ვპოვე პასუხი ვერც ნაციონალურ, ვერც გლეხის სა-
კითხზე. აქაც არ იდგა არც ერთი ეს საკითხი, როგორათაც იდგა
ჩვენში. ერი იყო თავისუფალი, დაობდენ მარტო ელზას-ლოტარინ-
გიაზე, ხოლო გლეხი იყო მესაკუთრე და ითვლებოდა წვრილ ბურ-
უათ. მას აწუხებდა ხაზინა და არა თავადი.

ჩემთვის აშკარა იყო, რომ ჩვენი საზოგადოება და საფრანგეთ-



შვეიცარიის დიდათ განირჩეოდა ერთი-მეორისაგან, საერთო არა იყო რც. გარდა ერთისა — აქაც და იქაც არსებობდა უმუშესობა კლასი, თუმცა შემაღენლობა, წარმოშობა, ურთიერთობა სხვა კლასთან დიდათ განირჩეოდა ჩვენებისაგან აქაური მუშა იყო მართლა პრო-ლეტარი, უძრავ საკუთრებას მოკლებული და მხოლოდ ქირაზე მიჰ-ვებული. ჩვენი მუშა კი იყო სოფლელი, მცირე მესაკუთრე, მავრამ მაინც მესაკუთრე. უმუშევრობის დროს თავის შინ ბრუნდებოდა და თავი ირლათ ვაქონდა.

ამ ნაირათ ნახული ევროპის სოციალური სტრუქტურა ძალიან შორს იდგა საქართველოს სოციალურ სტრუქტურიდან. ამიტომ საფ-რთხილი. იყო ევროპის რევოლიუციურ იდეოლოგიას არ გაემრუდება ჩემი რევოლიუციური ამოცანები.

პარიუში დავრჩი ოთხი თვე. დავბრუნდი უენევაში და იქიდან პირ-დაპირ გავემგზავრე გერმანიაში. აქ ძევდა მარქსიზმის სამშობლო, აქ ცხოვრობდენ საუკეთესო მისი იდეოლოგები და ჩემი განათლების შე-სავსებათ აუცილებელი იყო აქ ცხოვრება და სწავლა. დავსახლდი ქ შტუტგარდში ორი მოსაზრებით: აქ ცხოვრობდა კ. კაუცი. აქ არ მყავდა არც ერთი ნაცნობი არც რუსი, არც ქართველი, რომ ხელი შე-ეშალა გერმანული ენის შესწავლაში. ორივე ეს მოსაზრება გამიმარ-თლდა. კაუცის გავეცანი თავიდანვე, კარგად ლაპარაკობდა ფრანგუ-ლათ, კვირაობით ვსეირნობდით ტეგერლოხის ტყეში, ჩვენთან ერთად ხშირად ჰელპანდი (პარვუსი) და ვმუსაიფობდით შინაურულათ, ვულ-ახდილათ. კაუციმ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება ჩემზე თავისი თავ-დაბლობით, უბრალობით, ნათელი აზრით და ცოდნით. მისგან ბევრი ვისწავლე. ხშირათ ვიყავი მის ოჯახშიაც. მე მაინც სოფელი და სოფლის ხალხი მაინტერესებდა და ზაფხულში გავსწიე პროვინციებისაკენ. ჩემი დაკვირვებანი იბეჭდებოდა „კვალ“-ში და აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. საერთოდ, გერმანული სოფლის ვითარება არაფრით განირჩეოდა შვეიცარია-საფრანგეთის სოფლებიდან და საბოლაოთ დავრწმუნდი ევ-როპის სოციალური წყობილების ერთი და იგივეობაში. გერმანელი გლეხიც ისეთივე მესაკუთრე და წვრილი ბურჟუა, როგორც დანარ-ჩენები. ამიტომ სოციალისტური ლიტერატურის საგანს გლეხი სრუ-ლიად არ შეადგენდა. მისი მოთხოვნილებანი არ ჩანდა და თვით ის როგორც წოდება იყო მიშვებული აგრარიულთა გავლენის სფეროში.

ჩემი მიზანი იყო გავცნობოდი არა-მარქსისტულ პოლიტიკურ გკო-ნომიასაც და ამიტომ გავემგზავრე მიუნხენში. აქ ჩავეჭერე უნივერსი-ტეტში და განსაკუთრებით გულმოლგინეთ ვუსმენდი პროფ. ბრენტა-ნოს. მის ლექციებს ვრცლათ ვიწერდი და რამდენიმე რვეული ჟურ-

გა, რაიცა ჩემს ბიბლიოთეკაში დამრჩა საქართველოში. ამ ლექციები—
დან ცოდნა ბევრი შევიძინე, მაგრამ პრინციპები, იდეოლოგია თითქმის
არაფერი. მისი მთავარი მიმართულება იყო არც ლიბერალური, არც
სოციალისტური, არამედ ეტატიური, კათედრის-სოციალისტური,
როგორც ეს იყო იმ დროს მოდაში გერმანიის პროფესიონალის.
ეს აზრები სრულიად არ მიეწყო ჩემს აზროვნებას, რომელიც უარყო-
ფითად ეპყრობოდა სახელმწიფოს, ისიც ნიკოლოზ მეფის და ესაფუძ-
ვლებოდა თავისუფალი საზოგადოების თავისუფალ შემოქმედებას.
ამ დროს მოხდა ერთი ამბავი: პოლონეთის ს.-დ. და პ.პ.ს. შორის ატყდა
კამათი ნაციონალურ საკითხზე კაუცის უურნალში („ნოე ცაიტ“).
ერთი უარყოფდა პოლონეთის დამოუკიდებლობას და ჩერდებოდა ავ-
ტინომიაზე; მეორე კი უარყოფდა ავტონომიას, როგორც უტოპიურს
და ითხოვდა დამოუკიდებლობას. ამ დავაში ბოლოს ჩაერია თვით კა-
უცი და გადაჭრით დადგა პ.პ.ს. მხარეზე. მისი არგუმენტაცია, რო-
გორც მახსოვს, იყო ასეთი: ავტონომია არის აღმინისტრატიული მო-
თხოვნილება და არა პოლიტიკური და სრულიად არ ძალას გადაჭრას
ნაც. საკითხი. ერთი, როგორც მთლიანი არსება, არსებობს, როცა ის
მთლიანდება შეგნებით, ნაციონალური საერთო პსიხოლოგიით. მაშინ
დგება მისი არსებობის საკითხი, როგორც სახელმწიფოს, როგორც
პოლიტიკურ თვითმართველი ერთეულის. ხოლო ფორმა ამ ერთეული-
სა არის ერთი — სახელმწიფო.

კაუცის ამ წერილმა მოახდინა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება. დავი-
ნახე რომ მარქსიზმი სრულიად არ უარყოფს ნაციონალურ საკითხს,
ნაციონალურ თავისუფლებისათვის ბრძოლას. ეს იყო 1896 წ. დასა-
წყისში. მიუნხენიდან გადავედი ბერლინში, სადაც ორი სემესტრი
უსმენდი პროფ. ვაგნერს, შმოლერს და ზიბელს. ამათ შორის განსა-
კუთრებით ბევრი ვისწავლე შმოლერისაგან.

ამ დროს მამაჩემისაგან მივიღე შემდეგი ცნობა: პრისტავმა გამო-
მიცხადა, რომ შენი შვილის საქმე მოუსპია პოლიციის დეპარტამენტს
ნიკოლოზ მეორის გამეფების გამო და შეუძლია თავისუფლათ ჩამო-
ვიდესო. მე ეს ამბავი კიდევაც გადამავიწყდა. ჩემი ემიგრანტობა არ
მახსოვდა და ახლა, რასაკვირველია, გამეხარდა ამ მდგომარეობის ლიკ-
ვიდაცია. ევროპაში ძალზე მომწყინდა, გადავსწყვიტე დაბრუნება, მაგ-
რამ დაუშვებლათ მიმაჩნდა დაბრუნება ინგლისის უნახავად. 1897 წ.
შარტში გავსწიე ლონდონისაკენ. დარწმუნებული ვიყავი ერთში —
გართველი ხალხი მარტო პოლიტიკით ვერ დაკმაყოფილდებოდა; ეს
ახალი სიო, უეჭველია, მას ეუბნებოდა ახალს და სასარგებლოს, მაგ-
რამ ამასთანავე საჭირო იყო სხვა რამეც, უმთავრესათ კულტურა. ქარ-

თველობა აღიზარდა სპარსულ-ოსმალურ-რუსულ კულტურის გავლენის ქვეშ, თუმცა ამასთანავე თავის ორიგინალურ ტრადიციებსაც შაშიაცუ-რათ იცავდა, მაგრამ მას არ ქონდა წარმოდგენა ევროპის კულტურაზე, საითკენაც გვინდოდა მისი მიღენა. რაღან ჩემი ევროპული ყოფნის დროს (1893-97) აქ არ იყო არც ერთი ქართველი, რომელიც აქაურობას მას აუწერდა და გააცნობდა, მე მოვკიდე ხელი ამ მოვალეობის შესრულებას და შეძლებისდაგვარათ მას ვემსახურებოდი.

ლონდონმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახთინა. ინგლისის ყოფა-ცხოვრება ისე განირჩეოდა ევროპის კოტინენტისაგან, რომ გადავ-სწყვიტე ეს ჩემი შთაბეჭდილება გამეზიარებია ქართველ საზოგადოებისათვის. ამ წერილების ერთი ნახევარი კიდევაც დაიბეჭდა, ხოლო მეორე ნახევარი თან წამოვილე და იქ დრო არ დამირჩა მის გადასათვარიელებლათ და გადასაწერათ. მოყვა უანდარმთა არხივში.

ვ. ჩერქეზიშვილმა დამაყენა ერთ ფოტოგრაფის ოჯახში, გვარათ ცილსონი. მას ძალიან უყვარდა ლაპარაკი და პოლიტიკაზე დავა. ეს მისი თვისება ძალიან გამომადგა, სამი თვის მასთან ყოფნის შემდეგ ჩინებულათ ვკითხულობდი და ვლაპარაკობდი ინგლისურათ. შემდეგ გადავედი სიტეში და იქ ვმეცადინეობდი ბრიტანიის მუზეუმში, განსაკუთრებით ქართულ ძველ წიგნების გასაცნობათ და იმ ძველი ინგლისური ძველ წყაროების, რომელიც კი საქართველოს იხსენიებდა. არ დამავიწყდება ორი დიდი ტომი სახელათ — „მოგზაურობა თურქესტანში მე-15 საუკ.“. აქ საქართველოც იხსენიებოდა. მქონდა რვეულები ამ წყაროებიდან ამონაწერებით სავსე და ისიც შეეწირა უანდარმერიას, წაილეს, არ დაუბრუნებიათ. ზაფხულში წავედი სოფელში, რიღინგის ახლოს. ნამდვილად კი სოფელი არ არის ინგლისში. არის მხოლოდ ვაბნეული ფერმები, დიდიხნობით იჯარით აღებული მიწის მეპატრონეებისაგან. ეს ფერმერები არიან წვრილი კაპიტალისტები და არა გლეხები. ვცხოვრობდი სწორეთ ერთ ამათგანის ოჯახში, რომელიც არაფრით არ განირჩეოდა სმა-ჭამით და აღათ-ჩვეულებით ლონდონის პანსიონებისაგან. მაშასადამე, ინგლისის სოფელი სრულიად არ გავს ევროპის სოფლებს, მით ნაკლებად ჩვენსას. აქ გლეხობა სრულიად არ მოიპოვება. არიან მიწათმფლობელნი (არისტოკრატია), ფერმერები და სოფლის მუშები — პროლეტარები. ინგლისის სოციალური წყობა კიდევ შორს აღმოჩნდა ჩვენისაგან, ვინემ კონტინენტის.

ევროპაში დავყავი ოთხი წელი და ექვსი თვე. ამ ხნის განმავლობაშა რუსის ემიგრაციასთან არ მქონებია არავითარი კავშირი და ახლო დაბკიდებულება. ესენი იყვნენ თითქმის ყველა ნაროლნიკული მიმართულების და მე ეს აღარ მაინტერესებდა. მინდოდა ჩემი გზით და მო-

საზრებით გამეგნო სოციალური აზროვნების სამეფოში და თან უკან უკან პის ყოფა-ცხოვრებას გავცნობოდი. რუსები ამ უკანასკნელს ჩრდილობოდენ, არც სწამდათ რამე მისი. რუსის „მუეიკი“ გაფრანგისტო უფრო მაღლა იდგა მათთვის ევროპის მუშაზე და ბურეუაზიაზე. ქართველები კი ცოტანი იყვნენ აქა-იქ გაპნეულნი, მათ შორის ერთი ას მინახავს ჩემი აზრის და მიღრეკილების. ვიყავი მარტო ევროპის ჩრდილი პირობების წინაშე და მუდამ ვფიქრობდი რა კავშირი აქვს ყველა ამას ჩვენს ცხოვრებასთან.

ინგლისიდან პირდაპირ გავემვზავრე საქართველოში, სადაც ჩავედი ოქტომბერში (1897 წ.). გავეცანი მდგომარეობას. ყველა თავის ადგილას დამხვდნენ, გარდა ეგნატესი, რომლის ასე მოულოდნელ გარდაცვალებამ გული დამწყვიტა. და ეს ისე რომ, როცა ბიძა მისი მოვიდა ჩემთან სანახავათ სამი წლის შემდეგ, ცრემლი მომადგა თვალებში. იგნატე მისი გაზრდილი იყო. მამა აღრე მოუკვდა. ჩემსას, ლანჩხუთში, იმართებოდა კრებები ამხანაგების და ვაწყობდით მუშაობის გეგმას. მდგომარეობა იყო შემდეგი: მარჯვენა სექტორში, ივერიელთა ბაზარში, ცვლილება არ მომხდარა. იქ იგივე ძველი საკითხები ბატონობდა — ბანკი, წ.-კ. საზოგადოება, ქართული თეატრი, შეკოლა — მხოლოდ და მხოლოდ კულტურული მუშაობის იდეური ნაწილი. სხვა რაიმე პოლიტიკური, სოციალური და ნაციონალური საკითხი არ არსებობდა. „კვალ“-ის ბანაკში იყო დომხალი. აქ სწერდა ყველა ის, ვინც „ივერია“-ში ადგილს ვერ შოულობდა. აქ ეტყობოდა პროგრესიული აზრების ძიება და მათ ირგვლივ კამათი. მარცხენა სექტორში დიდი ცვლილებაა. მარქსისტები შეჭრილან მუშათა შორის და იქ წრეების საშვალებით მუშაობა გაუჩიალებიათ. მხოლოდ აქ უჩენია თავი ვიწრო, სექტანტურ მიმდინარეობას — ყოველივე ლეგალური მუშაობის უარისყოფას და მხოლოდ არა-ლეგალური პროპაგანდით დაკმაყოფილებას. ამიტომ ეს ფენები უარყოფიდათ უცქერიან მარქსისტების მონაწილეობას „კვალ“-ში და მით საზოგადო ასპარეზზე გამოჩენას. ამ ხაზს მეთაურობდნენ ახალი სოც.-დემოკრატები — ვასო ცაბაძე, რუსები (პოსტალევსკი და სხ.), ლ. კეცხოველი და სხ. ხოლო ძველები, ჩემი თანამედროვენი, ამ აზრს არ იზიარებდენ. მასაში უფრო უკანასკნელთ ემხრობოდნენ, მაგრამ ვიწრო არა-ლეგალურ წრეებში პირველნი ჭარბობდნენ. მთავარი საქმე კი მაინც კეთდებოდა — მუშათა კლასის გამოლვიძება და პოლიტიკურ ასპარეზზე დარაზმვა. ეს მუშები იყვნენ რეინის გზის სახელოსნოში მომუშავენი, რომელთა შორის დაარსდა პირველი წრეები. აქ კი ფართოთ ქონდა ფეხი გადგმული პროპაგანდას და პირველი კადრები, შემდეგი ეტაპის მუშა-მეთაურები, ორგანი

ზატორები და პროპაგანდისტები, მზადდებოდა. ამ ფენებს მისღევდა სტამბის მუშები, ხოლო ყველა დანარჩენნი, განსაკუთრებით ნაროვნიკების მთავარი სამუშაო ასპარეზი — ხელოსნები, ძალიან შორს იდგენ ამ ახალი მოვლენებისაგან და ის არ ესმოდათ. განსაკუთრებული დრო ჟთაბეჭდილებას ახდენდა მუშებზე მარქსის მოძღვრება ზედმეტ ლირებულებაზე. ერთი ვურული მუშა გაკვირვებით მეუბნებოდა — ისე დაპერდი, რომ სულ მეგონა ხაზაინი მე მარჩენდა, ახლა მხოლოდ გავიგე, რომ ხაზაინს თურმე მე ვარჩენ! ეს იყო მართლაც „ქვეყნის გადაბრუნება“ და რა გასაკვირალია მუშათა მასა მას დაეწაფა. წრეებში მომუშავენი ძალიან მოხარულნი იყვენ ამ საერთო ინტერესის გაღვიძებით მუშებში და თავის ეკონომიური მრწამსის იქით არ იხედებოდენ. ამ პირველი ეტაპის მარქსიზმი წარმოდგენილია როგორც მხოლოდ ეკონომიური დოქტრინა შესახებ დღის ქირის და მუშებ-კაპიტალისტების ურთიერთობისა. ყველა სხვა საკითხები ამ ხაზიდან გამორიცხულია. მოძრაობას აკლდა სოციალისტური ხასიათი. პოლიტიკური ბრძოლაც კი მიჩქმალული იყო.

ჩვენ ძველმა მეგობრებმა, პირველი სოც.-დემ. კონფერენციის მონაწილეებმა მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ მუშათა ბრძოლისათვის ფართო საზოგადოებრივი ხასიათის მიცემა. მე მათ, ჩემსას, ლანჩჩუთში, გავუკეთე ვრცელი მოხსენება როგორ დგას ეს საკითხი ეპროპაში, გავაცანი ბრძოლის ევროპიული ფორმები, მივეცი განმარტებანი ყველა საკითხებზე, შევთანხმდით ყველა პრობლემებზე, გარდა ერთისა — ვერ შევთანხმდით ნაციონალური საკითხის დასმის შესახებ. აქ ისეთი ღრმა უთანხმოება დაიბადა, რომ გადაწყვდა განსაკუთრებითი თათბირის მოწვევა თფილისში მრავალრიცხოვანი წევრებით. ეს თათბირი მოხდა მიხა დარჩიაშვილის ბინაზე, სადაც ცხოვრობდა მისი ძმა ლადო, ნოემბრის თვეში. დაესწრენ ყოველი მხრიდან, სადაც კი ს.-ღ. მუშაობა იყო დაწყებული: ბათუმიდან კ. ჩხეიძე, ბეგლარ მელია და ლუზინი; ქუთაისიდგან სამ. კილაძე და ერთი ნოქარი. თფილისიდგან ათამდე კაცი სილ. ჯიბლაძის მეთაურობით. პირველ ყოვლისა გადაწყვიტეთ წინააღმდეგ „პოდპოლისტებისა“, არა-ლეგალურ მუშაობას გიუმატოთ ლეგალური მუშაობა. ჩურნ მივიღეთ თავისთავზე „კვალი“-ს რედაქტორობა. ამ მიზნით მაშინვე დავიწყეთ მოლაპარაკება „კვალი“-ს პატრონებთან — ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემელ ანასტასია წერეთელთან და ფაქტიურ რედაქტორთან, მის მეულლეს გ. წერეთელთან. შემდეგ გადავედით უურნალის ხასიათზე და მასში მოსათავსებელი მასალების აღნუსხვაზე. დიდი შეხეთქება გაიმართა ნაციონალურ საკითხის გამო. ამ საკითხის სრულიად მოხსნას ითხოვდენ დღის წეს-

რიგიდან ბათუმელები, სანახევროთ მოხსნას თფილისელების უმრავ-
ლესობა, ხოლო ჩემი აზრის სრულიად არავინ არ აღმოჩნდა. მათისა-
ბუთები ტაქტიკური: საჯაროთ წამოყენება ისეთი საკითხების, რო-
მელნიც მშრომელ მასებს აშორებენ გაბატონებულ კლასებს და ქმნიან
მათგან მოპირდაპირე შეგნებულ ბანაკს. ნაციონალური საკითხი კი
ჩიდებს დებს მათ შორის, ანელებს კლასთა ბრძოლას და მით ანელებს
მასების მთელ მოძრაობას; გვეყოფა ისიც, თუ შევსძელით მათი გა-
დაყვანა ეკონომიური წრიდან პოლიტიკური ბრძოლის ნიადაგზე; ეს
არის მთავარი ამოცანა. საბუთი თეორიული: ქართველი ხალხისთვის
ჯერ კიდევ გაუგებარია ნაციონალური მოთხოვნილებათა წამოყენება,
ნაციონალისტები აყენებენ ზოგ ამათგანს, გვარიან ზომიერათ, მაგრამ
შორს წასვლას ვერ ბედავენ. ეს იმიტომ რომ საქართველოს ავისუფ-
ლება ხალხისთვის ნიშნავს ოსმალეთ-სპარსეთის ტყვეთ გახდომას, ასე-
თი ლოზუნგით წავაგებთ მთელ ბრძოლას, ხალხი ზურგს შეგვაქცევს
ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებშიაც.

იყო წარმოთქმული ისეთი აზრიც, რომ სოციალისტის საქმეა სო-
ციალისტური საკითხი და არა ნაციონალური. ამ აზრს იცავდენ ბათუ-
მელები და ყველა რუსები ლუზინის მეთაურობით. მაგრამ უმრავლე-
სობამ არ გაიზიარა ასეთი ნილილიზმი და დააწვა მიზანშეწონილების
თეზას. კრება შეწყდა. მე წავედი გ. წერეთელთან შესახვედრათ, უჩე-
მოთ იყო თათბირი. დაბრუნებისას სილვამ აიღო სიტყვა და გამოა-
ცხადა თათბირის განაჩენი: „კვალი“-ს რედაქტორი იქნება ნ. ჭორდა-
ნია, მას უცხადებთ ნდობას ყველა საკითხებში. გვაქვს იმედი აქ გამო-
თქმულ საშუალებებს სახეში მიიღებს და მათ თანახმათ იმოქმედებსო. ყრილობა
დაიშალა. ხმა გავარდა „კვალი“ ჩვენს ხელში გადმოდის.
ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ალ. ყიფშიძე და გადმომცა ილია ჭავჭავაძეს
სურს თქვენი ნახვა და ხვალ დილით გელის თავის სახლშიო. ძალიან
გამიკვირდა, არავისათვის არ გამიმხელია. მეორე დღეს წავედი. მიმი-
ღო თავის საშუალო კაბინეტში. გავეცანი, დაჯდომისთანავე დაიწყო:
შეგაწუხეთ ერთი საქმისათვის. მე მსურს თქვენ გახდეთ „ივერიის“
ხელმძღვანელი, რედაქტორი სრული უფლებით, მხოლოთ როცა ჩვენს
შორის იქნება აზრების დიდი განსხვავება — მე ჩემსას დავბეჭდავ,
თქვენ თქვენსასო. მე სხვები მთხოვენ გაზეთის გადაცემას, მათ არ
გადავცემ, გამოცდილებით ვიცი მათი ამბავი, თქვენ თუ აიღებთ, მზათ
ვარ გადმოგცეთო. ეს წინადადება იყო ჩემთვის სრულიად მოულოდ-
ნელი. მაშინვე გადავწყვიტე ჩემთვის წინადადებაზე უარი მეთქვა,
მაგრამ რომ ეს უხეშათ არ გამოსულიყო, ვუპასუხე: დიდ მადლობას
გწირავთ ასეთი ნდობისათვის. მე ეს არ დამიმსახურებია, წინადადება

ისეთი მოულიოდნელია, რომ საჭიროა მოფიქრება, მეგობრების ნახვა და ამ ორ დღეში პასუხს მოგახსენებთ თქვა. ლაპარაკის დოკუმენტი გამოირკვა, რომ მას სთხოვენ გაზეთის ხელმძღვანელობისა გადაცემის გ. ლასხიშვილი, ქ. აბაშიძე და ნაკაშიძე. გ. წერეთლისათვის არ მითქვამს. მეორე დღესვე დაპირებისამებრ წავედი ილიასთან ბანკში და გადავეცი უარი (საბუთებით). პასუხათ მითხვა: თქვენი ნებაა, იმედი მაქვს ერთმანეთს ხელს არ შეუშლითო. მე ეს გავიგე ისე რომ ერთი-მეორეს თავს არ დავესხმით. მეც პირობა მივეცი. პირობა შევასრულე. საკმარისია გადახედოთ „კვალი“-ს 1898 წ. ნომრებს, რომ დარწმუნდეთ. „კვალი“ თავს ესხმის „ივერია“-ს მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ივერია“-მ აუტენა კამათი.

ამ ნაირათ, პირველი იანვრიდან (1898 წ.) „კვალი“ გახდა ქართველი მარქსისტების პირველი ლეგალური ორგანო. ეს იყო იმავე დროს პირველი მაგალითი მთელ რუსეთის იმპერიაში. არსად სოციალისტებს ლეგალური ორგანო არ ქონდათ.

საახალწლოდ ჩავედი ლანჩხუთში, გავედი „ფიქრის გორაზე“ და ჩამოუგდე ლაპარაკი თავმოყრილ მეზობლებს ნაციონალურ საკითხზე. მისმენდენ გულმოდგინეთ. როცა წამოვაყენე დებულება საქართველოს თავისუფლების შესაძლებლობისა, ერთი გლეხი ადგა და მომახალა — აწი ჩვენ ტუვეს გაყიდვას ვერ დატბრუნდით! სიტყვა პირში შემრჩა, არ ვიცოდი რა მეპასუხა. დავრნახე რომ ერთი თავისუფლება მათთვის ძველი დროის დაბრუნებას „შნავდა... გაფტრუნდი და ჩემს თავს ვუთხარი: ამხანაგები მართალი არიან. ეს ხილი ნაადრევია, ხალხის გალვიძება ჯერ უნდა მოხდეს სხვა ნიაღაგზე. იმ გადაწყვეტილებით დავტბრუნდი თფილისში.

ამ ნაირათ, ევროპიულ სოციალიზმს მუშაბადი პირველათ მიეცა წმინდა ეკონომიური ხასიათი. მისი ამ ცალმხრივობისაგან გამოყვანა და მისთვის მიცემა ფართე საზოგადოებრივი ხასიათის, უნდა ეკისრა „კვალს“, მას უნდა მოეპოვებია, პირველ-ყოვლისა, მასის ნდობა. გ. წერეთელმა გადმომცა სრული რედაქტორობა, სრულიად არ ერეოდა სარედაქტო საქმეებში და თუ რამეს დასწერდა — მე გადმომცემდა გასაცნობათ და ნების დასართავათ. ერთი სიტყვით, ეს პირი, რომელსაც წინათ არ ვიცნობდი, გამოდგა იშვიათი აღამიანი. საქმისათვის ყოველივე პირადი მოსაზრების და თავმოყვარეობის მსხვერპლათ მიმტანი, ხალხის ერდგული და კეთილშობილი პატრიოტი. ხშირათ მეუბნებოდა ერთ და იმავეს: ნოე, ხომ იცი მე მარქსისტი არა ვარ, მაგრამ რაკი ვხედავ რომ ხალხის გამოლვიძება შეიძლება ამ გართ, მეც თქვენთან ვარ. არასოდეს მასთან რაიმე გაუგებრობა და

უსიამოვნება არ მომსელია. ყოველ შაბათს დაჯდებოდა რეზაქციაში და ახალ გამოსულ ნომერს გადაიკითხავდა და ხმა მაღლა იტყოფდა — ძალიან კარგი ხომერია... „კვალი“-ს პირველი ნომრები ფართეთ შოედვა რკინის გზის სახელოსნოს მუშებს და გამოიწვია საერთო თანაგრძნობა. „პოლპოლისტები“ შეშფოთდენ, ამაში დაინახეს მოძრაობის „გარყვნა“. შეეცავენ შებრძოლება „ლეგალიზმისათვის“ და ჩვენი მონათვლა ოპორტუნისტებათ. ცდა უნაყოფო გამოდგა, მასაში ვერ პოვა გამოხმაურება. არა-ლეგალური და ლეგალური გამოცხადდა ერთი-მეორის დამატებათ და გაგრძელებათ. ამ გადატეხას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ სწორედ ამ დროს თფილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელათ მოხვდა სილ. ჯიბლაძე. კაცი ფართე აზროვნების, დიდი ორატორული და ორგანიზატორული ნიჭის და თავის დადების. მას მხარში ედგა ვლ. მგელაძე, მ. ჩოდრიშვილი და ბუშა ჩხეიძე, ოქუაშვილი, მთელი რიგი გაგებული და მომქმედი მუშების. ხელმძღვანელ ორგანიზაციაში ინტელიგენტი იყო მხოლოდ ერთი სილვა, სხვა ყველა მუშები; ხოლო პროპაგანდისტები კი იყვნენ ინტელიგენტები და სწორეთ აქ ბუღობდა მარქსიზმის სექტანტური გაგება. მე არა-ლეგალურ წრეებში, არც ორგანიზაციაში მონაწილეობას არ ვიღებდი, რომ ლეგალური მდგომარეობა არ გამჟღვებოდა, მაგრამ მეთაურები ხშირათ მოღიოდენ ჩემთან სათათბიროთ, ხოლო თვით სილვა ყოველ-დღე მხვდებოდა ჩემსას ან მე მას ალექსანდროვის ბალში მოთავსებულ სამეურნეო საზოგადოების ერთ სარდაფში, საღაც ის მსახურობდა. მუშაობა გაფართოვდა, წრეები გამრავლდა, გადასწყვიტეს პირველი მაისის დღესასწაული საიდუმლოთ, ქალაქს გარეთ. მომანდვეს ფურცლის დაწერა, რომელიც ვლასამ დაბეჭდა და ხელიდან-ხელში ვრცელდებოდა. მთელი ეს ამბავი ისე ჩატარდა რომ პოლიციას არაფერი გაუგია.

„კვალი“ გამოდიოდა ცენზურის ნებართვით. მიუხედავათ ამისა უველა ჩვენს აზრებს, გარდა პირდაპირი მოწოდებისა, თავისუფლათ ვბეჭდავდით. ეს აიხსნება ორი გარემოებით: საცენზურო კომიტეტის კონდა სპეციალური ცირკულიარი პეტერბურგიდან, ყურადღება მისამართ განსაკუთრებით ნაციონალური ხასიათის პროპაგანდას. უმარტივონ ლექსები ხდებოდა ამ ბრძანების მსხვერპლი. ჩვენი პროთავრესად ლექსები ხდებოდა ამ ბრძანების მსხვერპლი. ჩვენი პროგანდა კი იყო უმთავრესად ეკონომიურ-სოციალურ-ისტორიული ხასიათის და ცენზურა დიდ ყურადღებას არ აქციებდა. მეორეთ. ხასიათის და ცენზურა დიდ ყურადღებას არ აქციებდა. მეორეთ. ცენზორი იყო ახალგაზრდა კაცი, გ. ულრული, რიგიანი ხასიათის და ლიბერალურათ განწყობილი. მარქსიზმის არა იცოდა რა და ცირკულიარის ფარგლებში რჩებოდა. ერთხელ კი შემომჩივლა — ცირკულიარის ფარგლებში რჩებოდა.

თქვენი გულისთვის ახლა შრომა მომემატა, დამავალეს მარქსიზმის შესწავლაო. რასაკვირველია ვერაფერი შეისწავლა და განაგრძობდა ცენზორობას აღებული ხაზით. შეტაკება მქონდა ერთხელი ჩატვირთვის ჩემი მოწინავე არ გაუშვა, ვიჩივლე კომიტეტში. თავმჯდომარე ჰაკელმა გამართა ცენზორების სხდომა. მეც მიმიწვიეს, მივეცი ახსნა-განმარტება და წერილი გაუშვეს! ეს იყო სრულიად მოულონდელი ამბავი. ამის შემდეგ გიორგის სისასტიკე აღარ გამოუჩენია. ცხადი იყო, რომ საცენზურო კომიტეტს პატრიოტული ლექსები უფრო აფრთხობდა, ვინემ ეკონომიური საკითხები.

თფილისში მოძრაობა გაიზარდა, ორგანიზაცია გაძლიერდა და მან თავისი მუშაობა გადაიტანა სხვა ქალაქში, პირველ-ყოვლისა ბაქოში, სადაც არავითარი მუშაობა არ იყო. თფილისიღვან გაიგზავნა იქ სამუშაოთ გამოცდილი ამხანავი.

მთავარი საკითხი იყო გლეხობისადმი მიღვომა. მარქსიზმი სცნობდა გლეხს, როგორც ადამიანს, მოქალაქეს და მას იცავდა. მაგრამ როგორც მესაკუთრეს არც სცნობდა, არც იცავდა. ჩვენში კი სწორეთ გლეხი მესაკუთრის საკითხი იღვა. მრავალი მუშა სწორეთ ასეთი კატეგორიის გლეხებს წარმოადგენდენ. „კვალი“ უყოყმანოთ შეუდგა გლეხი მესაკუთრის ინტერესების დაცვას და მოითხოვდა მისთვის საყოფი მიწების მიცემას. ორგანიზაციაში გაისმა ლოზუნგი — მიწების ჩამორთმევა მემამულებისაგან და გლეხებისათვის გადაცემა. გურიაში შედგა ამ ნიაღაგზე ს.-დ. გლეხთა კომიტეტი. მაგრამ ქალაქის ორგანიზაციებს მისი ძალიან ეშინოდათ და ბათუმმა მოითხოვა გურიის ორგანიზაციის დამორჩილება მისთვის. ამას კიდევაც მიაღწიეს, ასევე ხონის კომიტეტი ქუთაისისას დაუმორჩილეს. ერთი სიტყვით სოფლის ორგანიზაციებს გამოეცხადა უნდობლობა. ამ საკითხზე შეიქნა დიდი დავა. ბათუმი განსაკუთრებით იჩემებდა ყველა საკითხებში „ორტოდოქსობას“, ნამდვილ მარქსისტობას. დიდის ბრძოლით და დავიდარაბით გურიის კომიტეტმა მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ამ ჩაირათ, ამ სფეროშიც მოხდა მარქსიზმის „ნაციონალიზაცია“. ვენი სოციალიზმი თანდათან ღებულობდა ხალხურ ხასიათს. ამ უროს არც რუსეთში, არც ევროპაში სოც.-დემ. პროგრამაში გლეხთა უაცვის საკითხი არ იღვა. რუსეთში გლეხების კიდევაც ეშინოდათ, თუ აიშალა დაგვანგრევსო, რაიცა გამოჩნდა შემდეგ პარტიულ ყრილობაზე.

„კვალ“-სა და „საზოგადოებას“ შორის გაჩალდა დიდი შულლი, მთელი ინტელიგენცია გადაგვიდგა და მოიკალათა „ივერიის“ ბანაკ-

ში. ამან გამოიწვია შიში ჩვენს ოიგებში, უინტელიგენციოთ ვერას შივალწევთო. ამის პასუხათ გამოვაქვეყნე წერილები „ინტელიგენცია“. ამან ცოტა დააწყნარა ამხანაგები, ხოლო მუშებში გამოიწვია ენტუზიაზმი. სამაგიეროთ დიდათ გააბრაზა „ივერიის“ ბანკი. უ წინეთ კანტი-კუნტათ მაინც ვხდებოდი ცნობილ ინტელიგენტებს — ცხველაძეს, გოგებაშვილს, ჭრელაშვილს, ეჭ. გაბაშვილს და სხ. „ინტელიგენციის“ შემდეგ სრულიად მოვწყდი მათ, გავირიყე მათგან და მათ მხოლოდ გოლოვინის პროპექტზე ვხვდებოდი.

მე ვადექი იმ აზრს, რომ ჩვენ ყველა საზოგადო დაწესებულებებში უნდა შევდიოდეთ და შიგ მხურვალე მონაწილეობას ვიღებდეთ. დრამატიული საზოგადოების კრებამ ამირჩია თავის მდივნათ, რასაც პირნათლათ ვასრულებლი მთელ წელიწადს. დავესწარი წერა-კითხ. ს. კრებას და წარვადგინე პროექტი რეფორმების, რამაც გამოიწვია დიდი კამათი და „ივერიის“ გამოლაშქრება „ახალი ფანტაზიების“ წინააღმდეგ. ვითხოვდი ღარიბი ბავშვებს მიეცეს მუქთათ სახელმძღვანელოები და სხ. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვშორდებოდით ქართველ ინტელიგენციას და მას ვეპირზაპირებოდით.

1900 წ. გარდაიცვალა გ. წერეთელი. თფილისის მუშათა კლასმა გაუმართა დიდებული გასვენება, ნიშნათ იმ ღვაწლისა, რაიცა ჩა დაიმსახურა „კვალი“-ს განმოცემით და ჩვენს გვერდში ამოდგომით. ეს იყო პირველი გასვენება საზოგადო მოღვაწის, რომელსაც მუშათა მასა დაესწრო. ამ გარემოებამ შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ინტელიგენციაზე, რომელიც უფრო და უფრო გაერთიანდენ ჩვენს წინააღმდეგ. ბრძოლის უმწვერვალესი პერიოდი დაგა 1900 წელს, როცა მე გამოვაქვეყნე „კვალ“-ში პრესის ისტორიული განხილვა და რაც შემდეგ ცალკეც გამოიცა. „ივერია“-მ ასტეხა პირველი განგაში. გამოვიდა წერილი ახალმოსულის პსევდონიმით, თან გაავრცელეს ხმა რომ ავტორი „თვით ილია“ არისო. მაგრამ როცა დაიბეჭდა ამ წერილის გაგრძელება მრავალ ნომრებში, რომელთა ტონმა გამოიწვია საერთო აღწეროთება, დაიხიენ და თქვეს ავტორი ილია არ არისო. ვინ არის? ზოგი ამბობდა ნ. ხიზანიშვილია, ზოგი — გ. ყიფშიძეა, ზოგი — ახნაზაროვია და სხ. მუშებისაგან მივიღეთ საპროტესტო წერილები, ერთს ხელს აწერდა ასამდე კაცი, მეორეს — 500-ზე მეტი და სხ., რაიცა ქვეყნდებოდა „კვალ“-ში. პროტესტს აცხადებდენ არა შინაარსის, არამედ ფორმის და ტონის წინააღმდეგ. მუშები არავლიდენ ინტელიგენციას ზრდილობას. ატყდა პოლემიკა, უკანა-კნელი, გადამწყვეტი. საქმეში ერეოდა მუშათა ორგანიზაციები. საერთო აზრი იყო რომ საკითხი ახლა საბოლაოთ ნათელია, გზა გაკ-

ვალულია, ხაზი მოცემულია, რასაც ხალხი უნდა მისდევდეს. „ივერიელთ“ კი მუდამ ეგონათ ამ დავაში ხალხი არაფერდებოდა, მათ არც კი ესმით ეს, ყოველივე ეს ყინყლი ატეხილია ნ. უორდანისა და მისი თანამშრომლების მიერო. ამ აზრზე დარჩენ 1905 წლამდე.

მხოლოდ 1901 წლიდან უანდარმერია ატყობს „კვალსა“ და მუშათა მოძრაობას შორის რაღაც კავშირს, მაგრამ კარგად ვერ გამოერკვია, არის ეს პიროვნული სახის ოუ ჯაჩეთის აგიტაციური გავლენა. ამ წლიდან „კვალი“ სავსებით შევიძინეთ ანასტასია წერეთლისაგან (მივეცით სამი ათასი მან.). გადავედით საპიორის ქუჩაზე, საღაც იყო რედაქცია და ჩემი ბინა. მე წავედი რამდენიმე დღით შინ, ლანჩხუში. ამოვედი, დამხვდა ამბავი: ბინა გაჩერიკეს, წაიღეს ხელნაწერები და ს. ჯიბლაძე დაიჭირეს (აქ ათევზა ლამეს). მე არ დავუბარებივართ. აშკარა იყო ჩემი ეჭვის ქვეშ აყვანა. ცნობილი სამაისო დემონსტრაციის შემდეგ (18 აპრილს, შუა ბაზარზე) დაიწყო მასიური ქაპატიმრება მთელ თფილისში, ციხეები გაივსო. გადაწყდა ჩემი საზღვარგარეთ წასვლა და დროებით თავის შეფარება, ფული სამასი მან. მომცა დ. სარაჯიშვილმა. რედაქცია ჩავაბარე ახალ ხალხს, ავიღე ეჭიმების მოწმობები, რომ მეჭივრება ევროპის კურორტები (დასახელებული იყო ორი). ჩავედი ლანჩხუში და შეუდექი პაპორტის აღების საქმეს. სხვანაირათ, წასვლა ჯერ კიდევ არ იყო შემოლებული ჩვენში. ოზურგეთმა უამიგვიანა მოწმობის მოცემა. მაკვირვებლა და მაფიქრებლა. ერთ საღამოს მოწმობის ალაგას მივიღე მოულოდნელი ვიზიტი ქუთაისის უანდარმერის უფროსის, მრავალი მხლებლებით. გამჩერიკეს, დამიჭირეს და ქუთაისის ციხეში მომათავსეს, საიდანაც სამი თვის შემდეგ, სრულდა ლაუკითხავად, გადამიყვანეს თფილისში — სამხედრო ციხეში, შემდეგ — მეტეხში.

გადიოდა თვეები და მე არავინ მეკითხებოდა, არავითარ ბრალდებას არ მიყენებდენ. ცხადი იდო საბუთი არაფერი ქონდათ და მას ეძებდენ. თფილისის ორგანიზაციას ქონდა უაღვენრლება თუ როგორ მოქცეულიყვნენ ამხანაგები ტყვეობაში. ვინც პირველათ ჩავარდებოდა ტყვეობაში, ის ცდილობზა ყოველნაირი ხერხით განთავისუფლებას. ამ მიზნით ყველა ბრალდებაზე უარი ეთქვათ და არ გამოტეხილიყვნენ სოც.-დემოკრატობაშიაც. ვინც მეორე და მესამე-ჯერ მოხდებოდა უანდარმერის კლანჭებში, ისინი უარს ამბობდენ ჩვენების მიცემაზე და საქმე ირჩეოდა მათი ჩვენების გარეთ. მე პირველათ ვიქენი დაჭერილი და ვმოქმედებდი დადგენილებისამებრ.



ვითხოვდი დაკითხვას, ბრალდების წამოყენებას ან განთავისუფლებას. დამკითხეს მხოლოდ მარტში, ე. ი. დატყვევების რვა საბუთის შემდეგ. არავითარი საბუთი არ აღმოჩნდა გარდა „კვალი“-სა და სოც.-დემოკრატობაში ბრალდებისა. ჩემი პასუხი იყო ადვილი: „კვალი“ გამოდის ცენზორის ნებართვით, არალეგალური არაფერი ჩამიღენია და სხ. ცნობები კი უეჭველად სწორი ქონდათ; ეს ვიცი შემდეგი ამბიდან. სამხედრო ციხეში ჩემი ოთახის გვერდით იყო ერთი თავისუფალი ოთახი. ერთ დღეს მოვიდა უანდარმთა როტმისტრი რუნიჩი, რომელსაც ჩემი საქმე ებარა. ამოაყვანია ქვემო სართულიდან ვლასა მგელაძე, რომელის დაჭერა არც კი ვიცოდი აადაუწყო შეკითხვა. მე ვაყურებდი ოთახთა შორის დაჭეტილ კარებთან. რუნიჩი ეკითხება: — შენ ააწყვე და გაავრცელე ნ. უორდანიას მიერ დაწერილი პროკლამაცია, ვინ გიწყობდა ხელს ამ საქმეშიო? ცოტა შემეშინდა, ვაი თუ ვლასას წამოცდეს — არავინ ხელს არ მიწყობდა, მარტო მე ვმუშაობდიო, მაგრამ ვლასამ კატეგორიულად განუცხადა — არასოდეს ფურცელი არ ამიწყვია, არც ნ. უორდანია-საგან რამე მიმიღიაო... ერთი სიტყვით დაარტყა რუსული „ატკაზი“. ერთხელ რუნიჩი მოვიდა პროკურორით, ჩამომართვეს კიდევ ერთხელ ჩვენება. პროკურორი მიმტკიცებდა, რომ მთელი მოძრაობა, დემონსტრაცია, გაფიცვები და სხ. „კვალი“-ს ბრალია, ხოლო ამ უურნალის სულის ჩამდგმელი კი თქვენა ხართო. მე ადვილათ მოვიგერიე ისინი. მიჩვენეთ ერთი ნომერი, სადაც მთავრობის წინააღმდეგ რაიმე მოწოდება და გამოლაშქრება იყოს მეთქი და სხ. ერთა სიტყვით ყველა ბრალდებაზე მეც რუსული „ატკაზი“ დავარტყი და თავი გამანებეს.

ციხეში ყოფნა გამოვიყენე ერთი ნაკლის შესავსებათ. ვკითხულობდი ბელეტრისტიკას, რაიცა ბლომათ მოიპოვებოდა ციხის სამკითხველოში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შექსპირმა და ვიკტორ პიუგომ. მეტების ყველა სართული სავსე იყო ამხანაგებით. ყველა ალფროთოვანებული იყო შექსპირით. არ შევუდგეხი ციხის ცხოვრების აღწერას, ეს არ არის ჩემი მიზანი.

საქართველოს ყველა სოც.-დემ. ორგანიზაცია იღვწიოდა ერთი-შეორებები დამოუკიდებლათ, მათ შორის იყო კავშირი პიროვნებათა საშუალებით, მაგრამ საერთო ორგანო არ ქონდათ. სწორეთ ასეთი ორგანიზაცია უნდა შექმნილიყო, რისთვისაც კანძრახული გვქონდა კონფერენციის მოწვევა, რომ უცებ ყველა მეთაური ციხეში მოხედა. ეს პლანი ჩაიშალა. ფურცელი იცემოდა თფილისში თფილისის კომიტეტის სახელით. როცა 18 აპრილის დემონსტრაციის შემდეგ კო-

მიტეტის წევრთა უმრავლესობა დატყვევებულ იქნა, ხოლო დარჩენილი ორი პირი შიშით გადაიმალა, მასა დარჩა უხელმძღვანელოთ. ვერავინ გაიგო რა მოხდა. გავრცელდა მრავალი ჭორების შემთქმა: ქართველი ინტელიგენცია შეშინდა — დაგვალუპავს „ჯვალი“-ო, გაიძახოდენ გოლოვნის პროპეკტზე. ამ დროს დავსწერე ფურცელი, სადაც გარკვეული იყო დემონსტრაციის მნიშვნელობა და ჩვენი მოთხოვნილებანი. გადავეცი ტექნიკურ აპარატს, რომელიც სავსებით შენახული იყო ხელუხლებლათ; დაბეჭდეს და გაავრცელეს. საზოგადოება დაწყნარდა, რაიონები ამუშავდენ და აირჩიეს ახალი ქომიტეტი.

1902 წლის დამდეგს ციხეში მივიღეთ თფილისის კომიტეტის ფურცელი, რამაც გაგვანცვითობა იმით, რომ თავზე ეწერა: — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. გამიკვირდა, რა შუაშია რუსეთის პარტია. როდის შევერთდით, რა პირობით — არაფერი არავინ იცოდა. ცხადი იყო რომ ჩვენ მოვხვდით რუსეთის პარტიაში, არა როგორც რაიონული ორგანიზაცია, არამედ როგორც ადგილობრივი ორგანიზაცია. დამაფიქრა, შემეშინდა იდეოლოგიურათაც არ მიგველო რუსების მთელი პოზიცია, სადაც არ იდგა არც გლენის საკითხი, არც ნაციონალური, არც ორგანიზაციული ჩვენის მნიშვნელობით და სხ. საჭიროა ამ უკანასკნელის ახსნა. ჩვენში ორგანიზაცია შესდგებოდა მხოლოდ მუშებისაგან, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ისინი. მხოლოდ პროპაგანდისტები იყვნენ ინტელიგენტები, მაგრამ მათ არ ქონდათ გადამწყვეტი ხმა კომიტეში და რაიონებში. ნივთიერი მხარე მთლათ აწვა თავზე მუშებს, რომელიც ყველა „პალუჩაზე“ იხდიდენ დადგენილ პარტიულ გადასახადს. რუსეთში კი იყო პირუკულმა: ორგანიზაცია შესდგებოდა ინტელიგენტ-პროპაგანდისტებისაგან. მასსა მათ მისდევდა, ფულს შოულობდენ ინტელიგენტები და მოქონდათ ორგანიზაციაში. მუშა არას იხდიდა. ერთი სიტყვით, პარტია იყო ს.-დემ. ინტელიგენტების იმ მიზნით, რომ მუშა ხალხისათვის მიეცა პოლიტიკური შეგნება ცარიზმთან საბრძოლველათ. ეს იყო, მაშასადამე, პარტია არა მუშების, არამედ მუშების სასარგებლო, დიამეტრალურათ წინააღმდეგი ჩვენი პარტიული წყობისა. ამ მხრით, რუსების სოც.-დემ. აღიარებდა მარქსიზმს, მაგრამ სინამდვილეში, პარტიის წყობაში და მუშაობაში ისინი იყვნენ ნაროდნიკები.

რაკი ასეთი დიდი განსხვავება იყო ჩვენსა და რუსებს შორის, სახითათოთ მიმაჩნდა ასე ხელალებით მათ პარტიაში გათქვეფა. მაგრამ რაკი ეს მოხდა, საჭირო იყო თავისი ხასიათის შენარჩუნება და

ცდა ამ მხრით გავლენის მოხდენა თვით რუხებზე. ამ მიზნის მისაღწევათ, საჭირო იყო, პირველ-ყოვლისა, შექმნა საქართველოს ცენტრალურ ორგანოს. ციხეში ვიჯექი სწორედ წელიწადი, იმავის გამომიშვეს და ბინათ მომცეს ლანჩხუთი, საქმის გადაწყვეტამდე პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტის მიერ. ამ დროს გურიაში უკვე გაძლიერებული იყო გლეხთა მოძრაობა, რომელსაც ყავდა თავის ადგილობრივი მეთაურები, სოც.-დემ. ორგანიზაციის წევრები. დაიწყო მასიური დაპატიმრება და მათ შორის მეც მიმაყოლეს. ქუთაისის ციხეში მოვხვდი 200 დაჭერილ გურულ გლეხებს შორის. აქ პირველათ ვნახე ნ. ხომერიკი, აქ იყო ს. ჯიბლაძე და სხვა მრავალი ნაცნობ-მეგობრები. ჩქარა ინტელიგენტები გადაგვიყვანეს ფოთის ციხეში, საიდანაც გამომიშვეს ოქტომბერში და ბინათ დამინიშნეს განჯა, პოლიციის მხედველობის ქვეშ. აქედან ხშირად ჩავდიოდი ჩუმათ თფილისში პარტიული საქმეების გამო. ან ამოდიოდენ ჩვემთან, უმთავრესათ გ. წულუკიძე, კომიტეტის წევრი და მისი დავაჭებით. სილვა უკვე გადასახლებული იყო ციმბირში. გადავწყვიტეთ მოწვევა პარტიული კონფერენციის ამიერ-კავკასიის მასშტაბით. 1903 წ. ზამთარში, კონფერენცია მოხდა თფილისში, ტილიპუჭურის რესტორანის ერთ-ერთ ოთახში და ჩატარდა ჩემი თავმჯდომარეობით. მთავარი საკითხი იყო არჩევა ცენტრის, რასაც დავარქვით საკავშირო კომიტეტი („საიუზნი კომიტეტ“) ამიერ-კავკასიისა. აქვე მომანდვებულებერა პარტიული პროგრამის პროექტი, როგორც ადგილობრივი, რე მთელი სარუსეთესო მასშტაბით. ვანჯაში დაბრუნებისას შევუდები ამ მუშაობას და რამდენიმე კვირაში დავათავე. პროგრამა იყო გვაჭიან ვრცელი — დემოკრატიული რესპუბლიკა, დემოკრატიის ბატონობა, მთელი პროგრამის მინიმუმი მუხლებათ დაყოფილი. ნაციონალურ საკითხში მქონდა წამოყენებული ასეთი მუხლი: „ამიერ-კავკასიის თვითმართველობა პარლამენტით თფილისში“. შემდეგ ეს მუხლი დაყოფილია მისი კომპეტენციის და მუშაობის განსაზღვრით. პროგრამა გადავაგზავნე თუ არა თფილისში, მოვიდა მოწერილობა პეტერბურგიდან: უორდანია გაგზავნილ იქნას სამი წლით ვიატკის გუბერნიაში. გამომიცხადა ეს განჯის უანდარმერიამ და ჩამომართვა წელ-წერილი ორი კვირის განმავლობაში გავემგზავრებოდი დანიშნულებისამებრ ჩემი ხარჯით. გავრცელდა ეს ხმა. მამაჩემი ამოვიდა შინიდან, დედაც ამოყვა გამოსათხოვრათ. ერთ დღეს თფილისიდან ჩამოდის გ. წულუკიძე და მიცხადებს: ორგანიზაციამ დაადგინა შენი გაქცევა საზღვარგარეთ ბათუმით, ფული და ყველა საშვალებანი მომზადებულია. ეს ნამუსი გავანდევი დედას, რომელიც მაშინვე

დაბრუნდა სიხარულით; მამას, რომელიც დარჩა ჩემს გაქცევამდე
ხაბაკის შინ წასაღებათ. მართლაც ერთ სალამოს ჩავჯერდომისტორე-
ბელში და გავსწიე ბათუმისაკენ. სადგურზე დამხვდა კაცი დაპირებუ-
ლი ნიშნით და წამიყვანა კონსპირატიულ ბინაზე, სწორეთ საიდუმლო
სტამბის გვერდით. იქ ვიმალებოდი ათი დღე, სანამ ერთ ინგლისურ
ნავთის გემზე მოაწყობდენ ჩემს წასვლას. კაპიტანმა იცოდა, რომ მე
ვარ დეზერტირი და ვექცევი სამხედრო მოვალეობას, პოლიტიკურს
არ წაიყვანდა.

სამი კვირის მოგზაურობის შემდეგ გიბრალტარით და ატლანტის
ოკეანით მივადეჭით ინგლისს და რამდენიმე საათში უკვე ლონდონში¹
ვიყავი. პასპორტი არავითარი, მაგრამ ამ დროს საჭიროც არ იყო,
რუსეთის შემდეგ არც ერთ საზღვარზე პასპორტს არ ითხოვდენ.
ლონდონში ნაცნობი ვერავინ ვნახე; გამოვსწიე პარიუში, რამდენიმე
ხანი დავყავი აქ, მაგრამ აქაც ვერავინ ვნახე პარტიულებიდან; გავ-
სწიე ჟენევაში. პირველ-ყოვლისა „ვიზიტი“ გაუკეთე პლეხანოვს, შ-ნ
არ დამხვდა, მისმა ცოლმა მითხრა, გიორგი არ არის შვეიცარიაშიო,
სამ-ოთხ დღეში მეცოდინება მისი მისამართი და შემოიარეთო. ვე-
რავინ პასუხისმგებელი სოც.-დემ. ვერ ვნახე, მაკვირვებდა. ერთი
კვირის შემდეგ შევიარე პლეხანოვისას, როზალია მარკოვნამ ახლა
გამიცხადა „სეკრეტი“: ამჟამად ხდება რუსეთის სოც.-დემ. მუშათა
ზარტიის ყრილობა, თქვენი ჩამოსვლა ვაცნობე ვიორგის და მივიღე
შისგან წერილი, ყრილობას დაუდგენია მოგიწვიოს კრებაზე სათათ-
ბირო ხმითო. თან მომცა მისამართი — ბრიუსელი, სახალხო სახლი.
გამიკვირდა. როგორ მოხდა რაღაც ორთვენახევარში, რომლის გან-
ძავლობაში ვიმალებოდი და მოგზაურობას ვანდომებდი, ყრილობის
მოწვევა, დელეგატების გამოცხადება და მე კი საქართველოში არა-
ფერი ვიცოდი. გავსწიე ბრიუსელში. საქართველოდან დამხვდა სამი
ზელეგატი: დ. თოფურიძე, კნუნიანცი და არ. ზურაბოვი. მათგან
შივილე სრული ინფორმაცია. ყრილობის მოწვევის უწყება მიუღიათ
იფილისში დეპეშით. საკავშირო კომიტეტს დაუყოვნებლივ აურჩე-
ვია ეს სამი პირი და გამოუგზავნია. იმავე კომიტეტს გაურჩევია ჩე-
მი პროგრამის პროექტი და უარუყვია, მიუღია სხვა პროექტი, რაც
პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნაწილში დიდათ არ განირჩეოდა ჩემი-
საგან, მაგრამ ნაციონალურ და გლეხთა საკითხში დამდგარან რუსულ
შეხედულებაზე, ნაროდნიკულ სოც.-დემოკრატიულზე. მიუღიათ რუ-
სეთის დაყოფა ფედერატიულ ერთეულებათ ტერიტორიის და არა
ნაციის საზომით. ფედერაციები იქნებოდენ, ასე ვთქვათ, გაფართო-
ვებული საგუბერნიო ერობა. გლეხთა საკითხში მიიღეს „ისკრის“

პროექტი, გლეხებისათვის გადაცემა „ჩამონაჭრების“. ამ დროს სა-
კულტურული კომიტეტში შედიოდენ არ. ზურაბოვი, მ. ცხაკაია, კნუნიან-
ცი (ბაქოდან), ალ. წულუკიძე, ფ. მახარაძე, მთელი წყება, რომელიც
შემდეგ სავსებით მიემხრო ბოლშევიზმს. ნამდვილი მომუშავენი, მუ-
შათა კლასის მეთაურნი და ორგანიზატორები უკვე გადასახლებულ-
ნი, გაქცეულნი და ცოხებში იყვნენ დამწყვდეულნი. საქმის მეთაუ-
რობა ჩაუვარდათ ხელში რუსეთულ ინტელიგენტებს, რომელიც
პირდაპირ მონაწილეობას მუშათა ორგანიზაციებში არ ღებულობ-
დენ, გარდა ალ. წულუკიძისა. ამით უკვე მშადდებოდა ორგანიზაციე-
ბის გადაყვანა რუსულ რელსებზე, რაიცა ზემოთ დაგახასიათე.

მე და თოფურიძე ვიდესით ერთად, მაგრამ დიდი ხანი ლაპარაკი
გრიუსელში არ დაგვცალდა. პოლიციას გაეგო უცხო ყრილობა ხთე-
ბა და აკრძალა. ერთ-ორ დღეში ავიბარგეთ და გადავედით ლონ-
დონში. დიდი ლაპარაკის შემდეგ თოფურიძე მოვიმხრე, სომხებს კი
ვერაფერი შევასმინე.

გაიხსნა ყრილობა. გამოჩნდა ასეთი ატმოსფერა, რომ თფილის-
ლებმა ვერ გაბედეს თავის პროგრამის არამც თუ წარდგენა, გამოჩე-
ნაც კი. დელეგატების დიდი უმრავლესობა იყო განწყობილი უალ-
რეს ცენტრალისტურათ, ფედერაციას ვერ გააგონებდით; არც ნა-
ციონალური საკითხის სწამდათ რამე, ეს მათთვის არ არსებობდა,
ისე როგორც გლეხთა საკითხი. გადიოდა მუხლ და მუხლ „ისკრის“
პროექტი; როცა „ჩამონაჭრებზე“ იყო ლაპარაკი, მე ავიდე სიტყვა
და დავაყენე აგრარული კითხვა ჩვენებური მასშტაბით (ეს, სიტყვა და-
ბეჭდილია ოქმში), ამაოთ. გლეხობის ეშინოდათ, თუ მაღა აუხსენი,
მთლათ დაგვანგრევსო. რაკი ყრილობის ასეთი განწყობილებაა, გა-
დავწყვიტეთ ზოგ პირთან წინასწარი მოლაპარაკება ნაციონალური
საკითხის გამო. მარტოვთან შევთანხმდით შკოლის და საოლქო თვით-
მართველობის შესახებ, რაც გავიდა ძლივს-ძლივობით. დებატები არ
გამოუწევია ერთა თვითგამორკვევის პრინციპის მიღებას ორი მი-
ზეზით: ის გადმოღებულია პირველი ინტერნაციონალის რეზოლუ-
ციებიდან და არავინ იცოდა რას ნიშნავდა ის.

ყრილობა გათავდა რასკოლით — იშვა ბოლშევიზმ-მენშევიზმი.
მიზეზი — საორგანიზაციო საკითხი, ვინ არის ორგანიზაციის „ხაზა-
ინი“. ბოლშევიკები აღასტურებდენ ამ ნიადაგზე იმ წყობას, რაც
იყო რუსეთში, ხოლო მოწინააღმდეგენი ფიქრობდენ მის „შეპაჩინ-
კებას“. პოლიტიკურ განსხვავებას მაშვინ არ ხედავდენ.

ყრილობა დასრულდა. მე, როგორც ემიგრანტი, დავბრუნდი უე-
ნევაში. დელეგატები დაბრუნდენ სამშობლოში. სომხები მიემხრენ

ლენინს, თოფურიძე ყოყმანობდა. ერთი თუ ორი თვის შემდეგ ვა ვიგე თფლისიდან, რომ დელეგატებს დაუმალავთ განხეთქილება ორ განიზაციებისათვის. მოხსენება გაუკეთებიათ მხოლოდ საჭ-პაკმიტე-ტისათვის, რომელიც მთლათ მიმხრობია ლენინს და მის ცეკას. გა- დაუწყვეტიათ განხეთქილება დამალონ და ორგანიზაციული წესი- შუშათა მასა გადაიყვანონ ლენინის დოქტრინის ხაზზე. გავიგე თუ არა ეს, მე დავსწერე ვრცელი წერილი ლონდონის ყრილობის და იქ მომხდარი ამბების შესახებ და გადაუგზავნე თფილისის კომიტეტს. შემდეგ გავიგე, რომ ეს წერილი მიეღო საკ. კომიტეტს და დაემალა. ასე რომ მუშათა ორგანიზაციები ჩარჩა საყრუეთში.

უნევაში გავეცანი რა რევოლიუციურ საზოგადოებას, დავინახ შემდეგი: ათი წლის წინ მარქსისტები იყვენ თითოთ საჩვენებელნ- ხოლო მთელი რუსული მასა ნაროდნიკული. ახლა კი პირიქით. უკა- ნასკნელნი იყვენ თითზე ჩამოსათვლელნი, ხოლო მასა კი იყო სოც.- დემოკრატიული. ეს უკანასკნელი ლონდონის ყრილობის შემდეგ სწრაფათ გაიყო ორათ — ბოლშევიკ-მენშევიკებათ, რასაც უწოდებ- დენ მეუმრავლესებს და მეუმცირესებს, ყრილობაზე მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით. პლეხანოვმა არ ჩააბარა „ისკრა“ ლენინს და მის ცეკას და განაგრძო გამოცემა წინანდებურათ.

რაზე დაობდენ? სულ უბრალო საკითხზე — ორგანიზაციულ წყო- ბის დეტალებზე. ლენინის პოლიტიკური, ტაუტიკური და ორგანიზა- ციული შეხედულებანი იყო გაშუქებული მის წიგნში „ჩტო დელატ“. გამოცემული სწორეთ „ისკრა“-ს რედაქციის მიერ, სადაც პლეხანო- ვის ჯგუფი სჭარბობდა. დავის საგანი კი გახდა მხოლოდ ერთი მუხ- ლი, დანარჩენი მიჩქმალული. ამ ერთ მუხლშიაც უდაო იყო ძირი- თადი დებულება — პარტიული ორგანიზაციის შემჭმნელი, მეთაური და წინამძლოლი არის „პროფესიონალური რევოლიუციონერი“ ე. ი. რიტელიგენტი სოც.-დემოკრატი. განსხვავება იწყებოდა შემდეგ: ამ მეთაურობამ როგორ გართოს და როგორ ეპატრონოს პარტიას, დიქ- ტატორულათ, მაღლიდან ბრძანებით, თუ „დემოკრატიულათ“, ჩაგო- ნებით და შეთანხმებით. მარტოვი ამტკიცებდა — ლენინმა პარტიაში დაამყარა „საალყო წესები“, რასაც უძლვნა მთელი საპოლემიკო წიგნი. ე. ი. დავა იყო წესებზე და არა ორგანიზაციულ პრინციპზე. მე მთელი ეს დავა მეჩვენებოდა წყლის ნაყვათ და მათ შორის ვერ ვხედავდი დიდ განსხვავებას. ამიტომ არ ჩავდექი არც ერთ ჯგუფში. არ ავყევი „ძმათა ბრძოლას“, გავდექი გაზზე და შეუდექი კავკასიის ჯგუფის შექმნას ჩვენებური მოძრაობის დასახმარებლათ. მოვნახე ერთი სომეხი, გამოვეცით სომხურათ მანიფესტი კომ. პარტიისა,

გავაბით კავშირი ბათუმთან, სადაც ვგზავნილით ლიტერატურას (მარ-
სელით) და სხ.

ამ დროს საქართველოში მოხდა შემდეგი ამბავი: მიუხედავათ
1901 წლის დიდი რეპრესიებისა, დაწყებული მოძრაობა არა თუ არ
შენელდა, კიდევ უფრო გაიზარდა. ამ გარემოებამ გავლენა მოახდი-
ნა განზე გამდგარ და მტრულათ განწყობილ ინტელიგენციაზე და
შეიტანა მასში რყევა. ერთი ნაწილი გამოეყო და ახალგაზრდებთან
ერთად დადგენ ახალ გზაზე. მათ იცნეს მოძრაობა, მაგრამ მოინდომეს
თავის რელსებზე შეყენება. ამ ჯგუფს მეთაურობდა არ. ჯორჯაძე,
გ ლასხიშვილი და სხ. მათ 1904 წელს დაიწყეს გამოცემა ქართულათ
და ფრანგულათ უურნალის „საქართველო“ პარიუში. ამ მათ ინ-
ციატივას შევხვდი დადებითად და კიდევაც მოვათავსე იქ რამდენიმე
წერილი მოძრაობაზე ჩვენში. მაგრამ ჩქარა გამოჩნდა მათი გან-
სხვავებული ტენდენციები, რის გამო არ. ჯორჯაძეს გამოუცხადე
პირადათ რომ უურნალში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. იმავე წელს
მათ მოაწყვეს უენევაში კონფერენცია, სადაც ჯგუფი ქართველ სო-
ციალ-დემოკრატებისა იყო მოწვეული სტუმრათ. მოწვევა მივიღეთ
(მე, ჭოტი ჯაფარიძემ, მ. ორგონიკიძემ და სხ. სულ 5 თუ 6 კაცი), მაგ-
რამ იქვე წავიკითხეთ ჩვენი განცხადება, რითაც ვაცნობებდით კრებას
ჩვენ უარყოფით დამოკიდებულებას კონფერენციისადმი. კრება დავ-
ტოვეთ. შემდეგ დაიწყო პოლემიკა. რაში იყო ძირითადი განსხვავე-
ბა?

კონფერენციამ გამოაცხადა დაარსებულათ სოც.-ფედერალისტუ-
რი პარტია, რომლის ძირითად დოქტრინათ აღიარა ორი ახალი დე-
ბულება: საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა და ამ დროშის
შვერ ჟველა რევოლუციური და პროგრესიული ძალების დადგომა.
ეს უნდა გამხდარიყო „საერთო ნიადაგი“ ჟველა კლასის და წოდების
შორის და სხ. (იხ. ლიტერატურა). აი ეს „საერთო ნიადაგი“ გახდა
ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი. ეს იყო აღდგენა ილ. ჭავჭავაძის ძვე-
ლი დებულების — ჟველა ერთ ტაფაში ვიწვით, ჟველა შევერთდეთ
ვინაობის დაცვაშიო, რის წინააღმდეგ მეოთხმოცე წლებში ილაშ-
ქრებდენ ქართველი ნაროდნიკები. თუ ეს მიუღებელი იყო იმ ძველ
ლროს, გაცილებით უფრო მიუღებელი იყო ამ მოძრაობის ხანაში.
ჩატომ? იმიტომ რომ მუშათა მოძრაობა გადავაბით გლეხთა მოძრა-
ობას. პირველი თუ დაპირდაპირებული იყო უმთავრესათ არა-ქარ-
თული კაპიტალის წინააღმდეგ და აქ კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი
საერთო ნიადაგზე, მეორე კი მიმართული იყო ქართველების, ქარ-
თველი მემამულეების წინააღმდეგ და აქ ამ ორ წოდებათა შორის

საერთო ენა შეუძლებელი იყო. ჩვენ მიერ ასეთი ენის /მეტა დ
ბოლოვდებოდა ერთი შეღეგით — გლეხობა ჩამოგვშორდებოდ
გლეხთა საკითხი მოიხსნებოდა და ჩავარდებოდით რუსის სლუ-დე
მდგომარეობაში. გლეხობის ჩამოშორება გასტებდა მცირე რიცხ
ვან, მაგრამ მეტათ აქტიურ მუშათა კლასს და გზას გაუხსნიდა ბოლ
შევიკების გეგემონიას. ქართული მარქსისტული სოციალიზმი სამა-
დამოთ დაიმარხებოდა.

ამ მთავარ მოტივს მოსდევდა მეორე წყების მოტივებიც. ბრძა-
ლა იყო გამოცხადებული რუსეთის თვითმპყრობელობასთან. აქ პ-
ტარა საქართველო გამოიჩენდა უნარს და გამძლეობას იმდენათ, რა-
დენათ ის იქნებოდა სხვა ხალხების და მათი პარტიების გვერდით
ერთ მებრძოლ რაზმათ გადაქცეული. ყოველივე განდგომა, იდეურ
თუ ტაქტიკური, გვამარცხებდა და გვრიყავდა მოძრაობისაგან. სოც
ფედ. წინააღმდეგ დავბეჭდე უნევაში ბროშურა „ქართველი ნაციო-
ნალისტები“ და გადავგზავნე საქართველოში. შემდეგ პოლემიკა გა-
რდელდა სამშობლოში.

ყოველ შემთხვევაში ერთი მოვლენა იყო ფაქტი: ქართველი ს-
ზოგადოება შეინძრა და ახალი გზების ძებნას შეუდგა. იწყება ს-
ერთო გამოფხიზლება და გადაწყობ-გადმოწყობა. ამით საქმე გაგვი-
თულდა. საშიში იყო ახალ ტალღებს არ დაენგრია ჩვენი ახალი რე-
ვოლუციური შენობა.

11 იანვარს 1905 წ. უნევის გაზეთში გამოქვეყნდა პეტერბურგი-
დეპეშები შესახებ მუშათა დემონსტრაციებისა გაპონის მეთაურო-
ბით. მაშინვე გადავწყვიტი — რევოლუცია დაწყებულა, დაუყო-
ნებლივი წასვლა საჭიროა. ერთ კვირაში ვიშოვე პასპორტი, ბოლგ-
რელი იგნატოვის სახელზე. ჩემი არქივი, ხელნაწერები, წერილებ-
წიგნები ჩავაწყვე ყუთში, დავლუსმე და მივაბარე დაშნაკცუტუნ-
რებაკების („დროშაკი“), რომელიც მდებარეობდა როზერეს ქუჩაზ
(რაც მას შემდეგ ვეღარ მივიღე) და 18 იანვარს გავემგზავრე რუს-
ოსაკენ, პირდაპირ პეტერბურგისაკენ, საღაც ჩემი ახალშერთულ
ცოლი, ინა კორენევა, ბინადრობდა და პარტიაში მუშაობდა. ის და-
რუნდა უნევიდან რამდენიმე თვით ადრე. 25 იანვარს უკვე ადგილზ
ვიყავი, რევოლუცია უკვე გათავებული იყო, რეპრესიები დაწყებუ-
ლი. ჩემი ანგარიში არ გამართლდა. ინამ დაწვრილებით მიამბო რა-
მოხდა და გადავწყვიტეთ საქართველოში წასვლა. ის ლეგალურა-
მე არა-ლეგალურით. გამოირკვა, რომ გაპონის მოძრაობა იყო სრუ-
ლიად მოულოდნელი პარტიული ორგანიზაციებისათვის, მასში ა-
რაიმე როლი უთამაშნიათ, პირიქით, თვით აყვა მას, შეიქნა აზვირ

თებული სტიქიის სათამაშო იარაღი. მაგრამ როცა ტალღა დავარდა, ნიალვარი გადაიარა, ადგილზე დარჩენ ისევ ორგანიზაციები, დაყოფილნი რაიონებათ და შეერთებული კომიტეტით. აქ უკვე ბატონობული და ლენინის ც. კ. და იბრიალებდა ჯოხს ორგანიზაციების ჰერიტე მოსაყვანათ. „რასკოლი“ მზადდებოდა.

წამოვედით, გავჩერდით ბაქოში. ინა დაღგა ნაცნობ რუსის ქალის ოჯახში. გავაბით კავშირი სოც. დემოკრატებთან. მოხდა მათი (ინტელიგენციის) კრება, სადაც გავაკეთე განხეთქილების შესახებ მოხსენება. მედავენ ბოლშევიკები, არაფერი გამოვიდა, ვიფიქრე — სჯობს ძველებური მეთოდით მოქმედება. თფილისის ორგანიზაციიდან ბუშების გამოგზავნა და აქ მათი ამუშავება. გავსწიე თფილისისაკენ, ინა დარჩა ბაქოში. თფილისში ატმოსფერა დამხვდა დიდათ გამოცვლილი: ძველი მარჯვენა სექტორი ილიას მეთაურობით დაშლილიყო, „ივერია“-ც ახალი ხალხის ხელში გადავიდა; სოც.-ფედერალისტები დაპატრონებოდენ „ცნობის ფურცელს“; „კვალი“-ს ალაგას გამოდიოდა „მოვზაური“ ფ. მახარაძის რედაქტორობით („კვალი“ დახურა მთავრობამ). მუშათა მასებში რევოლიუციური სული ლვივოდა; ორგანიზაციებში და კომიტეტში მითქმა-მოთქმა და ჯახი პარტიულ საკითხებზე, თუმცა არავინ იცოდა დავის შინაარსი. არც ერთ დელეგატს არ გაუკეთებია მოხსენება ლონდონში მომხდარ ამბებზე არც ერთ ორგანიზაციაში, გარდა საკავშირო კომიტეტისა. აქ კი თითქმის ყველა მიმხრობოდა ბოლშევიზმს. ჩემი ჩასვლა მოულოდნელათ არაფრათ ეჭაშნიკათ, მოინდომეს ჩემი ჩაჩუმება. ამ მიზნით მოიწვიეს საკ. კომიტეტის კრება, დაესწრენ: მ. ცხაკაია, ალ. წულუკიძე, არ. ზურაბოვი, ფ. მახარაძე. ლაპარაკიდან გამოირკვა მათი ახალი მრწამსი და გადაწყვეტილება მასაში არ გაიტანონ ეს საკითხი, ხოლო ორგანიზაციები გადაიყვანონ ლენინის საორგანიზაციო ნიაღაგზე — ყველა ხელმძღვანელი ორგანო დაინიშნოს მაღლიდან. აშკარა გახდა ჩემთვის, რომ საკ. კომიტეტთან მე ვერას გავაწყობდი და ვინახულე დველი ნაცნობი მუშები. ამათგან კი გავიგე, რომ ორგანიზაციაში მასული საკ. კომიტეტის ბრძანება — გადადგეს კომიტეტის ძველი შემადგენლობა და მთელი ტეხნიკური აპარატი ჩააბაროს დანიშნულ კომიტეტს. ამ მოწერილობას აუღელვებია მოწინავე მუშები და პირველ კვირასვე ეს საკითხი გაირჩევა რაიონულ ორგანიზაციების წირმომადგენელთა კრებაზე კომიტეტის თანდასწრებით. კრება შოხდა ნაძალადევში, დაესწრო ოცამდე კაცი. მე ვიჩექი კუთხეში, რჩავის მათგანს არ უცვნივარ (მხოლოდ წვერი მქონდა მოპარსული), გაგრამ როცა სიტყვა ავილე (ანდრეის პსევდონომით) და ლაპარაკი დავიწყვ,

ყველა გაშტერებული შემომაჩერდა, მე გამეცინა, წამოცვივდნენ, მიცნეს, ყველა ძველი ნაცნობი იყვენ, ხელათ თავი შეიკავეს, ჩემი ჩაპარვა არ გახმიანებულიყო, დასხდენ, ორი კაცი ვარეულდან სადარაჯოთ. გაჩაღდა კამათი, რაიცა დასრულდა ერთხმათი განაჩენით — საკ. კომიტეტს უარი ეთქვას მოთხოვნილებაზე და განავრდოს მუშაობა ძველებურათ. მათ მაინც დანიშნეს თავისი კომიტეტი, ხოლო ჩვენი გამოაცხადეს პარტიის გარეთ. ატყდა დიდი შულლი. ყველა რაიონებში ისინი მარცხდებოდენ, ყველგან მუშათა მასა ორივე ხელებით აფრინდებოდენ ორგანიზაციის ძველ წყობას, მუშათა მე-თაურობას და საარჩევნო წესებს.

ამ დროს ცნობა მივიღე ბაქოდგან, ინა დაიჭირესო. დაფბრუნდო, ოფიციალურათ ხომ ვერ გამოვჩნდებოდი. მაგრამ ვინახულე ციხის ეჭიმი ი. ელიაშვილი, ჩემი ძველი ნაცნობი და ავუხსენი, რომ ის ჩემი ცოლია, ფეხმძიმეთაა, ამ ერთ თვეში ელის, ციხეში მოლოგინება შეუძლებელია და თუ შეიძლება განთავისუფლება ამ მოტივებით თქვა. დამპირდა, დაპირება შეასრულა. ორივე ერთად წავედით თფილისი-საკენ და იქ დავბინავდით ცალ-ცალკე, მე კონსპირატულ ბინაზე დიდუბეში. აპრილის პირველ რიცხვებში ის წავიდა ლანჩხუთში ახალ დაბადებული გოგოთი (ასმათი). მე დავრჩი თფილისში. რაღაც ერთ თვეში თფილისი გაიწმინდა ბოლშევიზმისაგან და ჯერი მიდგა პრო-ვინციაზე. მე გამგზავნეს ბათუმში, საღაც დავყავი ორი კვირა, ვა-კეთებდი მოხსენებებს. ყოველგან საღაც კი გაიგებდენ დავის შინა-არსს — მუშების ხელქვეითი როლი, ინტელიგენციის მეთაურობა, პროფ. რევოლუციონერის ბატონობა, ლენინის დოქტრინის ციტა-ტებით წარმოდგენილს — უარყოფდენ ბოლშევიზმს. ამასთანავე უარყოფითად ეკიდებოდენ რუსულ მენშევიზმს, რომელიც წვრი-გალებში ედავებოდენ ლენინელთ, ხოლო მთავარში კი მათ ეთანხმებოდენ. ამნაირათ, ჩამოყალიბდა ამ დავებში ქართული მენშევიზმი, მუშური და რევოლიუციური, განსხვავებული რუსულისაგან, არამუშურის და ნაკლებათ რევოლიუციურისაგან. ამ ჩვენი მენშევიზმის თრგანო გახდა არალეგალური გამოცემა „სოციალ-დემოკრატი“, სადაც მოვათავსე წერილები ნ. რამიშვილის მონაწილეობით ამ საგან-ზე: მენშევიზმი თუ ბოლშევიზმი. ეს წერილები შემჩერ რუსულათ ვამოსცეს უენევაში, დანის წინასიტყვაობით, როგორც ახალი სიტყვა. ბოლშევიკები გაირიყენ მთელ საქართველოში. ხოლო ბაქოში გაგ-სავნილ ჩვენმა ემისარებმა დასაყრდნობი ფუძე პოვეს უმთავრესათ ქართველ მუშებში, რუსები კი ირყეოდენ, აქეთ-იქით მირბი-მორ-ბოდენ, ბოლოს გაიხეთქეს ორათ. ჩამოყალიბდა ორი ორგანიზაცია.

ამნაირათ, საქართველოში მხოლოდ დამკვიდრდა და გაბატონდა მარქსიზმის ძირითადი ორგანიზაციული და პოლიტიკური ლოგიუნგი: მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა. ჩვენ გამოვიყენეთ როგორც რუსულს, ასე ევროპიულ სოციალიზმს. რუსების ლოგიუნგი და პრაქტიკა იყო: მუშათა განთავისუფლება „თავდადებული ინტელიგენციის საქმეა“, ლოგიუნგი წმინდა ნაროვნიკული, და ახლა ს.-დ. მივრ მითვისებული. ორივე შემთხვევაში, ევროპაში და რუსეთში, მუშათა მასათ გულისხმობდენ მხოლოდ ქარხნის მუშებს, სამრეწველო პროლეტარიატს, რომელიც შეიყვანს აღთქმულ ქვეყანაში დანარჩენ მშრომელთა მასას (გლეხი, ხელოსანი და სხ.). ჩვენ კი ჯადავაბით მუშას გლეხი და მათგან შევქენით ერთი რაზმი, ერთი ჯარი, რასაც უნდა განეახლებია ერის მობერებული, დრომოკმული სოციალ-პოლიტიკური შენობა.

ასე ვაიყარნენ გზები საქართველოს და რუსეთის ს.-დ. შორის, ხოლო ამავე დროს ვიყავით ერთ პარტიაში, ერთი ც. ჭ. და ყრილობის მეთაურობაში. ასეთ პირობებში ჩვენი ტაქტიკა ნათელი იყო — უნდა მოგვეხდინა გავლენა თვით რუსებზე და მიგვე-ჟლოვებია ისინი ჩვენს მსოფლმხედველობასთან.

რევოლიუცია თანდათან ღრმავდებოდა მთელს იმპერიაში. მის უესასუსტებლათ მთავრობამ გამოსცა ბრძანება შესახებ სათათბირო. დუშის მოწვევის (ბულიგინის დუშა). ჩვენმა ორგანიზაციებმა დაადგრნეს მის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რის დასაცავათ დაიბეჭდა წერილები „სოციალ-დემოკრატიში“. ეს იყო გაგრძელება „კვალი“-ს ტაქტიკის, ვიყოთ ყოველგან, სადაც კი მოვახერხებთ მისვლას, გადავაბათ არალეგალურ მუშაობას ლეგალური მუშაობა. რუსებმა უარყვეს ეს ტაქტიკა; დუშის მოწვევა გაგრძელდა, ოქტომბრის რევოლიუციამ იფეთქა, გამოქვეყნდა საკანონმდებლო დუშის მოწვევა (ვიტეს დუშა) და ფართო საარჩევნო კანონები. ჩვენი მონაწილეობის მიღვბა იყო უდაო. ასეთივე უდაო გახდა რუსეთის სოც.-დემ. ბოკორტი. რუსეთში ხდება არჩევნები, სოც.-დემ. არსად სჩანს. ჩვენში დაიწყო საარჩევნო მზადება, პარტიის ენერგიული მონაწილეობით. მივიღეთ აგრეთვე საარჩევნო კოალიცია დემოკრატიულ პარტიებთან მემარჯვენეთა წინააღმდეგ და სხ. ჩადგან ამ დროს უკვე გვქონდა ყოველ-დღიური ლეგალური გაზეთი „სხიფი“ (ჩემი რედაქტორობით), ყველა პარტიული დადგენილებანი ცხადდება იქ. ამავე დროს გამოჩნდა ერთი თვალსაჩინო განსხვავება, რუსის სოც.-დემოკრატებისაგან. ისინი ხელალებით უარსყოფდენ ტერორს, ყოველნაირ ფორმისას. ჩვენც უარყოფდეთ ტერორს როგორც საშვა-

ლებას თვითმპურობელობის ჩამოგდების, როგორც ამას ფიქრობდენ
ნაროდნიკები, მაგრამ უარს არ ვყოფდით მას, როგორც იარაღს თა-
ვის დაცვის და პოლიციურ ძალთა შორის პანიკის დათეჭიში. თანახ-
მაღ ასეთი შეხედულებისა, თფილისის კომიტეტი ახდენდა ტერო-
რისტულ თავდასხმებს ფანდარმებზე, მეტათ ერთგულ პოლიციელებ-
ზე და „ოხრანკის“ აგენტებზე. ისე ვარდებოდა ბომბები თფილისის
სხვადასხვა კუთხეში, რომ გეგონებოდათ მტრის შელულია. ამან გა-
მოილო მოსალოდნელი ნაყოფი, მთელი აპარატი მოეშალა მთავრო-
ბას, შიში და ძრწოლა გამეფდა „ოხრანკაში“, ყველა მათგანი მხო-
ლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. დამკვიდრდა ფაქტიური თავი-
სუფლება მიტინგის, გაფიცვის და დემონსტრაციის. ამ გარემოებას
ხელი შეუწყო აგრეთვე წვრილი ბურუუაზის გაერთიანებამ და ერთ
ორგანიზაციაში თავის მოყრამ. ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა
ზ. ჩიჩუა (ზაშნიკი). როცა დაგვჭირდებოდა მძლავრი დემონსტრაცია,
ზაქარიას ვაცნობებდით და ის მიაღებინებდა რეზოლუციას საერთო
გაფიცვის შესახებ წვრილ ბურუუაზის კომიტეტს. ერთ მშვენიერ
დღეს მთელი ქალაქი იფიცებოდა. ყველა დუქნები იკეტებოდა.
ერთი სიტყვით, ქუჩის პატრონი გახდა სოც.-დემ. კომიტეტი. ბოლოს
თვით ნამესტნიკიც სცნობს ამ მდგომარეობას და იარაღს აძლევს
• ორგანიზაციას წეს-რიგის დასაცავად. პოლიცია ქუჩიდან გაქრა, ჩავ-
დექით აგრეთვე სომეხ-თათართა შორის და არ ვუშვებდით მათ ერ-
თი-მეორის წინააღმდეგ. ამ საქმეს მეთაურობდა სილვა (ჯიბლაძე).

ოქტომბრის შემდეგ დაიწყო რეაქცია, გამოცხადდა საალყო წე-
სები, ჯარებს გადაეცა ხელისუფლება. ნამესტნიკის სამხედრო თანა-
მემამულეს გრიაზნოვს ჩაბარდა მათი მეთაურობა. ორგანიზაციამ გა-
დასწყვიტა მისი თავიდან მოცილება, შესრულება მიანდო სილვას.
მან გამონახა ამსრულებელნი (ა. ჯორჯიაშვილი და მისი ამხანაგი,
გვარი არ მაგონდება), დააყენა თავის ადგილას, გრიაზნოვის სადგო-
მის წინ, ხოლო თვითონ დაღვა გოლოვინის პროსპექტზე, საიდანაც
ხელსახოცის ამოლებით უნდა ეცნობებია გრიაზნოვის გამოსვლა შტა-
ბიდან. უცებ გრიაზნოვმა მართლაც გამოიარა ეტლით, სილვამ ნიშა-
ნი არ მისცა, რატომ? მას გვერდში ქალი ეჭდა და არ სურდა მისი
დაღუპვა. სამაგიეროთ ტერორისტებმა კარგად დაინახეს გრიაზნოვის
სახე და დაიმახსოვრეს. სილვა შემოვიდა ჩემთან რეზაქციაში და
მიამბო თავგადასავალი და დაამატა: ხეალ — ვერ გამექუვაო. მეო-
რე დღეს უცდიან დანიშნულ ალაგას, არ გამოჩნდა მსხვერპლი; დაღ-
ლილი სილვა შემოდის ჩემთან და სკამზე ეშვება დანაღვლიანებუ-
ლი — არ იქნა, არ გამოჩნდა, სიარულით წყალი ჩამიღვა მუხლებ-

შიო — გაათავა თუ არა ეს ფრაზა, გაისმა ბომბის საშინელი ხმა; სილვა წამოვარდა და გამორბის ქუჩაზე, დავიღუპე, უჩემოთ მოხდაო, სანამ აჯგილზე მივიღოდა, ყველაფერი გათავებული იყო. გრძელებული კავშირის გაბმა ციხის ეკლესიის ქართველი ღვდლის საშვალებით (გვარი არ მაგლნუება). კორჯიაშვილი მოკვდა მამაცურათ, სილვა არ გაუცია.

გრიაზნოვის მოშორებამ არ შეაჩერა რეაქცია, თუმცა ეტყობოდა ჰელმძლვანელობის მოშლა. მე ვიჯები დიდუბეში ცოლ-შვილით. ერთ ლამეს დიდუბე ჯარმა დაიკავა და დაუწყო ცემა ზარბაზნებით ერთ დიდ სახლს, სადაც ჩვენები ბლომათ რდგენ. დარწმუნებული, რომ ასეთი ბევრი ეწვევა ჩემს სასლსაც, გამოვედით ქუჩაზე და გავსწიეთ ტიხვევ-მოხვევით საბალოსნო სკოლისაკენ. გზაში შემოგვხვდა ყაზახების პატრული, მე გამჩხრიკეს, საათი ამოშართვეს და წავიდენ. მუორე ზღვეს დავბრუნდი ისევ ბინაზე, ჯარს არ სცოდნოდა სად ვიდები.

ორგანიზაციამ მოიწვია ფართე თათბირი ნაძალადევჭში, სადაც ჯერ კიდევ ვერ ბეჭავდა რეაქცია შესვლას. კრება გვქონდა მოეზანზე. გამოცხადდენ ბოლშევიკებიც, ესენი ყველა. ერთხმათ (შაუმიანი, სტალინი და სხ.) ითხოვდენ უამალვას, ორგანიზაციების დაშლას და თავის გადატანის. ჩვენ არ დავეთანხმეთ, ვითხოვდით რეაქციასთან ბრძოლის გაგრძელებას, მხოლოდ ერთი ცვლილებით --- ორგანიზაციის ხელახლა არა-ლეგალურ მდგომარეობაზე გადაყვანას. გავიდა ეს წინადადება ყველა ხმებით, წინააღმდეგ ბოლშევიკებისა. ესენი მაშინვე გადაიმალენ, ზოგი ბაქოს გაემგზავრა, არსად ბრძოლაში აღარ ჩნდებოდენ. ეს იყო მათი საბოლოვოთ ჩამოშორება ქართველ ხალხისაგან. ამ დიდ გავირვების დროს, ქართველობა ხედავდა მის გვერდში, მის ჭირში ჩაბმულთ ერთად-ერთ მენშევიკებს, სხვა პარტია არსად ჩანდა. აქ გაისკვნა საბოლოვოთ მჭიდრო კავშირი ჩვენ და ქართველ მშრომელთა მასებს შორის, რაიცა აღარ დარღვეულა შედეგში.


1906 წლის დასაწყისში პეტერბურგიდან მივიღეთ ცნობა, რომ ჩქარა მოხდება პარტიის ყრილობა სტოგპოლმში. გასარჩევი საკითხები: პარტიის გაერთიანება, აგრარული საკითხი, დუმასთან დამოკიდებულება და სხ. პირველი საკითხი გამოიწვია ერთმა გარემოებამ: რუსეთის ორივე ფრაქცია დარჩენ გარიყულნი მოძრაობისაგან; პროლეტარიატი იღებდა მონაწილეობას დუმის არჩევნებში, ირჩევა-დან სოც.-დემ.-ს პარტიული დადგენილების წინააღმდეგ; ირჩევდენ მეორე ხარისხოვანთ, ვინაიდან მთავარნი ბოიკოტს აღიარებდენ. სოც.-

ლემ. და მასას შორის გარღვევა იყო აშკარა. ამ გარემოებამ ჩააფიქ-
რა რუსის ბოლშევიკ-მენშევიკები და გადასწყვიტეს გაერთიანების
პრესტიუის აღდგენა. ჩვენთვის ეს საკითხები არ არსებობდა. ვვეში-
ცოდა მხოლოდ თავზე არ მოგვახვიონ აგრარული პრობლემის გუ-
ლი გადაჭრა. წავიდით სტოგპოლმში. მოვიდენ ბუნდოველები, რო-
მელიც პარტიიდან გავიდენ ლონდონის ყრილობისან უა პოლონეთის
სოც.-დემოკრატები პირველათ, როგორც ავტონომიური ერთეული
ყველა საკითხები გადაწყდა სწრაფათ, ბოიკოტი მოხსნეს, თუმცა მათ-
თვის ამას აღარ ჟონდა პრაქტიკული მნიშვნელობა, რუსეთში არჩევ-
ნები უკვე მოთავებული იყო; მხოლოდ ჩვენში უნდა გატარებული-
ყო, სადაც არჩევნები დაწყებულიც არ იყო. დიდი დებატები გამო-
იწვაა აგრარულ საკითხმა, რომელიც გადაწყდა მამულების ჩამორ-
თმევით და მისი განაწილებით სამათ: ზოგი სახელმწიფოს, ზოგი
თვითმართველობებს (მუნიციპალიზაცია), ზოგი მცირე და უმამულო
გლეხებს.

ამ წინადადებათა გატარებაში ჩვენმა დელეგაციამ მიიღო მხურ-
ვალე მონაწილეობა. ბოლშევიკები ყველა ამ რეზოლუციების წი-
ნააღმდეგ აძლევდენ ხმას და ითხოვდენ დუმის ბოიკოტის გაგრძელე-
ბას, ჩამორთმეული მამულების ნაციონალიზაციას, ე. ი. სახელმწი-
ფოს ხელში გადაცემას და სხ. ამ ყრილობაზე მოხდა პირველათ გა-
მოსწორება ჩვენი პროგრამის ერთი მუხლის — თვითგამორკვევა ნიშ-
ნავს ერის უფლებას საკუთარ სახელმწიფოს შექმნისას — გამოაცხა-
და პლეხანოვმა ყრილობის სახელით. პოლონეთის სოც.-დემოკრა-
ტებს ეს არ მოეწონათ, შეედავეს პლეხანოვს, ვინაიდან ასეთი ახსნა
ამართლებდა პ.პ.ს. წინააღმდეგ ავტონომისტებისა.

ამ მუხლის ასეთი განმარტება მე გავაკეთე წინეთ 1904 წ. ბრო-
შურაში „ქართველი ნაციონალისტები“, მაგრამ ეს იყო ჩემი პირადი
შეხედულება და პარტიაში ჯერ კიდევ გაურკვეველი. ამ ყრილობაზე
ყველა ჩვენი დელეგატი იყვენ მენშევიკები, ბოლშევიკების გარიყვა
აშკარა შეიქნა რუსებისათვისაც. მართალია, ი. ჯულაშვილმა და მისმა
მეგობრებმა მოიტანეს ყალბი მანდატები ბორჩალოს მაზრიდან, სა-
დაც არავითარი პარტიული ორგანიზაცია არ არსებობდა და რის გა-
მო სამანდატო კომისიამ არ იცნა.

როცა გამობრუნებისას სად. ბესლანს მივუახლოვდი, ხელში ჩა-
ბივარდა ვლადიკავკაზის რუსული გაზეთი, სადაც დაბეჭდილი იყო
თფილისიდგან ცნობა: თფილისში მოხდა დუმის დეპუტატის ამარჩე-
ველთა არჩევა. უმრავლესობა მენშევიკები გავიდენ, კანდიდატათ
არის წამოყენებული ნ. უორდანიაო. ძალიან გამიკვირდა, საღაური



სადუმო მე მნახეს, იქ ლაპარაკის მეტი არაფერი კეთდება, საჭირო იყო მჭერმეტყველი და არა მე. თფილისში ჩასვლისას ჩვენს **ცენტრში** დაცვი ეს საკითხი და უარი განვაცხადე კანდიდატურაზე არც კი მომისმინეს, გადაწყვეტილია ყველა რაიონში, კომიტეტში, ცენტრში და გადასაშინჯავი არაფერი გვაქვსო. დავემორჩილე ამ ახალ ბეჭს. მიხაროდა რომ დასავლეთ საქართველოში წამოყენებული იყო ცნობილი ორატორი ის. რამიშვილი, რომელსაც დავაკისრებდი საორატორო გამოსვლებს. საქართველოში ყველგან გავიდენ ჩვენი პარტიის კანდიდატები. ასე რომ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტია დუმაში გამოჩნდა ქართველების სახით. საბედნიეროთ იყვენ პარტიის გარეშე არჩეულნი სოც.-დემ. განწყობილნი რუსის მუშები (მუშათა კურიიდან), გაპნეულნი „ტრუდოვიკებს“ შორის. გამოვკრიბეთ იქიდან ისინი; ჩვენებთან ერთად დავაარსეთ პირველი სოც.-დემ. ურაქცია, რომლის თავმჯდომარეთ და ხელმძღვანელათ მე ამირჩიეს. საპარლამენტო ატმოსფერა იყო სასტიკათ ოპოზიციონური. მხოლოდ არა ჩანდა რა ძალები დგას პარტიათა ზურგს უკან, არსად ორგანიზაცია მასიური შემაღვენლობით, ყოველგან ინტელიგენტების კობიტეტები, რომელიც წარმოადგენდენ ხალხს, ლაპარაკობდენ მისი სახელით. ეს ძალიან კარგად იცოდა მთავრობამ და ამიტომ აღვილი იყო მისთვის დუმისათვის ანგარიშის გასწორება, როცა მოისურუებდა. ჩქარა მოისურვა. ჩვენ დაგვცალდა დუმაში ყოფნა მხოლოდ 24 დღე (თუ 28), კარები გამოვიკეტეს და წავედით ვიბორგში. ვიბორგი, ეს კადეტების (ე. ი. მილიუკოვის პარტიის) ინიციატივით, რაიცა ნიშნავდა ბრძოლაზე ხელის აღებას. შეიძლებოდა თვით პეტერბურგში შეკრება და რევოლიუციური ლოზუნგის გადმოსროლა, მაგრამ ეს არის საქმე მართლა რევოლიუციონერების და არა ოპოზიციონერების. ვიბორგში დავჭექით და ერთმანეთს შევტირეთ ჩვენი გამორეკა, ბოლოს ავირჩიეთ კომისია, რომელიც მოგვიტანდა რეზოლიუციის პროექტს. კომისიაში მეც მოვხვდი. იქვე იყო მილიუკოვი, თუმცა დეპუტატი არ იყო. ლიბერალები იყვნენ წინააღმდეგი რაიმე აპელაციის ხალხისადმი, ითხოვდენ მხოლოდ მდგომარეობის დახატვას და ოპოზიციის ნიაღაგზე გაჩერებას. დიდი დავიდარაბის შემდეგ რაღაც მოწოდების მსგავსი მაინც მივაღებინეთ და გამოუშვით.

8 გაშინვე გადავედი არა-ლეგალურ პოზიციაზე, გავიკეთე ბას-ბორტი და დავბრუნდი პეტერბურგში ცენტ. კომიტეტში სამუშაოთ, სადაც ამიტობით სტოგბოლმის ყრილობამ. ბოლშევიკები განჩენ გადგენ და დაიარსეს თავისი ორგანიზაციები, მათ ქონდათ უფრო მჭიდრო კავშირი მუშებთან, ვინემ რუს შენშევიებს. ესენი წარმოადგენ-

დენ წყნარ სახეს, კარგი აზრები, ჩინებულათ დამშერნი, მაგრამ არ ორგანიზატორები, მუშათა შუაგულიდან შორს მდგომი მართვის მიზანი ინტელიგენციის კრებები ახდენდენ უმშეობის შთაბეჭდილებას, არ იციან რა ქნან, რა გზას დააღვენ და მკვახე ლაპარაკით გული იჯერებენ. მიუხედავათ ამისა, ყველა ეს უგზო-უკვალო ორომტრიალ-შთაბეჭდილებას ახდენდა მთავრობაზე, რომელიც შემინებული ძალივით განაგრძობდა ხეზე ყეფას. მოიწვია მეორე დუმა.

საარჩევნო ტაქტიკის გამოსარკვევათ პარტიამ მოიწვია კონფერენცია ტამერთორსში. ბოლშევიკები, გარდა ერთად-ერთი ლენინისა გრინგრად უარყოფნენ დუმაში მონაწილეობის მიღებას და მოითხოვდენ „პირდაპირ მოქმედებას“. ლენინი გამოეთიშა მათ და გამოაცხადა — ის დგება „ჭაობში“. ყველა ის საარჩევნო კომბინაციები რაიცა ჩვენში იქნა მიღებული, მიღებულ იქნა აქაც. კონფერენცია დაიშალა. პარტია შეუდგა არჩევნებისათვის მზადებას. მე დავრჩია ვმუშაობდა პეტერბურგში. ტამერთორსის კონფერენციაზე საქართველოს პარტიამ გამოგზავნა ჩემი ცოლი ინა, რომელიც იყო იმავალოს მდივანი ჩვენი ცენტრის, რასაც ერქვა ბიურო. გაჩალდა საარჩევნო ციებ-ცხელება. ერთ დღეს მომდის სილვას წერილი: ირ. წერეთლის წამოყენება გვსურს დეპუტატათ და ის უარზეა, ეგების შედაგიჯეროს და მოსწერეო. თხოვნა შევასრულე, მივსწერე ქუთაისში ვრცელი წერილი, რომლის შემდეგ დათანხმდა, რასაც შემდეგ სილვა სიხარულით მატყობინებდა. ეს მგონი ერთად-ერთი მაგალითია როცა მან დამიჯერა, თუმცა შემდეგ ბევრი ლანდლვა და წყევლი მივიღე მისი დეილებისაგან, ნიკო ნიკოლაძის დებისაგან, ფრაქციის დაჭირის შემდეგ, ჩამოვედი საიდუმლოთ ქუთაისში. ქუთა ჩაზე მიცნო კატო ნიკოლაძემ, მომვარდა და დამიწყო ყვირალი, როგორ შენ თავისუფლათ დადიხარ, ჩემი კაკი ციხეში ზის შეხედითო და სხ. მოგროვდა ხალხი, ძლივს გავიპარე. იმავე სალამოს თფილისისაკენ გამოვსწიე.

მეორე დუმის არჩევნები დამთავრდა. ჩვენში მოხდა ის, რაც წინათ — გავიდენ ჩვენი კანდიდატები. რუსეთიდან ბოლშევიკები მეტად გავიდა, ვინემ მენშევიკები. შედგა გვარიანი დიდი ფრაქცია, 60 კაცამ დე თუ მეტი, ლიდერათ აირჩიეს ირ. წერეთელი. მე და ც. კომ. კიდევრი წევრი დაგვნიშნეს ფრაქციასთან სამუშაოთ, მის დასახმარებლათ. ირაკლი მართლაც გამოდგა დიდი ორატორი, ჩვენ მას წინეთ ამხრით არ ვიცნობდით. იყო ამასთანავე ფრთხილი. ყველა დიდ გამოსვლისათვის წინდაწინ ემზადებოდა, წამიკითხავდა, შესწორებას შეარანდა, დაიზეპირებდა და ჩინებულათ წარმოსთქვამდა. ამასთანავე

წინდაწინვე ვივარაულებლით რომელი ფრაზის შემდეგ რა ოპლიკა
შეიძლება ყოფილიყო და პასუხს იქვე მივაწერდით. უმრავლეს შემ-
თხვევაში ეს ვარაული მართლდებოდა.

პეტერბურგში ჩემი პარტიული მუშაობა სრულიად უნაყოფოთ
რჩებოდა. ორგანიზაციები ისევ ძველებურად დგებოდა და იშლებოდა.
მაღლიდან დანიშვნით. ყოჩალი ინტელიგენტი სოციალ-დემ. წავიდოდა
მუშათა რაიონებში და დაარსებდა მუშებისაგან ჯგუფს და მას ხელმ-
ძლვანელობდა. როგორც კი წავიდოდა, ან ვერ იცლიდა — ჯგუფი
აღარ იქრიბებოდა. ამავე დროს იყვენ ჩვენს რიგებში გაგებული, ნა-
კითხი მუშები, მაგრამ ისინი ხთებოდენ ინტელიგენტებათ და აგრძე-
ლებდენ მათ გზას. გაპონიზმის არსებითი მხარე ურყევი გამოდგა. ეს
კიდევაც მოსწონდათ. მეთაური და მისი მიმდევნო მასა მიაჩნდათ სა-
უკეთესო საორგანიზაციო ფორმათ. მთელი ამ მუშაობის იარალი იყო
ფული. რომელი მეთაურიც ან ჯგუფი ფულს იშოვიდა საღმე, ის აგ-
როვებდა თავის ირგვლივ მუშებს და ლიდერობდა. ამ მხრით ყველაზე
უფრო მდიდარი გამოდგა ლენინი. მისი აგენტები (სტალინი და სხვე-
ბი) ასდენდენ ექსებს, მას აძლევდა დახმარებას მდიდარი ფაბრიკანტი
მოროზოვი და ბევრი სხვა. მათ ჩაიგდეს ხელში ყვირილის ხაზინიდან
წალებული ფული. ერთი სიტყვით არ გავდენ დასაწყლებულ მენშევი-
კებს, რომელთაც მეთაურობდა მარტოვი, კაცი პატიოსანი, მარტო
ლიტერატორი, უწყინარი, ნიჭიერი უურნალისტი, მოკლებული ყოვე-
ლივე უნარს ლიდერობის და ორგანიზატორობის. ორივე ფრაქცია
ერთ პარტიაში ვიყავით, მაგრამ სინამდვილეში ცალ-ცალკე ვმუშაობ-
დით და ერთი-მეორის წინააღმდეგ ვემზადებოდით.

გადაწყდა მორიგი ყრილობის მოწვევა, რომელიც შედგა ლონდონ-
ში 1907 წ. მეორე დუმის დროს. საქართველოდან მოვიდენ 29 დელე-
გატი, ამათ შორის მეც. სასაცილო იყო დელეგატების არჩევნები რუ-
სეთში. როგორც კი ბოლშევიკები დაატყობდენ მენშევიკები მეტი წა-
ვიდა ლონდონისაკენ, მაშინვე საიდლანაც გამოაძვრენდნენ ახალ დე-
ლეგატს და მიაყოლებდენ. მოთავდა ყველგან არჩევნები, გავისტუმ-
რეთ დელეგატები და ჩვენც გაუდექით ლონდონისაკენ, ფინლიანდიის
გზით, ვინაიდან აქ შეიძლებოდა გადასვლა შინაური პასპორტით, ხო-
ლო შემდეგ არავინ თხოულობდა რაიმე პასპორტს.

ლონდონის ყრილობა ცნობილია, ვრცელი ოქმებია დაბეჭდილი; აქ
მხოლოდ კულისების ამბავს მოვიყვან. რუს დელეგატთა შორის დიდი
უმრავლესობა იყვენ ბოლშევიკები, მაგრამ როცა ქართველი მენშევი-
კები მიემატენ — უთანასწორდებოდენ რუს ბოლშევიკებს. ასე რომ
ორივე ფრაქცია თანასწორი რიცხვის იყვენ. ბრძოლა იყო სხვა დე-

ლეგატების მოსამხრობათ, ასეთები ბლომათ მოიპოვებოდენ: პოლონელები, ლატიშები, ბუნდოელები, ესტონელები. ესენი ზოგი აქეთ იყვენ, ზოგი იქით. პირველი ხელაღებ ემხრობოდენ ლეჩენის მხროლოდ აღშფოთებდა მათ ექსპროპრიის დაცვა ლენინელებისაგან. მათ ევროპიულ ყურს ეხამუშებოდა ასეთი ამბავი. ბუნდოელები იყვენ ჩვენსკენ, ხოლო ლატიშ-ესტონელები საღ იყვენ თვითონ არ იცოდენ. ესენი ახალ გამოსულნი, გამოუცდელნი, ხალისის და გუნების ამყოლნი, ტყეში დიდხანს ნამყოფნი („ტყის ძმები“) — არავითარ საკითხში გარკვეული ხაზი არ ქონდათ. არჩეულ იქნა მთავარი კომისია პოლიტიკური რეზოლუციის შესამუშავებლათ და კონგრესზე წარმოსადგენათ. კომისიაში მოხვდეს ყველა ლიდერები ყველა ჯგუფის და ფრაქციის, ამათ შორის ვიყავი მეც. კომისიამ იმუშავა ორი დღე და ვერავითარ ნაყოფს ვერ მიაღწია. რეზოლუციის ყველა პროექტის კენჭისყრის დროს ხმა იყოფოდა, ანდა ერთხმად ფლავდებოდა. ამ უწყოფო შრომის შემდეგ დავიშალეთ და მივაწვდევთ კერძო ინიციატივას რეზოლუციების ყრილობისათვის წარდგენა.

მივდივართ ქუჩაზე ასე ხელ-ცარიელი, ხმა შემომესმა უკანიდან: ქასტროვ (ეს ჩემი პსევდონიმი იყო) მოიცავეთ ერთ წუთს. მოვიხედე — ლენინია. დავიცადე და ერთად გადავედით ქუჩის მეორე ნაპირას. მან მითხავა სიტყვა-სიტყვით შემდეგი: ქართველები ნუ ერევით რუსების საქმეში, თქვენ არ იცნობთ ჩვენს ხალხს, მის პსიხოლოგიას, მის ყოფა-ცხოვრებას და რატომ ხელს გვიშლით ჩვენ ჩვენი საქმეები ჩვენებურათ, რუსულათ მოვაგვიროთ. მიიღეთ ავტონომია, აკეთეთ საქართველოში, რაც და როგორც გსურთ, ჩვენ არ ჩაგერევით, წურც თქვენ ჩაგვერევით! გამიკვირდა, გავოცდი, მეგონა მცდიდა, დავატყვე სერიოზულათ მელაპარაკებოდა და განუცხადე — პასუხს ახლა ვერ მოგცემ, შევეკითხები ამხანაგებს, სწორეთ ამ სალამოს გვაქვს კრება ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ძლიერ კარგი, დასვით ეს საკითხი, თუ გნებავთ მეც დამიძახეთ, დაიმახსოვრეთ ჩემი წინადადებაა: თქვენ, ქართველები, ნუ ერევით ჩვენს პარტიულ საქმეებში, ჩვენ არ ჩავერევით თქვენსაში. ხომ ხედავთ საითქენაა რუსის მუშათა კლასი, მისი დელეგაციის უმრავლესობა ბოლშევიკებია, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, ხალხი რევოლუციონური განწყობილებისაა, მენშევიკები ოპორტიუნისტებია, მათ მხარს როგორ დაუჭერენ. მაკვირვებს მხოლოდ თქვენი, ქართველი სოც.-დემ. საქმე, თქვენ ხართ რევოლიუციონერები, როგორც ჩვენ. რა გაქვთ საერთო მარტოვ-დანის კამპანიასთან... ამ ლაპარაკში მივედით კონგრესის ბინასთან და ერთმანეთს დავშორდით.

ვიფიქრე, განვაცხადო ეს ამბავი ჩვენს კრებაზე. ამხანაგები აღშ-

ფოთდებიან, ხმა ვავარდება, ლენინს ბევრი მოხდება, პრესტიული დაწევება, ვისთვის რა სასარგებლოა ეს. არ განვაცხადო — შეიძლება საყვედლური მითხრას, ხოლო თვითონ კი განაცხადოს თავის წრეშემარინება დარჩევი არაფერი უთქვა, მოვიცადო მეორე დღემდე და თუ ისიც გაჩუმდა, ცხადია, თავის აზრებს მსვლელობას აღარ აძლევს. ეს პოზიცია ვამჯობინე, მით უფრო რომ ბევრში მართალი იყო. რუსი მენშევიკება მართლა უხერხემლო ინტელიგენციას წარმოადგენდენ და უფრთხოდენ რევოლიუციურ გამოსვლებს, ყოველივე გადაწყდება ნელ-ნელა დუმის გზითო. ამ საკითხზე, ტაქტიკის შესახებ, ფრაქციის საერთო კრებაზე დიდი შეხეთქება გვქონდა მათთან. გავიდა ერთი კვირა, ლენინი გაჩუმებულია. მეც გაჩუმებული ვარ, თუმცა ვხვდებოდით ერთ-მანეთს. ამის შემდეგ ეს ამბავი აღარავისათვის არ მითქვამს. ლენინი ვაცანი ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ის რაც მე მითხრა ლონდონში, სახელმწიფოს სახელით გამოაცხადა: ყველა ერს უფლება აქვს მოშორდეს რუსებს, ჩვენ თავს ჩვენვე მოუვლითო. რა გამოვიდა აქტდან ვიცით, ისინი მოაჯდენ რუსის მასას და შემდევ ჩვენც...

ყრილობა ვათავდა, აირჩიეს ც. კომ. მასში მეც. დავბრუნდით რუსეთში. ც. კომ. მუდმივი ბინა იყო ფინლანდიაში, ქ. ტერიოკში. აქედან სხვადასხვა მისიებით ჩუმათ ჩავდიოდი პეტერბურგში. დუმას და მთავრობას შორის ბრძოლა გამწვავდა. ჩვენ ფრაქციას საფრთხე დაუდგა. მე ვამაგზავნეს სასწრაფოთ მოვლაპარაკებოდი მთავარ პირებს — დაუყონებლივ გადამალულიყვენ და ბრძოლა განეგრძოთ არა-ლეგალურათ, ან ვასულიყვენ საზღვარ-გარეთ. პირველათ ვინაბულე ირაკლი. ვაცნობე ც. კომ. წინადადება, ხელათ უარი მითხა, მიუღებელიაო. როგორ დავტოვო ამსანაგები ტყვეობაში, ვინ დაიცავს მათ და ჩვენ საჭმესო და სხ. არ. ზურაბოვი მაშინვე დათანხმდა და გადაიმალა, ჯაფარიძე ვერ ვნახე, რუსების მენშევიკურ უმრავლესობას არ სჭეროდა საფრთხის მოახლოვება, კიდევ გვაქვს დრო მოსაფიქრებელათო, ბოლშევიკები მზათ იყვენ დასამალავათ, ბევრი შინ აღარ ათვედა ღამეს. დავბრუნდი ტერიოკში ამ ამბით. მეორე დღეს ისევ წაჟედი ირაკლის დასარწმუნებლათ, მივედი მისას — შინ არ იყო, მივედი სხვა დეპუტატებისას — შინ არავინ დამხვდა. ირაკლისას მივედი მეორეჯერ, ლამის 11 საათზე — არ მოსულაო. 12 საათის მატარებლით გავბრუნდი ტერიოკში, რომ მეორე დღეს ისევ ჩამოვსულიყავდ. ეს მეორე დღე უკვე ვვიანი დარჩა. იმავე ღამეს, დილის მესამე საათზე, დაეჭირათ ყველა სოც.-დემ. დეპუტატები, ვინც კი შინ დახვდათ. აჩავ შორის ყველა ქართველები. დილით გამოცხადდა დუმის გარეკა. გავიგე რომ წინა საღამოს ჩვენებს ქონდათ კრება დიმიტრი სოკოლოვის

სას, რაიცა გასტანა ლამის საათის პირველამდე, რის გამო არცერთი შინ
ვერ დამიხვდენ.

მეორე დუმის გარეკასთან ერთად გამოვიდა უქაში მესამეს მოწვე-
ვისა ახალი საარჩევნო უფლებით, რაიცა ფართე მასებს საკუთრივი
რიცხვდა დუმის ასპარეზიდან (კანონი კრიუანოვსკის). ამასთანავე სა-
ქართველოს შეუმცირეს წარმომადგენელთა რიცხვი. ამ დროს პარტი-
ულ წრეებში დაიწყო აგიტაცია ამ დუხშირი დუმას ბოიკოტის შე-
სახებ, საჭირო შეიქნა კონფერენციაზე საკითხის გადაწყვეტა, რაიცა
ბორვეულ იქნა ტამერფორსში.

კონფერენციის გათავებისას მე გავემგზავრე საქართველოში. თფილისში დამხვდა გაუტეხელი სული, პარტიის ფართო ორგანიზაციე-
ბი, საზოგადოების აწეული და მხნე სულისკვეთება. არავითარი შიში
და დაბნეულობა. მე შეუდეგი გაზეთში მუშაობას და ორგანიზაციე-
ბის კრებებზე დასწრებას. აქ აყალ-მაყალი იყო ხშირათ, პროპაგანდის-
ტები მუდამ ბუზლუნობდენ, მეორე ხარისხოვანი ამხანაგები ვართ,
სელმძლვანელ როლში არ გვიშვებენო, მასსოვს ერთხელ გაფიცვაც კი
მოაწდინეს, უარი თქვეს პროპაგანდის გაგრძელებაზე. საკვირველია,
ყოველთვის მათი ოპოზიციის მეთაურები იყვენ ერთი და იგივე პი-
რები.

ამ ხანაში მოგვევლინა ოპოზიცია მარჯვნიდან ლ. დარჩიაშვილის მე-
თაურობით და გამოსცეს უურნალი „ალიონი“. ამათი მიზანი იყო ნა-
ციონალური საკითხის წინ წამოწევა. მიზანი ჩინებული, მაგრამ საშუ-
ალება უვარგისი. მათ ასეთი პროპაგანდა უნდა ეწარმოებიათ პარტიის
შიგნით შიგნიდანვე, ისინი კი გავიდენ გარეთ, მოგვდგენ გარედან. ვე-
რავითარი ნაყოფი ვერ მიიღეს. დაიწყო დეპუტატების არჩევნები.
თფილისში და კუბერნიაში უმრავლესობა ამრჩეველთა გავიდა არა
სოციალ-დემოკრატები, რასაკვირველია, უმთავრესათ ლიბერალები
და დემოკრატები. ამათ წამოაყენეს კანდიდატით ლუარსაბ ანდრონი-
კაშვილი, ჩვენებმა მას დაუპირდაპირეს კარლო ჩხეიძე. საკითხს
სწყვეტდენ სომხები, რომელთაც მეთაურობდა ალ. ხატისოვი. მე გამ-
გზავნეს მასთან მოსალაპარაკებლათ ქალაქის გამგეობაში; მქონდა
შეხვედრა ორჯერ. მე ვუთხარი: ჩვენ ვართ დემოკრატები, თქვენც
ხართ, ჩვენ ვართ სოციალისტები, თქვენ არ ხართ, მაგრამ სოციალიზ-
მისათვის დღეს არ ვიბრძვით, არც მის განხორციელებაზე ვოცნებობთ
ახლო მომავალში; ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ ძირითადი პოლიტიკური,
ადამიანური უფლებები. თქვენი მიზანიც ეს არის. ნაციონალურ სა-
კითხში ჩვენი პოზიცია იცით, ვიცავთ ყველა დაჩაგრულ ერებს თანა-
წორათ, თქვენსას, ჩვენსას, ყველას და მათ მოთანხმებულ თავისუფალ

ცხოვრებას და სხ. ხატისოვი გულწრფელი, გულლია კაცი ცულ არ დაუმალავს არაფერი. მან სავსებით დამეთანხმა, მხოლოდ ეჭვობლა ამ-ხანაგების დაჯერებაში. ლუარსაბი კადეტია, ჩვენც კადეტები ფართვა-ნაირათ შეიძლება პარტიულ ამხანაგს არ მივსცეთ ხმა და თქვენ მოგ-ცეთო. ვეცდები მაინცო. არჩევნები დამთავრდა კარლოს არჩევით. სომ-ხებში ნაციონალურმა საკითხმა ითამაშა გადამჭრელი როლი. ანდრონი-კაშვილი დასახეს ქართველ ნაციონალისტათ და როგორც ამნაირი — სომხების მოწინააღმდეგეთ. ამავე დროს ქუთაისში იყო გაცხარებული საარჩევნო მუშაობა, ყველა ჩვენი ორატორები და მოსაქმე იქ მიაწვა. ჩვენი კანდიდატი იყო ევ. გეგეჭკორი. სწორეთ არჩევნების წინა დღეს სალამოს დავბრუნდი ლანჩხუთში. ვუცდი მეორე დღის შედეგებს. ჩემ-სას არის გრ. ურატაძე, სალამოს ვლებულობ დეპეშას — ევგენი არ აირ-ჩიესო. კინალამ ორივეს გული წაგვივიდა: გავეჭანეთ სამტრედიისაკენ, მეორე დღეს გავიგეთ რომ დეპეშა იყო შეცდომით გადმოცემული — უნდა ყოფილიყო ევგენი აირჩიესო.

თფილისში ვცხოვრობდი კონსპირატიულ ბინაზე, ერთი ებრაელის ოჯახში, იქვე ახლოს იდგა ჩემი ოჯახობა, სადაც სალამოობით ჩატარდა შევიპარებოდი. საერთოდ თავს ვგრძნობდი გვარიან თავისუფლათ, თუმცა სიფრთხილის გამო გამოვდიოდი ქუჩაზე სალამოობით. ვანსა-კუა, ხრებით საშიშარი იყო გასვლა ხილებზე, სადაც ჭარალ რდგენ გალმა-გამოლმა „ოხრანიკები“. გავიგე რომ გამჭარებით მეძებლენ. ერთ სალამოს მივდივარ გოლოვინის პროსპეკტით ვერისაკენ. სწორეთ პროსპეკტის ბოლოში, მარცხნივ პოლიციის „უჩასტკის“ გვერდით ვი-ლაც წამომეტია და რუსულათ მეუბნება — გთხოვს პრისტავი შემობრ-დანდეთ ერთ წუთშიო. მე განვაგრძე სიარული, ვიღაცეები წინ გამი-ჩერდენ, დამიწყეს მიპატიუება. მე უარზე ვარ, ლაპარაკის დროს ხალ-ჩა თავი მოიყარა. ვიღაცამ მიცნო, მათ შეეშინდათ და ძალით შემიყ-ვანეს იქვე ალაყაფის კარებში. შევედი პოლიციაში, მოვიხედე უკან, მთელი ხალხი შემომყოლოდა, ვიცანი ს. ჭულელი და სხვები. პრისტავს შეეშინდა და მე მის კაბინეტში წამიყვანა, ვუჩვენე პასპორტი, დაეჭი-და და იქვე, უანდარმერიას დაურეკა — ეს უორდანია არ უნდა იყოს, ქალალდები წეს-რიგში აქვსო. რაღაც უთხრეს იქიდან და კარები ჩა-მიკეტა. გულუბრყვილო კაცი იყო, მითხრა, უანდარმერიისაგან ვიპა-სუხეს, სწორედ უორდანია, მის ქალალდებს ნუ უყურებთო. რაღა მექ-ნა, გავტყდი, მოვინდომე პასპორტის გადავდება (ამისთვის სამი თვის ციხე იყო), მაგრამ ვერ მოვახერხე, „ოხრანიკები“ შემოვიდენ და ჩა-იბარეს. შემოსული ხალხი გარეკეს და მე ერთ რაღაც საძაგელ-ოთახში დამამწყვდიეს დილამდე. მეორე დღეს დილით გამატარეს უანდარ-მერიასთან და იქიდან მეტებში.

პეტერბურგიდან ჩამოვედი 1907 წ. დეკემბერში. მამანემს ცოცხალს მოუსწარი. წვეთდაცემული იწვა შინ და გარდაიცვალა ორ კვირაში. დამაკავეს 1908 წ. აგვისტოში. კიდევ გვარიან დიდხანს გავძელებულებულებულათ, თუმცა მთელმა თფილისმა იცოდა ჩემი თბილისში ყოფნა და იქ მუშაობა. ასე დაშორებული იყო მეფის „ოხრანკა“ საზოგადოებისაგან. მაინტერესებდა რა ბრალდებას წამომიყენებდენ, გარდა ვიბორგის მოწოდებისა და ყალბი პასპორტისა. თფილისიდან უცებ გადამგზავნეს პეტერბურგში ორი უანდარმის თანხლებით. ეს, მოგზაურობა იყო ერთი სიამოვნება, გარდა კავკავში შეჩერებისა, სადაც ერთი ღამე გამათევიეს სატუსალოში, სისხლის საჭმეთა დამნაშავეთა საკანში. ამათაც ეგონათ, რომ მე ან ქურდი ვარ, ან მკვლელი. მეც შევიფერე, რომ უდიერათ არ მოპყრობოდენ. მეორე დილით ძალიან გაუკვირდათ ჩემი საკანიდან გაყვანა უანდარმების მიერ. ასტეხეს ხმაურობა, ჩვენი არ ყოფილა, მოგვატყუაო. კავკავიდან რამდენიმე საათით შვმაჩერეს როსტოვში და იქიდან შეუჩერებლივ ჩამიყვანეს პეტერბურგში. დამამწყვდიეს სატუსალოში, სახელწოდებით „ოდინოჩნაია ტიურმა“. აქ ამწყვდევდენ დიდ დამნაშავეთ, ათავსებდენ მარტოთ საკანში და არ ქონდა უფლება გინმეს გალაპარაკებოდენ სეირნობის დროს. მოპყრობა იგი რიგიანი, საჭმელს მე თვითონ ვიწერდი სატუსალოს სამზარეულოდან ჩემი არჩევით. ერთ კვირაში მივიღე უწყება და ბრალდება — სასამართლოში გამოცხადება ვიბორგის მოწოდებისათვის. წამიყვანეს, მიცავდა ერთი ვექილი ვილნოდგან, გვარი დამავიწყდა. გადამიწყვიტეს სამი თვე, როგორც ყველა ვიბორგელთ, მას მიაყოლეს კიდევ სამი თვე ყალბი პასპორტის ხმარებისათვის. სასაკართლოში ავხსენი ვიბორგის მოწოდების მოტივები და მიზანი. ეს სიტყვა დაიბეჭდა ჩვენში. რვა თვის ციხეში ყოფნის შემდეგ მოულოდნელათ გამანთავისუფლეს. არავინ ელოდა. ყველა ფიქრობდა გადამასახლებდენ. წავედი კ. ჩხეიძესთან, სოც.-დემ. ფრაქციის ბინაზე. მირჩიეს დაუყონებლივ გადამალვა. მე არ ვჭენი, ვნახოთ, რაც მომივა — მომივა თქვა. რამდენიმე კვირის შემდეგ გავსწიე საჭართველოსაკენ, უკვე ლიგალურათ. ჩემს ცოლს ადგილი ეშოვა ბაქოს ქალაქის სამართველოში და იქ გადასულიყო შვილებით. თფილისში ცხოვრობდენ თურმე ტეტათ გაჭირვებულათ. მე დავბრუნდი ბაქოში, დ. სარაჯიშვილმა მომანდო მისი ბის ლიოთეკის კატალოგის შედგენა და დამინიშნა ფულით ჭილდო. წავედი თფილისში, ავსწერე წიგნები, დავბრუნდი და შეუდეგი მათ განაწილებას კატალოგისათვის. ამავდა დროს რამდენიმე ქართველმა დავიწყეთ უურნალის გიმცემა ლეგალურათ. ინა იყო წევრი ბაქოს მენშევიკური ორგანიზაციის და რეგულიარულათ მუშაობდა

პარტიაში. ის მეთაურობდა მეოთხე დუმის საარჩევნო კომისიას, რის შედეგი იყო მ. სკობოლევის არჩევა დეპუტატათ. დ. სარაჯიშვილმა მომცა წინადაღება, კატალოგის შედგენის შემდეგ, წავსულიყავის იტალიაში და იქ შემესწავლა კოოპერაციის საქმე. ეს მივიღე დიდის სიამოვნებით და ერთ მშვენიერ დღეს ცოლით და ორი შვილით თავი ამოვყავი იტალიაში.

ზღვის პირას ავირჩიე სოფელი კავი და დავბინავდით. იქიდან მე გადმოვედი სწორეთ იმ რაიონში, სადაც სასოფლო კოოპერატივები უფრო იყო განვითარებული და შევუდეჭი ჩემი მისის შესრულებას. იქ დავყავი რამდენიმე თვე, დავაგროვე მასალები, გავიცანი ხალხი. მომეწონა იტალიელები, ჩვენ გვანან და დამიმეგობრდენ მცხოვრებნი, მასწავლებლები, ძალიან ბევრი ვნახე ფრანგულის მცოდნე, დავყავა რამდენიმე თვე. კავში დაბრუნებისთანავე მივიღე წერილი, პარიუში დანიშნულია კრება ც. კომიტეტისა (რ. ს.-დ. პარტიისა) და დაუყონებლივ ჩამოდიო. მე, როგორც წევრი ც. კომ. ვალდებული ვიყავი დავსწრებოდი და მაშინვე გავემგზავრე. გზაში შევჩერდი სან-რემონში, პლეხანოვის სანახავათ და მოსალაპარაკებლათ. პლეხანოვი დამხვდა ძალიან გულმოსული ბოლშევიკებზე, ისინი პარტიიდან გამოსარიცხავი არიან, მაგენი ყაჩალებია, ქურდებია, მიუხედავათ ლონდონის კონგრესის გადაწყვეტილებისა, ისინი განაგრძობენ ექსების მოწყობასთ და სხ. თან ძალიან გაჯავრებული იყო მენშევიკ-ლიკვიდატორებზე. ასეთები მართლა იყვენ, ფიქრობდენ არა-ლეგალური მუშაობის შენელებით, ლეგალურის გაძლიერებას და ამ გზით პოლიტიკური თავისუფლების მაინც მიღებას. ამ მიმდინარეობას მეთაურობდენ პოტრესოვი, დანი და რამდენიმეთ მარტოვიც და სხ. პლეხანოვს ძალიან გაუბარდა ჩვენი რევოლუციონური პოზიცია და დაიმედდა ც. კომიტეტი მოვითხოვდი ექსპროპრიატორების და ლიკვიდატორების პარტიიდან გარეკას. მე ეს ვერ დავპირდი, არც უარი მითქვამს, თუმცა მაშინვე შევადგინე ჩემი აზრი: თუ ეს ორივე კატეგორია თავიდან მოვიცილეთ, პარტიაში ვინდა დარჩებოდა. ჩემი მიზანი იყო მათი პოლიტიკური და ორგანიზაციული მორიგება, პარტიის გამთელება. ამის შესახებ წერილები მოვათავსე ვენაში ტროცკის რუსულ უურნალში. მართალია უტოპია გამოდგა. მე მიუდეჭი იმ ქართული თვალსაზრისით, რომ შეიძლება იყო რევოლუციონერი და დემოკრატი, ორივე თვისების ერთ პირში თუ ერთ ჯგუფში მოთავსებით. ამ აზრით წავედი პარიუში.

ც. კომ. მოწვევა გამოიწვია ერთმა უჩვეულო ამბავმა. ლიტვინოვი დაიკირეს იმ დროს, როცა ბანქში ახურდავებდა ერევნის მოედანზე

გატაცებულ ასიგნაციებს. ბოლშევიკები შეეცადენ ამ საქმისათვის /მიზანი/ ეცას, პოლიტიკური ხასიათი, რომ ლიტვინოვის განთავისუფლება /შე/ საძლებელი ყოფილიყო. ეს მართლაც დაამტკიცეს შვეიცარიუმის სამართლოს წინაშე ლიტვინოვი გაანთავისუფლეს, როგორც პოლიტიკური დამნაშაუე, მაგრამ სკანდალი დიდი გამოვიდა. გავარდა ხმა მთელ ვა-როპაში, რომ რუსეთის სოც.-დემოკრატები არიან ბანდიტები, მცარე-ველები. და ს. ინტერნაციონალიც შეშფოთდა; ასეთ ხალხს ჩვენთან რა უნდათო მენშევიკები და პოლონეთის სოც.-დემოკრატებიც მას აყვა და მოითხოვე! ც. კომ. მოწვევა და ეროვნელ და სამეცამოთ სკანდალი-სათვის ბოლოს მოლებ.

პარიჟი უკვე დამჩუდა ც. კომ. მთელი შემადგენლობა: ოთხი მენ-შევიკი (ჩემიანა), ოთხი ბოლშევიკი, სამი პოლონელი სოც.-დემ. (ტიშკო, ვარშავსკი, დერჯიინსკი), ერთი ლატიში, სულ 15 კაცამდე. ბოლშევიკებ ლენინის მეთაურობით შეშინდენ, ყველა მოთხოვნილებაზე თანხმობა განაცხადეს, ამათ შორის მთავარი იყო თფილისის ასიგნაციების წარმოდგენა და დაწვა. ამას ხელი მოაწერეს, მაგრამ შემდეგ არც ერთი დაპირება არ შეასრულეს, ფული არ წარმოადგინეს, არ დაწვეს და ჩუმჩუმათ ასალებდენ. ხოლო ექსები კი შეაჩერეს. მით უფრო რომ უკანასკნელი ექსისტები თფილოსში ჩავარდენ. ბევ-რი დავა იყო ლიკვიდატორობაზე. მაგრამ საერთო პოლიტიკური რეზოულუცია მივიღეთ მაინც ორი კვირის დავის შემდეგ ასე თუ ისე თან-ემობით. ც. კომ. დაიშალა. მე გავბრუნდი იტალიაში, გზაში ვინახულე პლეხანოვი და მოხსენება გაუკეთე, დიდათ აღშფოთდა, ბოლშევიკები პარტიიდან უნდა გაგეხევებიათ, ჩვენი პრესტიუი მხოლოთ ამით აღდ-გებოდა, ისინი ფულს არ დაწვავენო და ს. ითხოვდა პარტიიდან გაძე-ვებას აგრეთვე პოტრესოვის და დანის, როგორც გაუსწორებელი ლიკ-ვიდატორების. როგორც იყო დავაწყნარე, იმედი მივეცი, ამ პირველ ნაბიჯებიც მოყვება თქვა და გამოვეთხოვე.

ევროპის სოციალისტურ წრეებში ბოლშევიკების პრესტიუი მთლათ დაეცა, მათ არავინ თვლიდა სოციალისტებათ, არც ღებულობდენ თა-ვიანთ წრეებში. ისინი გაქრენ ლია ასპარეზიდან, ჩაიკეტენ თავიანთ შორის და რას აკეთებდენ არავინ იცოდა. ვიცოდით მხოლოთ მათ კავშირი აქვთ დუმის ბოლშევიკურ ფრაქციასთან და მის ლიდერთან შალინოვსკისთან, რომელიც პროვაკატორი აღმოჩნდა შემდეგ. ასე რომ მთელი მათი მუშაობა ევროპაში და რუსეთში პეტერბურგის „ოჩ-რაც“ წინაშე წარმოებდა.

1909 წ. იტალიიდან დავბრუნდი ოჯახობით საქართველოში. ინა ბავ-შვებით დაბრუნდა ბაქოში აღგილზე (თვითმართველობაში), მე ვიზავ.

ხან თფილისში, ხან ლანჩხუთში და ბაქოში. განვაგრძობდი პარტიული პრესაში მუშაობას და ორგანიზაციებში მონაწილეობის მიღებას, ეჭვი ხანებში ჩემს უმთავრეს ყურადღებას იპყრობდა ნაციონალური საკუთრივი თხი და მისი გადაჭრის შესაძლებლობა. გამოვდიოდი ისე, როგორც ყველა პარტია, რუსეთის იმპერიის მთლიანობისაგან და ვიცავდი ჩემს პროექტებს ამ საკითხის მოგვარებისა იმპერიის ფარგლებში. კულტურული ავტონომია მიმაჩნდა უდაოთ ყველა ერისათვის, ხოლო ტერიტორიალური ავტონომია საღაოთ, ვინაიდან ერთა შერევა მისცემდა დასაბამს შინაურ შულლს და ბრძოლას. ბოლოს მივედი შემდეგ დასკვნამდე: ტერიტორიალური და კულტურული ავტონომია ეროვნულათ მთლიანი ტერიტორიისათვის, ეს იქნებოდა ერთი, მაგალითად ქართული კანტონი; ხოლო ნაციონალურათ შერეულ ტერიტორიაზე ამ ორი სათავოს გაყოფა — კულტურის საქმეში თვითეული ერის საკუთარი ავტონომია; ხოლო პოლიტიკურ, აღმინისტრატიულ და სხ. საქმეებში ტერიტორიალური თვითმართველობა. ამ თემაზე საზოგადო ბევრი ვსწერე ქართულათ და ტროცკის ჟურნალში რუსულათ საზღვარ-გარეთ.

მე გაგონილი მქონდა, რომ პირველი დუმის გარეკვის შემდეგ სტოლიპინმა (პრემიერი) დაუგზავნა საიდუმლო ცირკულიარი თავის ხელშეკითხებს, რომ დუმის წევრების დევნა მომხდარიყო მხოლოდ სასამართლოს წესით. ამიტომ მე გადავრჩი გაციმბირებას 1908 წ. ხშირათ ვფიქრობდი რა საშუალებას მიმართავენ ჩემს წინააღმდეგ, რა ბრალდებას გამოიგონებენ სამართალში მისაცემათ. ვიცოდი რომ ჩემი დაბრუნება ევროპიდგან არაფრათ ეჭაშნიკა თფილისის უანდარმერია და მისი აგენტები ფეხდაფეხ მსდევდნენ. ერთ საღამოს მოულოდნელათ მესტუმრენ ეს დაუპატიუებელი სტუმრები ლანჩხუთში და გამიტაცეს ქუთაისის სატუსალოში. გავიდა ერთი თვე და პროკურორი მიყენებს ბრალდებას 126-ე მუხლის ძალით, ე. ი. მოწოდებას არსებული პოლიტიკური და სოციალური წეს-წყობილების დასანგრევათ. საბუთად მოყავდა ჩემი გაზეთში მოთავსებული სტატიებიდან სხვადასხვა ამონაწერები. გავარდა ეს ხმა. ამხანაგები შეშფოთდენ. დუმის სოც.-დემ. ფრაქციას გადაეწყვიტა იქიდან გამოგზავნოს დ. სოკოლოვი ჩემს დამცველათ. ამონაწერებში, რასაკვირველია, ვერსად ამოიკითხავდა მოწოდებას, ეს არც შეიძლებოდა. გაზეთს მაშინვე დახურავდენ. ეტყობოდა, რომ ჩემი გაცლა საზოგადოებიდან გადაწყვეტილი იყო, ხოლო რა საბუთს მოიყვანდენ, ამას არ დაგიდევდენ. გამასამართლა ქუთაისის ოლქის სასამართლომ და მომისაჯა სამი წლის ციხეში ჩამწყვდევა. სოკოლოვმა ვერ მომისწრო, ჩამოვიდა სწორეთ პროცესის გა-

თავებისთანავე, სასამართლომ დაადგინა რომ შეიძლება ჩემი თავდების ჭვეშ განთავისუფლება სამი ათასი მანეთის საწინდარით. აპელაცია გა-
დავიტანე პალატაში და შეუდექი. ამ თანხის შოვნას. არსებდს აქტუალურობე-
ლოში არ გამოჩენდა ერთი ან რამდენიმე პირი ასეთი თანხის დამდები.
ალბათ, ფიქრობდენ, გაიქცევა და ფული დაგვეკარგებაო. ერთ დღეს
მომდის დეპეშა ბაქოდან ინასაგან, სამი ათასი მანეთი ვიშოვე და შე-
ვიტანე ხაზინაშიო. გამაკვირვა სად ან როგორ იშოვა. გამიშვეს, წავე-
დი ბაქოში. ინასათვის ეთქვათ, რომ არის ერთი ქართველი მენაფთე მან-
სვეტაშვილი, მიღი და შეიძლება მოგცეს ფულიო. მას მე ვიცნობდი
ჯერ კიდევ თფილისში, როცა ის „ივერია“-ში სწერდა ფელეტონებს
დონ-იაგოს პსევდონომით. ალბათ ჩემზე კარგი აზრი შერჩა, რომ ინას
მაშინვე დაუთვალა საჭირო თანხა.

1913 წ. რუსეთმა გადაიხადა იუბილე რომანვების სამასი წლის
შეფობისა. ამის გამო ნიკოლოზმა გამოსცა წვრილ-წვრილი ამინისტია,
რაიცა პოლიტიკურებს არ შეხებია, სამაგიეროთ პრესის დანაშაულო-
ბისათვის კი ფართე ამნისტია გამოაცხადა. მოულოდნელათ მეც მოვ-
კევი ამ ამნისტიის სფეროში და ჩემი საჭმე პალატამ მოსპო. ინამ
დაუბრუნა სამი ათასი მანეთი მანსვეტაშვილს, რომელმაც ძალიან
გაიკვირვა. ეს პირველი მაგალითია გასესხებული ჩემ მიერ თანა ვის-
მეს დაებრუნებიოსო.

ვინაიდან სკობოლევის საარჩევნო კომპანიის მთავარი ხელმძღვანე-
ლი იყო ინა, მას მოუვიდა პოლიციის განკარგულება, აექრძალა კავ-
კასიაში ცხოვრება სამი წლით. იძულებული იყო წასულიყო რუსეთში.
დაგილი იშოვა მოსკოვში და დაბინავდა იქ შვილებით. მე ხშირი ავათ-
მყოფობის გამო გადავსწყვიტე დროებით საზღვარ-გარეთ წასვლა
საეჭიმოთ. ამით პოლიციის ახალ ხრიკებსაც გადავრჩებოდი. საკვირვე-
ლია, არასდროს ასეთი მგზავრობისათვის საჭირო თანხაზე არ მიფიქ-
რია. ყოველთვის ხერხდებოდა ფულის შოვნა. ჩვენი ერთადერთა
დამხმარე კერძო პირთაგანი იყო დ. სარაჯიშვილი, დიდი მრეწველი,
დიდი ბურუუა, განათლებული და ფართო ბუნების კაცი. ის ეხმარე-
ბოდა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას, როდესაც გაგვიჭირდებოდა და
მივმართავდით. მეხმარებოდა მე. რატომ? ერთხელ მითხრა: ქართული
ბურუუაზია არ არსებობს, იყოს ასიოდე ჩემფერი ქართველი, ჩვენ შე-
ვადგენდით საზოგადოებას და ავილებდით ჩვენს თავზე საჭართველოს
მეთაურობას, თქვენ არც მიგაკარებდით სიახლოვეს, ახლა კი ჩვენს
ქვეყანას ასეთი პატრონი არ ყავს, თავად-აზნაურობა მიღის, მისი პატ-
რონობა არც ვარგა, არც შესაძლებელია, ასეთ როლში ვერავის ვერ
ვხედავ გარდა თქვენისა, თქვენი ორგანიზაციებისა. ხალხი სწავლობს

თქვენი მეოხებით ერთობას, ერთად დგომას და ბრძოლას — ამიტომ
მეც თქვენ გეხმარებითო. ჩვენს მეთაურ ინტელიგენციას ილიას, ცხვე-
ლაძეს და სხ. ვერაფრით ეს ვერ გავაგებიე, მუდამ მესაყველურებიანი
და სხ. მის შესახებ მე დავსწერე მთელი ფელეტონი-ნეკროლოგი
ჩვენს გაზეთში. იქ ვრცლათაა აწერილი ამ იშვიათი კაცის პიროვნება.
ამ კაპიტალისტის და ჩვენი პარტიული ორგანიზაციის დახმარებით
მეძლეოდა საშვალება მოგზაურობის.

1914 წ. დამდეგს მივიღე ცნობა პეტერბურგიდგან კარლოსაგან, სა-
ჭიროა ც. კომ. შეკრებაო და თან მიგზავნილა მისამართს კიევში. დაუ-
ყონებლივ გავემგზავრე, ვინახულე დასახელებული პიროვნება. ერთი
ებრაელი ვექილი (გვარი ალარ მახსოვს), რომელმაც ამხანაგური სტუ-
მართ-მოყვარეობა გამიშვია, დიდათ შეეცადა ც. კ. რომელიმე წევრის
მონახვას, მაგრამ ამაოთ, მათი კვალი ვერსად აღმოჩნდა. დავრჩი ორი
კვირა, გავიკით-გამოვიკითხეთ ყველა დიდ ქალაქებში, უნაყოფოთ დავ-
ბრუნდი თფილისში. პარტიული ცხოვრება მთელ რუსეთში იყო ჩამკვ-
დარი. კიევში ადგილობრივი ორგანიზაციაც არ აღმოჩნდა. იყვენ აქა-
იქ გაბნეული თითო-ორ-ორი ბუნდოველი. პოლიტიკურ სცენაზე ჩნდა
მხოლოდ დუმა და იქ ჩვენი სოც.-დემ. ფრაქცია. ამ დროს, ჩვენში გა-
მოდიოდა ყოველდღიური სოც.-დემ. გაზეთი, ორგანიზაციები მუშა-
ობდენ, ყოველივე თავის ადგილზე იდგა, მიუხედავათ მრავალნაირი
რეპრესიებისა. საქართველო წარმოადგენდა ამ მხრით ააზიშს. კავკა-
სის სხვა კუთხეში, მხოლოდ ბაქოში იყო ორგანიზაცია და ისიც სულ
ლაფავდა.

რაკი ც. კომ. კვალიც კი არ აღმოჩნდა რუსეთში, მით უფრო მე
საჭიროთ დავინახე ის მეძებნა უცხოეთში და გამემართა მოლაპარა-
კება. მართალია ც. კომ. უკვე ფაქტიურათ ორათ იყო გაყოფილი. თვი-
თეული ფრაქცია ცალ-ცალკე იკრიბებოდა და რაღაცას აკეთებდა, ყო-
ველივე ამას ევროპაში, ხოლო ადგილობრივი მუშაობა ღვთისანაბარაჟ
იყო მიშვებული, ივნისში უკვე ვიყავი ვენაში. ვნახე ტროცკი, არ. ზუ-
რაბოვი და სხ. ცეკისტები არ იყვენ აქ, დავრჩი ორი კვირა, დავსწერე
რამდენიმე სტატია ტროცკის უურნალში მენშევიკ-ბოლშევიკურ ურთი-
ერთობაზე და ნაციონალურ საკითხზე. ტროცკის და არც სხვა ვინმე
რუსის სოც.-დემ. არავითარი რევოლიუციური პერსპექტივა არ ქონდათ,
საერთო აზრი იყო — მუშაობის ნიადაგი ახლა არ არის რუსეთში, მო-
ვიცადოთო, ცხოვრობდენ თავისთვის არხეიანათ და ხანდახან მართავ-
დენ სოც.-დემოკრატების კრებას ემიგრანტებისაგან. ხშირათ დავდი-
ოდი ტროცკის პინაზე, სადაც ის ცხოვრობდა ცოლით და ორი ვაჟით..
ცხოვრობდა ფართოთ, ალბათ, თავის მშობლებისაგან, ან ნათესავები-

საგან იღებდა საშუალებებს. ამ დროსაც ის იდგა იმ ხაზზე, რომელიც მან გაატარა 1905 წ. გამოცემულ წიგნში რუსეთის რევოლუციის შესახებ — ის უნდა იყოს, თუ გაიმარჯვა, სოციალისტური და არა მხოლოდ დემოკრატიული. ხოლო სოციალისტურში ის გულისხმობული იყო კორეული ამბავია. ეს საუკეთესო შემთხვევის საქმეა, რასაც ახლო მომავალში არ ველიო. ამიტომ ამ მოძღვრების პროპაგანდას სრულიად არ ეწეოდა არც მწერლობაში, არც კრებებზე პროპაგანდაში. ამის აუდიტორია იმ დროს არც იყო, არც ბოლშევიკებში, არც მენშევიკებში, ორივე ერთნაირათ უარყოფითად ეჭცეოდენ ამ დოქტრინას და მიაჩნდათ ერთი პირის ფანტაზიათ — „ტროცკიზმათ“.

ექიმის რჩევით ზაფხული უნდა გამეტარებია შვეიცარიის მთებშა, ფილტვების მოსამაგრებლათ. გავსწიე მონტროში, სადაც დავრჩი სამი კვირა და ივლისის მეორე ნახევარში ექიმი ჩლენოვის რჩევით გავემგზავრე ბეატენბერგში. იქ დამხვდა აუარებელი რუსობა, საზაფხულოთ რუსეთიდგან ჩამოსულნი, პარტიული ან პოლიტიკური ხალხილან არავინ. აქ უნდა დავრჩინილიყავი აგვისტოს გასვლამდე და შემდეგ წავსულიყავი ჭერ ციურიხში, ბოლშევიკების ცენტრში, იქიდან უენევაში, მენშევიკების ცენტრში. ვიცოდი რომ აქ ქართველთაგან იმყოფებოდა ვ. მგელაძე, დროებით ჩამოსული საქართველოდგან, ყველა სხვა მრავალი ქართველები სოც.-დემოკრატები ემიგრანტობდენ იქვე.

ივლისის გასულს მონტრეს ერთი ბანკიდან მივიღე უწყება, ფულია მოსული თქვენს სახელზეო. პირველ აგვისტოს წამოვედი საჩქაროთ და მივიღე. ავჩქარდი იმიტომ რომ სწორეთ უფლოთ ვიყავი. მეორე დღეს, ორ აგვისტოს, მოულოდნელათ ომი გამოცხადდა, ყველა ბანკები დაიკატა, ყველა უფლოთ დარჩა და მე გამოვჩნდი მათ შორის ფულიანი კაცი. არ ავწერ რა მოხდა საზოგადოებაში. რა არევ-დარევა, აფორიაქება გამოიწვია როგორც რუსობაში, ისე ადგილობრივ მცხოვრებლებში. პარიუიდან მოღიოდა გლახა ამბები, უორესი მოკლეს, მთავრობაში უგზო-უკვლობა და მოუმზადებლობაა, გერმანიის ჭარები, როგორც შეუდრეკელი კედელი, თავს ესხმის ბელგიას და საფრანგეთს, ორ კვირაში იქნებიან პარიუშიო. მობილიზაციაა შვეიცარიაში, საერთო მათი დრტვინვა — რუსეთის ბრალია, ომი მან გამოიწვიაო; ერთი სიტყვით მხიარული სეზონი უცებ შეიცვალა მწარე სეზონით. მაშინვე გადავწყვიტე პირველი შემთხვევისთანავე დაბრუნება საქართველოში. შევუდექი გამოძიებას თუ საიდან რა მიღის სტამბოლისაკენ, ვინაიდან მხოლოდ ეს ზღვის გზა იყო კიდევ თავისუფალი. გავიგე რომ გემი მიდის ვენეციიდგან. მივეცი დეპეშა სანაოსნო კომპანიას ერთი ადგილის

შენახვის შესახებ. პასუხი მომივიდა რომ ყველა აღგილები, ყველა
გემზე უკვე დაკავებულია ორი თვის განმავლობაში! გული მაინც არ
გავიტეხე და გავიფიქრე იტალიის სოციალისტების რეკომენდაციით
ვენეციის მატროსთა სინდიკატში რამე გამეწყო. ციურისიდან აქსელ-
როდიდან მივიღე სარეკომენდაციო წერილი ტიურატთან მილანში და
გავსწიე. მივედი მილანში სალამოს, მეორე დღეს სალამოს გემი გაღის
ვენეციიდგან და მას უნდა მივუსწრო. ტიურატი მილანში აღარ აღ-
მოჩნდა. სოფლათ არის გასული ცოლით სააგარაკოთ, მითხრა მისი
სახლის კონსიერემა. რა ვენა, პლანი მეშლება. მომაგონდა რომ პარტი-
ის ცენტრალური ორგანო „ავანტი“ გამოდის მილანში, გავსწიე რედაქ-
ციაში. მეკარემ მითხრა გვიანია (სალამოს ათი საათია), ამ დროს რე-
დაქციაში არავინააო. გამოვედი გარეთ, მაგრამ ეზოდან დავინახე სი-
ნათლე მაღლა სართულში. მივბრუნდი, ავგზავნე იგივე მეკარე, ჩა-
მოირბინა და მითხრა — მართალი ხართ, რედაქტორი კიდევ მუშაობ-
სო. რა გვარია? მუსოლინი, მომიგო. არ გამეგონა, არ ვიცოდი როგორ
მიმიღებდა. ავგზავნე მეკარე და ვსოდოვე მიღება. ავედი, სტოლიდგან
წამოდგა და მეტათ თავაზიანათ მიმიღო. გაიგო რა რუსეთიდგან ვარ,
მაშინვე შემეკითხა: რას იტყვით, რუსეთი ხომ დაამარცხებს გერმანია-
სო?

საეჭვოთ მიმაჩნია, მიუგე, რამაც დიდათ გააკვირვა და აღელვებით
მითხრა, რას ამბობთ, ასოცი მილიონი ხალხი ვერ გაიმარჯვებს, დაუ-
კერებელია, დაუკერებელია — გულისტკენით განიმეორა. მე აუსენი
მიზეზი ხალხის უკმაყოფილებისა, მუშათა კლასის რევოლიუციონური
განწყობილება, ლიბერალების ოპოზიცია და სხ. მიყურა, მიყურა, ბო-
ლოს წამოდგა და ხმა მაღლა მჭეჭარე ხმით მითხრა: *Nous ne per-
mettrons pas à l'Allemagne d'écraser la France!*

გამიკვირდა, შევეკითხე, ვინ თქვენ? იტალია გერმანიის მოკავში-
რეა... non, non, nous verons ce la², მომახარა. სოციალისტ. პარტია
ხომ ომის წინააღმდეგია, გავაგრძელე ჩემი საუბარი. *Nous verrons*
ce la aussi³ მიპასუხა აღელვებით. ასეთმა გადაჭრილმა გულწრფელ
ფრანკოფილობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. თუმცა ჩემი
პოლიტიკური გამოღვიძების დროიდან თავის-თავი ფრანკოფილათ მი-
მაჩნდა, მაგრამ მუსოლინმა გადააჭარბა ყოველივე მოლოდინს ამ სფერო-
ში. ცხადია ამ დღიდან იწყება მისი პსიხოლოგიური განლგომა მისი პარ-
ტიიდან და საკუთარი გზის ძებნა, რაიცა ჩქარა დასრულდა პარტიი-

¹ ჩვენ ნებას არ მივცემთ გერმანიას გასრისოს საფრანგეთი.

² არა, არა, ჩვენ უნახავთ ამას.

³ ჩვენ ამასაც უნახავთ.

დან გასვლით და ფაშიზმის დაფუძნებით. ის გადაუდგა ყოველივე იმას, რასაც ემსახურებოდა, მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის სიკვარულით და რაღაც ეჭვი მაჭვს იმაში, რომ მასში ეს გრძნობა სავსებით ჩამქრალიყოს...

მუსოლინმა როგორც კი გაიგო ჩემი დარბაზობის მიზეზი, მაშინვე მომცა წერილი ვენეციის მეზღვაურთა სინდიკატის მდივანის სახელზე. წავედი პირველი მატარებლით და მეორე დღეს აღრე უკვე ადგილზე ვიყავი. პირველათ ვნახე ეს ქალაქი, ძალიან გამაკვირვა ამდენმა არხებმა და... კოლოებმა. აუარებელი რუსის არისტოკრატია იყო ჩამოსული გამგზავრების იმედით. ვინახულე ჩემი მდივანი, მაშინვე მოახდინა განკარგულება — მომეცეს ერთი კრაოტი სადაც უნდა იყოსო. მართლაც მომცეს ასეთი კრაოტი, მეზღვაური ოფიცრების საწოლ ოთახში. ბილეთი კი მაყიდინეს მესამე კლასის. და ასე იაფათ და სწრაფათ გავუდექი სამშობლოსაკენ. ვინ არ იყო გემზე, დაწყებული ვიტეთი, ყოფილი თუ მომავალი მინისტრებით. ყველა დიდი იშედებით იყვენ აღჭურვილნი. ვიტე იღგა გემის შუა ალაგას მალლა და ხმა მალლა არწმუნებდა მის ირგვლივ თავმოყრილ საზოგადოებას — სამ თვეში ბერლინში ვიქნებითო! მოაგონა ისტორიული ეპიზოდები, როცა მართლაც მოსკოვი პრუსიაში დასეირნობდა ყველა კონფლიქტების დროს. მე ღრმათ მრწამდა ის, რაც მუსოლინს ვუთხარი და ამიტომ მთელი ეს ტრაბაზობა უნიადაგოთ მეჩვენებოდა. მინდოდა რუსეთის დამარცხება, მაგრამ არ მინდოდა საფრანგეთის დამარცხება. ამ ორ სახელმწიფოს საომარ ბედს ერთი-მეორეს არ ვუკავშირებდი. ამ რწმენით მივედი ოდესაში და იქიდან გავემგზავრე მოსკოვში ცოლ-შვილის სანახავათ პირველ ყოვლისა. ვინახულე აქ ვექილი მალიანტოვიჩი, ბოლშევიკი სკვორცოვი და სხვა ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები. ერთ დღეს მიმიწვიეს მალიანტოვიჩის ბინაზე სათათბიროთ. მე გაუკეთე მოხსენება რაც ვნახე და გავიგონე ომის შესახებ საზღვარ-გარეთ, მუსოლინის, ამ ცნობილი სოციალისტის და „ავანტი“-ს რედაქტორის აზრმა მათზე მოახდინა შთაბეჭდილება. გადავწყვიტეთ შემუშავება დეკლარაციის. ყველა შევთანხმდით დასავლეთის დემოკრატიის, პირველ ყოვლისა, საფრანგეთის დაცვაზე გერმანულ-ავსტრიულ იმპერიალიზმისაგან, ვერ შევთანხმდით რუსეთის შესახებ, ზოგი ითხოვდა დავიცვათ მთელი ანტიგერმანული კოალიცია რუსეთიანა, მოვიხსენიოთ ეს სახელმწიფო და გამოვსთქვათ იმედი, რომ გამარჯვებული რუსის ხალხი შესძლებს დემოკრატიის მოპოვებასაცო. ორი დღე ვიდავეთ. ბოლოს მივიღეთ კომპრომისი: მივიღეთ პრინციპი გერმანიის დამარცხების და გამოვთქვით იმედი დემოკრა-

ტიის გამარჯვებისა ყველგან. დეკლარაციის დაწერა მივანდევით მა-
ლიანტოვიჩს. კარლოს ვაცნობე წერილობით ეს ამბავი პეტერბურგ-
ში, მე გავემგზავრე საქართველოში. დეკლარაცია გაეგზავნა სოც.-დე-
მოკრატ. ფრაქციას დუმაში, სადაც გამოიწვია დიდი ოპოზიცია. აქ
თითქმის ყველა ბოლშევიკები და მენშევიკები გერმანოფილურ ტენ-
დენციას ადგენ, თუმცა აშკარათ ვერ ამხელდენ. მისაღებათ მიაჩნდათ
რუსეთის გერმანიის მიერ დამარცხება, რის შედეგი იქნებოდა რევო-
ლუცია. ხოლო რა მოუვიდოდათ საფრანგეთის კოალიციას, ეს მათ
არ აინტერესებდა.

როცა ჩვენში ჩავედი, ეს აზროვნება დამხვდა სავსებით გ ბატონე-
ბული ჩვენს პარტიაში, მთელ ინტელიგენციაში. მრავლისთანავე მოწ-
ვეულ იქნა საოლქო და თფილისის კომიტეტის შეერთებული სხდომა. მთავარი არგუმენტი გერმანოფილობისა იყო ერთი: გერმანია თუ საფ-
რანგეთზე გაიმარჯვებს, ეს იქნება პროგრესის გამარჯვება რეაქციაზე;
გერმანია ყოველი მხრით საფრანგეთზე წინ დგას, მრეწველობით, მუ-
შათა მასების შეგნებით, სოც.-დემ. პარტიის სიძლიერით, ბურჟუაზიის
სისუსტით და სხ. რა მოსახმარია ცარიელი რესპუბლიკა, თუ შიგ არა-
ფერი ყრიაო და სხ. ეს შეხედულება იყო გაბატონებული, მას მეთაუ-
რობდა ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და სხვები. ჩემი მოსაზრება სა-
ერთოდ დემოკრატიულ ქვეყნებზე და კერძოთ სასურველ გამოსავალ-
ზე, რომ დამარცხება როგორც რუსეთის, ისე გერმანიის მისაღებია,
არ იქნა გაზიარებული, ზოგის მიერ იმიტომ რომ ეს ბურჟუაზიულია,
საფრანგეთ-ინგლისის ბურჟუაზიის ბატონობის გაძლიერებააო, ზოგის-
თვის ეს იყო უტოპიური, მისი შეუძლებლობა, ან ერთი კოალიცია
უნდა დამარცხდეს, ან მეორე, მესამე გამოსავალი არ არისო.

დავრჩით ჩვენ-ჩვენ აზრზე. გამოვშორდი ამ უნაყოფო დავას, დავ-
სახლდი ლანჩხუთში. შეუდექი ჩვენს გაზეთში თანამშრომლობას და
შინ მებახჩობას. რედაქცია მიგზავნიდა ყოველ-თვიურათ ოც მანეთს.
თფილისში ავდიოდი ხანდანან. სხვათა შორის მოვათავსე წერილები
„ომი და ზავი“, სადაც ვატარებდი ჩემს ანტიგერმანულ შეხედულე-
ბებს (ეს წერილები შემდეგ დაიბეჭდა რუსულ უურნალში პეტროგ-
რადს). მიპასუხეს იქვე. გაიმართა კამათი, რამდენათაც კი მოეწყობო-
და ეს ომის ატმოსფერაში. ბოლოს ჩემი წერილები აღარ დაბეჭდეს
ამავე საგანზე. ჩემმა მომხრეებმა გრ. ურატაძის მეთაურობით გადას-
წყვიტეს გაზეთის გამოცემა ქუთაისში ჩვენი მიმართულების. გამოუშ-
ვით რამდენიმე ნომერი („ახალი კვალი“), მაგრამ პარტიის საოლქო
კომიტეტმა აგვიკრძალა. დავემორჩილეთ. გადავედით ისევ პარტიულ
ორგანოში. სადაო საკითხებზე აღარ იწერებოდა.

ამ დროს მოხდა ორი ამბავი. მთავრობამ ეჭვი აიღო აჭარაზე, ას-
მალეთს ერდგულობს, ჩვენ გვლალატობსო. საბუთი დიდი არაფერი
ქონდა, გარდა რამდენიმე ოსმალოს ჩაჩუტის დაჭერისა, მაგრამ ეჭ-
ვი საკმარისი გახდა მის მოსალეწავათ ეჭსპედიციის გაგზავნისა.
ააოხრეს ბრავალი სოფლები. საბედნიეროთ ერთ-ერთი დამსჯელი ნა-
წილის მეთაურათ დაინიშნა ლენერალი ჩიქოვანი, რომელმაც არ გა-
მოიჩინა სისასტიკე, გამართა მოლაპარაკება სოფლების მეთაურებ-
თან, გადაარჩინა აოხრებას და ამ გზით აჭარა და რუსეთი ისევ დაახ-
ლოვა. ბოლოს და ბოლოს ეს პოლიტიკა მოიწონეს უმაღლეს სფერო-
შიაც. აქედან გამოვიყვანე გაკვეთილი, არ იქნას გადადგმული ისეთი
ნაბიჯი, რომ მთავრობამ ორგულობათ მიიღოს. ეს მით უფრო სა-
ჭირო გახდა, რომ ლოზანაში მოხდა უპასუხისმგებლო ქართველების
გამოხვლა ერთა წარმომადგენელთა ყრილობაზე გერმანიის სასარგებ-
ლოთ, რუსეთის საწინააღმდეგოთ და ითხოვდენ ოსმალოს საშუალე-
ბით ჩვენს განთავისუფლებას. ქართველ სოც.-დემოკრატებმა აქვე გა-
ილაშქრეს ამ გამოსვლების წინააღმდეგ, რამაც დიდი სამსახური გა-
ვიწია საქართველოში, — მთავრობამ დაინახა რომ პასუხისმგებელი
პარტია სეპარატიზმის წინააღმდეგია.

მეორე ამბავი: ენვერ ფაშის ჯარმა დაამარცხა რუსის ჯარი საზღ-
ვარზე და შემოიჭრა აქეთ სარაყამიშის გზით. ნამესტნიკის სამხედრო
თანამემამულებ მიშლაევსკიმ გადასწყვიტა წინასწარ შედგენილ გვე-
მის ასრულება — ამიერ-კავკასიის დაცლა, თუ ოსმალო შემოიჭრებო-
და. გავრცელდა ხმა, რუსი მიღისო. აჩქარდა ჩვენი ინტელიგენცია,
მოიწვია სასწრაფოთ საზოგადო მოღვაწეთა კრება სათავად-აზნაურო
სადგომის ერთ დიდ ზალაში. მეც წავედი (იმ დროს სწორეთ თვი-
ლისში მოვხდი). დაიწყო სხდომა. რუსი მიღის, რა ვქნათ, მოითხოვეს
დროებითი მთავრობის შედგენა, ახლავე საამისო პირების არჩევა და
სხ. მე და ჩემი ამხანაგები წავედით ამ გეგმების წინააღმდეგ, დაუხა-
ტეთ მისი საშიშროება; შეიძლება რუსი არ წავიდეს, ჩამოგვართმევენ
ლალატში, აგვაწიოკებენ და სხ. და სხ. თავცხელა ხალხი შეგრილდა,
ტონს დაუწიეს, ბოლოს და ბოლოს მიიღეს ჩვენი წინადადება და დავი-
შალეთ. რასაკვირველია, არსად რუსი არ წასულა, მიშლაევსკი კი
„წავიდა“, გააგდეს, ერთი სიტყვით, ერის ფიზიკური არსებობის ინტე-
რესი მოითხოვდა იდეური წონასწორობის შენახვას, ყოველი ეჭვის
რუსეთის ორგულობაზე, თავიდან აცილებას; ვიცოდით, რომ მთავრო-
ბა განსაკუთრებით თვალ-ყურს აღევნებს და აფასებს სოც.-დემ. ყო-
ფა-ქცევას, რომელიც წარმოადგენდა ერს ყველა დუმაში და მაშასა-
დამე ხალხის სულიერ მესაიდუმლეს. ფრეილინის და ლოზანის გამოს-

ვლებმა დაარწმუნა სფეროები, რომ ჩვენ ავანტიურას არ გავყვებით. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ისიც, რომ ჩვენი ლეგალური არა-
ლეგალური ამხანაგები ამ ხანებში რეპრესიების მსხვერპლნი იშვიათად
ხდებოდენ. უველა თითქმის თავის ალაგას იყვენ და განაგრძობდენ მუ-
შაობას. ჩემი დაჭერა გადაწყვეტილია მხოლოდ რევოლუციის წინა
კვირაში, როგორც ეს აღმოჩნდა შემდეგ ქუთაისის უანდარმერიის ქა-
ლალდებიდან.

როცა ჩვენ ასე ფრთხილ პოლიტიკას ვეწეოდით, მეზობელ ერში,
სომხებში, ხდებოდა სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა. ენდვენ
რუსების დაპირებებს, აყვენ მათ ინსტრუქციებს, შეაყენეს თავისუფა-
ლი რაზმები, რომელნიც თფილისის ქუჩებზე აღიღოდ-ჩამოადიოდნენ, მო-
ედანზე იწვრთნებოდნენ და რუსის ჯარის წინ თუ უკან შედიოდნენ ოს-
მალეთში და იქ მცხოვრებ სომხებს აჯანყებდენ. სომხები თფილისში
გაამაყდენ, მალლიდან გვიყურებდენ, დარწმუნებული იყვენ, რომ იწ-
ყება მათი აღორძინების ხანა, ოსმალეთის დანგრევა, ძველი სომხეთის
აღდგენა და სხ. არავის მათგანს ეჭვიც არ შეუტანია ამ იმედებში. ჩვენ
ამ დროს ვიყავით სრულ ნეიტრალურ პოზიციაზე; არც რუს ვესხმო-
დით, არც ოსმალოს; ვიყავით ლოიალურათ განწყობილი, რამაც აგვაც-
დინა ბევრი ფათერაკი იმ ეკლიან ხანაში. საერთო ხოცაულეტაში
ჩვენთვის მთავარი ამოცანა იყო ერთს, თვითეული მისი კუთხის, ფი-
ზიკურათ ამოფხვრისაგან გადარჩენა.

აი ამ დავიდარაბაში ვარ გაბმული, რომ ქუთაისიდან წერილი მომ-
დის — დაუყონებლივ ამოდიო. წავედი, ვაგძლიდან წამიყვანეს დიდის
საიდუმლოებით ერთ უცნობ ბინაზე, გაიღო კარები, გამოჩნდა მიხა-
კო წერეთელი, ჩემი ძველი ნაცნობი; ჯერ იყო მარქსისტი, პირველათ
მან თარგმნა მარქსის „კაპიტალი“-ს ერთი თავი და მომიტანა „კვალ“-
ში გასაცნობათ; შემდეგ უენევაში გახდა ანარქისტი, შემდეგ ნაციო-
ნალისტი და ამ ფირმით ჩამოსულიყო საქართველოში საიდუმლოთ.
მან ამისსნა მიზეზი შეხვედრის: გერმანიაში დაარსებულა ქართული
კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოს განთავისუფლება გერმა-
ნია-ოსმალეთის დახმარებით. ჩამოვიდა საამისო სამუშაოთ ამ ნიადაგზე,
ხალხის მოსამზადებლათ საზღვრების გაღმოლახვისთანავე და სხ. მე-
კატეგორიული უარი უთხარი ასეთი მუშაობის დაშვებაზე. ავუხსენი:
ჩვენ ომს არ ვაწარმოებთ, არც ერთ კოალიციაში არ ვიმყოფებით,
რუსეთის ორგულობას ვერ გამოვიჩენთ, პირიქით, ხალხის შეკითხვა-
ზე — მობილიზაციაში გავიდეთ თუ დავიმალოთ — ჩვენ ვურჩიეთ
გასვლა, არავითარი საბოტაჟი არ გაეწიათ. ჩვენში გერმანოფილური
აზროვნება სჭარბობს, მაგრამ აჯანყების მომხრე მათგან არც ერთი

პირი არ შეიძლება იყოს, ჩვენი გზა სძევს არა ამ მხრით, არამედ რუსეთის შინაგანი რევოლუციის ხაზზე და სხ. თან დაუმატე იმუშაონ მათ საზღვარ-გარეთ ქართულ კომიტეტში. შეიძლება ეს ხასიც გამოადგეს-თქვა. დიდ ხანს კამათი არ დაგვჭირებია, ჩქარა შევთანხმდით, ჩემი მოსაზრების საფუძვლიანობა მან იცნო და ასე დავშორდით ცოტა ხნის შემდეგ. ამავე საკითხზე მქონდა ბასი იმავე კომიტეტის მეორე წარმომადგენელ გ. მაჩაბელთან თვითონისში დ. ვაჩნაძის ბინაშე-აქაც საუბარი გათავდა შეთანხმებით — ჩვენ ჩვენ ხაზზე ვიმუშავებდით შიგნით, ისინი მათებურათ უცხოეთში, ან ერთი გაგვიყვანს, ან მეორე. ძირითად ხაკითხში — საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოებაში — არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. საჭირო იყო მხოლოდ ისეთი ტაქტიკა, რომელიც მართლა მიგვიყვანდა ამ მიზნისა-კენ და თან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას არ უმუქრებოდა. ყოველნაირი ავანტიურა, საეგებიო ნაბიჯები ჩვენი მუშაობიდან უნდა ყოფილიყო ამოგდებული. ამ დროს დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ ჩვენ კიდევ არ გვქონდა პარტიული აზრი, საერთო გადაწყვეტილება. თვითეულს ქონდა თავისი აზრი ამ საგანზე და მეც წერეთელ-მაჩაბელს ჩემს პირად აზრს მოვახსენებდი. მაგრამ ვიცოდი, რომ ბევრი ამხანაგები ჩემებრ ფიქრობდა, თუ ხელსაყრელი პირობა დაგვიდგებოდა — ამ ნაბიჯს გადავდგამდით, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მაინც საჭიროთ დავინახეთ კოლექტიური აზრის შედგენა და ამ მიზნით მოვიწვიეთ პარტიული კონფერენცია მარტო საქართველოს ორგანიზაციების ლანჩხუთში, სოფ. ჭუნჯუათში. ამ ადგილის ამორჩევა მოახდინა ბიურომ იმ მოსაზრებით, რომ მე უეჭველათ დავესწრებოდი, ხოლო შორს წასვლა არ შემეძლო, პოლიცია თვალ-ყურს მაღევნებდა. ეს თვალ-ყურის დევნა გაძლიერდა განსაკუთრებით 1917 წ. დასაწყისიდან, მე მგონია ჩემზე რაღაც ეჭვი აიღეს, შეიძლება გაიგეს ჩემი შეხედრა უცხოეთის ემისარებთან.

კონფერენცია შედგა იანვარში თუ თებერვალში, 1917 წ. მომწყობი და მეთვალყურე იყო ზოსიმე ჭორბენაძე, დაესწრენ ყველა ლიდერები. დიდი დავა არ ყოფილა, მთავარ საკითხზედ საერთო აზრთ იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ, თუ დადგება საამისო პირობები, ე. ი. რუსის ჭარი დასტოვებს ჩვენს ქვეყანას. ამ შემთხვევაში ჩვენი აქტი არც კი ჩაითვლება ვინმეს ლალატათ, პირიქით, ეს იქნება თავის დაცვის საშვალება და მებრძოლი ბანაკიდან განზე დადგომა. შეიძლება ბოლოსდაბოლოს რუსმა გაიმარჯვოს და დაბრუნდეს, ჩვენ მას მოლალატეთ, მტრის ბანაკში გადასულათ არ დავხვდეთ. ასეთი განმარტებებით და გაგებით მივიღეთ მთა-

ვარი დებულება. დავა გამოიწვია მხოლოდ ამ გადაწყვეტილების ცხოვ-რებაში გატარებამ. ნ. რამიშვილი იცავდა მის გატანას პარტიის ფართვა-წრეებში და გავრცელებას. მე წინააღმდეგი ამ წინადადებას და მოჭი-თხოვდი მის საიდუმლოთ შენახვას და მისით ხელმძღვანელობას შესაფერ მომენტში. ჩემი მოსაზრების საფუძველი იყო იგივე შიში, ვა-თუ მთავრობამ ღალატი შეგვწამოს და ხალხი დაარბიონ. რა ფორმი-თაც უნდა გადაგვეტანა ჩვენი რეზოლუცია ხალხში — ის იქნებოდა გა-გებული ერთნაირათ: სოც.-დემ. პარტია გადაუდგა რუსეთს და მიე-მხრო გერმანიის კოალიციას. ეს ჩვენ ჩამოგვაცლიდა ყველა არა-ქარ-თველ ელემენტებს, ჩამოაგდებდა ეროვნულ შულლს ჩვენს რიგებში და ამავე დროს მთავრობის რეპრესიებს ქართველების წინააღმდეგ არა მარტო საქართველოში, არამედ ავრეთვე ჯარის-კაცთა შორის ფრონტ-ზე. ვიდავეთ მთელი დღე. ნ. ხომერიკი მხარს უჭერდა ნ. რამიშვილს. ბოლოს მივიღეთ კომპრომისი — გადაწყვეტილება შენახულიყო საი-დუმლოთ შემდეგ კონფერენციამდე, რომელიც მიიღებდა საბოლავო განჩინებას. დავიშალეთ ძველი ხაზით სამუშაოთ.

ორივე ნოეს ქონდათ, რასაკვირველია, ყურადსალები არგუმენტები. მათი აზრით ყოველივე რეზოლუცია, რასაც მსვლელობას არ მივს-ცემთ, მიუღებელია, ცარიელი სიტყვებია და მებრძოლ პარტიას ეს არ ეკადრებაო. თუ ხალხი არ იქნება მომზადებული, როგორ შეგვეძლება ვისარგებლოთ შესაფერი მომენტით, ვინ გამოგვყვება, დავრჩებით მარტო და პარტიასაც დავანგრევთო და სხ. და სხ. ბოლოს მაინც დათ-მეს „დროებით“.

ეს „დროებით“ აღარ დაგვჭირებია. საზოგადოთ, ომის ხანაში მე: არ მიმაჩნდა მისალებათ წინასწარი პოლიტიკური პლანის გამომუშავე-ბა და მისი გატარებისათვის მუშაობა. ასეთი ყოფა-ქცევა უეპველათ გადაგვაგდებდა საღმე ხრამში. სომხების მაგალითს თავიდანვე ვეპ-ყრობოდით უარყოფითად, რაიცა სავსებით გამართლდა 1915 წ. რუსე-ბი შევიდენ მართლაც ოსმალეთის სამხრეთში. მაგრამ იქ სომხები აღარ დახვდათ, მთავრობამ კი მიიღო გადაწყვეტილება სომხების ნა-მოსახლარზე დაასახლოს კაზაკები! ასე გადაუხადეს მარ რუსეთისათ-ვის თავის დადება, საშინელი მსხვერპლის გაღება. მე ვხელმძღვანე-ლობდი ერთი ხაზით — ვიმოქმედოთ გარემოებათა გავლენით და მათ-თან შეგუებით. წარმოება, მაშასადამე, პრაქტიკული პოლიტიკის ფაქ-ტების მიხედვით, ხოლო ფაქტების მაგიერ პლანის წამოყენება და აჩ-ქარება, იქნებოდა საბედისწერო. ჩვენი პარტიული კონფერენცია, რო-გორც იყო ჩამოდგა ამ ხაზისაკენ, უარი თევა ნაჩქარევი ნაბიჯებისა-გან და გულდამშვიდებით დავიშალეთ.

სწორეთ ერთი თვეც არ გასულიყო კონფერენციიდან, რომ ჩვენს რედაქციაში გაიმართა დისკუსია მიღებული რეზოლუციების გამო, წამოდგა სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია. გავიგე თუ არა ჩვენი ჩვენი მატარებელში და თფილისისაკენ გავსწიე. სამტრედიაში ვინახულე კასირი ურუშაძე, ჩვენი ამხანაგი. დამინახა თუ არა სიხარულით მითხრა, კარგი რომ ჩამოდი, თფილისიდგან ამ დილით პატარა ბარათი მივიღე — ითხოვდენ შენს დაუყონებლივ ჩამოსვლასო. მე ვუპასუხე რომ სწორეთ იქით მივდივარ ამავე მატარებლით, საინტერესოა მარც რატომ მიბარებენ თუ იცი თქვა. არაფერი არ ვიციო. ალბათ ინტერპრეტაციების საკითხისთვის მიწვევენ თქვა და გავსწიე. სალამოს გვიან ჩავედი და მხოლოდ მეორე დღეს დილით შევედი რედაქციაში. ყველა იქ იყვენ, მთელი ბიურო და თფილისის კომიტეტი. „დიდი ამ-ბებია პეტერბურგში, დოპეშა მივიღეთ გოგიტა ფალავასაგან: მთავრობა გადაიცვალაო, რაშია საქმე ჭერ კიდევ არ ვიცით, აქაური ხელი-სუფლება სდუმს, რა ვქნათო. გამოირკვა რომ მთელი თფილისი გაი-ძახის — მთავრობაძე. მომკვდარაო და ვერაფერი გაიგო დანამდვილებით. გადავწყვიტე ნაძალადევში მოგვეწვია აშკარა დიდი კრება და თუ მთავრობა თავს არ დაგვესხმოდა — ცხადი იყო რომ რუსეთში რა-ლაც დიდი ცვლილებაა. მაგრამ არც ეს ცდა დაგვჭირებია; მესამე დღეს გამოცხადდა ოფიციალური დეპეშები, რაიცა პეტერბურგიდან დროებით მთავრობას დროზე გამოეგზავნა, მაგრამ ნამესტნიკი მა-ლავდა და არ აქვეყნებდა. რევოლიუცია დაიწყო.


რევოლუცია იყო სრულიად მოულოდნელი ყველა პოლიტიკური პარტიისათვის. რუსეთში არც ერთი პარტია რევოლიუციური თუ ოპო-ზიციანური რევოლიუციისაკენ არ მოუწოდებდენ და ცდილობდენ მხოლოდ დუმის საშუალებით რასპუტინების განდევნას და მთავრობის ირგვლივ ფართე საზოგადოების შემოკრებას თავდაცვის ნიადაგ-ზე. ბოლშევიკები უცხოეთში ძალიან რევოლიუციონერობდენ, მაგრამ რუსეთში კი ხმას არ იღებდენ და ერთგული მოქალაქის როლში გა-მოდიოდენ, დუმის ბოლშევიკური ფრაქცია განიცდის კრიზისს მალი-ნოვსკის როლის გამომულავნებით, ხოლო ჩვენები განაგრძობდენ ლო-იალურ ოპოზიციონერობას და მისაღებ კრიტიკას.

რევოლიუცია გადასწყვიტა ჭარმა, პეტერბურგის გარნიზონის გა-მოსვლამ მთავრობის მორჩილებიდან. ის იყო სამხედრო წარმოშო-ბის. მართალია, ის მივიღეთ „ფოშტით“, როგორც მაშინ ამბობდენ, მაგრამ ასეთივე „ფოშტით“ მიიღო ის მთელმა იმპერიამ და არა მარ-ტო საქართველომ. სიმძიმის ცენტრი იყო არა „მიღებაში“, არამედ

შის პატრონობაში, გაძლოლაში და ხალხის სასარგებლოთ გამოუწენებაში. რევოლიუცია 1905 წ. კი „მივიღეთ“, მაგრამ ჩქარა გათავდა დამარცხებით. დამარცხებული რევოლიუცია მეტია, ვინემ გამარჯვებული.

პირველი საკითხი რომელიც დაისვა ჩვენ წინ იყო შემდეგი: შედგენა ისეთი რევოლიუციური ორგანიზაციის, რომელიც ძალა-უფლებას დაეპატრონება და ამ ძალას მოიხმარს ისე, რომ რევოლიუცია გააფართოვოს და გააღრმავოს და იმავე დროს კონტრევოლიუცია არ გამოიწვიოს. თვითმპყრობლობის არმატურის, მისი მშველელთა მშველელების განმარტოვება დანარჩენ საზოგადოებისაგან — დაისვა დღის წერიგში. ასეთი ძალა შეიძლებოდა მოეცა მხოლოდ თფილისის გაწრთვნილ, პოლიტიკურათ განვითარებულ მუშათა კლასს. ამავე დროს პეტერბურგში ჭამოცხადდა მუშათა და ჭარისკაცთა საბჭოს შედგენა.

გადავწეულიტეთ ჭერ მუშათა საბჭოს დაარსება თფილისში, ხოლო ჭარის-კაცების საკითხი ლია დავტოვეთ, ჲანამ ამათი პოზიცია გამოიჩვევოდა საბოლოოთ. პარტიული კრებიდან შინ მივდივარ, პზაში შემომხვდა ერთი მუშა, მიცნა და მეუბნება — კრებაზე არ მოღიხართ, მუშათა საბჭო უნდა ავირჩიოთ! გამიკვირდა, ვისი კრებაა, ვინ მეთაურობს, პროვინცია არ იყოს თქვა და მაშინვე წავყევი მას. მიხაილოვის ქუჩაზე, ეზოდან შევედით ერთ პატარა დარბაზში, საღაც უკვე მოეჭარათ თავი მუშებს და არეულ-დარეულ ხალხს, ხოლო ესტრადაზე იჯდა ფ. მახარაძე და მის ირგვლივ ყველა ცნობილი ბოლშევიკები. ფილიპე თავმჯდომარეობდა. მენშევიკები კი ვერსად დავინახე. ჩემი მისვლა არ იამა თავმჯდომარეს და მის ამალას, გავედი მეც ესტრადაზე და ყურს ვუგდებ. ფილიპე მოუწოდებს კრებას ახლავე ავირჩიოთ მუშათა საბჭოვო. ავიღე სიტყვა და განუმარტე კრებას რას ნიშნავს მუშათა საბჭო და ვინ არის მისი ამრჩეველი. აქ კი შემთხვევით მოსულათ მოყვანილი ხალხია, მუშათა კლასს არ აურჩევია, არავინ გამოუგზავნია და ასეთ პირობებში მისი სახელით არჩევა რაიმე ორგანოს, იქნება უზურპაცია მისი უფლების და სხვ. და სხ. გაიმართა კამათი. აშკარა იყო ერთი შუჭა ბოლშევიკების ჩაწყობილი ამბავი, რომ ამით ხელში ჩაეგდოთ მუშათა საბჭოს სახელი და ის თავზე მოეხვია ხალხისათვის. ეს საძაგელი შეთქმულება გამომუღავნდა, დამსწრე მუშებმა ხმა ამოიღეს, დაგმეს ეს კრება და მისი მომწვევიც, გადააყენეს ფილიპე, აირჩიეს თავის წრიდან პრეზიდიუმი. მიიღეს ჩემი წინადაღება — არჩეულ იქნას საორგანიზაციო, საინიციატივო კომისია მუშათა საბჭოს არჩევის მოსაწყობათ. არჩევნები უნდა მომხდარიყო აღგილობრივ ცენტებში, ფაბრიკა-ზავოდებში. კომისიაში არჩეულ იქნა ყველა ჩვენი ხალხი, აი

ამ დროს გამიხმო იქვე, ესტრადის კუთხეში ვ. ჭულელმა,  მთავარ ბოლშევიკმა, დაუძახა სხვა მის ამხანაგებს, გარდა ფილიპესი, რომელიც გაჯავრებული წასულიყო და მითხრა: ვხედავთ მუშაქა ~~საბჭოს~~ მეთაურობა თქვენს ხელში გადადის, იმედია ჩვენ სამუშაოს მოგვცემთო. მეც დავპირდი, რასაკვირველია, ამ დღიდან დაიწყო მისი ჩამოშორება თავის ფრაქციისაგან და ჩვენს მხარეზე გადმოსვლა. მიცემული სიტყვა შევასრულეთ, ყველა საქმეებში ვრევდით და დავალებებს ვაძლევდით. სხვა ბოლშევიკები არ მოგვკარებია, განზე დადგენ, გამოსცეს თავისი ორგანო და მუშაობდენ ფრაქციულათ.

მესამე დღეს გაიმართა დიდი მიტინგი ნაძალადევის მოედანზე. დაესწრო აუარებელი ხალხი, აიმართა მრავალი ტრიბუნა და მიეცა გასავალი ენა-წყლიან ორატორებს. მე ამ სიტყვათა კორიანტელმა თავი მომაბეზრა და გავსწიე სკოლის შენობისაკენ მოსასვენებლათ. მივედი, რა ვნახე, მშვენიერი კრება, საღაც ჯარის-კაცები სჭარბობდენ, ხოლო პრეზიდიუმში იჯდენ ერთი სალდათი და ერთი ერის კაცი, პირველი იყო ვერეშჩაკი, მეორე ილიკო ქარცივაძე (ს. რ.). მივხვდი რაშიაც იყო საქმე: ს.-რ.-ბს მოუნდომებიათ ჯარის-კაცთა საბჭოს შედგენა და მისი მეთაურობა. დაწყება გავდა ბოლშევიკურ შეთქმულობას. მე ჩამოვჭექი და ყურს ვუგდებ. გამოირკვა, რომ აქ მოსულან თითქმის ყველა ყაზარმიდან, გარდა საპიორებისა, რომელნიც არ გამოუშვია მათ უფროს და პირდაპირ ყაზარმაში ჩაუკეტია. ილიკომ შემოიტანა წინადადება — დაუყონებლივ წავიდეთ ყველამ და ან გამოვიყვანოთ ჩვენი ამხანაგები ყაზარმიდან, ან ჩვენც მათთან დავრჩეთო. მხარი დაუჭირეს მას. იწყება ავანტიურა, რაიცა შეიძლება გათავებულიყო სისხლის ღვრით. სიტყვა ავიღე და შევებრძოლე ამ წინადადებას, მე ვუთხარი: საკმარისია დელეგაციის გაგზავნა უფროსთან მოსალაპარაკებლათ, ხოლო ამდენი კაცის წასვლა მოთხოვნით და ბრძოლის გუნებით შესაძლებელია დამთავრდეს ტრალიკულათ და სხ. დამეთანხმენ, აირჩიეს დელეგაცია, რამაც ჩინებულათ შეასრულა თავისი მისია, როგორც მეორე დღეს გავიგე. კრებამ აირჩია საორგანიზაციო კომისია, რასაკვირველია, ილიკოს და ვერეშჩაკს აქ ამ კრებაზე სურდათ საბჭოს არჩევა! მე მგონია ამათ მოდიოდათ ეს უცოდინარობით და არა შეთქმულებით. დავიშალეთ. დავინახე, რომ თუ მუშათა საბჭო იქნებოდა სოც.-დემ. მეთაურობით, ჯარის-კაცთა საბჭო იქნებოდა სოც.-რ.-ბის.

ამ კრებაზე ჩემი ყურადღება მიიქცია პრეზიდიუმის წევრმა სალდათმა ვერეშჩაკმა. ის თავის სალი მსჯელობით დიდათ განირჩეოდა ფანტასტიური და ავანტიურულათ განწყობილის ქარცივაძისაგან, თუმცა ორივე ესერობდენ. სწორეთ ვერეშჩაკი დავინახე ჯარის-კაცთა

საბჭოს მეთაურის როლში და არა სხვა რომელიმე ინტელიგენტი /
სოც.-რევ. ამ სფეროში და ამ მიმართულებით ჩვენც გავსწიეთ მუშა-
ობა და ბოლოს კიდევაც მივაღწიეთ მიზანს. გიგანტური

ერთ კვირაში მუშათა საბჭო უკვე მზათ იყო თავისი აღმასრულე-
ბელი კომიტეტით და ჩემი თავმჯდომარეობით. სწორეთ არ ვიცი ვინ
წამოაყენა ჩემი კანდიდატურა, მახსოვს რომ საარჩევნო კომისიაში
მიეღოთ ერთხმად ის და აღმასრულებელმა კომიტეტმაც ერთხმად ამ-
ირჩია. შედგა პრეზიდიუმი: მდივანი გ. ცინცაძე, ამხანაგი გ. მახარაძე
და სხ. როცა ჯარის-კაცთა საბჭო მოეწყო ვერეშჩაკის თავმჯდომარეო-
ბით, პრეზიდიუმი შეერთებული საბჭოსი დარჩა იგივე, მხოლოდ ჩე-
მი მოადგილე გახდა ვერეშჩაკი, წევრათ მუხარისკი და სხ. სამხედრო
პირები. ეს დეტალები არ არის საინტერესო, ეს ყოველივე დაბეჭდი-
ლია.

თფილისში რამდენიმე დღეში დაირღვა მთელი პოლიციური ძალა,
ჯარი-გარნიზონი გადაუდგა ძველ მთავრობას და ახალსაც შორიდან
უყურებდა. ქალაქი დარჩა უპატრონოთ. „ოზოკომი“ ჰაერში გამოკი-
დებულათ, ყოველივე მხრიდან მომართავდენ აღმასკომს — დაეპატრო-
ნეთ ხელისუფლებასო. ასეთი წინადაღება იყო ჩვენთვის მიუღებელი,
ჩვენ ვიყავით თანახმა წეს-რიგის დაცვა აგველო ხელში, ხოლო დრო-
ებითი მთავრობის ერდგული და დამხმარე დავრჩენილიყავით. არ უნ-
და შექმნილიყო შთაბეჭდილება მუშათა ხელისუფლების დაარსების,
რაიცა დააფრთხობდა ყველა ლიბერალურ ელემენტებს და გადაისრო-
და მარჯვნივ. ამის თავიდან ასაცილებლათ, მოვახდინეთ ქალაქის მართ-
ველობის არჩევნები, რომელსაც მეთაურობდა სამი პირი: სომეხი ხა-
ტისოვი, ქართველი — მე და რუსი ოფიცერი — პოპოვი. ერთი მხრით
გაერთიანდა რევოლუციური ელემენტები საბჭოების, მეორე მხრით
რევოლუციური და ლიბერალური ელემენტები ქალაქის თვითმართვე-
ლობის სახით. რეალური ძალა კი ექუთვნოდა მუშათა საბჭოს. ქალაქ-
ში თანდათან დაიწყო ანარქიული გამოსვლები, ცარცვა და მკვლელო-
ბები. აღმასკომმა დაადგინა სასწრაფოთ შექმნა საკუთარი პოლიცი-
ური რაზმები და აღეკვეთა მაგარი ხელით კრიმინალური გამოსვლები.
მივსწერეთ გურიის სოც.-დემ. კომიტეტს ასეთი ძალების გამოგზავნა.
რაღაც ორ-სამ კვირაში მოგვივიდა გურულების რაზმი ვლ. და კ. იმ-
ნაძეების მეთაურობით. გვარდიის ხსენება კიდევ არ იყო, კიდევ ვი-
ყავით ილიუზიებით გართული, ჯარი არსებობს და ახალი ჯარი რათ
გვჭირია. 1917 წ. ზაფხული შეიქნა კრიმინალური გამოსვლების უმაღ-
ლესი შემოტევის სეზონი, რასაც აღმასრულებელ კომიტეტმა უპა-
სუხა უმაღლესი სისასტიკით — საველე სასამართლოთი და იქვე დახვ-

რეტით. ამ დროიდან მუშათა საბჭოს ფაქტიური ხელისუფლება მყარდება და მას მიმართავენ ყველა უმაღლესი დაწესებულება, („ოზაკო-მი“, ქალაქის მმართველობა და სხვ.) მათი დადგენილების სუბიექტები მოსაყვანათ. რადგან იყო შემთხვევები, როცა ზოგი დადგენილება არ ავასრულეთ, ვინაიდან მათ არ ვეთანხმებოდით, მათ სხდომებზე მეც გიწვევდენ, როგორც თავმჯდომარეს საბჭოისა და სწყვეტდენ საკითხებს ჩემი მონაწილეობით და თანხმობით. ასეთი წესით გამოტანილი ბრძანებები დაუყონებლივ სრულდებოდა ჩვენი აპარატების მიერ.

ამ წესით გაჩაღდა მწყობრი მუშაობა ყველა ორგანოებისა. ამ მოდელზე აეგო მუშაობა პროვინციის ორგანოებისაც. თავისთვათ ცხადია რომ ყველა ძირითადი პოლიტიკური და ორგანიზაციული საკითხები წყდებოდა, პირველ ყოვლისა, ჩვენი პარტიის ბიუროს კრებაზე (შემდეგ ც: კომ.), რომლის თავმჯდომარეთ მე ვითვლებოდი, მაგრამ ხშირათ სხდომებს ვერ ვესწრებოდი მოუცლელობის გამო. ჩემი მოადგილე იყო ნ. რამიშვილი. საბჭოს და პარტიის მუშაობა წარმოებდა ერთსულოვანათ, მათი ორგანოების დადგენილებანი სრულდებოდა თანხმობით. საბჭოს დიდი უმრავლესობა იყვენ სოც. დემ. და რა გასაკვირალია მათი ყველა ძალების კოორდინაცია. ერთი სიტყვით, მთელი მოძრაობის იდეიური და ტაქტიკური მეთაური იყო ჩვენი პარტია, ალმასრულებელი კი სხვადასხვა სახის საბჭოები. ჯარის-კაცთა საბჭო მისდევდა ჩვენს ხაზს ვერეშჩაკის, მუხარინსკის და სხვა მეთაურთა წყალობით, რომელნიც შედიოდენ ალმასკომის პრეზიდიუმში. სოც.-რევ. არასოდეს არ წარმოუდგენიათ საკუთარი განსხვავებული ტაქტიკა აღილობრივ საქმეებში. სამაგიეროთ ჩვენს და მათ შორის იყო დიდი განსხვავება პეტერბურგის მთავრობის მოქმედების დაფასებაში და მისი ხაზის აწონ-დაწონვაში.

რაში იყო საქმე? მთავარი საკითხი იყო ჩვენთვის მასის, პირველყოვლისა, მუშათა კლასის, ჩვენს ირგვლივ დარაზმვასა და გამაგრებაში. ზერელე, მოღვაწენი, რომელთა შორის იყვენ ქართველი მენშევიკებიც, მთელ თავის ყურადღებას აპყრობდენ მთავრობის შენარჩუნებას და მისი ნდობის დამსახურებას. მასის შენახვა შეიძლებოდა რეფორმებით, ახალი ფაქტების შექმნით, ხოლო მთავრობის — სამთავრობო, სამინისტროების კომბინაციებით. მასაზე იყო ასეთი წარმოდგენა: კარგი ორატორი, მარჯვე პოლიტიკოსი მას აღვილათ დაიმორჩილებს და აიყოლიებს. აქედან დაიბადა ლოზუნგი: — მივიყვანოთ ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე, რომელიც არის ერთად-ერთი კომპეტეტიური ორგანო ყოველნაირი რეფორმების შემოღების. ხოლო ეს ორგანო უნდა ყოფილიყო საარჩევნო დემოკრატიული სისტემის უკა-

ნასკნელი ტეხნიკის საშუალებით, ყველგან მთელ იმპერიაში ერთიდა-
იმავე დროს გატარებული. ეს დემოკრატიული კრეტინიზმი, მოლაპა-
რაკე ინტელიგენციის უსაქმურობის გამმართლებელი საშუალება
დარჩა მიუღებელი, გაუგებელი ხალხისთვის, რომელიც ცხოვრობს და
აზროვნობს რეალურათ, ფაქტების მიხედვით. ამის შედეგი გახდა პე-
ტერბულგის მუშათა საბჭოს სავსებით ბოლშევიკების ხელში გადასვლა,
ყოველგან მასების მათ სასარგებლოთ ამოძრავება.

ამ ამბებით შეფიქრიანებული გამოვიხმეთ პირდაპირი მავთულით
პეტერბულგიდან ი. წერეთელი და კ. ჩხეიძე. ველაპარაკეთ, გავაცანით
ჩვენი პარტიის და საბჭოს აზრი, მოვითხოვეთ რეფორმები, ზავის ჩა-
მოსაგდები გადამჭრელი ნაბიჯები და სხ. ვერავითარი პასუხი, გარდა
ნუგეშისა და ჩვენი დამშვიდებისა: ჩვენ ვემზადებით, ყოველივე კარ-
გად წავა და სხ.

ამ ოპტიმიზმის შემქმნელთა გამოიგონეს საიმპერიო დემოკრატი-
ული თათბირი, რომელიც შექმნის „წინა-პარლამენტს“. ეს იქნება ის
ავტორიტეტული ორგანო, რომელიც დაამყარებს წესიერებას და მი-
იყვანს ხალხს დამფუძნებელ კრებამდე. მოგვიწოდეს ჩვენც. ავირჩიეთ
დელეგატები და გავსწიეთ იქით საკუთარი ვაგონით. პეტერბულგის
სადგურზე შეგვხდა ირ. წერეთელი და პირდაპირ მიგვიყვანა მენშევი-
კურ ფრაქციის კრებაზე.

ირაკლი ჩამოვიდა ციმბირიდგან რევოლიუციის შემდეგ და გახდა
სწრაფათ ლიდერი რუსი მენშევიკებისა. ამავე დროს ის გახდა წევრი
კოალიციური მთავრობის, თუმცა მუშათა საბჭომ უარპყო სოც.-დემ.
ასეთ მთავრობაში შესვლა. მაგრამ სოც.-დემ. ფრაქციამ ყურად არ
იღო ეს და თვითონ, წინააღმდეგ საქართველოს ს.-დ-ისა, გადაწყვიტა
თავისი ორი წევრის მთავრობაში შეყვანა. თავისთავად ცხადია, რომ
ძალიან მაინტერესებდა რა ფრაქციაა ის, რომელიც ასე მასებისაგან
მოწყვეტილათ მოქმედებს და გამარჯვებით იმედოვნებს. მივედი მათ
კრებაზე. არასოდეს არ დამავიწყდება პირველი შთაბეჭდილება. კრე-
ბა წარმოადგენდა თავურილობას არეულ-დარეულნი, არ იციან რა
აკეთონ, საით წავიდენ; ყველა ის პროპაგანდისტები, რომელიც მი-
ნახავს რუსეთში და პარტიის კონგრესებზე და რომელთაც არასოდეს
არ ქონებიათ გარკვეული ხაზი რთული პირობებიდან გამოსასვლე-
ლათ, ყველა აქ იყვენ შეკრებილნი. როცა ირაკლი გამოჩნდა, ყველა
დაჩუმდა და მას რიგს გარეშე სიტყვა მიეცა. ეტყობოდა ირაკლი იყო
ამ ხალხის შეუმცდარი მეთაური და გზის მაჩვენებელი. ყველა ორა-
ტორები შემდეგ ირაკლი გიორგევიჩს ემყარებოდენ, როგორც უდი-
დეს ავტორიტეტს და მის აზრებს იმეორებდენ. ეს ცხვრის ფარა იყო,

შისი საკუთარი ფარა, ხოლო დანი და სხვები მის „სვიტაში“ შედიოდენ. მეორე დღეს გაიმართა მენშევიკ დელეგატების და ოდგილობრივი ორგანიზაციების შეერთებული კრება. უცებ მე წამომაყენეს თავის მჯდომარეთ. გამიკვირდა, იქ იყო მარტოვი, დანი, მარტინოვი და სხ. დავთანხმდი. მივიღეთ დირექტივები, რაიცა უნდა გაგვეტარებია „დემოკრიტიულ თათბირზე“; ამ დირექტივების მთავარი მუხლი იყო ის, რაც ჩვენ თვილისში მივიღეთ: არა კოალიციური სამინისტრო, არა-მედ დემოკრატიული, ცენზიანი კლასების გამორიცხვით და ბოლშევიკების შიგ შეყვანით. მივანდევით ამ აზრის გატარება მარტოვს. მან ეს არ გაატარა, თავის სიტყვაში მეორე დღეს ის მიემხრო კოალიციურ სამინისტროს შედგენას, რასაც ებრძოდენ ბოლშევიკები. მოხდა მენშევიკების ჩამოშორება მასისაგან. დემოკრატიულ თათბირზე მხოლოდ ერთმა ჯგუფმა იცოდა რაც უნდოდა. ეს იყო ტროცკის მეთაურობით მოსული მუშათა საბჭოს წარმომადგენელნი — მთელი შალა-უფლება საბჭოებს — გაიძახოდენ ისინი, მას კი უპირდაპირებდენ კოალიციურ მთავრობას, შუა კომბინაცია — დემოკრატიული მთავრობა კი გაქრა წერეთელ-ტროცკის სიტყვების დუელში.

აირჩიეს „წინა-პარლამენტი“, შიგ ამირჩიეს მეც. მაგრამ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს არის წყალის ნაყვა, ასეთი ფოკუსით მასა არ შეჩერდებოდა. მენშევიკები და სოც.-რევოლიუციონერები ერთნაირათ გარიყულნი არიან, როგორც ხალხისაგან, ისე მხედრობისაგან და ჩემი დარჩენა უნაყოფო იქნებოდა. დავესწარი ერთ მიტინგს, სადაც ილაპარაკეს ცნობილ მენშევიკებმა (ლიბერი, დანი და სხ.). ეს იყო არა კრება, არამედ დამმარხველი პროცესია, მოდის ბოლშევიზმი, ყოველ-ლივეს შემუსრავს, რა გვეშველება, ხსნა არსაიდანაა... ერთი სიტყვით. გასაშტერებელი პესიმიზმი და გულგატეხილობა. უეჭველია, ასეთი ლიდერების ასეთი გამოსვლების შემდეგ დამსწრეთა დიდი უმრავლესობა მეორე დღესვე გადავიდა ბოლშევიკებისაკენ, ამ ამომავალი მზისაკენ.

დავბრუნდი საქართველოში, გავაკეთე მოხსენებანი ყველა ჩვენს რევოლიუციონურ ორგანიზაციებში (დაბეჭდილია). მივიღეთ შესაფერი რეზოლიუციები. მაგრამ ყველა ვხედავდით, რომ ცენტრი საიმედო აღარ არის და ადგილობრივათ გამაგრება ხსნის ერთად-ერთი გზა და ხიდია. რუსეთის ასეთი დაძაბუნება აიხსნება ერთი მომენტით: მთავრობაში აქტიურათ ერია ბურუუაზია, მაგრამ არ ერია არც მუშათა კლასი, არც გლეხობა. ამ ორი უკანასკნელის იდეოლოგები — მენშევიკები და ესერები მათ მოწყდენ და მით გაუღეს კარები ბოლშევიკებს. რევოლიუციური პარტიის მთავარი ამოცანაა მუდამ იყოს დაკავშირებული თავის კლასთან. რუსებმა ეს ვერ შეასრულეს, ისინი აღმოჩნდენ უფ-

რო ბურუუაზიის გავლენის ქვეშ, ვინემ მშრომელთა მასების. მათმა
ოპორტიუნიზმა აქ იფეთქა და მათ მიყოლიეს ჩვენი წარმომადგენელ-
ნიც.

ჩამოსვლისთანავე მე გავაკეთე მოხსენება, პირველ ყოვლისა ც.
კომიტეტი და საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. პირველ ყოვლი-
სა საჭირო იყო პარტიული აპარატების დარწმუნება იმაში, რომ მზათ
ვიყოთ ძალაუფლების ხელში ასაღებათ, როცა ამას მომენტი მოით-
ხოვს. ეს აუცილებელი იყო იმიტომ, რომ წინეთ ვქადაგობდით — სო-
ციალ-დემ. არ ერევა ბურუუაზიულ რევოლიუციურ მთავრობაში და
რჩება მუდამ ოპოზიციაში სოციალურ რევოლიუციამდეო. ამ შინაარ-
სის წერილები მეც დამიწერია 1905 წ. გაზ. „სოციალ-დემოკრატ“-ში.
ახლა ვხედავდი ამ თეორიის შეუსაბამობას და მისი განხორციელების
დამლუპველ შედეგებს. სწორეთ ამ იდეოლოგიით იყვენ შეპყრობილნი
რუსეთის მენშევიკები და გაურბოდენ მთავრობაში პასუხისმგებლო-
ბის აღებას. მათ ვაგზავნეს ორი პირი დელეგატებათ, მეთვალყურე-
ებათ მთავრობაში და ისიც მეორე ხარისხოვან პოსტებზე, საღავე კი
გადაულოცეს ბურუუაზიულ — ესერულ კოალიციას, რომლის უკან
აღარც ერთი კლასი აღარ იდგა, არც ბურუუაზია, შეშინებული და
უხერხემლო. ც. კომ. და აღმ. კომიტეტმა სავსებით გაიზიარა ჩემი მოხ-
სენების სარჩული და მოქმედების გეზი. პირველ ყოვლისა უნდა
გვყოლოდა შეიარაღებული ძალა. გვეგონა ნაციონალური პოლკები
ასეთათ გამოგვადვებოდა. შეუდექით მათ შედგენას რუსის ჯარებიდან
მათი გამოკრეფით. ეს პროცესი გაგრძელდა, მას მოუსწრო ბოლშევი-
კურმა გადატრიალებამ და მათი ქადაგი ფრონტის მიტოვების და შინ
დაბრუნების შესახებ, მოედვა თფილისის გარნიზონსაც. დაუყონებ-
ლივ მივიღეთ ზომები ბოლშევიკური პრესა არ მისულიყო ფრონტამ-
დე, ასე რომ საზღვარზე მდგომ ჯარმა დიდხანს არ იცოდა რა მოხდა
პეტერბურგში. მაგრამ თფილისის გარნიზონი კი შეირყა. ქართული
პოლკები ჩავარდენ მის გავლენის ქვეშ. ერთი ამათგანი იდგა ვერაზე.
გამართეს მიტინგი. მიგვიწვიეს, მივედი, ვნახე ფ. მახარაძე ორატო-
რობს და დაათავა ასე: შეხედეთ უორდანიას, აცვია შუბა, განა ასეთი
ხალხი დაიცავს მშრომელთა ინტერესებსო! სიტყვა ავიღე, რას ვე-
ტყოდი ადგილი მისახვედრია, მაგრამ აშკარა იყო ჯარის-კაცთა თანაგრ-
ძნობა იყო მისკენ. ამის შემდეგ ასეთ მიტინგებზე არ წავსულვარ.
საჭირო იყო არა მხოლოდ სიტყვა, არამედ უმთავრესათ საჭმე. აღმას-
რულებელ კომიტეტს დაუსვი ეს საკითხი და მივიღეთ გადაწყვეტილე-
ბა ნაციონალური პოლკები დაშლილ იქნას, სალდათები უიარალოთ შინ
გაშვებული, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ისევ მოწოდებულნი.

ჩვენ ვფიქრობით, რომ სოფელში გლეხობაში ბოლშევიკური სულიური აფორიაქება ჩქარა გაქრება, დაემსგავსებიან ნორმალურ მშრომელთ და შემდეგ გახდებიან საიმედო სამხედრო ელემენტებთა შეგრავ მათ გასარეკავათაც ძალა იყო საჭირო. დამბადა აზრი საკუთარი შეია-ჰულებული ძალის შექმნისა მოწინავე მუშებისაგან. ამის მთავარი მოციქული გახდა ჭულელი და მასვე მივანდევით ჭიაბერაშვილთან ერთად მისი დაწყება. გატარება ადვილი იყო, ვინაიდან პარტიული ცენ. კომიტეტი და ორგანიზაციები ამას მხარს უჭერდენ. გვარდია შედგა, იარაღი კი არ იყო. აი ამ დროს მოხდა კონფლიქტი არსენალის ძრგვლივ, რაიცა გათავდა მისი დაკავებით ჩვენ მიერ. ეს იყო ნაბიჯი თავდადების, რისკის, მაგრამ შეუდრეველი გადაწყვეტილების და უძლეველი ნებისყოფის. მართალი გითხრათ, როცა ამ სალამოს ვნახე დამწკრივებული ჩვენი „შეიარაღებული ძალა“ შემეშინდა, გავდა ნამდვილ ბანდას, ფანტასტიურათ შედგენილს და შეიარაღებულს. ვიფიქრე, ეს ძალით ერთ როტასაც ვერ მოერევა, არა თუ მთელ გარნიზონს. იმედი გვქონდა ერთად-ერთი — მუშების მორალური გავლენისა სალდათებზე. მხოლოდ და მხოლოდ ეს მორალი იყო მჭრელი იარაღი, ხოლო თოფ-რევოლუციები უბრალო დამატება, მოჩვენება. მუშათა გადაჭრილი სურვილი იყო გახდეს ბატონი და პატრონი თფილისის. ამ აზრს, ე. ი. მუშათა ხელისუფლებას თვით ბოლშევიკები ქადაგებდენ, ასე ჩააგონეს ჭარსაც და ამ გარემოებამ მოშალა გარნიზონი. მუშათა ჩიქორთულათ შეიარაღებულ „ბანდამ“ 33 ათასი მეომრისაგან შემდგარი გარნიზონი განაიარა მორალურათ და დაჩოქა თავის წინაშე. არსენალი გადმოვიდა ჩვენს ხელში. დაჭერილი ბოლშევიკები კ. ცინცაძის მეთაურობით მომიყვანეს სასახლეში, მეისინი ყველა გაუშვი, რისთვისაც საყვედურიც მივიღე. გაუშვი იმიტომ რომ არ მინდოდა მიმეცა მათვის მსხვერპლის ორეოლი, ხოლო გარნიზონისათვის საბაბი ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრების. რაკა გავიმარჯვეთ, საჭირო იყო დაწყნარება აღელვებულ სალდათების, დაშოშმანება მოწინააღმდეგენის და ასეთ ატმოსფერაში ჩვენი ძალების თავის მოყრა და გამაგრება „ვით ქვითკირისა“. ასეთ დიდ საჭმეს ვერ გავხდიდით საეჭვოთ კოტია ცინცაძის და კუზნეცოვის ტყვეობით. მათ წინააღმდეგ რეპრესიების დრო ჭერ კიდევ არ იყო დამდგარი.

არსენალის აღებამ ააფორიაქა მთელი გარნიზონი, მოითხოვეს ჭარის-კაცთა საბჭოს მოწვევა და აღმასრ. კომიტეტის ბიუროს გამოცხადება პასუხისათვის. სასახლის დიდი ზალა გაივსო სალდათებით, მოვიდა მთელი მათი საბჭო და მისი ამყოლნი ბოლშევიკები. შევთანხმდით

ბიუროში რომ ვერეშჩაკი იქნებოდა თავმჯდომარე და პასუხის მიმ-
ცემი. მივედით კრებაზე, ვერეშჩაკი არ სჩანს, ვუცადეთ, არ მოვიდა.
დაიწყეს ყვირილი თავმჯდომარე აქ არის. წავედი წინა სტრუქტურა,
კრება გამოვაცხადე გახსნილათ და გავაკეთე მოქლე მოხსენება მომხ-
დარ ამბების შესახებ. დაიწყო ლაპარაკი. ყველა გაჯავრებული რიგ-
რიგობით იღებდა სიტყვას და იწყებდა ვერეშჩაკის გინებით, მას აბრა-
ლებდენ სამხედრო საბჭოს პრესტიუს დაცემას, მუშებისათვის აყო-
ლას, გვარდიას და მათ შორის შეტაკების მოწყობას. ერთი სიტყვით
ყოველივე ბოროტებას. მეთერთმეტე საათზე გამოცხადდა ვერეშჩაკი,
დამიჯდა გვერდში და გადმომცა სმაღაბლა — ესერების კრებამ მიმიწ-
ვია, ისინიც საშინლათ აღელვებულნი არიან არსენალის აღებით.
მომთხოვეს პასუხი, სულ მტუქსაგდენ და მაბრალებდენ სოც.-დემ. აყო-
ლას და სხ. კრება მივატოვეო. მეც მას გადავეცი თავმჯდომარეობა და
ვუყურებდი ახალ სპეცტაკლს. აქ გაშალეს გუდა და ისეთი ენით ალაპა-
რაკდენ, რაც ყურში არ გაიგონებოდა. ვერეშჩაკი მაინც ავრძელებს დე-
ბატებს და ყურში ჩამჩურჩულებს — ილაპარაკონ, გამოიფიტებიან, მო-
ილლებიან და წავლენო. მართლაც ასე მოხდა. დაიქანცენ. ზოგს აქეთ
სძინავს, ზოგს იქით, ბოლოს წარმოადგინეს რეზოლიუცია არსენალის
აღების დაგმობით. მიიღეს და დაიშალენ ნაშუალამევს. ვერეშჩაკმა
მითხრა — არა უშავს, ეს რეზოლიუცია ჩემს ჯიბეში დარჩებაო. მარ-
თლაც ის არც გამოქვეყნებულა, არც საღმე წაკითხულა. ჩაილულის
წყალი დალია.

სამაგიეროთ, მუშათა საბჭოს კრებაზე იყო დიდი ზეიმი, გარნიზო-
ნში მოხდა დემობილიზაცია. მუშებში კი პირიქით, ძალთა კონცეტ-
რაცია და ნებისყოფის გამტკიცება. იმ დღიდან გარნიზონი აღარ გარ-
ნიზონობდა და აღმასკომის წინადაღებას — დაეცალა თფილისი და
შინ დაბრუნებულიყო — უპროტესტორ დაემორჩილა. დავა დაიწყო
მხოლოდ იარაღის შესახებ, თოფებს არ ტოვებდენ, იარაღით უნდა წა-
ვიდეთო. ოლონდ კი მოგვშორდენ, დევ წაილონ თავის შეიარაღება. ისი-
ნი წავიდენ, ყაზარმებს დავეპატრონეთ, ყველგან ჩვენი პატრული და-
ვაწესეთ. გვარდია სწრაფათ გამრავლდა და მთავარი სამხედრო ძალის
ადგილი დაიჭირა. მისი საშვალებით განვაიარალეთ გაბოლშევიკებული
ქართული პოლკები. მართალია, ჩვენ გვყავდა სამხედრო სამინისტრო,
მთელი უწყება, მაგრამ საქმეში არ ერეოდენ და მთავრობა ეყრდნო-
ბოდა მხოლოდ გვარდიას. რანაირი იყო ეს მართველობა, ჩანს შემდეგი
ფაქტიდან: ერთ დღეს აღმასკომის ბიუროში შემოდიან სომხის ნაციო-
ნალური პოლკების წარმომადგენელნი და მაძლევენ სამხედრო მინის-
ტრის თანაშემწის, ფაქტიურ სამხედრო შენისტრის, ოდიშელიძეს ბრძა-

ნებას: გაეცით არსენალიდან 13 ათასი თოფი სომხის პოლკისათვისთ. მაშინვე მოვითხოვე ცნობა ტელეფონით არსენალიდან; რამდენი თოფია იქ. პასუხი იყო — თვრამეტი ათასი! გადავაბრუნე ოდიშელის გრძანება და დავაწერე: უარი ეთქვას. სომხები გაჭვირდენ, მინისტრის გრძანებას არ ასრულებთ. შე ვუთხარი, წალით, ნახეთ მინისტრი, გადაეცეთ მისი ქალალდი უკანვე. წავიდენ, მოვიდენ ისევ, დაგვიწყეს ვაჭრობა. ორი დღის თათბირის და მისვლა-მოსვლის შემდეგ, დავადგინეთ — არსენალის თოფები გაიყოს სამ ეროვნებათა შორის. სომხებს მივეცით ექვსი ათასი.

ამ ინცინდენტის შემდეგ ოდიშელიძეზე გული გამიტყდა. აშკარა იყო, რომ მომხდარმა ამბებმა ისე მოშალა და დაარეტიანა, რომ აღარ იცოდა რას შვრებოდა. მაგრამ, სამწუხაროთ, იმდენი მფარველი აღმოუჩნდა ჩვენს პარტიაში, რომ აღგილიდან ვერ დავსარი. სამაგიეროთ, მისას არას ვიგონებდი და არც ვეკავშირებოდი. რით დაიმსახურა ნდობა? ერთად-ერთი გზით — ყველა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს ფეხვეშ ეგებოდა, რასაც ეტყოდენ, მაშინვე უდასტურებდა. თავისი აზრი არავითარ საკითხზე არ ქონდა, სხვებისას იმეორებდა და ამიტომ ხმა გაუვარდა — ერთად-ერთი ლენერალია რევოლიუციის მომხრეო! გაიკეთა რა ასე სახელი, მთელი სამხედრო საქმეების აწყობა მიანება პოლიტიკოსებისაგან შემდგარ სამხედრო კომისიას! ამაზე შემდეგ.

ჩვენ კიდევ ვიმედოვნებდით, რომ ბოლშევიკებს ბოლოს მოუღებდენ რუსეთში და შესდგებოდა ნორმალური მთავრობა. მოვახდინეთ არჩევნები დამფუძნებელი კრებისათვის, სადაც ჩვენი დეპუტატები უნდა წამდგარიყო ჩვენი საკუთარი ნაციონალური პროგრამითაც. ამ მიზნით დავაარსეთ ინტერპარტ. კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეთ მე ამირჩიეს. ეს საბჭო იკრიბებოდა ფრეილინის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში. მთავარი საკითხი განდა თავის დაცვა ოსმალოს შემოსევისაგან და დამფუძნებელი კრების საშუალებით იმპერიის ფარგლებში ნაციონალური მართველობის აწყობა. არც ერთ პარტიას, ჯგუფს თუ პიროვნებას არ წამოუყენებია საკითხი დამოუკიდებლობისა. ეს იმ გარემოებაში წარმოუდგენელიც იყო. საზღვარზე იდგა ოსმალოს ჯარები, რუსის ჯარი არ ირყეოდა, ჩვენი ფიზიკური და ეთნოგრაფიული არსებობაც საფრთხეში იმყოფებოდა. გადავწყვიტეთ ნაციონალური ყრილობის მოწვევა და იქ საერთო პროგრამით წარდგომა. მომანდვეს თეზისების წარდგენა კომიტეტში. შევაღვინე, წაუკითხე, ერთხმად მოიწონეს და შესაფერი მოხსნებაც წარუდგინე ყრილობას (დაბეჭდილია).

ყველა ამ ორგანიზაციებს ემატებოდა კიდევ ერთი — მუშათა, ჯა-
რის-კაცთა და გლეხთა საბჭოების ამიერკავკასიის ცენტრი („კრაშვილი
ცენტრი“), რომლის თავმჯდომარე ერთხანს მე ვიყავი. ამ ცენტრის მა-
მოძრავებელი ძალა იყო თფილისის მუშათა აღმასრულებელი კომი-
ტეტი. აქ მიღებული რეზოლუციები ცხადდებოდა იქ ჩვენ მიერ. იმ
დიდ კრებაზე გამოდიოდენ დიდი ორატორები, ხშირათ წინააღმდეგ
ჩვენი აზრებისა, მაგრამ რეზოლუციას ჩვენსას ღებულობდენ. ეს აიხ-
სნება, ალბათ, იმით, რომ ეს ორატორები თავის-თავს ემყარებოდენ,
ორგანიზაციას არ წარმოადგენდენ და მარტო ლამაზი სიტყვების ამა-
რა რჩებოდენ. განსაკუთრებით საყურადღებოა ირ. წერეთელის გა-
მოსვლები, მთელი დარბაზი ტაშს უკრავდა, ამით კმაყოფილი ირაკლი
კუთხეში მიჯდებოდა და რა ხდებოდა ყურადღებას არ აქცევდა. ხდე-
ბოდა კი მუდამ ერთი და იგივე — ჩვენი ტაქტიკა, ჩვენი დირექტივე-
ბი სრულიად არ ეთანხმებოდა მის გამოსვლებს, ხოლო კრება კი ბო-
ლოსდაბოლოს ჩვენ ხაზზე დგებოდა. ერთხელ ასეთ შემთხვევის გამო
ირაკლი ვანუგეშე: შენ ხომ მიიღე ერთსულოვანი ტაში, ესეც გეყო-
ფა, საქმის წაყვანა კი ჩვენი საქმეა...

დამფუძნებელ კრებაში არ წავედით, ვიცოდით არათერი გამოვი-
დოდა, ვარჩიეთ ერთი პირის გაგზავნა, ვისაც კიდევ სწამდა პეტერ-
ბურგი. ასეთი იყო ირ. წერეთელი და ის კიდევაც წავიდა. კრების გა-
რეკის შემდეგ ნათელი გახდა ჩვენი თავის ჩვენს ამარაზე დარჩენა.
ეს კი ნიშნავდა რუსეთიდან გამოყოფას ფაქტიურათ და ჩვენი ცხოვ-
რების ჩვენს ჭიუაზე მოწყობას. ეს დასკვნა გამოდიოდა შემდეგი საქ-
ვეყნოთ ცნობილი ფაქტორებისაგან: ბოლშევიკური გადატრიალება
რუსეთში, რის ავტორიტეტის ჩვენ არ ვცნობდით, ოსმალეთის ფრონ-
ტის დატოვება რუსის ჯარების მიერ და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკ-
რულება, რომლითაც ჩვენ გვეკარგოდა ჩვენი პროვინციები. რაკა
რუსეთმა უარი სთქვა ჩვენს დაცვაზე, პირიქით, იქით გააჩუქა ჩვენი
ტერიტორია, ცხადი იყო მან უარი სთქვა ჩვენს ქვეყანაზე, თვითონ გა-
ვიდა და ჩვენ დაგვტოვა მარტოთ-მარტო. ჩვენ არ შეგვშინებია, არ
დავფრთხალოართ, შეუდექით ჩვენი ძველი პროგრამის — ამიერ-კავკა-
სიის თვითმართველობის მოწყობას პარლამენტით თფილისში. ეს აზრი
ჯერ გავატარეთ ყველა ჩვენ რევოლუციურ ორგანოებში — დაწყე-
ბული მუშათა საბჭოდან და შემდეგ განვანორციელეთ. იშვა სეიმი. მაგრამ ამავე დროს არ სძინავდა არც ბოლშევიკებს. ლენინმა თავის
ნამესტნიკათ დანიშნა შაუმიანი. ეს ვაჟბატონი ჩქარა ისე დაფრთხა,
რომ მიიმალა. მათ საიდუმლო ორგანიზაციამ მოაწყო მიტინგი ალექ-
სანდროვის ბაღში იმ მიზნით, რომ იქიდან წასულიყვენ სეიმის გასა-

რეკათ და შაუმიანის ხელისუფლების გამოსაცხადებლათ. ბიურო აღ-
მანქომისა შეიყარა საჩქაროთ და გაგზავნა თავისი განსაკუთრებითი
რაზმი ვლ. იმნაძის წინამძლოლობით მიტინგის გასარეკათ და ურჩების
დასაჭერათ. შედეგი ცნობილია. რაზმმა იარაღით გარეკა კრება. ამ გა-
რემოებამ გამოიწვია დიდი აყალ-მაყალი მუშათა საბჭოში: როგორ,
რევოლიუციონერებს ტყვიით ვუმასპინძლდებით, ეს ღალატია, თავის
მოჭრაა და სხ. და სხ. ამგვარი თვითგამათრახება გაისმა ჩვენს ირგვ-
ლივ; შეშფოთდა აღმასრულებელი კომიტეტი, მხოლოდ ბიურო უც-
კერდა ამ გარემოებას გულგრილათ, თანაუგრძნობდა რაზმს, მაგრამ
ამას ხმამალლა ვერ ამბობდა. საჩქაროთ მოწვეულ აღმასკომის კრე-
ბაზე არჩეულ იქნა საგამომძიებლო კომისია ვლ. იმნაძის და ამხანა-
გების სამართალში მისაცემათ. მე დავეთანხმე, გულში იმ იმედით
რომ ეს არასოდეს არ მოხდებოდა. ამ პერიოდში მე აუცილებლათ მი-
მაჩნდა ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიების მიღება, მათთვის
ყოველივე გასაქანის მოსპობა. კომისიამ გამოიძია, ანკეტა წარმო-
უდგინა ბიუროს, რომელმაც შეინახა ყუთში სამუდამოთ, არავითარი
მსვლელობა არ მიუცია. ამით დასრულდა ეს ინციდენტი, არც არავის
მოუთხოვნია საქმის განახლება. ვინაიდან ბოლშევიკების მუშაობაში
მიიღო აშკარა ჩვენი ქვეყნის სამტრო ხასიათი, ისინი იდევნებოდენ
როგორც მოსკოვ-ოსმალეთის აგენტები და მათთვის ხელის-შემწყობ-
ნი. ამ უკაცრავათ პასუხია „რევოლიუციონერებს“ დამცველი აღარ
აღმოაჩნდათ. ერთი მხრით ოსმალები მოიწევდენ ჩვენი საზღვრებისაკენ
და ჩვენ ვაწყობდით თავდაცვის საშუალებებს, მეორე მხრით იმავე
დროს ბოლშევიკები შიგნით გვიჯანყებდენ ხალხს და იძულებულს
გვხდიდენ ფრონტზე გასაგზავნი ჯარის ნაწილები მათ წინააღმდეგ გა-
გვეგზავნა და აჯანყებულნი გვემშვიდებია. ისინი გახდენ ერის აშკარა
მოღალატენი და მით დაიმსახურეს კანონის გარეშე გამოცხადება.
ცხინვალი გახდა პირველი მათი შემოტევის საგანი, გაბოლშევიკებულ,
გარუსებულ ოსების საშუალებით, ვიცოდით რომ ფ. მახარაძემ მოი-
კალათა ოსთა შორის და ეწევა პროპაგანდას „საქართველოს გაბატონე-
ბის წინააღმდეგ ოსებზე!“ მოითხოვდა ამათ შეერთებას ჩრდილო ოსე-
თისათვის და სხ. ამავე დროს სამეგრელოს და სუბუმის ოლქის ზოგ
სოფლებში ააფრიალეს ბოლშევიკური დროშა, აგრეთვე უფრო სერი-
ოზულათ რაჭა-ლეჩესუმში. ყველა ეს იმ დროს, როცა ოსმალეთი მო-
დიოდა ბათუმის დასაკავებლათ და ჩვენ ვაწყობდით წინააღმდეგობიშ
გაწევას.

ამ ნაირათ, მოხდა დაკავშირება თურქ-ქართველ ბოლშევიკებისა
ჩვენი ტერიტორიის წასაგლეჭათ, ჩვენი ხელისუფლების დასამხობათ.

მე გავემგზავრე ბათუმში თოფით ხელში, თუმცა არასოდეს თოფი არ
მჰერია და არ მისვრია. საჭირო იყო მაგალითის მიცემა. რიონში კატერები
რედიაში ბევრნი იყვენ შეიარაღებული მოხალისენი. მიტინგების და
კრებები საღვურზე. ბოლშევიკების ლაპარაკს გასავალი არ ქონდა.
მაგრამ ყველა მათგანი დაფრთხალი იყო. ბათუმს ვერ შევირჩენთ —
საერთო აზრი იყო. ყველას აინტერესებდა სწორეთ ბათუმი და ამიტომ
ეწერებოდენ ჯარში. ბათუმში ჩავედი, მტერი თოფის სროლის მანძილ-
ზე მოსულიყო. წავედი ფრონტის დასათვალიერებლათ და სწორეთ
მოვხდი ქართველ-თურქების შეტევის შუაში, შარა გზაზე. ტყვია აქე-
დან-იქედან ყურებთან მივლიდა. დავბრუნდი უკან, ბათუმისაკენ. ცნო-
ბა მივიღე თფილისიდან, რომ გვარდია ცხინვალის რაიონის განიარა-
ღების შემდეგ თფილისში ბრუნდება. მე კი მინდოდა ბათუმში ჩა-
მოსულიყო და მოხალისეთა ჯარს სათავეში ჩასდგომოდა. გავსწიე სა-
განგებო მატარებლით, მიუსწარი გამობრუნებულ გვარდიას გორში,
გავმართეთ თათბირი, გადავწყვიტეთ სამი დღის დასვენების შემდეგ
ბათუმისაკენ გამგზავრება. ეს ალარ შესრულდა, ვინაიდან ბათუმი
უკვე დაკავებული იქნა ოსმალების მიერ. გვარდია მაინც გაემგზავრა
სამეგრელო-გურიისაკენ.

ტრაპიზონში გაგზავნილ დელეგაციამ აკ. ჩხერიმელის მეთაურობით
ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების
ასრულება იყო ის მინიმუმი, რასაც თურქი ითხოვდენ, დანარჩენზე
შემდეგ მოვილაპარაკოთო, ხოლო ამის წინასწარი პირობაა ამიერ-კავ-
კასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. დაისვა ეს საკითხი სეიმში.
საჭირო იყო კარგად გაგება ოსმალეთის ამ წინადაღების სარჩულის,
იყო ის ჩვენ სამოყვრით თუ სამტროთ. მე ვიფიქრე, რომ აკ რაღაც
დამალული ხერხი ისახება და თუ გულგრილათ შევხედავდით მას —
გამოცნობა აღვილი იყო. ოსმალეთი აწვებოდა ბრესტ-ლიტოვსკის
ხელშეკრულებას, რომლის ძალით მას კავკასიაში დაეთმო მხოლოდ
სამი პროვინცია, სანამ ჩვენ ვირიცხებით რუსეთის ფარგლებში, მანამ-
დე მას არ აქვს უფლება კიდევ რაიმე მოითხოვოს ჩვენგან. ოსმალობ
კი ეს არ აკმაყოფილებდა და ფიქრობდა თავის საბრძანებელის გა-
ფართოვებას ამიერ-კავკასიის ხარჯზე. ეს მას შეეძლო იმ შემთხვე-
ვაში, თუ ამშერ-კავკასია გამოვიდოდა რუსეთის ფარგლიდან, იქნებო-
და დამოუკიდებელი და, მაშანადამე, მსხვერპლათ აღვილათ გასახლო-
მი. აი ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით სეიმში, როცა ამ საგანზე
სიტყვა წარმოვსთქვი (დაბეჭდილია). მე ვამბობდი, ამიერ-კავკასიის
დამოუკიდებლობა ჩინებულია, მაგრამ მიწი ცნობა და ცნობა მიწი
ზაზღვრებიმა წინასწარი პირობა უნდა იყომ. ჩვენსა და ოსმალეთს შო-

რის მოლაპარაკების დროს. მე, რასაკვირველია, პირდაპირ ხელი არ დავადევი ოსმალოს, ფრჩხილები არ გავხსენი დიპლომატიური მოსაზრებით, მაგრამ წამოყენებული პირობა ნათლად ხდიდა შინაარს. სამწუხაროთ, ჩემი სიფრთხილე არ გაიზიარა არც ჩემმა ფრაქციამ, არც ჟეიმმა; თითქოს ყველა თავდაყირა გადაეშვენ დაგებულ სხაპში; კენჭის ყრის დროს მე თავი შევიკავე. შედეგს არ დაუყონებია, ოსმალო შემოიჭრა და დაიჭირა ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, მთელი აზერბეიჯანი და სომხეთის სამი მეოთხედი, გერმანელების დახმარებით ჩვენ შევაჩერეთ ისინი ჩვენს საზღვარზე, თფილისთან ახლოს. მათ ხელში იყო ბაქო, ბათუმი და სურდათ ამისთვის მიემატებიათ თფილისიც.

ერთი სიტყვით, თავისუფალი ამიერ-კავკასია იურიდიულათ, გახდა ფაქტიურათ ოსმალეთის პროვინცია. ამის შემდეგ გვითვლის ის — ახლა ვილაპარაკოთო! მოსკოვმა ხელი დაიბანა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, გამართლდა დიდ ტრალიკულ მასშტაბში. ოსმალეთი რომ არ იყო სანდო, ეს ისტორიიდან ვიცოდით, მაგრამ თუ ასე ცინიკურათ დაგვატყუებდა — ეს არავის ეგონა. მეც არ ვიყავი დარწმუნებული, მხოლოდ ეჭვები მქონდა და სიფრთხილეს ვითხოვდი. ასეთ პირობებში გამართული მოლაპარაკება ბათუმში, რა იქნებოდა თუ არა ჩვენი კაპიტულაცია. მაგრამ რაც მოხდა იქ — მაინც არ მოველოდით.

ბათუმიდან მივიღე დეპეშა, ჩამოდიო. ჩავედი, დამხვდა შემაძრუშუნებელი სურათი: ერთი მხრით სეიმის დელეგაცია, მეორე მხრით მუსულმანების კერძო დელეგატები, არ დაგვტოვოთ, ჩვენ თქვენი ვართ, ევედრებოდენ სტამბოლს. სომხებს არავინ ყურს არ უგდებდა, ხოლო ქართველები მჭერმეტყველობით ამიერ-კავკასიის დამცველი, რასაც არავითარი ფასი არ ქონდა. ამ ნაირათ აზერბეიჯანმა გაარღვია რა ჩვენი ტერიტორიალური მთლიანობა და გადაბარგდა მტრის ბანაკში, დაინგრა სეიმის დელეგაცია, რასაც უნდა მიყოლოდა თვით სეიმიც ქართველ დელეგაციამ გამართა თათბირი. მივედით იმ დასკვნამდე, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთად-ერთი გამოსავალია: სეიმის დაშლა და სამი ერის მიერ თავ-თავის დამოუკიდებლობის გამოცხადება. აზერბეიჯანი ახლა ოსმალეთისაკენ მიათრევდა მთელ მხარეს, როცა მას მოვშორდებოდით, მხოლოდ თავის-თავს გაათრევდა. სომხები ვერ მიხვდენ მდგომარეობას, უსიამოვნო ლაპარაკი მომივიდა ალ. ხატისოვთან. მან დამიჩემა — თუ ვიღუპებით — სჯობს ერთად დავიღუპოთო! ეს იყო სასოწარკვეთილობის ამოძახილი, ჩვენი აზრი მოიწოდა.

ნეს გერმანელებმაც და აღვითქვეს დახმარება. ამ გადაწყვეტილებით
წავიდენ ბერლინში თავის მთავრობისათვის მოსახსენებლათ.

მაშასადამე, დღის წეს-რიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებელი
ლობის გამოცხადება. ეს იყო სრულად მოულოდნელი, არასოდეს არ
გათვალისწინებული ამბავი, მისი გატარება ჩვენს რევოლუციონურ
ორგანიზაციებში გახდა დიდი თავსამტვრევ ამოცანათ, ამ მისით დავ-
ბრუნდი თფილისში.

რაკი გადამწყვეტ როლს ყველა დიდ პოლიტიკურ მდგომარეობაში
ასრულებდა თფილისის სოც.-დემ. ორგანიზაცია, პირველ-ყოვლისა
მოვიწვიეთ მისი კრება ქალაქის საბჭოში. დაესწრენ ყველა რაიონების
წარმომადგენელნი, კომიტეტი სრული შემადგენლობით, ცენ. კომი-
ტეტი, პროპაგანდისტთა კოლეგიის წევრები — ერთი სიტყვით მთელი
მეთაურობა, სადაც შედიოდენ ყველა ეროვნებები ქართველების გვერ-
დით, რუსები, სომხები, ასები, მუსულმანები — ყველა. ეს იყო მართ-
ლა ინტერნაციონალური. გავაკეთე მოხსენება (დაბეჭდილია). გაი-
მართა დებატები, აღშფოთებულნი იყვნენ „მუსავატის“ მოქმედებით,
აზერბეიჯანის განდგომით და ბოლოს ერთხმათ იქნა მიღებული წარ-
დგენილი რეზოლუცია. ეს მოქმედი, თავდადებული ხალხი იმავე და-
მეს შეესიენ მუშათა რაიონებს. გააცნეს რა ხდებოდა ბათუმში და ოც-
დაოთხ საათში მთელი მუშათა კლასი გადაიყვანეს საქართველოს ნაცი-
ონალურ რელსებზე.

დაუვიწყარია ეს კრიტიკული მომენტი. ჩვენმა პარტიამ კიდევ ერ-
თხელ დაიჭირა ძნელი ეგზამენი. ლანჩხუთის სოც.-დემ. კონფერენ-
ციის გადაწყვეტილება განხორციელდა სრულიად მოულოდნელ, ტრა-
ლიკულ პირობებში, როგორც საშუალება თავის გადარჩენისა...

რაკი ეს მთავარი ფუძე ჩაიყარა, შემდეგ მისი გატარება აღვილი
იყო. სეიმის ჩვენმა ფრაქციამ ერთხმათ მიიღო. მოვიწვიე სომხები
ცალკე და გავაცანი მდგომარეობა. აგარონიანმა თფილი სიტყვით
მომმართა — რაკი ქართველებს ეს გადაარჩენს, რა დაგვრჩენია რომ არ
დავადასტუროთ და მოგილოცოთ, ჩვენ უბედურებაში არ გვინდა
სხვებიც ჩავითრიოთო და სხ.

ეგევე საკითხი დაისვა ნაციონალურ საბჭოში, რომელსაც უნდა
მოემზადებია მისი განხორციელება შემდეგ სეიმის დაშლისა. საჭირო
იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება საბჭოში. გამოვ-
ყევით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოთ ამ საკითხში. მე ვსთხოვე
კომისიის წევრს გ. გვაზავას შეედგინა პროექტი, როგორც იურისტს
და მოეტანა ჩემთვის. მან შეადგინა, წავიკითხე, გავოცდი. სწორ, ნაცი-
ონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური

რეფორმების დებულებანი: ჩვა საათის სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხ. მე ასეთი მუხლები ჩავთვალე უადგილოთ; საჭირო იყო ერთი, ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ყველა გამთიშველი ელემენტები. ამ აზრის თანახმათ შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასიური ხასიათის მუხლები, დავტოვე შესწორებით მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათის. ასე შესწორებული წაუკითხე კომისიას. გიორგის ხმა არ ამოულია, მასზე დავინახე განცვიფრების და კმაყოფილების ბეჭედი. ალბათ ფიქრობდა — ეს საციმბირო რევოლუციონერი ჩემზე უფრო ზომიერი აღმოჩნდა. არ გაემტყუნება, რას გვიცნობდა. ამნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ძირითად ხარტიათ.

იშვა 26 მაისი.

იშვა ერთი მთლიანი ქართველი ერი. სწორედ ამ დატის შემდეგ ბოლშევიკებმა გააძლიერეს ბნელ ჩამორჩენილ კუთხეებში თავისი აგიტაცია და მრავალ ალაგას მოაწყვეს გამოსვლები. განსაკუთრებით ფართო მასშტაბით ეს შესძლეს დუშეთის მაზრაში, ვლადიკავკაზის გზით რუსეთიდან თავის კადრების შემოყვანით და გლეხობის გაბრიყვებით. გვარდია იყო მოწოდებული, როგორც ერთად-ერთი ძალა, მათთან საბრძოლველათ. მაგრამ ის მორჩილებდა აღმასრულებელ კომიტეტს, მთავრობას კი არ დაურჩა თავისი საკუთარი სამხედრო ძალა. გვარდიის მთავარ შტაბის თავმჯდომარეთ ვითვლებოდი მე, როგორც მუშათა საბჭოს თავმჯდომარე, თუმცა მის მუშაობაში მონაწილეობას არ ვიღებდი. ეს ჩემი ფიქტიური უფროსობა გამოიწვია პოლიტიკურმა მომენტმა. გვარდია იყო პოლიტიკურ-სამხედრო ორგანიზაცია და გამოდიოდა ბრძოლის ველზე პოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელათ ხმალით. ვინ იყო იმის თავდები რომ მოწინავე მუშათა სისხლი დაიღვრებოდა მიზანშეწონილათ, სწორეთ პოლიტიკურ საქმისათვის. ასეთი თავდები დაინახეს მუშათა საბჭოს თავმჯდომარეში, მის პოლიტიკურ მეთაურში. ამის გამო გვარდიის მობილიზაციის ბრძანება უნდა ყოფილიყო დადასტურებული ჩემს მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები არ გამოვიდოდენ. მაშასადამე, ჩემი თავმჯდომარეობა იხატებოდა მთავარი შტაბის განაჩენის დამტკიცებაში საკუთარი ხელის მოწერით. როცა გვარდიას ბევრი საქმეები დაურჩა, ხოლო მთავრობას ის არ ემორჩილებოდა პირდაპირ, მოხდა აღმასრულებელი ხელისუფლების გაორება, რაიცა დიდათ აფერხებდა სწრაფ მოქმედებას. დაიბადა აზრი, ამ ორი ძალის გაერთიანების შესახებ ერთი პირის, ჩემი, მეთაურობით. თუ ასეთ ოფიციალურ თანამდებობას ამდენსანს გაურბოდი და

რევოლიუციონურ ორგანოების საშუალებით მთავრობის გამაგრებით ვკმაყოფილდებოდი, ახლა აშკარა გახდა ჩემთვის ამ ტაქტიური მოქმედება და ახალ ცხენზე გადაჯდომა. ასეთი გადაწყვეტილება — მიმღება უველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებმა. დავმორჩილდი, თავმჯდომარე ნ. რამიშვილი დარჩა შინაგან საქმეთა მინისტრათ, მე გავხდი თავმჯდომარეთ. გვარდია დამემორჩილა პირდაპირ, როგორც არა მთავარი შტაბის და მუშათა საბჭოს თავმჯდომარეს, არამედ ეროვნული მთავრობის მეთაურს. ამით შეიარაღებული ძალა გახდა ოფიციალურათ მთავრობის შეიარაღებულ ძალათ. ამ ახალ საზზე გადაეწყო უველა რევოლიუციონური ორგანიზაციები; მათ დაიტოვეს თავის სამუშაო სფეროში მხოლოდ საპროპაგანდო და საორგანიზაციო საქმეები, აღმასრულებელ ძალაზე უარი თქვეს. ამით დასრულდა ერთი პერიოდი შინაგანი პოლიტიკური ევოლიუციის და დაიწყო ახალი ერა, ერთი უველას მიერ ცნობილი მთავრობის, მთელი საქმეების მართველი და განმკარგულებელი. ამით ჩვენ გადავედით მართველობის ნორმალურ ფორმაში, როგორიც უნდა იყოს უველა ხელისუფლება. რევოლიუციიდან გამოვედით, თუმცა რევოლიუციურ ორგანოებს კიდევ ვიყენებდით. მათი გადაქცევა პოლიტიკურ ორგანოებათ, პარტიულ დაჯგუფებათ, ხდებოდა თანდათან, რაიცა დასრულდა სწრაფათ, სალდათების საბჭოს ნაშთების გაუქმებით.

საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენს ირგვლივ მეტად გართულდა, ასმალები შემოიჭრენ, გერმანელების ჯარები მოვიდენ. მათ უკან შორი-ახლო მოსჩანდა ინგლის-საფრანგეთის თოფ-ზარბაზანი. ამ ქანსში საბოლავოთ ვინ გაიმარჯვებდა ვინ იცოდა. ბერლინიდგან დაბრუნდა ნ. ნიკოლაძე ენკენისთვეში და მითხრა: გერმანიის გამარჯვება უზრუნველყოფილია, მას ვერავითარი ძალა ვერ უძლებს, შეგვიძლია ავილოთ ხაზი გადაჭრით გერმანიაზეო. ასეთი აზრი არა მარტო ჩემია, არამედ მთელი დელეგაციის, ჩხენკელის მეთაურობითო და სხ. მე მაინც ვყოყმანობდი, გვქონდა ხშირი თათბირი ამ საგანზე. გადავსწყვიტეთ სრული ნეიტრალობა. დავეყრდნოთ ჩვენს თავს, ჩვენს მთლიანობას და ორგანიზაციულ სიმტკიცეს, რომელი კოალიციაც მოვა — სულ ერთია, საქმეს მასთან დავიჭროთ ერთი პირობით — ჩვენი სუვერენობის ცნობით და შინაურ საქმეებში ჩაურევლობით. დაუვიწყარი ამის მაგალითი მოგვცა გერმანიის ჯარების სარდლობამ. ჩვენ სოციალისტები და დემოკრატები, ისინი მონარქისტები, აზნაურები, განსხვავება პოლიტიკური და იდეოლოგიური იყო დიდი. მიუხედავათ ამისა ჩვენი ურთიერთშორის დამოკიდებულება იყო ლოიალური, მევობრული, გულწრფელი. იმავე გერმანელებმა იმავე დროს სრულიად სხვანაირათ

შოიქცენ უკრაინაში. აქ ისინი თვით აყენებდენ და გადააყენებდენ
მთავრობას, აწყობდენ შინაურ ურთიერთობას — ერთი სიტყვით იქ-
ცეოდენ როგორც გამარჯვებულნი დაპყრობილ ქვეყნებში. რეიტონი
ნება ეს ორი სხვადასხვა საზომი ჩვენ და უკრაინის მიმართ? უეჭველია
ერთი გარემოებით: იქ იყო სრული ანარქია, შინაური ბრძოლა, ბოლ-
შევიკების თარეში, პარტიათა ჭიდილი, უწესრიგობა და უთაობა. გერ-
მანელთ კი ეჭირვებოდა წეს-რიგი, და ისეთი მთავრობა, რომელსაც
ერი სცნობდა და მას ნორმალურათ წარმოადგენდა და მართავდა. ასე-
თი მდგომარეობა იქ არ იყო და თვით შეეცადენ მის შექმნას. ჩვენში
კი სწორეთ ის პოვეს, რასაც ეძებდენ — წეს-რიგი, მთელი ერი მთავ-
რობის ირგვლივ დარაზმული, არავითარი ქაოსი და ანარქია — ერთი
სიტყვით ნამდვილი თანამედროვე სახელმწიფო. ჯარების უფროსის
ფონ-კრესის პირველი დარბაზობა ჩემთან და მისი პირველი მომართვა
სიტყვით (ფრანგულათ) იყო ნამდვილი კეთილშობილური, უაღრესათ
მეგობრული და პატიოსნური. მას ამ ხაზიდან აღარ გადაუხვევია, თუმ-
ცა იყო ცდა გორის მაზრის მემამულეების მიერ მისი ჩვენზე გადამ-
ტერების და სახელმწიფო გადატრიალების. გერმანელები არ აყვენ,
შეთქმულნი დავიჭირეთ, ბოროტი პლანები ჩაუშალეთ. მათი გამარჯ-
ვებით მოხდებოდა დიდი უბედურება — სამოქალაქო ომი, ქართველებ-
გერმანელების შეტაკება, სოფლების აჯანყება, ნამდვილი ანარქია. თა-
ვისუფალი საქართველო დაიღუპებოდა ექვს თვეში. ის შემდეგ ვეღარ
აღდგებოდა, მით უფრო რომ შორიდან უკვე სჩანდა გამარჯვებული
ინგლისი, ჩვენ სამტროთ განწყობილი.

პირველი ინგლისელი, რომელიც მოვიდა ჩემთან სადარბაზოთ თა-
ვის ჯარების სახელით იყო ლენერალი ბრაიდფორდი (მგონია ასეთი იყო
მისი გვარი). მქონდა მთავრობის სხდომა. შემოვიდა, მაგრამ პირველი
ფრაზიდან აშკარა იყო, რომ შემოვიდა როგორც ფელთვებელი, უკ-
მეხი და უზრდელი, მბრძანებელი და ბატონი. მომიხდა სასტიკი შე-
ტაკება, დაგვემუქრა — დიდხანს აქ ვერ იბატონებთო და წავიდა. ცო-
ტა ხნის შემდეგ მუქარა სისრულეში მოიყვანა — სომხები შემოგვისია.
რა სურვათ? ინგლისმა იმედი გაუცრუა სომხებს, ოსმალეთში აღარ
შეუქნეს დანაპირები კერა და მოინდომეს რაიმე სამაგიერო მიეცათ
ჩვენს ხარჯზე. სომხები იყვენ დიდათ უკმაყოფილო თფილისის გაქართ-
ველებით, საქართველოს დედა-ქალაქათ გადაჭცევით. მათ ეს ქალაქი,
თავის უდაო ქალაქათ მიაჩნდათ დიდი ხანია, მეცხრამეტე საუკუნის
დაწყებიდან, სადაც მართლა სომხების მოსახლეობა სჭარბობდა ქართ-
ველებისას. რუსი ბატონობდა პოლიტიკურათ, სომხები ეკონომიურათ.
რუსი წავიდა, ქალაქი სომხებს უნდა დარჩენოდა, მათი აზრით ნამდვი-

ლი საქართველოა დასავლეთი საქართველო, ხოლო აღმოსავლეთში არეულია სხვადასხვა ერები და აქ ქართული, წმინდა ნაციონალური ხელის-უფლება არ უნდა ყოფილიყო. მთავრობა უნდა გადავიდეს ქუთაისში, თფილისში კი შეიქმნება შერეული ხელისუფლება სხვადასხვა ერებისაგან. ამას ისინი ქადაგებდენ სომხებში. ამას სწერდენ თავის ორგანოებში. ამიტომ არავითარ მოლაპარაკებაზე არ მოდიოდენ და რალაცას უცდიდენ. უცდიდენ თურმე ინგლისის მოსვლას.

როგორც კი მივიღეთ შულავერიდგან ცნობა სომხეთის ჯარების უეცარი თავდასხმების შესახებ, რკინის გზის დაკავების, ჩვენი ჯავშნოსნების დაჭერის და სხ. ჩემთვის ცხადი იყო რაშია საქმე. მათი უეცარი შემოტევის მიზანი იყო სწრაფათ თფილისთან მოსვლა, ქალაქში აჯანყების აფეთქება (მზათ იყვენ ამისათვის) და ქალაქის ხელში ჩაგდება. სასწრაფოთ მოვაწდინეთ გვარდიის მობილიზაცია ერთ ღამეს, მეორე დილით უკვე ჩასხდენ მატარებელში, წასვლის წინ ჩემთან შემოვიდენ ვ. ჯულელი და მაისურაძე, მე მათ ვუთხარი: თავი გაანებეთ ჯავშნოსნების და რკინის გზის დაბრუნებას, ეს შორი გზაა, დაუყოვნებლივ გადაუჭერით გზა მათ ბოლნისხაჩინთან, ვინაიდან ეს არის პირდაპირი, უმოკლესი გზა თფილისისაკენ. ეს ვარაუდი გამოჩნდა სწორი. სწორეთ ბოლნისთან მოეყარა თავი სომეხთა მთავარ საომარ ძალას და აქ მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა მათ და გვარდიას შორის. გზა გადაეჭრათ. ამასობაში რეგულიარული ნაწილებიც გამოვიდენ საბრძოლველათ და გაიმართა რეგულიარული ომი. შედეგი ცნობილია. სომხები კი ვერ უახლოვდებოდენ თფილისს. პირიქით, ქართველები უახლოვდებოდენ ერივანს. სომხის ჯარი სწრაფათ გაბრუნდა უკან. ამ დროს გამოჩნდენ ისევ ინგლისელები იმედ გაცრუებულნი, რომ ჩვენ სომხები დავამარცხეთ და ულტიმატუმი წარმოგვიდგინეს — შეაჩერეთ ომიო. ორი დღე ვაგრძელეთ ლაპარაკი, ბოლოს დავთანხმდით. გავჩერდებით იქ, საღაც ჯარი იდგება ღამის პირველ საათზე. ასევე იზამენ სომხები. ამასთანავე ვაფრინეთ შიკრიკები ფრონტზე, რაც შეიძლება იჩქარონ წინ წაწევით, დაიჭირეთ რაც შეიძლება მეტი ტერიტორია ღამის პირველ საათამდე და იქ გაჩერდით. ინგლისელები გაეჭანენ ფრონტისკენ და გულდაწყვეტილი უცქერიან ჩვენების წინსვლას და სომხების უკან დახევას. ისინი შეეცადენ ჯარების შეჩერებას, მაგრამ ჩვენი სარდალი არ დათანხმდა. ბრძანება მაქვს მხოლოდ პირველ საათზე შევჩერდეო. ომი გათავდა. ინგლისელები არ დაცხრენ. იწყება მათი ინტრიგები მესხეთ-ბათუმის ოლქში. ეს ცნობილი ამბავია. ვიტყვით მხოლოდ ერთს: ინგლისმა გამოგზავნა თავის წარმომადგენლათ ჩვენი ქვეყნის მეგობარი, ჩემი პირადი ძველი ნაცნობი და მეგობარი ო. ვუორდროპი.

გვევონა ამით იცვლებოდა შათი პოლიტიკაც. კურტიდროპისას ვყრფილ. ვარ 1897 წ. ლონდონის ახლოს, ვიცნობდი მთელ მის ოჯახს, რეცონტს, დედ-მამას და მასზე დავაწყვეთ წევრი იმედები, ჩქარა დავინახეთ, არმ მის მოხსენებებს ჩვენს სასარგებლოთ ყურადღებას არავინ აპყრობდა. ინგლისი განაგრძობდა ჩვენს წინააღმდეგ მუშაობას.

ყველა ამ სხვადასხვა დავიდარაბაში გაბმული, პარტიული ცხოვრების და მუშაობის მესვეურობაც შემრჩა. რატომ უეჭველათ მე უნდა ვყოფილიყავი პარტიის ხელმძღვანელი, მოხსენებების წამკითხველი და სხ., როცა სხვა გამოცდილი ამხანაგები გვერდში მედგენ. ადვილი ასახსნელი იყო მაშინ, გაუგებარია დღეს. იმ დროს მთავარი მუშაობა აწვა ჩვენს პარტიას, ყველგან და ყველასფერში ის თამაშობდა გადამწყვეტ როლს და ამიტომ უდიდეს ამოცანათ გადაიქცა მათი მუშაობის კოორდინაცია, ერთი ხაზის, ერთი ნების, ერთი დინამიზმის გამოჩენა სხვადასხვა ფორმაში, სხვადასხვა დაწესებულებებში. პარტიამ დაადგინა — ის ტარდება ყველგან. მახსოვს ჩვენს ცენტრში (საოლქო კომიტეტი, შემდეგ ცენ. კომ.) მე ვიცავდი წინადადებას ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მიუღებლობის შესახებ მაშინ არსებულ პირობებში (იხ. მოტივები ზემოთ). ეს ჩემი აზრი თითქმის ერთხმათ იქნა გაზიარებული. შემდეგ გამოირჩვა, რომ ადგილობრივი სოც.-დემ. ორგანიზაციები იყვენ წინააღმდეგნი და ითხოვდენ აკ. ჩხერიელის მოთხოვნილებების დაუყონებლივ მიღებას. ამ გარემოებამ ისეთი გავლენა მოახდინა ცენტრზე, რომ შემდეგ სხდომაზე მე დავრჩი მარტო ჩემი წინადადებით, მარტო დავრჩი პარლამენტის ფრაქციაში და სეიმში (მგონი ირ. წერეთელი მომემხრო). ყველა დიდ საკითხებზე, როგორც პოლიტიკური ისე პარტიული ცხოვრებისა, მე მიწევდა პარტიაში მოხსენების გაკეთება, განსაკუთრებით ისეთ დელიკატურ პრობლემებზე, რომელთაც ქონდათ ნაციონალური ხასიათი. დიდი აზრთა შემოხლა და აყალმაყალი იყო ერთ პარტიულ პრობლემაზე: გვქონდეს საოლქო ამიერ-კავკასიის კომიტეტი, თუ დავაარსოთ საქართველოს სოც.-დემ. პარტია თავის ცენ. კომიტეტით. გვქონდა დიდი პარტიული კრება, გავაკეთე გრძელი მოხსენება ამ თემაზე, დავიცავი ნაციონალურ რამკებში დარჩენა (დაბეჭდილია). დიდი წინააღმდეგობის შემდეგ გავიტანეთ დიდი ხმის უმეტესობით. ერთი სიტყვით პარტია იყო ჩარხი მთელი მოძრაობის და მისი წინამძღოლობა გახდა სახელმწიფო საქმეთ.

1919 წელს შეიკრიბა საზავო კონფერენცია. გამოვაწყვეთ დელეგაცია, მეთაურათ კარ. ჩხეიძე, წევრათ ირ. წერეთელი და სხ. ამ ორ პირზე შევჩერდით ორი მოსაზრებით: მათ იცნობდენ ევროპაში პეტერბურგიდან და ვლიქრობდით გავლენა ექნებოდა ევროპიელებზე, ჩვენ

შინაურ საქმეებში ისინი საგრძნობ როლს არ თამაშობდენ და მათი მოშორება ზიანს ვერ მოვაიტანდა. საზოგადოთ, ჩვენი პარტია თავის წევრთ ყოფდა ორათ — ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბა მულნი სიტყვით, წერით თუ საქმით, ეს ერთი კატეგორია. მეორენია გასაგზავნი, მოლაპარაკე, დიპლომატიურ სფეროში გამოსაყენებელნი, რომელთა მოშორება ადგილობრივ მუშაობას არ დაეტყობოდა. იყო ნაძალადევის ერთ კრებაზე განსაკუთრებითი ლაპარაკი ირაკლიზე. ის წამოვიდა რუსული ფსიხოლოგით და გაგებით, რაიცა მრავალ ძირითად საკითხებში ჩვენსას არ ეთანხმებოდა. რუსული უხერხემლო მენ-შევიზმი ჩვენთვის იყო მიუღებელი. დაიბადა აზრი, ირაკლი როგორც ნიჭიერი კაცი შესაფერ სამუშაოში ჩავაბით და საზღვარ-გარეთ გამო-ვისტუმრეთ.

დელეგაციას მივეცით ვრცელი დაწერილი ინსტრუქცია, სადაც გათვალისწინებული იყო ყველა შემთხვევები. ეს ინსტრუქცია გადაეცა კარლოს, როგორც საიდუმლო დოკუმენტი და მით უნდა ეხელმ-ძლვანელა. დელეგაციის ყველა წევრმა არც კი იცოდა მისი შინაარსი, წასვლის წინ კარლო მოვიდა ჩემთან და კიდევ ერთხელ გადავიკით-ხეთ ინსტრუქცია, მე ავიღე და პირველ გვერდზე დავაწერე, განზე დარჩენილ ცარიელ ადგილზე შემდეგი: თუ არც ერთი ეს პირობა არ იქნება მიღებული, მზათ ვართ მივიღოთ ინგლისის ან საფრანგეთის მფარველობა, ოღონდ შინაურ საქმეებში ჩვენ დავრჩეთ სუვერენი. ეს რეზოლუცია არავისათვის გამინდვია, არავის გაუგია, ვიცოდით მხოლოთ მე და კარლომ, ჩემი პასუხისმგებლობით.

ერთი დავიდარაბა მქონდა კომისარიატის ხანში პოლონელების გამო. როცა რუსის ჯარი იშლებოდა და ნაციონალური პოლკები დგე-ბოდა, პოლონეთის წარმომადგენელმა სთხოვა კომისარიატის პოლო-ნელთა პოლკიც შემდგარიყო. ეს საკითხი დაისვა, კომისარიატის არა ქართველ წევრები უსიამოვნოთ შეხვდენ ამ საკითხს, განსაკუთრე-ბით სომხები და რუსები. ერთ სხდომაზე მიმიწვიეს მეც. მე და კომი-სარიატის წევრებმა ევგენიმ და აკაკიმ მხარი დაუჭირეთ პოლონე-ლებს, თანხმობა არ ჩამოვარდა. მე გავაცხადე — კომისარიატის საქ-მე ეს მაინც არ არის; მთელი მოწყობა უნდა მოხდეს ოფილისში, ხოლო აქ აღმასრულებელი კომიტეტი მოქმედებს და ბრძანებლობს. საკითხი იქ მოიხსნა. ყაზარმები და ყველა სამხედრო საწყობები იყო აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს განკარგულებაში. მაშინვე დავ-ცალეთ საპიორების ყაზარმები და გადავეცით პოლონელთა კომიტეტს, მიუჩინეთ სპეციალური კომისარი, სამხედრო საწყობების მათვის სარგებლობის ასაწყობათ და სხ. ერთი სიტყვით, შევაყენებიეთ მთელი

ბრიგადა პოლონელ ჯარის-კაცების და ოფიცირებისაგან, ჩავაცვით, და-
ვახურეთ, შევაიარალეთ, ვარჩინეთ და ბოლოს გავამგზავრეთ. არასო-
დეს, რასაკვირველია, სამაგიერო არ მოგვითხოვია, არც რდიშეთან
რიში წაგვირდგენია, ვიცოდით მათ არაფერი ქონდათ და რას მოგვ-
ცემდენ. მხოლოდ პოლონეთი ისეთი დიდი თანაგრძნობით სარგებ-
ლობდა საქართველოში, განსაკუთრებით ჩევოლიუციურ წრეებში,
რომ ჩვენ მოვალეობათ მიგვაჩნდა მათვის დახმარება ყველგან, სადაც
კი შევსძლებდით. დუმაში ჩვენი დეპუტატები ითხოვდენ პოლონეთის
დამოუკიდებლობას, მაშინ როდესაც დმოვსკის ფრაქცია ითხოვდა ავ-
ტონომიას, ხოლო თფილისში გამოუწყვეთ საგრძნობი მეომარი ძალა.
როცა ძლიერ გაგვიჭირდა, განძრახვაც კი გვქონდა გვესარგებლა პო-
ლონელ ბრიგადით საშინაო წეს-რიგის დასაცავათ, მაგრამ ეს აზრი
დავტოვეთ. ვარჩიეთ შინაური ძალებით დაკმაყოფილება, რომ არ ეთ-
ქვათ ქართველ გახულიგანებულ რაზმებს — უცხო ძალებით გვიმას-
პინძლდებიანო.

როგორც ხედავთ, ქართველი რეგულიარული ჯარების შედგენა და-
ვიწყეთ ჯერ კიდევ კომისარიატის დროს, როცა საქართველოს დამოუ-
კიდებლობა არც კი იყო გამოცხადებული. ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს
ეჭირვებოდა ერთი მთლიანი სამხელრო ძალა, მხოლოდ დაყოფილი სამ-
ნაციონალურ ნაწილებათ საერთო შტაბით სათავეში. მაგრამ ეს ჩვენი
ცდა დარჩა უნაყოფო. რუსის ჯარებიდგან გამოკრეფილი ქართველი
ჯარის-კაცები ჩვენი აღარ იყო და ისინი ძალით დავშალეთ. სიმძიმის
ცენტრი გადავიდა დროებით გვარდიაზე. როგორც კი საქართველოს
დამოუკიდებლობა გამოცხადდა, შევუდეჭით რეგულიარული ჯარის
მოწყობას. ეს საქმე სწარმოებდა სიჩქარით სომეხთა თავდასხმის გავ-
ლენით, რომ პასუხი გაგვეცა მომხთურთათვის სწრაფათ და მკაცრათ.
ამიტომ ჯარები არ იყო მწყობრათ და რიგიანათ შედგენილი, მისი
აპარატი აწყობილი, ხარჯები შემოსავალთან შეუფერებელი, ერთი სი-
ტყვით, პირველი პერიოდის ჯარი იყო სრული იმპროვიზაცია, ნაუცბა-
თევათ შედგენილი. მისი რეორგანიზაცია აუცილებელი გახდა. ამ საქმეს
ჩაუდგა საქართველოს პარლამენტის სამხედრო კომისია, სპეციალუ-
რათ ამ საკითხისათვის გამოყოფილი. ამ კომისიამ თანდათან მიითვისა
სამხედრო სამინისტროს, მთელი მთავრობის უფლებები და ჭრიდა და
კერავდა სრულიად ჩვენ დაუკითხავათ. მე წერილი მივსწერე პრო-
ცესტით და ვუჩვენე მისი უფლებების საზღვრები, რაიცა დარჩა უნა-
ყოფოთ. მთავარი იყო ოფიცირების შერჩევა, აპარატების განახლება.
პერსონალის მიღების საკითხები წყდებოდა კომისიის წევრთა შორის
შინაურულათ, პროცესუალის და ნაცნობ-მეგობრობით. მთავრობას,

სამხედრო სამინისტროს არც კი მიმართავდენ ჯარში შესასვლელათ, ხოლო კომისიის წევრებს მიდიოდა აუარებელი თხოვნები და სამინისტროს დიტატო პირები. ეს ერთად-ერთი უსიამოვნო ეპიზოდი იყო ჩემი თავ-მჯდომარეობის ხანაში ხელისუფლების უფლება-მოვალეობის ასპარეზ-ზე. ამას კიდევ არ ექნებოდა დიდი მნიშვნელობა, რომ აქ არ გამორკვეულიყო ერთი ძირითადი ნაკლი ჩვენი ახალ ფეხადგმული სახელმწიფოსი.

როგორც ზემოთ ვთქვი, ჩემი მთავრობის თავმჯდომარეთ გასვლა ნიშნავდა რევოლიუციონურ ორგანოებისათვის სახელმწიფო ფუნქციების ჩამორთმევას და ერთი ძლიერი მთავრობის შექმნას. მაგრამ საქმეთა მსვლელობაში გამოირკვა ორი გარემოება: ერთი, მთავრობის ხელმძღვანელი მისალებია არა თავისთავათ, როგორც ამნაირი, არამედ იმდენათ, რამდენათ ის მორალურათ და პოლიტიკურათ დამსახურებული პიროვნებაა. მთავრობის კანდიდატი შეკავშირებულია არა ამ თვით თანამდებობასთან, არამედ პიროვნებასთან. ნოე უორდანიას ბრძანებას დავემორჩილები, სხვებისას კი არა — აი ამ ფსიხოლოგიის ამოძახილი. ასეთი აზროვნება, ასეთი პსიხიკა ძირს უთხრიდა ნაციონალური მთავრობის არსებობას, მთელ ნაციონალურ საქმეს. კანონიერათ შედგენილი მთავრობა ერის მთავრობაა — ეს ასეა ყოველგან, ასე უნდა იყოს ყოველგან. ჩვენში კი ეს დიდი საქმე დაუკავშირეს პიროვნებას. ამიტომ მე ვერას გზით ვერ მოვიშორიე ეს თანამდებობა. დამფუძნებელი კრების მოწვევით ვფიქრობდი დასრულდებოდა ჩემი მისია და არც ვაპირებდი მის გაგრძელებას. მქონდა დიდი ლაპარაკი და კამათი პასუხისმგებელ ამხანაგებთან. ესენი ერთხმათ მარწმუნებდენ, რომ ჩემი გადადგომა დაანგრევს სახელმწიფოს, სამაგიერო ავტორიტეტიანი და მისალები არავინაა და ისევ აიწყვეტენ დაბმული სახელმწიფო აზროვნებას მიუჩვეველი ძალები. აღმასრულებელი კომიტეტი კვლავ შე-ეცდებიან დაიბრუნონ თავისი ძველი ფუნქციები და სხ. და სხ. გავწიე მსხვერპლი, დავთანხმდი. ეს გარემოება მუდამ მაწუხებდა, ვცდილობდი მთავრობის პრესტიუი ამეტია, როგორც ერის ხელმძღვანელი. მაგრამ ამ მუშაობაში გამოირკვა მეორე ამბავი, რაცა ღრღნიდა ამ მთავრობას გარედან. ეს ამბავია გაგება და დაფასება დემოკრატიის, დემოკრატიული მართველობის. ქართველი დემოკრატიის გაგებით დე-მოკრატია არის არა ის, რაც ყოველგანაა, ე. ი. სახელმწიფოს მართველი ორგანოების ხალხის საშოღან შექმნა საყოველთაო კენჭის უფლების საშუალებით, თვით ეს შექმნილი ორგანიზაციები კი არ ორგანოებენ, არ მართავენ, არ ბრძანებლობენ; მართავს და ბრძანებლობს ყველა, ყველა დემოკრატი, ვინაც კი გაბედულება და პასუხისმგებლობის

გრძნობა არ აკლია. როცა მე თფილისის საქალაქო გამგეობის საქმეთა რევიზია დავნიშნე, გამგეობის წევრები, სოც.-დემ. მოვიდენ პარტიის ც. კომიტეტში და ასტეხეს დიდი აურზაური, როგორ ჩვენფრთხოების ჩვენვე გვინიშნავენ რევიზიას. საქმეს შეხედეს ამხანაგური თვალსაზრისით და არა სახლმწიფოებრივათ. ამხანაგი ამხანაგს კი არ უნიშნავდა რევიზიას, არამედ მთავრობა საქალაქო თვითმართველობას. ც. კომიტეტშიაც აღმოჩნდენ მათი დამცველები და მე გაჯავრებული სხდომიდან წავედი. ამ პსიხოლოგიით იყო შეპყრობილი სამხედრო კომისია, როცა ის მთავრობას არავითარ ანგარიშს არ უწევდა თავის მუშაობაში. და თვით დამფუძნებელ კრებაში რა აყალ-მაყალი ატყდა იმის გამო, რომ ერთ წევრს კრებისას არ დავანებეთ მთავრობის განკარგულებაში მყოფ ბინაში ჩასახლება. ერთი სიტყვით ყველა მთავრობაა, ხოლო თვით მთავრობა ფიქციაა, სახელათაა, რაც ნაკლებს იმთავრობებს მით უკეთესია. ქართველი დემოკრატიის მოთურგვნა და სახელმწიფო სალტეებში ჩაყენება უნდა მომხდარიყო თანდათან, ნელნელა; ეს მოხდებოდა კიდეც, სახელმწიფო და დემოკრატია იპოვიდენ თავ-თავის პოზიციებს და მეგობრულათ გაიმიჯნებოდენ, მაგრამ ამას ეჭირვებოდა დრო, არ დაგვცალდა.

აი ამ იდეურ ქაოსში პირადი ავტორიტეტი კიდევ სჭრიდა რამდენიმეთ და მეც იძულებული ვიყავი დავმორჩილებოდი ბედს, მეწია მესვეურობის ჭაპანი.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ყველა ეს არქი-დემოკრატები იყვენ მეტად იდეური ხალხი, ემსახურებოდენ საზოგადო საქმეს არა გამორჩენის და ჯამაგირისათვის, არამედ რწმენით და თავის დადებით. ვინც ჯამაგირისათვის მუშაობდა — უმეტესობა მუშაობდა გლახათ, აგდებულათ, არ სწამდა არც ჩვენი თავისუფლება, არც ჩვენი რეფორმები. მრავალ შემთხვევაში მათ გაგვძარცვეს, მექრთამეობდენ, ყალბ ანგარიშებს ადგენდენ, განსაკუთრებით მხედრობაში. ჩვენ არ გვქონდა სახელმწიფოებრივი ტრადიციები, ერთი მთლიანი ნაციონალური წყობილების ხსოვნა და მოგონება. ეს მეცამეტე საუკუნიდან შეწყვეტილი ერთობა, ერთი სახელმწიფოებრივი შეგნება, აღდგა სრულიად სხვა პირობებში. აღსდგა მძლავრათ და ერთსულოვნათ დემოკრატიის მეთაურობით და რა გასაკვირალია შეცდომებიც ქონოდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ნაკლი უფრო ახლდა მეთაურობას, ინტელიგენციას ჯარა ხალხს, არც ქალაქისას და არც სოფლისას.

ასეთ სულიერ განწყობილებაში პიროვნული ავტორიტეტი ერთად-ერთი მჟღელი იყო და მისი მოხმარა საძნელო, თვითეული გადასადგამი თუ გადადგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო შეფარდებული ამ სუ-

ლიერ განწყობილებასთან და ამავე დროს არ გამხდარიყო მისი ტყვე. ამ დროს ჩვენს ირგვლივ ერთი მტერი სცვლიდა მეორეს. ოსმალები მოგვშორდა, მათი ალაგი დაიჭირა ერთი მხრით ინგლისელებმა, მურამ მხრით ამათ მოკავშირემ მოხალისეთა ჯარებმა. სამუსულმანო საქართველო გახდა ინგლისელთა საინტრიგო ასპარეზი, ხოლო შავი ზღვის პირი დენიკინის სათარეშო. ინგლისის სარდლობა მოვიდა ჩვენში არა მარტო როგორც წარმომადგენელი, არამედ ამავე დროს როგორც წარმომადგენელი დენიკინ-ალქსეევი-ვრანგელისა. მათი მთავარი მისია იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმება, დენიკინის მოკავშირეთ გახდომა და შემდეგ დაპირება — გამარჯვებული მოხალისენი ავტონომიას მოგანიჭებენო. ასეთი წინადადებით გამოცხადდა ერთ დღეს ჩემთან ლენ. ბიჩი. ეს პირი, ჩანდა, იყო მეტათ ზრდილობიანი, მორიდებული, აუჩქარებელი და შევატყვე ასრულებდა სხვის ბრძანებას და არა თავის გულისდებას. რა-საკვირველია, ვერც ერთ მუხლში ვერ შევთანხმდით გარდა ერთისა — სტენოგრაფიული ანგარიში ჩვენი მუსაიფისა შედგეს ფრანგულათ და ორივეს მოგვეცეს. ასეთივე მისით ინახულა მეორე ლენერალმა ევ. გეგეჭკორი, იმავე შედეგებით. ამავე დროს მათ დაგვარტყეს შავი ზღვის ბლოკადა, არავითარ სანოვაგის მიღება, ან რაიმე ვაჭრობის გამართვა სტამბოლით ევროპისკენ არ შეიძლებოდა. ეს ზომა იყო ალბათ ჩვენი შესაშინებელი. არ შეგვეშინდა, გაჭირვებული ვიყავით, მაგრამ ვიტანდით გაჭირვებას სულგრძელობით. აქ გამოჩნდა ჩვენი ხალხის, მთელი ჩვენი ერის ნებისყოფა, მედგარი ხასიათი და სიღინჯე. მას ქონდა შეგნებული მდგომარეობა და გვერდში გვედგა მამაცურათ და ერდგულათ. ინგლისელებთან გვიწევდა ბრძოლა ორი მხრით, ორი მეთოდით — დიპლომატიურათ, ვერსალის კონფერენციაზე, აქტიურათ — საქართველოში. ეს მეორე ბრძოლა იყო მეტათ სახიფათო, მეტათ დასაფიქრებელი და სათუთი, ის უნდა გვეწარმოებია ისე, რომ არ გადავარდნილიყავით მეორე უკიდურესობაში, არ გადაგვემტერებია საბოლაოთ ინგლისის მთავრობა და იმავე დროს მიზანს მიგვეღწია. ხოლო მიზანი კი გვქონდა ერთი — სამუსულმანო საქართველოს შემოერთება, ჩვენი იურიდიული ცნობა, ერთა ლიგაში შესვლა და მისი მფარველობის მიღება.

ერთ დღეს ჩემს კაბინეთში შემოდის უცნობი ინგლისელი და თავს მაცნობს — წარმომადგენელი ლოიდ ჯორჯის და კერზონის, გამოგზავნილი მათ მიერ დავალებით საიმფორმაციო მიზნით (გვარი ალარ გახსოვს). ეს იყო პირველი ინგლისელი, სამოქალაქო პირი, რომელიც მოვიდა სადარბაზოთ და სამუსაიფოთ. მივიღე პატივით დ ვისა-

უბრეთ ორი საათი. მას ყველაზე უფრო აინტერესებდა ჩვენი აზრი საბჭოთა ხელისუფლებაზე, რუსეთის მდგომარეობაზე. მე ყველა მის კითხვებზე მივეცი გარკვეული პასუხი. ვუთხარი დაახლოებით შემდეგი: დენიკინზე იმედის დამყარება ოცნებაა, საბჭოთა ხელისუფლება მაგრათ ზის და მისი გადმოვდება შინაური ძალით შეუძლებელია. რაც შეეხება მის ცნობას — რასაკვირველია უნდა იქნას ცნობილი ფაქტიურათ და იურიდიულათ. ეს არის საქმე ფაქტის, სინამდვილის, რაკი არსებობს, არსებობს ამდენხანს — ეს საკმარისი არგუმენტია მისი ცნობისათვის. ასეთივე საბუთით ჩვენც უნდა გვიცნოთ და სხ. და სხ. ბოლონდელი შეკითხვებით გამოვარკვიე, რომ ინგლისის მთავრობაში ყოფილა ორი აზრი — ერთი მოსკოვის ცნობის მომხრე, მეორე — მოწინააღმდეგე, „ჩემი იმფორმაცია იმ დავას გადასჭრისო“, მითხრა მან გამოთხოვებისას. მე მგონია არაფერი არ გადამიჰქიანებია და არც უცაბედათ ნაფიქრი წამომცდენია. თავისანვე ვიყავი იმ აზრის, რომ ევროპას მოვსთხოვოთ ცნობა ჩვენა და არ ვიქნებით წინააღმდეგი თუ ის მოსკოვსაც იცნობს. დიდი იმედი არ მქონდა ასეთი მუსაიფისა და დარბაზობის. არ მავიწყდებოდა, რომ ინგლისის მთავრობის მეთაურია ლოიდ ჯორჯი, კაცი ლიბერალი, ლიბერალური ტრადიციის დამცველი და ამყოლი, მისი პოლიტიკის აღმოსავლეთში მატარებელი. ხოლო ეს პოლიტიკა ცნობილია — ოსმალეთის დანგრევა რუსეთის საშუალებით. მისთვის დიდი მძლავრი რუსეთი საუკეთესო მეგობარი და თანამგზავრია. და თუ ის ვერ აღადგენს ძველ რუსეთს დენიკინის საშუალებით, ბოლშევიკურ რუსეთსაც არ დაიწუნებს.

ჩვენი სოციალიზმი უმთავრესათ გამოიხატა აგრარულ რეფორმებში. ის რაც ჩვენში მოხდა ამ სფეროში უფრო ეწოდება რევოლიუცია, ნამდვილათ კი ეს იყო რეფორმა, რატომ? იმიტომ რომ ეს ჩატარდა ყოველივე ძალადობის, არეულობის და ბრძოლის გარეშე. საკმარისი იყო მთავრობის და პარლამენტის დეკრეტი, რომ ყველა კლასი, პირველ ყოვლისა, მემამულენი, დამორჩილებოდენ მას. ასეთი ძირითადი ეკონომიური ზომა არსად, არც ერთ ქვეყანაში არ გატარებულა ურევოლიუციონით და უკონტრევოლიუციონით. რეფორმა კი მართლა ძირითადი იყო. უსასყიდლოთ მაღნების ჩამორთმევა, უბრალო კონფისკაცია დემოკრატიული გზით, ყველა სხვა პირობებში იქნებოდა ეკონომიური კატასტროფა, სამოქალაქო ომის გამომწვევი, ხოლო არსებულ პირობებში კი ის თავისთავად საგულისხმოდ გადაიქცა.

ხალხი ცხოვრობს რეალიზმით, მას ცხოვრება აინტერესებს, პირველ ყოვლისა; ამიტომა ის უკვდავი, ცოცხლობს ათი-ათას წლო-
100

ბით; იმას ვერ გაიტაცებს, ვერ აიყოლიებს იდეალიზმი, წმინდა იდეუ-
ლი მომენტები, ეს თუ ის კეთილი სურვილები; ასეთი სენი რომ მას
სჭირდეს, მრავალჯერ გადაიჩენებოდა უფსკრულში და გაქრებოდა, ეს
არის კუთვნილება პიროვნებათა პარტიების, რომელნიც საქმობენ
და კვდებიან, ხოლო ხალხი კი არ კვდება. ჩვენი ნაციონალური აღორ-
ძინება, პირველყოვლისა, მოითხოვდა მთელი ხალხის დაინტერესე-
ბას ამ საქმეში, არა სიტყვით, პროპაგანდით, არამედ რეალურათ,
ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით. რუსეთს რჩეობდა ის იმი-
ტომ, რომ ის აძლევდა საგარეო მყუდროებას, რასაც ქართველი ხალ-
ხი მაღლა აყენებდა ბატონ-ყმობის და ნივთიერი მდგომარეობის სი-
დუხშირზე. და მართლაც, თუ საგარეო მყუდროება არ არის, იქ
არც ნორმალური ცხოვრებაა შესაძლებელი. თავისუფალ საქართვე-
ლოს მისთვის უნდა მიეცა რაღაც მეტი, რომ ის თავის გულში ჩა-
ეკონა. ეს იყო საგარეო მყუდროების გარდა ეკონომიური გაუმჯო-
ბესება. სოციალური რეუიმი მჭიდროთ გადაესკვნა ეროვნულ რე-
უიმს. ერთი სიტყვით, გლეხობის ნაციონალურათ აღზრდა უნდა
მომხდარიყო აგრარული რეფორმით. მე მგონია ეს გაიგო თვით მემა-
მულეებმაც. რასაკვირველია, ჩვენ ვყოფილიყავით რუსეთის პირო-
ბებში, სადაც ნაციონალური საკითხი არ იდგა და მხოლოდ ეკონო-
მიკა გახდა ბრძოლის საგანი, ცხადია ჩვენშიც მოხდებოდა ის, რაც
ყოველგან მოხდა — მემამულენი აღმართავდენ ბრძოლის დროშას
თავის პრივილეგიების დასაცავათ. მაგრამ რაკი ყველა ნაბიჯი იზო-
მებოდა და იულინთებოდა ნაციონალური მომენტით, მას დაემორჩი-
ლა ყველა კლასი და წოდება. დავა ალარ იყო. მთავრობის სფერო-
ში დავა გამოიწვია მხოლოდ ერთმა საკითხმა: რამდენი ვარგისი სახ-
ნავ-სათესი მიწა დავუტოვოთ მემამულეს მისი მამულიდან. მე ვი-
ცავდი დიდი მემამულეებისათვის 15 დესიატინას, ნ. ხომერიკი შვიდ
დესიატინას. გაიმარჯვა უკანასკნელმა.

ჩვენმა სოციალიზმა ამ სფეროში მიიღო სპეციალური ქართული
ხასიათი. ჩამორთმეული სახსნავ-სათესი მიწები გადავეცით გლეხობას
კერძო საკუთრებათ, რაიცა ეწინააღმდეგებოდა სოციალისტურ
დოქტრინას. ამ აზრის ვიყავით ჩვენ თავიდანვე, პარტიული შენობის
დაწყებიდანვე, როგორც ეს ზემოთ განვმარტეთ. წინანდელ ჩვენს
საბუთებს, წმინდა ეკონომიური ხასიათისას, ახლა მიემატა ნაციონა-
ლური ხასიათის საბუთებიც. ჩვენი ხელმძღვანელი აზრი იყო, სა-
ქართველოს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას — გლეხობას დაენახა,
რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ მას მოუტანა მიწა, მისცა
ცხოვრების ახალი საშუალებანი. ასე რომ, აგრარული რეფორმა გახ-
და უაღრესათ ნაციონალური რეფორმა ჩვენში.

სამაგიეროთ, მუშათა კლასის შრომის ფარგლებში ახალი ვერაფერი ვთქვით, თუმცა აქ იყო ჩვენი სოციალისტურ სფინდის მთავარი სარბიელი. ამის მიზეზია მრეწველობის სისუსტე, სახელმწიფო და კერძო წარმოებათა ბატონობა, სადაც გასაქანი არ იყო. მაინც დავაარსეთ შრომის კამერა, კოლექტიური ხელშეკრულება, სინდიკატების ლეგალური ფუნქციებით და სხ. მუშებმა გამოიჩინეს დიდი ნაციონალური და სახელმწიფო უნარი. ისინი იყვნენ ჩვენი მთავარი ბაზა ბრძოლის ველზე გვარდიის სახით, ეკონომიურ სფეროში სინდიკატების სახით. მთავრობას და სინდიკატებს შორის ერთხელაც არ მომხდარა კონფლიქტი, თუმცა ზოგი მათი მეთაური მუშათა მასებს გვისისინებდა, განსაკუთრებით კვების მოტივებით. მათ არ აყვა არც პარტია, არც ხალხი. ეს კონფლიქტი ხდებოდა და ირჩეოდა ც. კომიტეტში, გარეთ არ გამოდიოდა. დემაგოგებს, არამკითხეთ გაქონდათ გარეთ, მაგრამ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია რჩებოდა ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა. საზოგადოთ, საქართველოს რესპუბლიკის მთავარი ფუძე თავიდან ბოლომდე იყო თფილისის მუშათა კლასი. ყველა დანარჩენი მოსახლეობა მას მისდევდა. სოციალ-დემოკრატიის 24 წლის მუშაობას მუქთათ არ ჩაუვლია. კვების საქმე მართლაც ცუდათ იყო მოწყობილი. რუსეთი, დენიკინის და ბოლშევიკების, პურს ჩვენსკენ არ უშვებდა, ყუბანის დემოკრატიული მთვრობის მიერ გამოგზავნილი მთელი გემი ხორბლეულობისა დააკავეს დენიკინელებმა და უკან დააბრუნეს ტუაპსეში. უცხოეთიდგან ვერ ვღებულობდით ბლოკადის გამო. მაშასაღამე, პური იყო ცუდი, არეული სხვადასხვა ფქვილებით, არ ცხვებოდა რიგიანათ, მუშები იყვნენ იძულებული დაკმაყოფილებულიყვნენ ასეთი სუროგატებით. მომარაგების მინისტრათ გვყავდა ერთი მათგანი, გ. ერაძე, რომელზედაც არ შეეძლოთ რაიმე ეჭვი შეეტანათ. გიორგის ხშირათ უხდებოდა პურის ალაგას ორატორობით გამასპინძლება უკმაყოფილო ელემენტებისა. ხანდახან უცაბედათ ვახერხებდით სტამბოლის გზით პურის გამოპარებას უცხოეთიდან, განსაკუთრებით ოცში, ხოლო მანამდე კი თფილისი ივსებდა თავის ნაკლისევ სოფლებიდან. მეც სანოვაგეს ჩემი სახლიდან ვიღებდი ხშირათ. ერთხელ ჩამოვიდა დედა-ჩემი მრავალ-ნაირი სანოვაგით, გაგვიხარდა რასაკვირველია. დედა მეუბნება: მითხეს შენ მინისტრი ხარო, რავა დავიჭერო, ჩემი სარჩენი მინისტრი ვის გაუგონია! მართლაც, გამოდიოდა, რომ მე მას კი არ ვარჩენდი, არამედ ის მე. ერთი სიტყვით, ყველა გაჭირვებული ვიყავით დაწყებული მაღალი სფეროებიდან. ეს გათანასწორება გაჭირვებაში მოქმედებდა მუშებზედაც და მას იტანდენ მოთმინებით.

ყველაზე უფრო კურიოზული იყო მთავრობის მდგომარეობა. ყველა ქვეყანაში მთავრობის წევრობას სანთლით ეძებდნენ. ეს უმაღლესი თანამდებობა ყველგან სანატრელი და საბრძოლველია. ჩვენში კი მთავრობაში შესვლა მიჩნეული იყო დიდ უბედურებათ. ყველა მას გაურბოდა, როგორც ჭირს. რამდენი ხვეწნა მჭირდებოდა, რამდენი კალთის გლეჯა, პირდაპირ წარმოუდგენელია. ძლივს ვახერხებდი შემაღენლობის მოკრებას ან მასში ახალი პირის შემოყვანას, მიზეზი იყო ერთად-ერთი — გაურბოდენ პასუხისმგებლობას. მხოლოდ ორ პირს არ სჭირდებოდა ხვეწნა — ნოე რამიშვილს და ევ. გეგეტკორს, სხვები კი ყველა ძალით შემოთრეულია მთავრობაში. 1919. წელი იყო წელი რღვევის და შენების ჩვენი სოციალური სტრუქტურის: ვმეცადინებდით ამ მიმდინარეობისათვის მიმეცა ცოტათ თუ ბევრათ ლეგალური, უმტკივნეულო ხასიათი. ვებრძოდი ექსპროპრიაციებს აღმინისტრაციული წესებით. ერთხელ თფილისის თავმა ბენია ჩხიკვიშვილმა მითხრა: გიყურებ როდის წახვალთ თფილისიდან, რომ ჩემი პროექტები განვახორციელოვო. მე ეს ხუმრობათ მივიღე. გამოჩენდა არა: ლანჩხუთში ვიყავი, დავბრუნდი ერთ კვირაში. მოსვლისას გავიგე, რომ ქალაქის ყველა სარეკვიზიტო პროექტები, რაიცა უარვყავით მთავრობაში ჩემი თავმჯდომარეობით, ხელახლა დაეყენებიათ მთავრობაში გადასაშინჯავათ და მიეღოთ. ამის შემდეგ ძალიან უკელი ქალაქიდან გასვლას. ბოლშევიკური სული ტრიალებდა ჩვენს შორისაც, ალბათ ასეა ყველა რევოლიუციაში, სადაც მთავრობა ვერ მთავრობობს. ყარაიაზის მეურნეობა ბოლშევიზმით გაიუღინთა არა ამ საქმის აწყობით და ამუშავებით, ეს დიდათ საჭირო იყო, არამედ იმით, რომ გოლოვინის ქუჩაზე იჭერდნენ „ბურუუბს“ ე. ი. ისეთებს, რომელთაც არასოდეს მიწა არ უმუშავიათ და აგზავნიდენ იქ სამუშაოთ. რა გვარი მუშაობა იქნებოდა იქ, ადგილი წარმოსადგენია. ძლივს-ძლივობით მოვსპე ეს შეუსაბამობა, ჩემი მთავარი მიზანი იყო ახალი რეუიმის დამკვიდრება მომხდარიყო მთელი ერის თანაგრძნობით, ყველა წრის შერიგებით. ბოლშევიკურ მეთოდს ვხმარობდი მხოლოდ ბოლშევიკების წინააღმდეგ, ისიც შერბილებით. ჩვენს ირგვლივ, ყველა საზღვრების გადაღმა იყო ნამდვილი ანარქია, ერთი-მეორის სრესა, აწიოკება და ცეცხლი; საჭირო იყო ამ ბარბაროსობის შუალები პატარა საქართველო დაპირდაპირებოდა მას. გადაერჩინა თავი, აეცილებია შინაგანი ბრძოლა, ხოლო ეს კი შეიძლებოდა შინაგანი ერთობით, ყველა ძალების დარაზმვით, სოციალური და ნაციონალური მშვიდობიანობით.

ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობის /მი-
გართ გამომდინარეობდა ჩვენი პოლიტიკის დოქტრინიდან, მთელი
ჩვენი წარსული მოღვაწეობიდან. სოც.-დემოკრატიას იმით ქვეყნის
გავლენა საქართველში, რომ ყველა ერის ინტერესებს თანასწორათ
უიცავდით, ჩვენთვის არ იყო ელინი და ბარბაროსი, ყველას ელი-
ნებათ ვრაცხდით. მაგრამ ეს თეორია, ეს წარსული შეიძლება დარჩე-
ნილიყო მკვდარ სიტყვათ და საქმეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ობიექტურ
მდგომარეობას მისი გატარება არ მოეთხოვა. აუცილებელი შეიქნა
შინაგანი ზავი, ერთა უმცირესობის დედა-ერთან, ქართველობასთან
სოლიდარობა, ჭირში და ლხინში ერთად ყოფნა, რაიცა შესრუ-
ლებულ იქნა არა ცარიელი პროპაგანდით, არამედ შესაფერი უფლე-
ბების მინიჭებით. პოლიტიკურათ, კულტურულათ, ეკონომიკურათ
სავსებით გათანასწორებით. არც ერთ ერს არ წამოუყენებია
ისეთი მოთხოვნილება, რომელიც არ ყოფილიყო დაკმაყოფი-
ლებული. ამით აიხსნება ის იშვიათი მოვლენა, რომ წმინდა
სომხებით დასახლებულ ახალქალაქის მაზრაში არჩევნების დროს
სომხურმა ნაციონალურმა პარტიამ დაშნაკმა მიიღო გაცილებით ნაკ-
ლები ხმა, ვინემ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ. თვით თთუ-
ლისში, სადაც ქართველთა მოსახლეობა შეადგენდა უმცირესობას,
მივიღეთ ხმის დიდი უმრავლესობა.

ხელმძღვანელ ორგანოებში, პარტიის ც. კომიტეტში, სოც.-დემ.
ფრაქციაში, მთავრობაში ამ საკითხებზე დავაც არ ყოფილა, ისე
თავისთავად საგულისხმოდ მიაჩნდათ. და რაც უფრო გასაკვირალია,
ამ პოლიტიკისათვის ქართველ ნაციონალისტურ პარტიებს ბრძოლა არ
გამოუცხადებიათ, საერთო ერთსულოვნება არ დაურღვევიათ. ცხადია,
მათ ჩქარა დაინახეს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა საქართ-
ველოს ნაციონალური თავისუფლების დამაგრება და ნაციონალური
ერთობა. ჩვენი მეზობლები კი გვითვალთვალებდენ, როდის, საიდან
ჩიამოვგლეჯთ ნაჭერ მიწასო. აფხაზეთის ერთი ვაჯავრებული მემა-
მულე თავადი შერვაშიძე გაიქცა ჩრდილო-კავკასიაში და იქ ერთ მი-
ტინგზე აფხაზეთი უფეშქაშა მათ. იმის მაგიერ რომ ეკითხათ მისთ-
ვის, რა უფლებით, ვისი მონაბილობით გვაძლევ ამ ქვეყანასო,
მათ სიხარულით ჩაიწერეს ეს საბოძვარი და შემდეგ პრეტენზიები
წამოგვიყენეს — აფხაზეთი ჩვენია, გადით იქიდან! ასეთი მეზობლე-
ბი გვყავდა! ერთი სიტყვით საქართველოს ირგვლივ იყო გაბატონე-
ბული ნამდვილი ავანტურა აწყვეტილი პირების, რომელთაც არას
დროს პოლიტიკური მუშაობა არ უწარმოებიათ, იყვნენ მოხელეებათ,
ოფიცირებათ, ემსახურებოდნენ მეფის რეუიმს და ახლა უცებ მთე-
ლი მათი კარიერა ჩაინგრა და აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ.

განსაკუთრებით 1919 წელი იყო მეტათ მწვავე წელი. ამ დროს
აიშვა ყველა მტერი, შიგნით თურქოფილები და ბოლშევიკები, გარეთ
კი მოხალისეთა ჯარები. მოსკოვი, ოსმალეთი და თეთრი რუსები და
ერთდენ ჩვენი ქვეყნის სიძულვილში და დაქცივაში. ყველა ისინი
სხვადასხვა გზით და საშუალებით თავს გვესხმოდენ და ძირს გვითხ-
რიდენ. სწორედ გასაკვირალია, რატომ ასე შეიძულეს პატარა ერი,
პატარა ქვეყანა, რომელიც არავის არას უშავებდა და მხოლოდ თავის
მყუდროებას ეძებდა. ეს ორი მეზობელი, ოსმალეთი და რუსეთი,
იყო და დარჩა ჩვენი მტერი. ქვეყნის თავდაცვა გახდა მთავარი საზ-
რუნავი საგანი. დამფუძნებელმა კრებამ ვერ შეანელა გარეშე საფ-
რთხენი. სამწუხაროთ, ამ საკრებულოში არ აღმოჩნდა ერთსულოვ-
ნება; გაჩდა სისტემატიური ოპოზიცია ნაციონალ-დემოკრატებისა,
რომელთაც ლვთის წყალობაც კი ლვთის რისხვათ ეჩვენებოდათ. ეს
იყო ოპოზიცია ოპოზიციისათვის და არა საქმისათვის. მათთან მკვა-
ხეთ შეკამათება მიხდებოდა ტრიბუნიდან, რაიცა იყო გამოწვეული
მათი ხშირი რეპლიკებით. ჩვენ ვაკეთებდით იმას, რის გაკეთება
შეიძლებოდა ასეთ პირობებში, ოპოზიციონერები კი აყენებდენ რა
სჯობიას თეორიას; ჩვენც კი ვიცოდით, რომ ომს მშვიდობიანობა
სჯობს. შავ პურს თეთრი პური და სხვა ასეთი სენტენციები ცნობი-
ლი ზურგიელიშისა. გასაკვირალი იყო არა ის, რაც გვაკლდა, არა-
მედ ის რაც გვქონდა, როგორ ვიტანდით ამდენ გაჭირვებას, როგორ
ვებრძოდით მოზღვავებულ დაბრკოლებათ.

მუდამ ამ დავიდარაბაში მყოფს, მიხდებოდა იმავე დროს მეკით-
ხა სხვადასხვა მოხსენებანი მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე. ვამ-
ყარებდით დემოკრატიულ წყობილებას, მარა ვის როგორ ესმოდა ეს
წყობილება, ვინ რას ნატრულობდა, ვის რა ეგონა — ამ სფეროში
იყო ნამდვილი ქაოსი. აუცილებელი გახდა ყველა აზრების და სურ-
ვილების კოორდინაცია, ერთი გარკვეული სისტემის წარმოდგენა
და შემდეგში მისი ცხოვრებაში გატარება. ვიწყებდით ყოველთვის
იქიდან, საიდანაც მოდიოდა მთელი აზალი ცხოვრება — მუშათა
საბჭოდან; რასაც ის დაადგენდა — უეჭველათ გატარდებოდა შემდგა
ფრაქციაში, ბოლოს დამფუძნებელ კრებაში. მთავარი საკონსტიტუ-
ციონ საკითხების მოხსენებანი ამ დაწესებულებებში გამქონდა. უეჭვე-
ლია, ყველა ეს აბრკოლებდა მეორე ჩემს მუშაობას — სამინისტრო-
თა მუშაობის კოორდინაციას, მათ საერთო ხელმძღვანელობას. მაგ-
რამ სხვა გზა არ იყო, არავინ არ კისრულობდა ჩემს მაგიერობას. სოც.-
დემ. ფრაქციაში პირველი დიდი დავა აგვიტყდა რესპუბლიკის ემბლე-
მის შესახებ. ირ. წერეთელმა წამოაყენა მიჯაჭვული პრომეთეის ნა-
ციონალურ ემბლემათ გამოცხადება; მე ეს არ მომეწონა, შევედავე.


მთავარი ჩემი არგუმენტი იყო ის, რომ ტყვე, შებოჭირდი
პრომეთეი სრულიად არ შეესაბამება აშობილ, განთავისუფლებულ
ქართველ ერს. მე წამოვაყენე ამ აზრის გამომხატველი უკუკირაგი-
ორგი, ცხენზე კოხტად შემჯდარი და ცის სივრცეში თავისუფლათ
მარდათ მფრინავი. ბევრი კამათის შემდეგ გავიდა ეს წინადაღება.
მისი მოწინააღმდეგენი ასაბუთებდენ თავის აზრს იმით, რომ თეთრია
გიორგი იგივე წმინდა გიორგია, ეს კრელიკალიზმია, უკან დაბრუნე-
ბაა, საეკლესიო ემბლემის რესპუბლიკის ემბლემათ გამოცხადებაა და
სხ. ამათი აზრიც მივიღეთ სახეში და თეთრ გიორგის წმინდა გიორგის
ყველა ნიშანი ჩამოვაშორეთ. იყო მაგალითი როცა ფრაქციის დავა-
ში ჩამოერეოდა ც. კომიტეტი და მისი დადგენილება სავალდებულო
ედებოდა. პარტიული წესდება ასეთ ავტორიტეტს ანიჭებდა თავის
ხელმძღვანელ ორგანოს და ეს კიდევაც ხორციელდებოდა საჭიროე-
ბის დროს, რასაკვირველია, ასეთი შემთხვევები იყო იშვიათი,
ხშირათ ზოგი დეპუტატი კიდევაც აცხადებდა უკმაყოფილებას —
რას ერევა ცეკაო, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა ფრაქციის აჯანყე-
ბისა ც. კომიტეტის წინააღმდეგ. ეს ალბათ აიხსნება იმითაც, რომ
ფრაქციის ყველა ლიდერები, ისე როგორც მთავრობის მეთაური და
ზოგი წევრები, შედიოდენ ც. კომიტეტში და შინაურ დავას იქ ათა-
ვებდენ. ეს წყობა, ეს ორგანიზაციული სიმტკიცე მართველი პარ-
ტიისა წარმოადგენდა გარდაუვალ კედელს, რომელზედაც ასკდე-
ბოდა შინაური და გარეშე მტრები.

ამ ღიდ მამოძრავებელ ძალის გარშემო თანდათან თავს იყრიდა
ერი. 1917 წელს ის იყო თითქმის მარტო ბრძოლის და მოქმედების
შელჩე, დანარჩენი მოსახლეობა არც ემხრობოდა, არც ებრძო-
და. 1918 წ. ეს რკალი განიერდება, ფართე მასები თანდათან რწმუნ-
დებიან რევოლიუციის სილრმეში, რომლის უკან დაბრუნება შეუძლე-
ბელია და თანდათან ეხმარებიან მთავარ აპარატს, ნაციონალური
ელემენტები მაინც შორს დგანან, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის და
სეიმის შექმნაში მონაწილეობას არ იღებენ: სამაგიეროთ აზერბეი-
ჯანი და სომხები იძლევიან უმთავრესათ ნაციონალისტებს. ამ სა-
ურთო კოალიციაში ხელმძღვანელი როლი ისევ ჩვენ გვრჩება, რო-
გორც არბიტრებს თათარ-სომეხთა დავაში. ამაში ხელს გვიწყობდა
ისიც, რომ ჩვენს ფრაქციაში შედიოდენ საქართველოს სომხები,
თათრები, რუსები და ამათ გვერდით შემოდიოდენ აზერბაიჯანის
და სომხეთის სოციალ-დემოკრატები. ეს ინტერნაციონალური, ეს
ამიერ-კავკასიის შემადგენლობა პარტიისა ხდიდა მას გადამწყვეტ
ფაქტორათ ამიერ-კავკასიის ფარგლებში. 26 მაისის შემდეგ, ჩვენი

ბაზა ფართოვდება ნაციონალურათ, საქართველოს ყველა ძალების კონცენტრაცია იწყება ეროვნული რესპუბლიკის ირგვლივ, რაიმა სრულდება 1919 წელში. რევოლუციონური ბაზა იქცევა სახელმწილურ ბაზათ, რევოლუციური ორგანოები გზას უთმობენ სახელმწიფო ორგანოებს. 1917 წ. დაწყებული ორი მიმდინარეობა — დიდი, რევოლიუციური და მეორე — ნაციონალური, რომელთა შორის იყო კონტაქტი პიროვნული და არა ორგანიზაციული, წელიწად ნახევარში ყალბდება ერთ მიმდინარეობათ, ერთ ტალღათ და რასაც ეწოდებოდა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო ეპირისპირებოდა იდეოლოგიურათ და ნაციონალურათ მხოლოდ ერთ სახელმწიფოს — ბოლშევიკურ მოსკოვს, საბჭოთა რესპუბლიკას. მისგან თავის დაფარვა გადაიქცა ჩვენ მთავარ საზრუნვათ. რა გზით? მხოლოდ ორით — ჩვენი, ანტიბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელებით ხალხში და სახელმწიფოს გამაგრებით საერთაშორისო საშუალებებით. მთავარი ცყო ხალხში არ ქონდა გასავალი მოსკოველთა პროპაგანდას, არ მომხდარიყო აზრთა და გზათა არევ-დარევა, ყოფილიყო ფართე მასების მიერ გაგებული და შეგნებული ჩვენი და მათი წყობის და ცხოვრების წესების განსხვავება. ნუ დავივიწყებთ რომ ბოლშევიკური მაქსიმალიზმი ყველა დიდ რევოლუციას თან დასდევს, ნურც იმას, რომ ქართველი ჯარისკაცები შინ დაბრუნდენ გაბოლშევიკებული, ნურც მოსკოვის ფართო აგიტაციას ჩვენში. უნდა ვალიაროთ, რომ მიუხედავათ ყოველ მხრივი ცდისა და მუშაობისა, ხალხის ფართე წრეები მაინც ვერ დავარწმუნეთ იმაში, რაშიაც ავანგარდი, თფილის მუშათა კლასი, დარწმუნებული იყო ბოლშევიზმის შესახებ.

აი ერთი ტიპიური შემთხვევა. თფილისიდან ჩამოვედი რამდენიმე ღლით შინ, ლანჩხუთში. მითხრეს რომ შეკოლის ეზოში მოსკოვიდან ჩამოსული გაბო ხუნდაძე მოხსენებას აკეთებს რუსეთის შესახებო, წავედი. ხალხი ბევრი დამხვდა, თითქმის ყველა მწიგნობარი და მოწინავე გლეხობა აქ იყო. გაბომ მართლა მშვენიერი მოხსენება გააკეთა, უამბო მხოლოდ თავის თვალით ნახული ბოლშევიკური საქმიანობა მოსკოვში. ილაპარაკა მხოლოდ სინამდვილე, გადაუჭარბებლად; ჩემთვის, რასაკვირველია, ახალი არაფერი იყო, დავბრუნდი სახლისაკენ, გამომყვა ორი მეზობელი გლეხი. ვეკითხები: როგორ მოგეწონთ მოხსენება? კარგათ ილაპარაკა — მითხრა ერთმა, მაგრამ რაც ილაპარაკა დასაჯერებელი არ არის, გამოგონილი ამბებია... როგორ? გამიკვირდა. როგორ და სულ უბრალოთ, ჩვენ ვიცნობთ ბოლშევიკებს, ჩვენი მეზობელია ისინი, ერთად ვცხოვ-

რობთ და მათი ასეთ ფირალებათ დასახვა ცოდვაა — მომიგო  გლეხმა. ამ საუბარმა დამაინტერესა, გავიკითხ-გამოვიკითხე, გავიგე, რომ მთელ ამ ყრილობაში ათ კაცსაც არ დაუჭერია გაბოსტნაადგენერა. მაშინ პირველათ გავითქმიქრე — ჩვენი საქმე დაკარგულია, ხალხი იდე-ოლოგიურ რყევაშია...

აი ეს პსიხიკა არ გაქრა; რაც უფრო ჩამორჩენილი კუთხე იყო, მით უფრო ძლიერი იყო ასეთი სულისკვეთება. თუ კი გურულ გლეხს არ სჯეროდა მოსკოველთა ვერაგობა, ამას როგორ დაიჯერებდა ლეჩ-ტუმელი და დუშეთელი. ეს სულიერი განწყობილება უკვე გამოჩნდა ჩვენი დაპყრობის კვირეებში, როცა ხალხში გაისმა — ამდენ ხანს ცენზევიკები მართავდენ, ახლა ბოლშევიკები შესცვლიან მათ, რა დიდი განხსნავებაა. ამ აზრმა გაიტაცა ჩვენი ნაციონალისტები, რომ-ლებმაც გადასწუვიტეს ბოლშევიკებთან მოლაპარაკება და მათთან შეთანხმებით ქვეყნის საქმეების მოწეს-რიგება.

ერთი ხალხი მეორისაგან არაფერს არ სწავლობს, არც მის მაგალითს იყენებს, არც მისი წარსული და ოწმყო გაეგება; ის თვითონ აკეთებს თავისი ჰქუით და ტრადიციით თავას ისტორიას, თავის აწ-მყოს და მერმის. მიუხედავად მთელი ჩვენი პროპაგანდისა მასამ მაინც ვერ დაინახა მოსკოვის მოლოხის ნამდვილი ფიზიონომია. ერთ დარწმუნდა მის არა ადამიანურ სულისკვეთებაში და საქმიანობაში. თვით ქართველ ბოლშევიკებს არ სჯეროდათ ლენინის ახალი სახარების გამოცხადება. 1917 წ. ჩვენს ორგანოში დავწერეთ რომ ლენინმა უარყო დემოკრატიზმი და ააფრიალა დროშა „პირდაპირ კომუნიზმისა“, ბოლშევიკებმა თავის რუსულ გაზეთში მოგვნათლეს ცილისმწამებლათ, ეს სიბრიყვე ლენინს გამოუგონესო. ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ თვითონვე შეითვისეს ეს „გამოგონებული“ და ის თავის დროშათ აღიარეს.

მეორე საშუალება რითაც თავს ვიცავდით იყო შინაგანი მთლიანობის გამაგრება, ერთი ნაციონალური ფრონტის შექმნა, ყველა კლასის და წრის დარაზმვა ერის სუვერენობის ნიადაგზე. ამ მიმდინარეობის გზა და ხიდი გახდა შინაგანი აღმშენებლობა და საგარეო ურთიერთობის მოგვარება. მთელი 1919 წ. ჩვენი საქმიანობა ამ ორი ხაზით მიმდინარეობდა. პოლიტიკურათ ჩვენ ვიდექით თავისუფალი რეჟიმის ნიადაგზე, დემოკრატიული რესპუბლიკა ამას გულისხმობს. მაგრამ არ ვიცავდით ყველა ფორმის თავისუფლებას, არც პრესის, არც აგიტაციის. ის გაზეთები, რუსული და სომხური, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას არ იცავდენ, დავხურეთ და სამაგიეროს გამოცემის ნება არ მივეცით. პრესა იყო თავისუფალი მხო-

ლოდ დამოუკიდებლობის და დემოკრატიის ბატონობის ფარგლებში. ვინც ამ ორ ძირითად დებულებას ებრძოდა, ის იდევნებოდა მამულები ჩამოვართვით, მაგრამ მათ პატრონებს ყოველნაირ შეღავათებს ვაძლევდით და სახელმწიფო სამსახურში ფართე კარებს ვულებდით. მონასტრებს, სამლელოებას ფულით ვეხმარებოდით. მახსოვს ერთხელ კათალიკოზმა გვთხოვა თანხა მისი აფხაზეთში გასამგზავრებლათ და იქაური ეკლესიის საქმეების მოსაწესრიგებლათ, მივეცით. სვანეთის სამლელოების თხოვნა ნივთიერი დახმარებისა — დავაკმაყოფილეთ, მონასტრებს უკან დაუბრუნეთ ჩამორთმეული მიწები დასამუშავებლათ და სხ. მთავრობის სხდომები ასეთი თხოვნების გარჩევას ეწირებოდა. დამფუძნებელი კრების შოწვევის შემდეგ კოალიციური მთავრობა გზას უთმობს სოც.-დემოკრატიულ მთავრობას, მაგრამ მათ შორის არავითარი განსხვავება არ ყოფილა პოლიტიკურ ხაზში და ეკონომიურ საქმიანობაში. მთავრობის სხდომები ემსახურებოდენ უმთავრესათ მიმდინარე საშინაო სააღმშენებლო საქმეებს. მას ხშირათ არ ვესწრებოდი, თუმცა ის წინადადება, რომლის გადაჭრილი წინააღმდეგი ვიყავი, არ გადიოდა. ასეთი „ვეტო“ ხშირათ არ მიხმარია რასაკვირველია, ვინაიდან წინდაწინ ვიცოდი რომელი უწყება რა პროექტით მოღიოდა მთავრობაში. რთული საგარეო საკითხები ასეთ ოფიციალურ სხდომებზე არ იხილებოდა; ეს იყო სფერო თავმჯდომარისა და საგარეო მინისტრის ან და მხოლოდ მინისტრების თათბირის, სწორედ ისე, როგორც ეს წარმოებს საფრანგეთში. დიდი ბჭობა გვქონდა მაგალითად იმაზე, შევიყვანოთ თუ არა ჩვენი ჯარი აჭარში, სადაც ინგლისელ-თეთრი რუსები ხაზეინობდენ. ვერ გადავსწყვიტეთ, მომანდვეს მე. დიდი ფიქრის და აწონ-დაწონის შემდეგ შუალამეზე მივეცი ბრძანება საზღვარზე დაბანაკებულ ჯარს — შედით. ყველა მეზობლებს და უცხო მისიებს ვეწყობოდით, ვერაფერი მოუხერხეთ ინგლისელებს და თეთრ რუსებს. ესენი ერთად ხნავდენ. იმ ზომაზეც კი მივიდენ ინგლისელები რომ გერმანელებისაგან ნაყიდი ავტომობილებიც კი ჩამოვართვეს უსასყიდლოდ იმ საბუთებით, რომ რაც გერმანელთ ეკუთვნოდა — ჩვენიაო! ეკუთვნოდა, მაგრამ ახლა აღარ ეკუთვნის, ჩვენი ნაყიდია, — არაფერმა არ გასჭრა, ომს ხომ არ აუტეხდით. მათ მოგვთხოვეს ყარსიდან მიღებული სამხედრო მასალის გადაგზავნა დენიკინისათვის იმ საბუთით, რომ ეს რუსის ჯარის დატოვებულია! ჩვენ ვუპასუხებდით, ამ ჭიუით ყველაფერი, მთელი სამხედრო მასალა რაც გვაქვს იქვე უნდა გაიგზავნოს, ვინაიდან ყველა ეს რუსმა დასტოვა, ჩვენც დაგვტოვა... არაფერმა არ გასჭრა.


მთავრობამ დაადგინა — უარყოფილ იქნას ინგლისელთა მოთხოვნილება, რაიცა მათ ოფიციალურათ გამოეცხადა, რის შემდეგ დადასტუდენტები მცხოვრებ რუსებს ვეპყრობოდით ჩინებულათ, მოკმადილილნიც იყვენ. საკმარისია ერთი მაგალითი: რუსული სამხედრო სობორო გამოვაცხადეთ სახელმწიფო კუთვნილებათ. მაგრამ დავტოვეთ რუსის სამღვდელოების ხელში წირვა-ლოცვისათვის სახმარათ. ერთხელ ერთი რუსის ლედელი შემოვიდა ჩემთან, გამოქცეული იყო განჯიდან, საშინელი შესახედავი, დახეული ანაფორით, გაფიტრებული, ნაღვლიანი, შემომჩივლა თავის უმწეო მდგომარეობაზე. დავსწერე ბრძანება, მაეცეს მას ფულათ დაწმარება რამდენიმე ათასი მანეთი. როცა ეს მას გადავეცი და შინაარსი წაუკითხე, მოულოდნელობით ალბათ, დაბარბაცდა, კინალამ წაიჭცა, თვალებიდან ცრემლები გადმოყარა და ისევ დაჯდა რამდენიმე წუთით მოსასვენებლათ. ამ სცენამ ჩვენზედაც მოახდინა შთაბეჭდილება. უინ გაიგებს სხვისი გულის დარდებს! ჩვენ ძალიან გვეშინოდა რუსები არ გადასკვნილიყვნენ მოსკოვთან და იმპერიალისტური მოსაზრებით მათთან არ გაებათ საიდუმლო კავშირი საქართველოს წინააღმდეგ. საბედნიეროთ ეს არ მოხდა. თფილისის რუსებმა შორს დაიჭირეს მოსკოველები, დარჩენ ლოიალური ბოლომდე, თვით უკანსკნელ ომის დროსაც შეღავათების და დახმარების მისაღებათ მუდაში ლია იყო მათთვის ჩვენი კარები. ეს იყო მთავრობაში. ასე არ იყო საზოგადოების ზოგ ფენებში.

ბევრი მსჯელობა გვქონდა მინისტრების და პოლიტიკურ ორგანიზების თათბირზე სახელმწიფო ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. ერთი მხრით საჭირო იყო ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს გამაგრება ნივთიერი საშუალებით, ხოლო მეორე მხრით აუცილებელი იყო კერძო და საზოგადო ინიციატივის გაძლიერება. ბევრი დავის შემდეგ ეს ორ პრინციპი შევაერთეთ და 1919 წ. ოქტომბერში, მთავრობამ ის თვისათ მიიღო და მუხლობრივ ჩამოაყალიბა. ამ გზიდან არ გადაგვიხვევია ყველა სხვადასხვა მონოპოლიების შემოღებაში და გატარებაში.

ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებთან ურთიერთობის და დაახლოვების ინიციატივა თავიდანვე ჩვენ ავიღეთ. სხვანაირათ არც შეიძლებოდა. სომეხთა თაოსნობა მიუღებელი იყო აზერბაიჯანელთათვის და პირიტით. ორივეს ცალ-ცალკე და ერთად ჩვენ ვუძახოდით, ველაპარაკებოდით, ხელშეკრულებებს ვსდებდით და სხ. განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევდი მთიელთა რესპუბლიკას, არ იყო არცერთი შემთხვევა, მათ თხოვნაზე დახმარების შესახებ უარი გვეთქვას. თებერ-

ვალში გვთხოვეს სამხედრო იარაღი, მთავრობამ დაადგინა მიეცას /
მათ ყოველივე, რაც სჭირიათ სამხედრო საწყობიდან. არავთსათვისება
ასეთი დახმარება არ გაგვიწევია. ჩვენ თვითონ გვიჭირდა, სოფელ-სო-
ფელ პატრონებს ვაგროვებდით, თითოში ორ მანეთს ვაძლევდით,
ისე გვაკლდა სამხედრო მასალა, ამავე დროს მთიელთ ასე გულუხ-
ვათ ვეხმარებოდით. რატომ? ცხადია რატომ, ამას ითხოვდა ჩვენი
ჩრდილო საზღვრების უზრუნველყოფა; ძლიერი, დამოუკიდებელი
მთა იყო ჩვენი სიმაგრე, მოსკოვის წინააღმდეგ ამართული. მის არ-
სებობაში ვიყავით ყელამდე დაინტერესებული და ეს გვიკარნახებდა
ჩვენს დამოკიდებულებას მასთან. ჩინებული მეგობრული ურთიერ-
თობა დავამყარეთ ყუბანის კაზაკების მთავრობასთან, სანამ ას-
დენიკინმა არ ჩაყლაპა. მათ ქონდათ ჩვენს მიმართ დიდი სიმპატია,
ჩვენ მათ მიმართ. ყველა სავაჭრო და გაცვლა-გამოცვლის საკითხები
აღვილათ მოვაგვარეთ ყუბანთან, პურიც გამოგვიგზავნეს გემით, რაც
გზაში დენიკინებმა დაიჭირეს და უკან გააბრუნეს. მაშინდელა
მაგალითი კაზაკების მთავრობისა ნათლათ ლაპარაკობს მათ ზრახ-
ვებს და სულისკვეთებას — იყვენ თავისუფალნი, სხვა თავისუფალ
ურების გვერდით. ერთხელ დენიკინი შემოიჭრა თერგის ოლქში და
ულტიმატუმით მიმართა იქ მცხოვრებ 15 ათას ქართველებს დასტო-
ვეთ დაუყონებლივ ოლქი, თუ არა ამოგწყვეტო. ეს ბრძანება
ჩვენც გვაცნობა, ჩვენ შეუთვალეთ — ხელი გიხლია იქ მცხოვრებ
ქართველებისათვის, უარეს დავმართებთ საქართველოში მცხოვრებ
რუსებს. დენიკინი მოლბა. მართლა თქმულა: შიში შეიქმს სიყვა-
რულსა. ჩვენი პოლიტიკა იყო მოქნილი და ლმობიერი, მაგრამ სა-
ჭიროების დროს მკვახე და მედგარი. ძალას ძალა გასცემს ღირსე-
ულ პასუხს და არა ცარიელი ლაპარაკი. ასე უმაპინძლდებოდით ში-
ნაურ მტერთ — მოსკოვის აგენტ ბოლშევიკებს. როცა მათ ტერორი
დაგვინიშნეს. განსაკუთრებით მე მახსენეს და ეს კიდევაც გამოაცხა-
დეს, ჩვენ ვუპასუხეთ გადაწყვეტილებით — თვითეული მოკლული
პირისათვის სიცოცხლით პასუხს აგებენ დატყვევებულნი ბოლშევი-
კები. ამის შემდეგ თავისი განძრახვა სისრულეში ვეღარ მოიყვანეს.
არა, ჩვენ არ გვქონდა თავისუფლება ყველასათვის, გვქონდა მხო-
ლოდ ლოიალური მოქალაქეთათვის. ერთან და რეჟიმთან ბრძოლა
მიგვაჩნდა დანაშაულათ და შესაფერათ ვსჯიდით. ლიბერალები არ
ვიყავით. შიგნიდან აფეთქებას არ ვითმენდით. რასაკვირველია, ეს
უარყოფითი პოლიტიკა იყო შესაძლებელი დადებითი პოლიტიკის-
საშუალებით, ფართე მშრომელი მასების დაცვით, ერის და დემოკ-
რატიის არსებობაში ლრმათ დაინტერესებით. ჩვენი სოციალური და

აგრძარული რეფორმები ამ მიზანს ემსახურებოდენ — ერის გამოლიანებას ხალხური დემოკრატიის ბაზაზე.



ასეთი შინაგანი ბრძოლით და დავიდარაბით გადავუდირთვის მქონე წელში. საქართველო იყო დამოუკიდებელი, მის შინაგან მტერის არ გვეშინოდა, ხალხი ჩვენთან იყო და ნაძირალებს ადვილათ უმკლავდებოდით, მაგრამ ასეთი მდგომარეობა სანამდე უნდა გაგრძელებულიყო. სახელმწიფო არსებობს არა მარტო თავისთვის, შინაურული წესით, არამედ გარეშეებისათვისაც, ნაციონალურათ და ინტერნაციონალურათ. ამ მხრით ევროპიდან არაფერი სანუგეშო მოგვდიოდა. ვერსალის კონფერენცია გათავდა, ჩვენ კი დავრჩით უცნობი, ცხადი იყო, რუსეთს, წაქცეულ რუსეთსაც, დიდ ანგარიშს უწევდენ და არ სურდათ მისი დანაწილების დადასტურება. საჭირო იყო ამ საკითხისაღმი მიღვომა სხვანაირათ, შემოვლით. რაკი პირდაპირი მიღვომით, ევროპის წინაშე შუამდგომლობით და იქ პროპაგანდით არა გამოდიოდა რა, ცხადი გახდა, საქმის ისევ რუსეთიდან დაწყების აუცილებლობა. ვიფიქრე, თუ მოსკოვმა გვიცნო, ჩვენი დამოუკიდებლობა დაადასტურა, ამ თამასუქით წარვდგებით ევროპის აეროპაგის წინაშე და ეს უეჭველათ გასჭრის. გადავწყვიტე, ჯერ ჩემს გულში, მოსკოვში კაცის გაგზავნა. დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინის და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი. ვიფიქრე და გავჩერდი გრ. ურატაძეზე. ის იყო სტოგოლმის და ლონდონის კონგრესებზე და იცნობდა ყველას. დაუძახე გრიშას და მოველაპარაკე. მან მაშინვე თანხმობა განაცხადა, თუმცა „გზა იყო ეკლიანი“, უნდა გაევლო მრავალნაირი საომარი ფრონტები. მისი თანხმობის შემდეგ, წავედი საგარეო სამინისტროში, ვნახე საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი და გაუზიარე ჩემი აზრი. მან მინთხრა — აგერ ერთი თვეა ერთი ქართველი კომუნისტი ინჟინერი გამატანეთ ვინმე თქვენი კაცი მოსკოვში და იქ მოვახერხებ დავითანხმო ლენინი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზეო. დამისახელა გვარიც (აღარ მახსოვს), იყო იმავე დროს კომპარტიის ც. კომიტეტის წევრი რუსეთში. გრიშაზე დათანხმდა და ორ კვირაში გავისტუმრეთ რუსეთისაკენ შავი ზღვით. ამ მისის ერთი მთავარი პირობა იყო მისი საიდუმლობა ე. ი. საქართველოს კომუნისტებს არ გაეგოთ არავითარ შემთხვევაში, თვარა უეჭველად ჩაშლიდენ.

მთელი ეს ამბავი, გრიშას გამგზავრება და იქ მუშაობა, საქართველოში არავის გაუგია. მე ახლაც მიკვირს, რატომ მოსკოვმა არ შე-

ეკითხა თავის ხალხს თფილისში. ჩვენთვის მთავარი იყო ეცნო მოსკოვს ორი დებულება: დამოუკიდებლობა და საზღვრები. ამ კველა დანარჩენი პირობები იქნებოდა მეორე ხარისხოვანი, რაიცა იქნებოდა საგანი მოლაპარაკების. ასეთი ინსტრუქცია მივეცი გრ. ურატაძეს. ის წავიდა მარტო.

დიდი იმედი არ მქონდა; შეუდექით ისევ შინაგანი მდგომარეობის გამაგრებას. გვაწუხებდა ორი გარემოება: ინგლისელების მეტად თავხელური მოპყრობა და ფინანსები. ინგლისელები განაგრძობდენ წინა წლის პოლიტიკას — ჩვენს აბუჩათ აღებას და თეთრი რუსების ქომაგობას. ბათუმში და მის ოლქში ესენი გააბატონეს, ჩვენებს კი გასაქანს არ აძლევდენ, თუმცა მათი დიპლომატიური წარმომადგენელი ჩვენში იყო ჩვენი მეგობარი ვუორდროპი, მაგრამ მისი მოხსენებანი შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა ლონდონზე. ამის მიზეზი გამოირკვა შემდეგ. აქ იბრძოდა ორი მინისტრი: საგარეო, ლორდ კერზონი და პრემიერი — ლოიდ ჯორჯი. პირველი ჩვენკენ უფრო იყო, რუსეთის დაყოფას თანაუგრძნობდა, ხოლო მეორე პირიქით, მთლიანი რუსეთის მომხრე იყო და სეპარატიზმს არ სცნობდა. მთავარი ძალა კი მას ქონდა, როგორც თავმჯდომარეს. საზოგადოთ ინგლისის ორი მართველი პარტია — კონსერვატორების და ლიბერალების — სხვადასხვა სარუსეთო პოლიტიკას ატარებდენ. პირველნი ებრძონენ რუსეთს და იცავდნენ ოსმალეთის მთლიანობას. მეორენი კი პირიქით, იცავდენ რუსეთის მთლიანობას და მისი საშუალებით ლამობდნენ ოსმალეთის დამხობას.

ამავე დროს მეზობლებიც ცუდად გვეპყრობოდენ. განსაკუთრებით ალსაშფოთებელი იყო აზერბეიჯანის მოპყრობა; მთიელთა რესპუბლიკას შეესია ბოლშევიკები, გვთხოვეს დახმარება, ჩვენც გაუგზავნეთ ჯარის ნაწილი ბაქოს გზით, ხოლო ბაქოს მთავრობამ ის განიარაღა. საქმეზე არ გაუშვა, ხოლო იარაღი თვისათ გამოაცხადა! შეიქნა მიწერ-მოწერა, მუქარა, ძლივს-ძლივობით ჩვენი ხალხი უკან მივიღეთ, ბევრი უიარალოთ. შემდეგ აზერბეიჯანელები თავს იმართლებდნენ: თქვენი ოფიცირები და ჯარის-კაცები იარაღს ყიდდენ გზადაგზა და ამიტომ ამ სისაძაგლეს ბოლო მოუღეთ განიარალებითო. გამოკვლევამ დაამტკიცა ნაწილობრივ ბრალდება, ასეთი ხულიგანები ერიენ ჯარში. მაგრამ ეს იყო უმცირესობა, რუსის ჯარში ნამსახური ოფიცირების მეთაურობით. საზოგადოთ ჩვენ დაგვლუპა ამნაირმა ოფიცირობამ, მას არ ქონდა არავითარი პატრიოტიზმი, ყველაფერს უყურებდა გამორჩენის თვალსაზრისით, ცარცუავდენ სისტემატიუ-

რათ პოლკებს — ერთი სიტყვით ეს რუსეთუმე ხალხი იყო ნამდვილი რისხვა ჩვენი საქმისათვის.

ყოველ შემთხვევაში აზერბეიჯანის მთავრობას ეს არ ამართლებდა. ის რომ მეგობარი ყოფილიყო ჩვენი, მდგომარეობას ჩვენ გვაცნობებდა და ზომასაც ჩვენ მივიღებდით. განიარაღების ნამდვილი მიზეზი მდგომარეობდა პოლიტიკაში. ამ დროს აქ უკვე დაიწყეს მუშაობა ოსმალეთის აგენტებმა მოსკოვთან დასაახლოვებლათ და რუსის ჯარების ევროპის ანტანტის წინააღმდეგ გამოსაყენებლათ. ამ საქმეს ხელს უშლიდა მათი აზრით, ჩაგონებული ბოლშევიკების მიერ, საერთო საზღვრების უქონლობა. თუ მთა და აზერბეიჯანი გახდებოდა საბჭოთა რესპუბლიკები, რუსის ჯარი გაღმოვიდოდა კავკასიის ქედს და ანგორას მიეშველებოდა. აი ამ აგენტების ინტერესი იყო მთის გასაბჭოება და მაშასადამე იარაღის აყრა იმ ჯარისათვის, რომელიც მიღიოდა მისაშველებლათ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს იყო გლახა ნიშანი, რაიცა ჩვენთვის ცხადი გახდა იანვარში.

მეორე მხრით, სომხები იწეოდნენ რუსეთისაკენ, მოვა ის და გვიხსნის თურქებისაგანო. დენიკინელთა შორის იყო მრავალი სომხური ნაწილები.

ასეთ ატმოსფერაში რა გასაკვირველია რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციები არაფრით გათავებულიყო. ერთი ალთას, მეორე — ბალთას, ბაქო ოსმალეთისაკენ, ერევანი რუსეთისაკენ, დავრჩით შუაში მხოლოდ ჩვენ, რომელსაც გვინდოდა დამოუკიდებლობა ნამდვილი და მკვიდრი.


შეგნით გვქონდა შედარებით მყუდროება, წინა წლის არეულ-დარეული წესი ჩადგა კალაპოტში, მტრები მიყუჩდნენ, მყუდროება დამყარდა, პოლიციის აპარატები ჩამოყალიბდენ, ცხოვრება აეწყო მშვიდობიანობის და კანონიერების ნიადაგზე. მხოლოდ სავალალოდ გაგვიხდა ფინანსიური აწეწილ-დაწეწილობა. ყველა პირი თუ დაწესებულება მთავრობას სთხოვდენ დახმარებას. ერობები და ქალაქები პირდაპირ ხაზინას მისჩერებოდნენ. საიდან, სად აქვს მთავრობას ფული არავინ კითხულობდა. ხაზინის შემოსავალი ერთად-ერთა — გადასახადები იყო, ხოლო მის აკრეფისათვის არავინ არ ზრუნავდა. ეს საქმე ქონდა დავალებული თემებს, ერობებს და ქალაქებს. ესენი კი არავითარ ზომებს არ იღებდნენ. დაგვრჩა ფულის საბეჭდავი მანქანა ერთად-ერთ წყაროდ შემოსავლისა. ვაძლევდით სესხათ ყველას, ვინც კი მოგვთხოვდა, ხოლო სესხის დაბრუნებაზე არავის უფიქრია. ვიყავით მეტად ხელგაშლილი. ძველი თავადი-ვით. მახსოვს ვიღაც ჩინელსაც კი მივეცით 150 ათასი მანეთი, ხო-

ლო ოფიციალურ პირებს, როგორც მაგ. უკრაინის წარმომადგენელთ, ყუბანის მთავრობის მისიას, პოლონეთის თუ სხვა შორეული ერების წარმომადგენელთ ჩვენ ვინახავდით. საზოგადოთ, ფულს ვუყურებდით როგორც ჩამოვარდნილ ფურცელს, რასაც ეჭირვება მხოლოდ ახვეტა და გადაყრა. ამ ქაოსიდან გამოსასვლელათ მივმართეთ ისევ ევროპას, გავაგზავნეთ ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი, რომელმაც მართლაც კარგი ხელშეკრულებები დასდო და რომ დაგვცლოდა, მათი ამუშავებით კრიზისიდან გამოვიდოდით. არც სხვის ქონებას ვუფრთხილდებოდით. სენივით გავრცელდა რეკვიზიცია. მთავრობა სავსე იყო საჩივრებით. მე ვებრძოდი ამ სენს სასტიკათ და ხშირათ მიზანსაც ვაღწევდი. ეს ძნელი იყო, იმიტომ რომ მთავრობის უმრავლესობა თუ არა, ნახევარი მაინც მხარს უჭერდა ამ სენს. ამ ხრით განსაკუთრებით გამოირჩეოდა თფილისის საბჭოს გამგეობა, რეკვიზიციების წამოწყებაში პირველი ადგილი ეჭირა.

აპრილში უკვე მივიღეთ ცნობა გრ. ურატაძისაგან მოსკოვიდან. გვამცნო მოლაპარაკების შინაარსი და აგრეთვე პროექტის ტექსტი. ჩვენი მთავარი მოთხოვნილებანი გამოჩნდა მიღებული, სადაო იყო წვრიმალები, განსაკუთრებით ერთი მუხლი — საქართველოს ტერიტორიაში არ იდგეს სამტრო უცხო ჯარით. ჩვენ ვაცნობეთ ამ მუხლის სავსებით ამოგდება, ჩვენი ტერიტორიის სუვერენი ჩვენ ვართოვთ. გრიშამ გადმოგვცა პირდაპირი მავთულით, რომ მუხლს არ ხსნიან. თქვენ ეგებ თქვენი ქვეყანა გახადოთ პახათ უცხო შემოტევისა ჩვენს წინააღმდეგ და სხ. მე ვითიქრე ბოლშევიკები მართალი არიან, თუ კი ასეთი ეჭვი აქვთ, მუხლი მისაღებია; ევგენი იყო წინააღმდეგი, არ გვინდა მათი ცნობა თუ ჩვენი ტერიტორიის მოხმარაში გვერევიანო და სხ. ჩემთვის მთავარი იყო ჩვენი იურიდიული ცნობა რუსეთისაგან, რასაც შემდეგ სხვა სახელმწიფოებიც მიმართავდენ. გადავეცი გრიშას მოაწეროს ხელი. ასე იშვა ცნობილი ხელშეკრულება, რაც დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ.

როგორც კი ეს ცნობა გამოქვეყნდა, მეხივით გავარდა საქართველოს ბოლშევიკებში, აღარ იცოდენ რა ექნათ, როგორ მოხდა, რატომ წინასწარ ვერ გავიგეთ, არ დავანებებდით — შეიქნა მათ შორის ალიაქოთი, გაჩუმდენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღეს მოსკოვიდან ბრძანება — დამორჩილებოდნენ.

მოსკოვის ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისელებზე, არ მოელოდენ, ინგლისში ამ დროს იყო გაჩაღებული დიდი მოძრაობა იგნლისის ჯარების გამოსაყვანათ ყველა უცხო ტერიტორიებიდან, ამათ შორის, რუსეთიდან და მისგან გამოცალკევებულ ტერი-

ტორიებისაგან. ამ აგიტაციაში მთავარ როლს თამაშობდა  მოსკოვის აგენტები, რომელნიც ბლომათ იყვენ როგორც მუშათა ქართველიაში, ისე ლიბერალებთა შორის. ამ მოთხოვნილების დაკამაყოფილებას უკვე შეუდგა მთავრობა. 1920 წ. ზაფხულში, მხოლოდ ჩვენში დარჩა კიდევ მისი ჯარი, ე. ი. ბათუმის ოლქში, რასაც ჩვენათ არ თვლიდა. მაგრამ რაკი რუსეთმა ეს ოლქი თვითონ აღიარა საქართველოს ნაწილათ, გადასწყვიტეს ოლქის დატოვება და ჩვენთვის გადმოცემა. ამას ხელი შეუწყო კიდევ იმ გარემობამ, რომ თეთრი მოძრაობა რუსეთში დამარცხდა და ბათუმი ველარ გამოდგებოდა ამ მოძრაობის დასაყრდნობ ფუძეთ, როგორც ეს ინგლისს სურდა. ერთი სიტყვით ინგლისი გავიდა ბათუმიდან ივლისში და მიწვია ჩვენი საგარეო მინისტრი ლონდონში მოსალაპარაკებლად.

აპრილში მოხდა აზერბეიჯანის მართლა გასაბჭოება. ე. ი. უიარალოთ და უბრძოლველათ. შესრულდა ოსმალეთის ნება-სურვილი, გამოჩნდა რომ აზერბეიჯანი არის აგენტურა ოსმალეთის და მოქმედებს მისი კარნახით. მოსკოვს ეგონა ასე ადვილათ მოხდებოდა საქართველოს მოსპობა და უბრძანა თავის ჯარებს „გააგრძელონ მსვლელობა ბაქოდან ბათუმამდე“. მოგვადგენ საზღვარზე მაისის დასაწყისს. მივიღეთ სასწრაფო ზომები, გამოვაცხადეთ სამხედრო წესები, გვარდიის მობილიზაცია და სხ. მთავარ სარდლათ დაინიშნა ლენ. კვინიტაძე, ყველა ჩვენ ლენერლებსა და პოლკოვნიკებს შორის ეს პირი მიგვაჩნდა აქტიური, სწრაფი, მოქმედი, მხოლოდ ჯიუტი და მიუკარებელი. მავრამ უკეთესი არავინ იყო და უნდა შევრიგებოდით ამას. ამ დროს თფილისში დიდი პანიკა იყო, ამბობდენ რუსი მოდის და ვინ გაუძლებსო! რადგანაც მთავარი მეომარი ელემენტი იყო გვარდია, როგორც გადაჭრით ანტიბოლშევიკური, გადავსწყვიტეთ მორალი მისი გაგვემაგრებია ხმის გავრცელებით, მოდის არა რუსის, არამედ აზერბეიჯანელთა ჯარი, აზერბეიჯანელთა მთავრობის ბრძანებით. ხერხმა გასჭრა, გვარდიელები ყალყზე დადგენ, როგორ გვიბედავენ ეს „ჩაჩნები“ ომსო. პირველი შეტაკება შოხდა წითელ ხიდზე, მტერი დაამარცხა გვარდიამ, მხოლოდ გაკვირვებით ამბობდენ — თათრები ყველა გაიქცენ და მათ შორის არეულ რუსებმა თავი შემოგვაკლესო, მოკლულები აღმოჩნდნენ ყველა რუსი, არც ერთი აზერბეიჯანელი! ეს გარემოება ძალაში აფიქტებდა ბევრს, ვინ გვებრძვის — მართლა რუსი თუ თათარიო. საზოგადოთ რუსის შიში დიდი იყო. თუ რუსეთი დაიძრა, ვერას გავაწყობთო. საჭირო იყო დიდი მუშაობა, რომ ასეთი პანიკური განწყობილება შეგვესუსტებია. სწორედ ამ დროს მოხდა მოსკოვთან ხელ-

შეკრულების დადება და მით ომიც შეჩერდა. აშკარა იყო მოსკოვის ორი ტენდენცია: ერთი — პოლიტიკური და მეზობლური, მეორე იმპერიალისტური. ამ უკანასკნელს მეთაურობდა ტროცქის სამხედრო მინისტრი და სტალინი, ეროვნებათა მინისტრი (კომისარი), პირველს კი ლენინი, პირველმა ორმა უბრძანეს თავის ჭარს აზერბეიჯანში ჩვენი დაპყრობა. ეგონათ ადვილი იქნებოდა, ხოლო როცა ლენინმა დაინახა რომ უომოთ ეს არ შეიძლებოდა, ევროპის სკანდალს მოერიდა და გადასწყვიტა ჰელშეკრულების დადება.

აშკარა გახდა ყველა დუხშირი შედეგები ამიერ-კავკასიის მთლიანობის დაშლისა. მიშვებული მის ნებასურვილზე, აზერბეიჯანი გაწლა ოსმალეთის ორიენტაციის, ხოლო სომხები რუს ნატრულობრა — ის გვიხსნის ოსმალთაგანო. დარჩა ერთად-ერთი საქართველო მართლა დამოუკიდებლობის მომხრე, მაგრამ განმარტოვებული, თავის პცირე ძალ-ღონის ამარა. ჩვენი მთავარი სატკივარი იყო სამხედრო ძალის მეთაურობის მოწყობა. ქართველი ოფიცრობა იყო გაზრდილი რუსის ჭარში და შეკოლაში, იყო ამავე დროს რუსის ორიენტაციის, მხოლოდ არა ბოლშევიკურის, არამედ თეთრის, ჩვენთან მოდიოდა უმთავრესად ბოლშევიზმის სიძულვილით და არა თავისუფლების სიყვარულით. პირველ-ყოვლისა ვეძებდით მეთაურს, მთავარ პიროვნებას. მისაღებს სამხედრო თვალსაზრისით. ასეთ პირათ მივიღეთ ოდიშელიძე. მაგრამ ჩემთვის ჭერ კიდევ თვრამეტში გამოირკვა მისი სრული მიუღებლობა. ეს იყო პიროვნება უხასიათო, მოკლებული ნების-ყოფას. სამაგიეროთ, ამყოლი სხვების, მუდამ იმის ცდაში, რომ რევოლუციურ წრეების გული მოიგოს. 1920 წ. ზაფხულში ვიყავი აბასთუმანში, ევგენიმ გამომიარა და იქიდან წავიდა ბათუმში, ინგლისში გასამგზავრებლად. მის ადგილას, ე. ი. ჩემს მოადგილეთ დარჩა სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, რომლის თანაშემწეთ ითვლებოდა ოდიშელიძე, მე მას მივწერე ამ პიროვნების შეცვლა სხვა ვინმე ცნობილი პირისაგან. გრიშამ არ გაიზიარა ეს, მისი აზრის აღმოჩნდა მთელი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა. დარჩა ოდიშელიძე, ე. ი. დარჩა უხელმძღვანელობა, უპლანობა, მოუმზადებლობა, ალალ-ბედობა. შემოდიოდა საჩივრები ჭარის ნაწილებიდან, რომ ფული იფლანგება, ხოლო სასმელ-საჭმელი კი უვარგისიაო და სხ. ვნიშნავდი რევიზიებს, მაგრამ არა გამოდიოდა რა. ერთი გამფლანგველის ალაგს იჭერდა ასეთივე ოფიცერი. ჩვენი ოფიცრების უმრავლესობა მთელ ჩვენს საქმეს უყურებდა როგორც დროებით წარმავალ მოვლენას, რომელიც შეწყდება, როგორც კი რუსეთი აღდგებაო, ამიტომ „ხელს ითბობდენ“. საზოგა

დოთ ყველა წრეს და კლასებს შორის ერთადერთი ამ ოფიციალური უმრავლესობა არ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე, მოკლებული ყოველივე პატრიოტულ რწმენას.

ენკენისთვეში დავბრუნდი თვილისში. ბაქოდან მომივიდა ცუდი ინფორმაცია. ბოლშევიკური წყაროებიდან გვატყობინებდნენ რომ მოსკოვი ისევ ემზადება საქართველოს დასაპყრობათო. ერთად-ერთი ხსნა უნდა გვეძია ევროპაში და კიდევაც დარწმუნებული ვიყავით ამაში ორი გარემოების გამო: ევგენის გაწვევა ინგლისის მთავრობის მიერ და სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ქონდა პირველს, რასაკვირველია, მაგრამ არც მოსკოვს ეძინა. ისიც ცდილობდა ლონდონში მოეპოვებია გავლენა და ლოიდ ჯორჯის მთავრობა გადაეყვანა თავის მხარეზე. მას შეეძლო ეს მიზანი მიეღწია ერთი საბუთით — თავის დამოკიდებულებით ოსმალეთთან. ამ დროს ინგლისის მთავრობა წარმოადგენდა კოალიციას ლიბერალებისა და კონსერვატორებისა, ლიბერალი ლოიდ ჯორჯის მეთაურობით, საგარეო მინისტრი კი იყო მეორესი — ლორდ კერზონი. აი ამ ორ სტრუნაზე თამაშობდა მოსკოვი, პრემიერს არწმუნებდა, რომ ის მზათაა ოსმალეთი ალაგმოს, ხოლო მეორეს კი პირიქით, — ოსმალების არსებობის აუცილებლობას უქადაგებდა. მაგრამ ვინაიდან გადამჭრელი იყო პრემიერი, მისი პოლიტიკა გახდა მთავრობის პოლიტიკათ, ხოლო კერზონს დარჩა მხოლოდ სახელი საგარეო მინისტრის. როცა ევგენი სტამბოლამდე ჩაიყვანეს ინგლისელებმა თავის გემზე, იქ ის მიატოვეს, როგორც კერძო პირი და აღარც კი განუმეორეს ლონდონისაკენ მიპატიუება. ცხადი იყო, მოხდა რაღაც ცვლილება. კრასინი თანდათან პოულობდა გავლენას და მის ინტერესში არ შედიოდა ჩვენი მინისტრის ინგლისში მისვლა. ჩვენ მაინც დაიმედებული ვიყავით და ვუცდიდით დადებით შედეგებს. სრულიად ვერ წარმოგვედგინა თუ ლოიდ ჯორჯი წამოეგებოდა მოსკოვის ანკესზე, როცა მთელი საოსმალო პოლიტიკა ბოლშევიკებისა აშკარათ ლაპარაკობდა მათ შორის კავშირზე და არა ბრძოლაზე. ეს იყო ცნობილი, უდაოთ ალიარებული ამბავი და ვინ მოიფიქრებდა თუ ინგლისის მთავრობა მას ვერ დაინახავდა. მაშინ ეს შეუძლებელი წარმოსადგენელიც იყო. ველოდით მხოლოდ საკომპენსაციო წინადადებებს ლონდონისაგან.

სოციალისტური დელეგაცია ჩვენ მიგვაჩნდა საუკეთესო იარაღათ ევროპაში და მოვიწვიეთ დიდის პატივით და ნდობით. მან პირნათლათ შეასრულა თავისი როლი, გაამართლა ჩვენი იმედები.

ბაქოდან ცნობების მოსვლა გრძელდებოდა, იქ ჩვენი წარმომად-

გყნელი იყო გაბო ხუნდაძე, ყავდა მეგობრები ძველ ბოლშევიკებთა შორის; ამათში, ალბათ, ბევრი არ თანაუგრძნობდა საქართველოს დაქცევას და აწვდიდენ ცნობებს გაბოს. ერთ დღეს ის თვითონ ჩამოვიდა მოულოდნელათ და დაწვრილებით გვიამბო. აშენია რეზონა მოსკოვის განძრახვა. დავთაცურდით, თავდაცვის საბჭო დავაარსეთ და შეუდექით მზადებას ჩუმათ, არავის გაეგო რაშია საქმე. ეს საიდუმლოება საჭირო იყო, რომ ხალხში პანიკა არ გამოეწვია და მორალური კრიზისი არ შეგვეძნა. საბჭოს დაარსება მოხდა 11 ნოემბერს. ამ დროს, მაშასადამე, უკვე ვიცოდით მოსკოვის განძრახვა. საბჭოს მე თავმჯდომარეობდი. არ ყოფილა შემთხვევა სამხედრო უწყებას რამე წინადადება შემოეტანოს და ჩვენ არ მიგველოს. არა-სოდეს არავითარი კონფლიქტი არ გვქონია — ყველა თანხმობით, ერთნაირი ენერგიით ვმუშაობდით. მთავარ საკითხათ იყო: იარაღი — თოფი და პატრონები, რაც დიდათ გვაკლდა და სურსათის დაგროვება. საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლის კორპუსის საშუალებით მოვაწყვეთ საფრანგეთში ყიდვა 60 ყუმბარის 30.000 ფრანგანეცზე გადაცვლით. მაგრამ მთავარი იყო შეძენა თოფის და პატრონების. ვაფრინე ყველგან დეპეშები, არსაიდან დაპირება, ხოლო ლონდონიდან ცივი უარი. რაკი ლონდონი იყო მთელი საკავშირო სამხედრო მასალების გამკარგულებელი, ცხადია, ვერსად ვერაფერს მივიღებდით. საფრანგეთმა დაგვპირდა რუსის თოფების მოცემა სტამბოლიდგან, მაგრამ ესეც ვერ მოაწია ომის ბოლომდის და ისიც ყველა გაფუჭებული და შეკეთებული აღმოჩნდა.

ამავე დროს ჩამოვიდა რუსეთიდგან დელეგაცია სატრანზიტო ხელშეკრულებაზე მოსალაპარაკებლად და შესაკრავათ. ეს ფაქტი ამ-უღავნებდა მოსკოვის ორმაგ პოლიტიკას, ერთი — თვალის ასახვევათ, ხოლო საიდუმლო მზადებას ჩვენს წინააღმდეგ. ან შეიძლება პოლიტიკა იყო ორნაირი და ორმაგი — ერთი ცდილობდნენ მართლა მეზობლური დამკიდებულების დამყარებას, ხოლო მეორენი კი დაპყრობას, ანეჭისიას. ჩვენის ცნობით შემოტევა უნდა დაეწყოთ დეკემბერში; ვემზადებოდით, როგორც ვთქვი, საიდუმლოთ არა თუ მოსკოველთათვის, არამედ ჩვენი ხალხისათვისაც, რომ მას არ გაეგო ჩვენთან მოსალოდნელი კონფლიქტი და მით გული არ გაგვეტეხა წინდაწინ. საერთო რწმენა იყო, რომ რუსეთს ვერ გაუძლებდით. მოულოდნელათ დეკემბერში ჩემთან საუბარი მოისურვა მოსკოვის სამხედრო წარმომადგენელმა (გვარათ მგონი ტოლსტოი) და ეს მამცნო დენ. ლებედინსკის პირით. შეხვედრა უნდა ყოფილიყო საიდუმლო, ლებედინსკის ბინაზედვე. მივეღი დანიშნულ დროს, სა-

ლამოს. გავიცანი წარმომადგენელიც, ვითათბირეთ სამივემ. ლაპა-
რაკში შევატყვე წარმომდგენელს სრულიად არ სურდა მოსკოვის თავ-
დასხმა, ლებედინსკის ალბათ მასზე ქონდა გავლენა. მან ჟირი და მი-
მითხრა, რომ განძრახვაა თქვენს წინააღმდეგ გამოილაშქრონ და თუ
შეგიძლიათ წახვილეთ რომელიმე დათმობაზე, რომ ეს არ მოხდეს.
მაგალითად ბოლშევიკები-ტყვეების განთავისუფლებაო. მე ვუპასუ-
ხე, ჩვენ უკვე წავედით ყოველნაირ დათმობაზე, ამას მოწმობს შეკ-
რული სატრანზიტო ხელშეკრულება, ხოლო რაც შეეხება დაჭერილ
ბოლშევიკებს, ჩვეულებრივათ მათ ვაძევებთ რუსეთისაკენ. დარ-
ჩენილთაც იქით გაუყენებთ, თუ ამას მოსკოვი ოფიციალურათ მოგ-
ვთხოვს: საზოგადოთ გვითხრან რა სურთ ჩვენგან, რა მიზეზით ემზა-
დებიან. ჩვენს წინააღმდეგ, ეგების მოვეწყობით, შევთანხმდებით
უეჭველათ ყველა საკითხებზე, გარდა ერთისა — ერის დამოუკიდებ-
ლობის და სუვერენობის შეკვეცისა. მან ვერაფერი კონკრეტული
ვერ წამოაყენა. ვამჯობინე დაშინება და ვუთხარი — კავკასიის ხალ-
ხები, იცით ალბათ, უკმაყოფილო არის მოსკოვის რეჟიმით. თუ ამ-
დენ ხანს არ ამდგარან, ამის მიზეზი ვართ ჩვენ — მათ არ უჟერთ
მხარს და არ ვეხმარებით. მაგრამ ეს განწყობილება შეიცვლება მა-
შინვე, როგორც კი ჩვენ თავს დაგვესხმებით. აჯანყებებს გავაჩა-
ღებთ ყველგან. თქვენ ზურგს უკან. ამ საბუთმა მასზე იმოქმედა.
მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ყოფილა დავალებული მოსკოვიდან მე
ვენახე, ვინაიდან თქვა — ეს მართლა სერიოზულია, მოსკოვს ვაც-
ნობებო... გათავდა შეხვედრა უშედეგოთ, ერთი მცირე შედეგით —
დეკემბერში არ დაიწყო შემოტევა, გადაიდვა, უეჭველია მოსკოვში
კიდევ დავა იყო ამ საკითხზე პაციფისტებსა და ომის მოტროფიალურა
შორის. გადადება ჩვეთვის ხელსაყრელი იყო. გვეძლეოდა დრო
მომზადებისათვის.

გვერდი ცნობა რომ პირველი შემოტევა დაიწყება ბორჩალოს
საზღვრებთან და მას გამოაცხადებენ აჯანყებათ; ამნაირათ, მთელ
ომს მოსკოვი ევროპაში გამოიტანს შინაურ ამბოხებათ და მით ხელს
დაიბანს. ოდიშელიძეს და ზაქარიაძეს მივეცით სრული „კარტ ბლან-
ში“ ბორჩალოს გასამაგრებლად; ამავე დროს იქ გავგზავნეთ სომე-
ხი სოც. დემოკრატები საპრაპაგანდოთ. მათ მიერ მოტანილი ცნო-
ბები არ იყო სანუგეშო, მიტინგებზე სომხის ოპოზიციონერები წინა-
დებურათ არ გამოდიოდნენ, არავითარ მოთხოვნილებას არ აყენებ-
დენ, თითქოს დიდათ კმაყოფილნი იყვენ. ამ გარეგნულ სიწყნა-
რემ ეჭვში შეგვიყვანა, უეჭველია იყო რაღაც საიდუმლო მზადება
და დაპირება. რასაკვირველია, ამ სომხებით დასახლებული მიდა-

მოების შემოერთება იყო დიდი შეცდომა, მაგრამ ჩვენმა სტრატეგებმა ასე გადასწუვიტეს, თავდაცვის სიმაგრეთ დაინახეს ძველებურათ მთა-გორა და არა თვით მცხოვრებთა სულის კვეთება. მოხდა როგორც გორც ველოდით: 11 თებერვალს „აჯანყდა“ ბორჩალოს „სომხები“. გარეკეს ჩვენი ჯარი, დაატყვევევს ბევრი. ერთი სიტყვით, ცნობილი მოულოდნელი სამარცხვინო დამარცხება. მაშინვე დავიბარე ოდი-შელიძე და მოვსთხოვე ამ სირცხვილის ანგარიში. მან მომცა ასეთი განმარტება: ჯარი დამარცხდა იმიტომ რომ იყო დანაწილებული, შეერთება ვერ მოასწრეს; გამიკვირდა, შევუტიე — როგორ დანაწილებული, ომისთვის ვემზადებოდით და თქვენ ჯარები დაფანტეთ! მე რა შუაში ვარ, მომიგო, ეს მოახდინა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელმა, დეკემბერშიო!.. გული მომივიდა, ვინ არის ჯარების უფროსი — თქვენ თუ ჩხენკელი თქვა და გამოუცხადე დაუყონებლივ გადადგეს. ამ დროს ჯარების ნაწილები გამორბოდენ ბორჩალოდან და თფილისს უახლოვდებოდენ. გავმართეთ თათბირები, მთავრობის სხდომა, გადაწყდა კვინიტაძის დანიშვნა მთავარ-სარდლათ. არავითარი სხვა არჩევანი არ შეიძლებოდა. ყველა ამბობდა, რომ ჯარი მას ენდობა, მას გაყვება, ის გაამხნევებს და სხ. გამოჩნდა სრული უმწეობა ამ მხრით, კაცი არ ცო კანდიდატათ დასასახელებლათ. ყოველ შემთხვევისათვის, გადასწუვიტე მასთან წინასწარი მოლაპარაკება. შეხვედრისთანავე დაიწყო თავდასხმა უმთავრესათ ოდიშელიძეზე, უწოდა მეტად უზრდელი სახელი, გადავიდა სხვებზე, გამოდიოდა რომ არავინ არაფრათ არ ვარგა. ომი წინდაწინ წაგებულია, თფილისი უნდა დავსცალოთ, მცხეთაზე გავმაგრდეთ, ერთი სიტყვით — დაუწყობელი, აფორიაქებული საუბარი და პლანები. მე ეჭვი გამოვთქვი ვიწრო წრეში მის ვარგისობის შესახებ. გვიან იყო, განსაკუთრებით ნაც.-დემოკრატები კატეგორიულათ ითხოვდენ. დათა ვაჩნაძე დამდევდა და მარწმუნებდა მათი სახელით, კვინიტაძის მეთაურობით გამარჯვების შესაძლებლობაში.

ომი გაჩაღდა: მოსკოვმა ამცნო ქვეყანას რადიოთი ბაქართველოში აჯანყება დაიწყოვო, ხოლო კავკასიაში კი აცხადებდა — საბჭოთა სომხეთი თავს დაესხა მენშევიკებს და ითხოვს ბორჩალოს სომხეთის შემოერთებასო. ჩვენ ხალხის გასამხნევებლათ ამ ვერსიას ჩავათრინდით, შემდეგ აზერბეიჯანელებიც მივაყოლეთ. ხოლო როცა ტყვეებში რუსებიც მოხვდენ — ვამბობდით, რუსები ეხმარებიანო და სხ. ეს აგიტაცია სჭრიდა, ხალხი აღშფოთებული იყო, როგორ გვიბედავენ ეს გლახაკები თავს დასხმასაო. ნამდვილი ამბავი — რომ იბრ

ძვის რუსის ჭარი და არა სომეხი და აზერბეიჯანელი ჭერ კიდევ უცნობი იყო ფართე მასისათვის. მით უფრო ეს სჯეროდათ რომ რმი იყო მხოლოდ სომხეთის საზღვართან. ერთ დღეს მოდის ჩემთან საჩქაროთ გოგიტა ფალავა და მეუბნება: ეს არის რუსეთის საერთო მიმღები საიდუმლო დეპეშა — ხვალ დილიდან გადავდივართ შეტევაზე ფოილოს ხიდიდან. როგორ იცი? შიფრის გამშიფრავისაგან. ჩვენი კაცია, წინააღმდეგია მოსკოვის აქ შემოსვლის. ვაცნობე ეს მაშინვე შტაბს, თავდაცვის საბჭოს, ფოილოს დამცველ ნაწილებს, მოვემზადეთ დასახვედრათ. სწორეთ მეორე დღეს, ალიონზე დაიწყო შემოტევა ფოილოზე. ახლა აშკარა გახდა რუსეთის გამოლაშქრება. არ შევუდგები ომის მსვლელობის აღწერას. ეს აწერილია, ცნობილია. მოვიხსენიებთ მხოლოდ იმ ატმოსფერას, რომელიც შეიქნა შტაბში. რამდენჯერ მივდიოდი (მივდიოდი დღეში ორჯერ) შტაბში, იმდენჯერ კვინიტაძე დაიწყებდა — ერთად-ერთი გამოსავალია უკან დახევა, გრძელი ფრონტის შემოკლება, მცხეთის მიმართულებით გამაგრება, ზარბაზნების დაწყობა მაღლობზე და იქედან თფილისის დაცვა, მტერი ვერ შემოვა ქალაქში, ახლა კი გზას მოგვიჰინიან, შემოგვევლებიან და სხ. ეს ყოველდღე. ეს საკითხი დავსვი სამხედრო კომისიაში. დაესწრენ დეპუტატებიც. ამათ სახე ჩამოსტიროდათ, საჭირო წაგებულათ მიაჩნდათ. არც ერთი გასამხნევებელი სიტყვა მათგან არ გამიგონია. გარდა ერთად-ერთი სპ. კედიასი. მხოლოდ ის იყო წინააღმდეგი ქალაქის დატოვების, წინააღმდეგი იყო მთავრობა და თავდაცვის საბჭო. ამიტომ კვინიტაძეს ვეღავებოდი, ვაჩერებდი, არ გადადგა ასეთი ნაბიჯი. მივედი 24 თებერვალს საღამოს; სარდალი უცხეროდა რუქას, იქვე იჯდა ოდიშელიძე, როგორც ჩემი მრჩეველი, შემობრუნდა და სალამის მაგიერ მითხრა: უკან ვიხევთ, იქვე უკარნახა თავის მდივანს შესაფერი ბრძანება ფრონტზე გადასაცემათ. მე მაინც მოვსთხოვე შიზეზი, გამარჯვებული ჩვენ ვართ, უკან იხევს ჩვეულებრივათ დამარცხებული თქვა. მან მიპასუხა: ეს თეორიაა, საქმეს სწყვეტს კონკრეტული მდგომარეობა, ჩვენ შემოქალტული ვართ. გზა მოჭრილია, რჩება ერთი ბილიკი — მცხეთისაკენ მიმავალი გზა და თუ აძელამ ვერ გავასწრებთ ამ მიმართულებით, ხვალ იძულებული ვიქნებით ტყვეთ ჩავბარდეთო. ამასთანავე დაასახელა ორი პუნქტი — საბურთალოს გზა ლია არის, მტერი იქიდან მოდის, ხოლო გარეთ კახეთიდან მტერი მოდის მცხეთისაკენ. ეს ცნობები ძალიან საეჭვოთ მივიჩნიე. მქონდა ამის საბუთი. შტაბის ინფორმაცია მეტად მდარე ხასიათის იყო; ჩემი ინფორმაცია ყოველთვის მტკიცდებოდა. მე მაძლევდა ინფორმაციას ლებედინსკი; ერთხელ

მან მითხრა — მოდის სამი ათასი კაცისაგან შემდგარი კავალერია ულობას მეთაურობით. ეს ვაცნობე კვინიტაძეს, სასაცილოთ აიღო, ალბათ ვინმე ულობას ბიძაშვილია, ვიღაც გატყუებსო. ასევე რუსის ფრონტების მდგომარეობაზე ჩემი ცნობები იყო მისთვის ყალბი და სხ. ამიტომ ამ მაგალითებით გაფრთხილებული, მოვსთხოვე საბუთები მისი გადაწყვეტილებისა. დამისახელა ორი: საბურთალოში ჩამოვიდენ მოსკოვის მზვერავები კოჯორით, მაშასადამე გზა არის ლია; სამხედრო მეცნიერება ამბობს, რომ საღაც ორი მზვერავი გაივლის, იქ გაივლის მთელი როტაც, ხოლო საღაც როტა გაივლის — იქ მთელი პოლკი. მეორე მხრით ჩვენს მარჯვნივ უკვე დაბანაკებულია რუსის ჯარი მცხეთიდან 10-11 ვერსზე (დაასახელა სოფელი), რაკი ასეთი ფაქტები წამოაყენა — მე ვერაფერი ვთქვი, მხოლოდ ვკითხე — მოახდინეთ თუ არა ფრონტების სარდალთა შეკითხვა ამ საგანზე. არაო, ეს ჩემი საჭმეა, მათი მოვალეობაა აასრულონ ჩემი ბრძანებაო. გამოვედი, გამომყვა ოდიშელიძე, ვკითხე — უფლება აქვს სარდალს ასე პიროვნულათ ასეთი დიდი გადაწყვეტილება მიიღოს? კანონით უფლება აქვს, მომიგო მან.

ომის დაწყებიდანვე ვაწარმოებდით პოლიტიკურ მუშაობასაც. ყველა წარმომაღგენელნი უცხო სახელმწიფოსი ჩვენ თანაგვიგრძნობდა. ეჭვს მიბადებდა მხოლოდ ერთი — ოსმალეთის ელჩი კიაზიმ ბეი. ის გამოცხადდა ჩემთან მეორე დღესვე და გამიცხადა სრულიად კატეგორიულად: ჩვენი ინტერესია საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ მიზნის მისაღწევათ არ დავერიდებით ომსაც ბოლშევიკების წინააღმდეგო. ასეთია ჩვენი მთავრობის აზრიო. ეს იყო პირდაპირ ჩვენი გაკეთება, ვინიდან ვიცოდით რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოსკოვი ოსმალოს ნეიტრალობას. კიაზიმმა მაშინვე დაგვაკავშირა პირდაპირი მავთულით ჩვენს წარმომაღგენელთან ანგორაში, სვ. მდივანთან. ის გვატყობინებდა თავის მუშაობის ხასიათს. მთავრობის წევრების ყოყმანს და გამოსთვამდა იმედს ჩვენი ხაზის გამარჯვებისა. ამავე დროს კიაზიმმა გვთხოვა მისთვისაც მიგვეცა საშუალება პირდაპირი კავშირისა ანგორასთან და მოსკოვთან. ეს უკანასკნელი წინადადება არ მომეწონა, მაგრამ რაკი დაპირებები იყო დიდი, დანაშაულობა იქნებოდა ის ჩამენგრია ტეხნიკური საკითხებისათვის. კიაზიმი ხშირათ ელაპარკებოდა შტაბიდან ანგორას და მოსკოვს, ერთხელაც ვერ გავიგეთ როგორ და რაზე. უეჭველია ამ დროს იყიდეს ოსმალოს ნეიტრალობა მოსკოველებმა არტაანის და ართვინის დათმობით, რაიცა დამტკიცდა ჩვენზე ზურგიდან თავს დასხმით. ამის შემდეგ მითვლიდა კიაზიმი, რომ ამით ამოიწურება ყველა დავა

ჩვენს შორისო, თქვენთან ვიქნებითო, მაგრამ მისი ალარაფერი გვაჭე-
როდა. ევროპიდან არაფერი კონკრეტული არ მოგვდიოდა, არავი-
თარი დახმარება. ხოლო ოსმალოდან კი მივიღეთ მტრული და-
მოქიდებულება. დიპლომატიური მუშაობა აღმოჩნდა უნაყოფო.
ამიტომ გავაგრძელეთ პოლიტიკური აგიტაცია მოსკოვზე შთა-
ბეჭდილების მოსახლენათ. ჩვენი დეპეშები, ინფორმაციები ცხად-
დებოდა ევროპაში, ქონდა ადგილი გამოსვლებსაც მოსკოვის წი-
ნააღმდეგ: ამ კამპანიაში მოსკოვმა დაიჭირა ყალბი პოზიცია — უარ-
ყო ომი და დააწვა აჯანყების აფეთქებას. ეს ალარავის სჯეროდა,
გარდა მოყიდული კომუნისტებისა და მათი ორგანო „ჰუმანიტესი“.
ამავე დროს მე პირადათ ორჯერ მივმართე ლენინს და ტროცკის რა-
დიოთი, მოვითხოვე ჯარების უკან დაქანება და მოლაპარაკების გა-
მართვა; რა გსურთ, რა საკითხებია გადასაჭრელი გვაცნობეთ მაინც,
ვეუბნებოდი მათ.

ეჭვს გარეშეა, მთელ ამ კამპანიამ მოახდინა შთაბეჭდილება ლე-
ნინზე და მის მომხრეებზე, რომელნიც დიდათ არ თანაუგრძნობდენ
ჩვენს საკითხში ტროცკი-სტალინს. ეს გამოჩნდა იქიდან, რომ ჯერ
კიდევ ჩვენი თფილისში ყოფნის დროს გამოგზავნეს მოსალაპარაკებ-
ლათ ა. ენუქიძე და მისცეს ინსტრუქცია საქართველო-სომხეთის სა-
ზღვრების საკითხის მოწესრიგება. მაგრამ როცა ის ჩამოვიდა თფი-
ლისში — ჩვენ უკვე ქუთაისში ვიყავით და მას დახვდა ფაქტიური
მდგომარეობა სრულიად შეცვლილი.

24-ს ნაშუალამევს დაიწყო უკან დახევა. მე ვიზექი ჩემს კაბი-
ნეტში და ყოველ წუთში შემომეკითხებოდნენ ტელეფონით რა არის
გასატანი, რა ქუთაისში წასალები. ჩვენ ვფიქრობდით სატახტო ქა-
ლაქათ გვექნება ქუთაისი და იქიდან მივაწვდით ყოველივე სამხედრო
მასალას ჯარს და სურსათს მცხეთის მებრძოლ ჯარს. საათის სამამდე
ვაძლევდი სხვადასხვა განკარგულებას, როცა გათავდა ყველაფერი,
გავედი თფილისიდან უკანასკნელი მატარებლით. ამით დაიხურა სად-
გურებიც. ვაგონში დამეძინა, გამომეღვიძა გზაში და დავინახე სად-
გური აქსტატა; გამიკვირდა, რანდევუ იყო მცხეთა; გავაჩერებიე მა-
ტარებელი, ჩამოვხტი, ვეკითხები მხლებელთ — რაშია საქმე; მათ მით-
ხრეს — მცხეთაში არავინ შეგვხვედრია, არავითარი ნიშანი გაჩერე-
ბისა არ მოუციათ, თუმცა სადგურზე ვიკითხეთ სამხედრო უწყების
სადგომი, მომიგეს რომ არავითარი უწყება იქ არ იმყოფება... ყველა
მიდის გორისკენ და ჩვენც აქეთ წამოვედითო. ამ დროს გამოჩნდა
დახეული ჯარის ნაწილები, სწრაფათ ფეხით მომავალნი. შევაჩერე,
გამოვიკითხე. აღშფოთებულნი იყვნენ, ოფიცერი არც ერთი არ

ახლდათ, მცხეთაში არავინ შეხვედრიათ, მივდივართ იქამდის, სანამ ვინმე უფროსი შეგვხვდებაო. ახლა მივხვდი ყველაფერი, მცხეთის ფრონტი იყო მომიზეზება ომის გასათავებლათ. გავსწიე გორისაკენ, აქ დამხვდა შტაბის და კვინიტაბის ვაგონები, ყველა უთავბოლოთ გაბნეულნი მის-მის კუნჭულში. არავითარი მზადება ომის გასაგრძე-ჯლებლათ. — მითხრეს ხაშურის ულელ-ტეხილზე გავმაგრდებითო, მთის გზები დაკავებული გვაქვსო და სხ. ავათ ვიყავი, მაინც შევ-ჯერ ცხენზე და წავედი ამ სიმაგრეების დასათვალიერებლათ. მივედი ულელ-ტეხილამდე, არსად არავითარი სიმაგრე, არც თხრილი, არც კაცი, არავითარი წინსწარი ზომა. ხოლო დეზერტირობა ურიცხვი; არავინ იყო მათი შემკავებელი. საჩქაროთ მოვაწყვე სამხედრო-სავე-ლე სასამართლო არა სამხედრო პირთა თავმჯდომარეობით, რამაც შე-ტანა ცოტაოდენი შიში და წეს-რიგი გაქცეულ ჯარის ნაწილებში. გახდა შესაძლებლობა ერთი რაზმის გაგზავნის მომავალი ბოლშევი-კების რაზმის წინააღმდეგ. ეს იყო წვეთი ზღვაში. აღმოჩნდა, რომ თფლისიდან ევაკუაციის დროს ოფიცირებს მიუტოვებიათ თავისი რაზმები, გამოუვლიათ თავ-თავიანთ ბინაზე და ცოლ-შვილი წამო-უსხამთ. ყოფილა არა ჯარის, არამედ ბანდების დახევა, გამოქცევა. ყოველივე წეს-რიგს გარეშე. რასაკვირველია ქუთაისში გაჩერებაზე და ჩვენი პლანის სისრულეში მოყვანაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, თუმცა მაინც შევიარე და ორი დღე გავჩერდი. ნათელი იყო შთე-ლი ჩვენი ტრალიკული ბოლო, გაუგონარი მოშლა, დაშლა. უკვე გორში დაიწყო ლაპარაკი ოფიცერთა შორის საზღვარ-გარეთ წასვლა-ზე და აღგენლენ წამსვლელთა სიას. ეს გავიგე ბათუმში. მე კი ისე დარწმუნებული ვიყავი რომ დახევას აქვს სტრატეგიული ხასიათი და თფილისში ისევ ჩქარა დავბრუნდებოდით, რომ წამოსვლის წინ, სა-ლამოს, შევიარე „ერთობის“ რედაქციაში, დავსწერე და ავაწყობინე ცქავე მოწოდება მცხოვრებლებისადმი, საღაც ვხსნიდი ლანევის დროებით ხასიათს და ვპირდებოდი ჩქარა დაბრუნებას. ეს ფურცე-ლი წაილო და გაავრცელა შ. მაღლაკელიძემ.

საჭირო იყო რაიმე საომარი ბაზის გაჩენა საქართველოში და იქ გამაგრება. ვფიქრობდით აჭარა-სვანეთზე, მაგრამ გავიგეთ რომ იმ მხრიდან ბოლშევიკური ბანდები შემოსულიყვნენ ჩრდილო-კავკასი-იდან და მოიწეოდნენ ქუთაისისაკენ. ამავე დროს მოსკოვის ჯარი უტევდა სოხუმის მიმართულებით. მათ რამდენიმე ყუმბარა ესროლა საფრანგეთის ესკადრის უფროსმა დიუმენილმა. ბოლოს გადავსწყვი-ტეთ გამაგრება რიონის მარცხენა ნაპირას — იმერეთ-გურიის ხაზზე და აქ მიცემა ბრძოლის. აქ ხალხი იყო საიმედო, შეგნებული, სურ-

სათიც იშოვებოდა და სტრატეგიულათაც მისაღები იყო. დავბინავ-
დით ბათუმში. მაგრამ ეს პლანი სავსებით ჩაგვინგრია ოსმალეთმა;
უცებ მოულოდნელათ დაგვარტყა ბათუმის მხრით და მთინდომა ქა-
ლაქის დაჭერა. აღმოვჩნდით ორ ცეცხლს შუა. გამოსავალი არ იყო,
ან შერიგება მდგომარეობასთან და ცნობა მოსკოვის ოკუპაციის, ან
საზღვარგარეთ გასვლა ნაციონალური დროშით და იქ ბრძოლის
გაგრძელება. დროს მოსაგებათ ჩვენ დავთანხმდით ბოლშევიკებთან
მოლაპარაკებაზე და ზავის პირობების გამომუშავებაზე, რის რატიფი-
კაცია უნდა მომხდარიყო ბათუმში მთავრობის მიერ. დელეგატათ გავ-
გზავნეთ გრ. ლორთქიფანიძე, მანდატით — საუბარი გააგრძელოს.
ამ ხნის განმავლობაში შედგა დამფუძნებელი კრების სხდომა. დამ-
ტკიცა ჩემ მიერ წარდგენილი სია მთავრობისა (მე არ დავსწრებივარ).
და აღვჭურვა შესაფერი მანდატით უცხოეთში სამუშავოთ. მთავრო-
ბა გავაფართოვეთ სხვა პარტიათა მეთაურობის შემოყვანით — ნაციო-
ნალ-დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტებისა. სულ ვიქ-
ნებოდით ექვსი წევრი. მაგრამ ამ პარტიებმა უარი თქვეს და დავრ-
ჩით ოთხი წევრი, ოთხივე სოც.-დემოკრატი. ამ დროს გაჩაღდა აგი-
ტაცია ჩვენს ოპოზიციაში. გამოვიდენ მომხრეთ მთავრობის დაშლის,
შინ დარჩენის, ბოლშევიკებთან მორიგების და სხ. იმართებოდა მა-
თი შეერთებული სხდომები, სადაც ესწრებოდენ აგრეთვე „სხივე-
ლები“. რადგანაც ჩვენ კატეგორიულათ წინააღმდეგი ვიყავით ამ
აზრების, საიდუმლოთ გადასწყვიტეს ჩვენი დატყვევება. შესდგა
საამისო რაზმი, რასაც მეთაურობდა ერთი პირი. ერთ დღეს ვხედავ
ვაგონიდან ვიღაც საეჭვო ცხენოსანთა ბანდა მოგვიახლოვდა და აგვათ-
ვალიერ-ჩაგვათვალიერა. მხოლოდ ამით დაინტერესებულმა გავიგე
სინამდვილე. მაშინვე დაუძახე სამხედრო მატარებელს ვალ. გოგუ-
აძის მეთაურობით, გავაფრთხილე და გავაჩერე ჩვენს ვაგონებთან.
ამნაირათ დაგვჭირდა ყარაული შინაურების მოსაგერებლათ. ამათ
შორის დიდ მუშაობას ეწეოდენ ბოლშევიკები, პირდებოდენ ყვე-
ლაფერს, ოლონდ ევროპაში არ გაგვეტანა ეს „სკანდალი“. რა დიდ
მნიშვნელობას აძლევდენ ამ საკითხს მოსკოვში, სჩანს იქიდან, რომ
როცა ლენინმა გაიგო ჩვენი გასვლა, განაცხადა — წაგებული ვარ-
თო. ლენინის ინსტრუქცია გამოცხადდა გაზეთებშიაც, რომლითაც
ურჩევდა ბოლშევიკებს შეთანხმებას ჩემთან.

ბათუმში დაპატიმრებული ბოლშევიკები გავანთავისუფლეთ; მო-
ვიდენ ჩემ ვაგონში მოსალაპარაკებლათ. საუბარი იყო მოკლე; ჩვენი
საერთო ინტერესია მხოლოდ ერთი — ბათუმის და მისი ოლქის სა-
კართველოს საზღვრებში დარჩენა, რა გინდ წყობილება იყოს აქ:

თუ შეგიძლიათ ამ ხაზზე იმოქმედეთ, დაეხმარეთ ჩვენს ჯარებს ოს-
პალოს ბათუმიდან გასარეკათ, — განუცხადე მე. ამით დავშორდათ
ამავე დროს ხდება სოც.-დემ. პარტიის და მისი დეპუტატების კურებე-
ბი. მხოლოდ ეს პარტია არ გატეხილა და განაგრძობდა დგომას
ბრძოლის პოზიციაზე. ამ ბრძოლის გაგრძელება თვით იყისრეს ახა-
ლი პირობებისდაგვარათ საქართველოში. ჩვენ, მთავრობას გზა დაგ-
ვილოცეს უცხოეთისაკენ. მთავრობა მაინც ფეხს ითრევდა, სამშობ-
ლოს დატოვება ადვილი არ ყოფილა. დაგვაჩქარა ერთმა გარემოე-
ბამ: აჭარიდან ტელეფონით გვითხრა ერთმა აჭარელ დეპუტატმა
(გვარი დამავიწყდა), რომ სწრაფი ნაბიჭით მოდის ულობას კავალე-
რია, გადმოულახავს აბასთუმანის გზით აჭარის ულელ-ტეხილი და
ამბობდენ მისია გვაქვს ნოე უორდანიას მთავრობის დაჭერა ბათუმ-
შიო. გაშინვე შევკრიბეთ ცნობები და ეს ცნობა აღმოჩნდა მართა-
ლი. საჭირო იყო სიჩქარე. ბათუმის ქუჩებზე უკვე გაჩალდა ბრძო-
ლა ჩვენს ჯარს და ოსმალოს შორის, გემზე გადავედით 16 მარტს, იქ
დაგვხვდა კვინიტაძე! გაგვიკვირდა, მეგონა ბრძოლას მეთაურობდა.
მოვსთხოვე დაუყოვნებლივ გადასულიყო ნაპირას და თავის თვალით
ჯახა მდგომარეობა და უფროსებთან ერთად ემოქმედნა; მართლაც
გადავიდა, რამდენიმე საათის შემდეგ დატრუნდა, არავინ არ უნახავს,
ნაპირიდან არც დაძრულა. მისი უცხოეთში წამოსვლა მისი საკუთარი
ინიციატივით მოხდა. არავის არ დაუდგენია. საზოგადოთ, დამფუძ-
ნებელმა კრებამ მხოლოდ მთავრობა გამოგზავნა მისით და ჩვენ წა-
მოვიყვანეთ ისინი, ვინც საქმისათვის გამოგვადგებოდა და ტეხნი-
კური სამსახურის გამგენი, ყველა დანარჩენი მისით გარბოდენ.
ჩვენი ლოზუნგი იყო პირიქით — შინ დარჩენა და იქ ბრძოლის გაგ-
რძელება, პირველ-ყოვლისა, პოლიტიკურათ და ხალხის გვერდში
ამოდგომა. აგრეთვე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის გამომ-
ჯზავრება მოხდა სპეციალური დადგენილებით, როგორც ამ კრების
იურიდიული გამოხატულება მთავრობასთან ერთად სამუშაოთ. სოც.-
დემოკრატების არც ერთი ცნობილი ორგანიზატორი და მებრძოლი
თავისი ნებით არ წამოსულა. პირიქით, პარტიამ დაადგინა ბათუმში
დარჩეს თავის ალაგას ხალხთან ერთად. სწორეთ 17-ს დილით მი-
ვიღეთ ცნობა, რომ ულობას კავალერია დაბანაკდა ბათუმის ახლოს
და მაშასადამე ყოველ საათში იყო მოსალოდნელი ჩვენი დატყვევე-
ბა, ამავე დროს საჯავახოს გზით მოახლოვდა პირველი ეშელონი წი-
თელი ჯარისა. იმავე დღეს დაიძრა ჩვენი იტალიანური გემი და გა-
მოვსწიეთ სტამბოლისაკენ.

სტამბოლში მინახულა საფრანგეთის ელჩიმა შევალიერ, შემდეგ

იტალიის — ჩერუტიმ და ორივემ თავიანთი მთავრობის სახელით გად-
შომცენ მიპატიუება მათ სამშობლოში. მე ეს მივიღე კარგ ნიშნათ,
ვიფიქრე საფრანგეთის და იტალიის მთავრობები გადადგაშენოფიცი-
ალურ ნაბიჯს მოსკოვის წინაშე ჩვენი საკითხის გამო. ვინაიდან გან-
საკუთრებულ მნიშვნელობას ვაწერდი საფრანგეთის თაოსნობას, ამი-
ტომ შევალიეს მიპატიუება მივიღეთ, ჩურუტის მადლობა გა-
მოუცხადეთ. აპრილის პირველ რიცხვებში ჩავედით პარიში, ჩაგ-
ვყვა შევალიე, სადგურზე მისვლისთანავე გული გამიტყდა, არავინ
ოფიციალური წარმომადგენელი მთავრობისა არ შეგვხვდა; შევა-
ლიეც გაოცებული იყო, თუმცა არა უთქვამს რა. ეს მივიღე გლახა
ნიშნათ, არა ოფიციალურ მიღებათ, მაშასადამე, კერძო პირებათ.
ჩვენ მაინც შეუდექით შემდეგ დასვენებისა ჩვენ საქმეს, როგორც
ჩვენი ელჩის, ისე ჩვენი ამოძრავებით. მე პირადათ მივიღე შემდეგი
ზომები: გაუკეთე მოხსენება სოციალისტურ პარტიის ც. კომიტეტს,
რომელმაც მიიღო ცნობილი რეზოლუცია. ასეთივე მოხსენება გაუკე-
თე მეორე სოციალისტურ პარტიას, იმავე ნაყოფით. შემდეგ დავეს-
წარი მე, აკაკი და შევალიე სენატორთა კრებას. დაესწრო ასზე მეტი
სენატორი, გავაკეთეთ სამივემ მოხსენება, კრება გათავდა ისე რომ
ერთი შეკითხვაც არ ყოფილა, არც სხვა ვინმეს სიტყვა უთქვამს, არც
რეზოლუცია მიუღიათ. ეს უკვე აშკარა საბუთი იყო იმისა, რომ საფ-
რანგეთის ოფიციალური წრეები ინტერეს არ იჩენდენ. მიუხედავათ
ამისა, ვინახულე პრეზიდენტი მიღიერანი, პრემიერი არ. ბრიანი,
იმავე შედეგებით. სრული გულ-გრილობა. ამის შემდეგ წავედი
ბელგიაში, იქიდან ინგლისში ნიაღაგის მოსაშინჯავათ. ბელგიაში გავა-
კეთე ორი მოხსენება სოც. პარტიის ც. კომიტეტის კრებაზე და ან-
ტვერპენის ერთ დიდ მიტინგზე; ორივემ პროტესტის რეზოლუცია გა-
მოიტანეს. ვინახულე საგარეო საქ. მინისტრი უასპარი, გარდა ზრდი-
ლობიანი მოპყრობისა — არაფერი. იქიდან ლონდონის ვიზა ვითხო-
ვე საელჩოში. ლონდონმა უარი მითხრა, არც კი მიშვებდა ინგლის-
ში. საკითხი იყო ნათელი, ლოიდ ჯორჯს ჩვენი ქვეყანა აღარ აინტე-
რესებდა. მე მაინც არ შეურიგდი ამ უტიფარ მოპყრობას და მუშა-
თა პარტიის გზით ვიზა მივიღე. ჩავედი, ვინახულე, პირველ ყოვლი-
სა, ერთა ლიგის დიდი მოლვაწე და ჩვენი დიდი ქომაგი ლორდ სესი-
ლი. როცა გავათავე ჩემი მოკლე მოხსენება, შემომეკითხა: ახლა
არა გნებავთ ბატონო, საქმე გათავებულათ უნდა ჩაითვალოსო. არა-
ვითარი ინტერესი, ინტერესი გამოიჩინეს მხოლოდ მუშათა პარტი-
ის მეთაურობამ და მთხოვეს ბრაიტანის კონგრესზე დავსწრებოდი და
იქ აღვეძრა ეს საკითხი. სესილის მიერ ასე გულ-გრილათ მიღების

შემდეგ აზრი არ ქონდა ოფიციალური პირების ნახვას, არც მიზა-
 ლებდენ, კერძო გავლენიანი პირები კი ვინახულე, იმავე ნაყოფითავა
 გავსწიე ბრაიტანში. თარჯიმანათ მახლდა ბელგიიდან პოისმანსი.
 გავუკეთე მოხსენება ც. კომიტეტს, მიიღეს რეზოლიუცია და წარუდ-
 გინეს ყრილობას, რომელსაც ვრცელი მოხსენება გაუკეთა ამ საგან-
 ზე სნოუდენის მეულლემ. იყო რამდენიმე ბოლშევიკთაგანი ლამბე-
 რის მეთაურობით, გამიხმეს-გამომიხმეს, მთხოვეს რეზოლიუციის
 მოხსნა; მე უარი უთხარი რასაკვირველია. ც. კომიტეტმა რეზოლი-
 უცია წარმოადგინა და მე მოვხსნა თქვა? ვერაფერი გააწყვეს კუ-
 ლისებში, ვერც კრებაზე ილაპარაკეს, რეზოლიუცია მიღებულ იქნა
 ერთხმათ. დავბრუნდი პარიუში გულდაწყვეტილი. არავინ არავითარ
 ინტერეს არ იჩენდა, გარდა სოციალისტებისა. არც ერთს სხვა პარ-
 ტიას თანაგრძნობის რეზოლიუციაც კი არ გამოუტანია. არც ერთ
 მთავრობაზე ახალგაზრდა სახელმწიფოს დაპყრობას და მოსპობას
 შთაბეჭდილება არ მოუხდენია. აშკარა იყო ჩვენთვის, რომ ევროპის
 საზოგადოება დალალულია, სხვისი სატკივარი მათ არ სტკივა, არც
 კი ამჩნევს მას და ცდილობს მხოლოდ ერთს — იყოს თავისთვის წყნა-
 რათ, უდარდელათ. ამ დღიდან ჩემი მუშაობის ხაზი გამოვსცვალე;
 დევ, სხვებმა განაგრძონ ამ წრეებში, ევროპის საზოგადოებაში,
 საპრაპაგანდო მუშაობა. ჩემთვის კი მთავარი იყო ქართველი ხალხის
 მებრძოლი სულისკვეთების შენახვა, მისთვის ხელისშეწყობა, იქა-
 ური არა-ლეგალურ ორგანიზაციებთან დაკავშირება და მათი საშუა-
 ლებით მუდმივი კონტაქტი ერთან. ეს იყო მთავარი, თუ ერი არ გატ-
 ყდება, საერთაშორისო მდგომარეობა ოდესმე მის სასარგებლოთ შე-
 იძლება შემობრუნდეს და ამით ისარგებლოს. მეორე მხრით, დიდ
 მნიშვნელობას ვაძლევდი პოლიტიკურ ემიგრაციის მთლიანობის შე-
 ნახვას. მებრძოლი აპარატების შექმნას და მათ წინამდლერობას. აი
 ეს ორი ამოცანა დავისახე მიზნათ ჩემი მუშაობისა, ხოლო ეს დალ-
 ული და კმაყოფილი ევროპიელები გადაულოცე სხვებს. მიუხედავად
 ამ გადაწყვეტილებისა, მაინც მაიძულეს წავსულიყავი ჰამბურგის და
 მარსელის ინტერნაციონალურ კონგრესებზე, შემდეგ კი აღარც იქ
 დავდიოდი.

აქ არ შეუდგები წერას იმ ამბების შესახებ, რაც იქ მოხდა. ამაზე
 ბევრი დაბეჭდილიცაა, მე დღიურებიც მიწერია, მასალა ბევრია და
 ვისაც ინტერესი ექნება ამ ამბების გულდასმით გაგების — წყაროებს
 ბევრს მიაგნებს...

1939 წელი.
 ვანვი (საფრანგეთი).

ისტორიკოსის გოლოთხმა

ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა მოგონებები ძირითადად საზღვარგარეთ არის გამოცემული და მას ჩვენი მკითხველი თითქმის არ იცნობს. ნოე უორდანიას მოგონებათა წიგნი — „ჩემი წარსული“ (პარიზი. 1953) ამ ხარვეზს რამდენადმე შეავსებს.

XX საუკუნის 900-იანი წლების შემდგომი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მეტად თავისებური და წინააღმდეგობით სავსე იყო. ამ ხანის მოღვაწეთა დიდი ნაწილი უცხოეთში გაიხიზნა. მათ იქ პოლიტიკური ემიგრანტის უსიხარულო ცხოვრება გაატარეს. პოლიტიკური რეფიმების, ხელისუფლებათა ხშირმა ცვლამ (რუსეთის მცფის ხელისუფლება — იმიერკავკასიის ფედერაციული ორგანიზაცია — საქართველოს ღეროკრატიული რესპუბლიკა — საბჭოთა ხელისუფლების დამყარება) ცხადია ისტორიული მოვლენებით, ისტორიული ფაქტებით უხვად დატვირთული ისტორია შეგვიქმნა. საზოგადოებრივი ეს ისტორია ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში ობიექტურად, მეცნიერულად არ არის გაშუქებული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაბატონებული ბიუროკრატიულ-აღმინისტრაციული სისტემა უკველმხრივ ზღუდავდა ისტორიული აზრის თავისუფალ განვითარებას. მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორია ერთხაზოვან განვითარებაში არის წარმოდგენილი. ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები გარდასულ დღეებზე უფრო თავისუფლად მსჯელობდნენ. საზღვარგარეთ განოცემულ ლიტერატურაში მრავალი დღემდე ჩვენთვის უცნობი ისტორიული ფაქტია მოცემული. მოვლენების მათეული შეფასება, მათი ისტორიული კონცეფციები ხშირ შემთხვევაში ჩვენთვის მისაღვები და საინტერესოა. ასეთ ლიტერატურას მიეკუთვნება ქართველი ემიგრანტების დაწერილი მოგონებები. პოლიტიკურ ემიგრანტთა მიერ გამოცემული ლიტერატურის გაცნობით მდიდრდება ჩვენი ცოდნა XIX საუკუნის ინტურულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიაზე. ისტორია პრაქტიკული, გამოყენებითი მეცნიერებაა და ემიგრანტულ ლიტერატურაში დასმული ბევრი საკითხი თანამედროვე საქართველოს საზოგადოების-პოლიტიკურ ცხოვრებას ეპასუხება. თანამედროვე მწვავე პოლიტიკურ საკითხებზე ფიქრი და ზსჯელობა ისტორიული გამოცდილების გათვალისწინების გარეშე ყოვლად შეუძლებელია. საქართველოს ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა კონცეფციები, ისტორიული პროცესების მათეული ანალიზი საქართველოს წინაშე დღეს მდგომი პრობლემების გადაჭრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ნოე უორდანიას მოგონებათა წიგნი „ჩემი წარსული“ ყველა იმ თვალსაზრისით ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო, ისტორიკოსებისა და ბოლიტიკოსებისთვის ეს საჭირო თხზულებაა.

ან წიგნის ავტორი ჩვენი საუკუნის ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ყველაზე ძლიერი პოლიტიკური მიმდინარეობის — სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი იყო.

პოპულარულ პოლიტიკურ მოღვაწეს მრავალი მიმდევარი და პატივისმცემელი, ასევე ძრავალი მტერი და მოძულე ჰყავდა. მისი პოლიტიკური პლატფორმა, გართველოს წარსულისა და აწმყოსადმი მისი დამოკიდებულება პატრიოტულ ძალებში, ეროვნულ პარტიებში მკვეთრად უარყოფით რეაქციებს იწვევდა. ნოე უორდანიას პოლიტიკურ ბიოგრაფიაში მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაა ასახული: ბედუკულმართი, წინააღმდევობებით სავსე, ნატანჯი. თვითონაც არ იყო მთლიანი, ერთიანი. მთელი მისი ცხოვრება საქართველოსთვის მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი იდეების მორგების წარუმატებელი მცდელობა იყო. ნოე უორდანიას პოლიტიკურ ცხოვრებაში პოპულარობის ბევრი მწვერვალი ჰქონდა. იყო დრო როდესაც ს ქართველი ხალხის ბელადად აღიარეს. 1917 წლის 19 ნოემბერს სახაზინო თეატრში საქართველოს ეროვნული ურილობა გაიხსნა — დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა, რომელიც ჩერენს ისტორიაში ღირსეულ ადგილს დაიკერს. ურილობის მონაცილენი ნოე უორდანიას, როგორც ქართველი ხალხის ბელადს, დიდი ოვაციებითა და მქესარე ტაშით შეხვდნენ. ოპოზიციური პარტიებიც კი მას ბელადად და წინამძღვალად სახავდნენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნოე უორდანია ქართველი ხალხის მტრად გამოაცხადეს. 1935 წლის ივლისში თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის პარტაქტივზე ქართველი ბოლშევიკების მაშინდელმა მეთაურმა ლავრენტი ბერიამ მოხსენებაში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ნოე უორდანია — ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიის თავკაცის — პოლიტიკური მოღვაწეობა ძალზე უარყოფითად შეაფას. 6. უორდანია „აშკარად ჰქადაგებდა სოციალ-იმპერიალისტურ თეზის“, „მესამე დასის“ უმრავლესობა და ნოე უორდანია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ოპორტუნისტულ გაგებას არ გაცილებიან და თავს მთელი ქართველი ხალხის წარმომადგენლებად სთვლიდნენ“ — ნათევამი იყო მოხსენებაში, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას საფუძვლად დაედო. სულ ახლან ე. წ. უძრაობის ხანაში 6. უორდანიას ზედმეტად ხსენებაც კი დანაშაულად ითვლებოდა. ნოე უორდანიას პოლიტიკურ საქმიანობას მყაცრად ეკიდებოდნენ მისი თანამედროვე ოპოზიციური ეროვნული პარტიები (სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები), ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა. მისდამი ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება კარგად არის ასახული ქართულ პერიოდულ განოცემებში და ემიგრანტულ ლიტერატურაში. პატრიოტულად განწყობილი ქართველი მოღვაწეები ნოე უორდანიას პოლიტიკურ საქმიანობას ეროვნული პოზიციიდან აფასებდნენ და მას წარმოაჩენდნენ, როგორც ერის მოღალატეს, გამყიდველს. მისი ერთგული თავდაპირველად მხოლოდ მისი პარტიული ამხანაგები იყვნენ. შეძეგ, როცა ქართველმა ხალხმა შექმნა საქართველოს დემოკრატიული დამოუკიდებელი რესპუბლიკა და ამ საქმემ დადებითად წარმოაჩინა ნოე უორდანია, მისდამი დამოკიდებულება რამდენადმე შეიცვალა. ერიგრაციაში მისი აღრინდელი ოპონენტების ერთი ნაწილი მოღბა, მისდამი კეთილად განეწყო (მაგ., ბის. წერეთელი და სხვ.), სხვანი შეურიგებლები აღმოჩნდნენ (რ. გაბაშვილი, გ. კვინიტაძე, ალ. ასათიანი და სხვ.).

„ჩემი წარსულის“ ავტორი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ გაეცნო მარქსის მოძღვრებას და როგორ ცდილობდა მარქსიზმი ეროვნული საკითხისათვის დაეალოვებინა. ყველგან ეძებდა ის ამ საკითხზე პასუხს, მაგრაც წარმატებას ვერ მიაღწია. XIX საუკუნის მიწურულში 6. უორდანიამ გამოაცხადა „მესამე დასის“ პარტიულ დოკუმენტში „ერისა და თითოეული პირის თავისუფლება“ (6. უორ-

დანია. ტ. I. ტფილისი, 1920. გვ. 71). ქართველ სოციალ-დემოკრატთა 1893 წლის თბილისის კონფერენციაზე მოხდა „შეხეთქა“, რომელმაც „მიიღო ნაციონალური ფორმა“ („ჩემი წარსული“. გვ. 25). შემდეგ კი ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ კარგა ხნით დათმო ეროვნული პოზიციები და კრიჭაში ჩაუდგა ქართულ ეროვნულ პარტიებს, ქართველ საზოგადო მოლებებს, რომლებიც ერის გამოხსნისათვის იბრძოდნენ.

1904 წელს, აპრილში, საზღვარგარეთ, ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციაზე, რომელიც გაზეთმა „საქართველომ“ ინიცია, ნ. უორდანიამ სხვა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან ერთად განაცხადა, რომ ასეთი კონფერენცია მისთვის, როგორც სოციალისტისათვის მიუღებელია. სოციალ-დემოკრატებმა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი თქვეს. სოციალ-დემოკრატთა ასეთ საქციელს ნ. უორდანია იმით ხსნის, რომ მათთვის ყველა კლასს და წოდებას შორის „საერთო ნიადაგის“ თეორია მიუღებელი იყო. როგორც კონფერენციის ოქმებიდან ჩანს, სოციალ-დემოკრატებმა „საბაბი მოიდეს“, თუ ისინი წინათ იყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, ეხლა გახდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატული პარტიის წევრები და მათ ყველაფერი ეროვნული დაკარგეს“. („ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციისა“. პარიზი. 1904. გვ. 3).

ნ. უორდანია და მისი პარტია, ყოველ შემთხვევაში მისი უდიდესი ნაწილი წლების შანძილზე დაუნდობლად ებრძოდა ე. წ. „ნაციონალისტებს“, ქართული ეროვნული საქმის მესვეურებს. ამ ბრძოლაში საოცრება ის იყო, რომ იგი 1918 წლის 26 მაისით დამთავრდა. ამ დღეს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე მთელი ერის წინაშე ნოე უორდანიამ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ ვამოცადა. მან პოლიტიკური ცოლვაშეობის რთული გზა განვლო. მთელი ცხოვრება ის ქართველ მოლვაშეთა მთელ თაობას უპირისპირდებოდა და ბოლოს მათი მიზნების განხორციელებისათვის ყველაზე აქტიურად იბრძოდა.

მოგონებათა წიგნში ნ. უორდანია ბევრს წერს ეროვნულ საკითხზე. შეიძლება გვეჩენება, მაგრამ გვგონია, რომ ეს შემდგომი ისტორიული მოვლენების გავლენით არის დაწერილი. მოგონებათა ავტორებს ეს ემართებათ, როდესაც მათ შემდგომი ცხოვრების განვლილ გზაზე დაგროვილი გამოცდილება წარსულზე გადააქვთ.

ცალკე უნდა შევეხოთ ნოე უორდანიასა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობას. ნ. უორდანიასთვის ილია ჭავჭავაძე ძველი, დრომოკმული ფეოდალური ურთიერთობის განსახიერება იყო; მისი აზრით ქართველი ხალხისათვის მთავარი სოციალური საკითხები იყო, ხოლო ეროვნული საკითხი ილია ჭავჭავაძისა და სხვა „ნაციონალისტების“ მოგონილი იყო. მისი ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ისე შორს წავიდა, რომ უნდა ვიფიქროთ მან და სხვა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დიდი ქართველის მკვლელობა იდეურად შეამზადეს. გაივლის წლები და ნ. უორდანია ილიაზე იტყვის: მისი „ნაციონალური იდეა გაუღენთილი იყო სოციალური იდეით. მისთვის ერის ალორძინება ნიშნავდა ხალხის ალორძინებას“ („გუშაგი“. № 14. გვ. 54). მაგრამ იქვე კვლავ იმეორებდა იმას, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი საქმიანობა (სათავადაზნაურო ბანკის შექმნა და სხვა) ვიწრო კლასობრივი მოლვაშეობა უფრო იყო, ვიდრე დიდი ეროვნული საქმე.

ნოე უორდანიას მოგონებათა წიგნში ბევრი საუბარია ქართულ მენშევიზმზე. ეს საკითხი — ქართული მენშევიზმის ისტორია — შეუსწავლელია. ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება სხვა პარტიების, ე. წ. არაპროლეტარული პარტიების, ისტორიას მეცნიერული კვლევის ობიექტად არ სცნობდა. ამას ემატებო-

და ქართველი სოციალ-დემოკრატიის უარყოფითი დაწყიდებულება ქართული ეროვნული საკითხისადმი, რაც საკითხის შესწავლის ხალის უკარგავდა ქართველი ისტორიკოსებს. დიდი იყო სოციალ-დემოკრატიის გავლენა საქართველოში მასში წლები, როცა ამ პარტიაში 60 — 80 ათასი წევრი შედიოდა. სოციალ-დემოკრატიას ვერ უმკლავდებოდნენ პატრიოტულად განწყობილი ძალები, ცნობილი ქართველი საზოგადო და პოლიტიკიური მოღვაწენი. რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში ბოლშევიკებისაგან განსხვავებით მენშევიკური პარტია ტოტალიტარული იყო (ნ. ბერდიაევი).

როდესაც საქართველოს სახელმწიფო ებრიობის აღდგენის, დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხი დღის წესრიგში დადგა, ნაშინ ეროვნულმა პარტიებმა ნოე უორდანიას და ქართველ მენშევიკებს მიმართეს. ამ ძლიერი პოლიტიკური მიმართულების გარეშე ეს ვერ გადაწყდებოდა. ნ. უორდანია წერს, რომ პირველი მსოფლიო ონის დროს ის პირადად იზიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობის იღეას, („ჩემი წარსული“ გვ. 68-69). ეს სხვა წყაროებითაც დასტურდება. მენშევიკებმა არ დააყოვნეს და საქართველოსათვის დამოუკიდებლობის მოპოვება პარტიის დღის წესრიგში დასვეს. 1917 წლის თებერვალში სოფელ ჭონჯუეთში (გურიაშია) მენშევიკების პარტიულმა კონფერენციამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მხარი დაუჭირა. ნ. უორდანია ფრთხილი, წინდახედული, გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე იყო. სწორედ ასეთი, მოქნილი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ 1918 წლის 26 ნაისის აქტი უსისხლოდ გატარდა. ნოე უორდანია ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს სათავეში ჩაუდგა. თუ ის ადრე სასტიკად ილაშქრებდა ქართული ეროვნული სკოლის წინააღმდეგ და წერდა, რომ „ჩვენი ნაციონალისტები მეცადინეობენ, რომ ეროვნული სკოლები გადააქციონ ნაციონალიზმის ბუდელ“ („ძველი და ახალი“, გაზ. „ჩვენი ცხოვრება“. 1911. № 13). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში ის ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისა და სკოლისა და სახელმწიფოს ნართვა-გამგეობის გაეროვნულების პოლიტიკის გამტარებელია. ნ. უორდანია წერს, რომ „საერთო ნიადაგის“ თეორიის გამო გავუდევი საქართველოს გამოხსნისათვის მებრძოლ ძალებსო, 1918-1921 წწ. კი უკვე მის პოლიტიკაში „ყველა ნაბიჭი იზომებოდა და იულინთებოდა ნაციონალური მომენტით, მას დაემორჩილა ყველა კლასი და წოდება“. ქართველმა ჩემამულებმა ავრარული რეფორმის წინააღმდეგ, როცა მათი პრივილეგიები შეიკვეცა, ბრძოლის დროშა არ აღმართეს („ჩემი წარსული“ გვ. 101). ქართველი თავად-აზნაურობა რეფორმის წინააღმდეგ რომ არ გამოვიდა, ამაში მენშევიკების დამსახურება ყველაზე ნაკლებია. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეროვნულ პარტიათა თითქმის ყველა წარმომადგენელი ამ რეფორმის, ჩემის აზრით, დროულისა და პროგრესულის, წინააღმდეგი იყო.

წიგნში საინტერესოდ არის გადმოცემული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია. სამართლიანად არის ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მაშინდელ ჩვენს საზოგადოებას სახელმწიფო მართვა-განვითარების დაბალი კულტურა ჰქონდა; სახელმწიფოს მართვის დაკარგული ტრადიციების აღდგენას დრო სკირდებოდა. ქართული სახელმწიფოს მშენებლობას ბევრით უშლიდა ხელს მენშევიკების იდეოლოგია. ცხადია, სახელმწიფოს აღმშენებლობას ნაკლი ბევრი ჰქონდა, მაგრამ დადებითი უფრო მეტი იყო.

ნოე უორდანია თავის თავგადასავალს ბევრად უფრო ლამაზად მოგვითხობს, ვიდრე სინამდვილეში იქნებოდა. ჩვენ აჯ პერიოდის საქართველოს ისტორია ძალზე ცუდად გვაქვს შესწავლილი. „მოგონებათა წლების“ გადასახედიდან ყველა

ადამიანს თავისი წარსული გაცილებით ლამაზად, კარგად, დალაგებულად იჩვენება ვიდრე სინამდვილეში იყო. ადამიანი მოგონებებს სუბიექტურად წერს. წერს დავძრახავთ. მემუარები ისეთი თხზულებაა, სადაც წარსულზე ფჩრობია დამო- ანის ინდივიდუალურ აღქმაზეა დამოკიდებული. ამ აღქმას კი განსაზღვრავს ავტო- რის პოლიტიკური და პირადი მისწრაფებანი. ავტორის სუბიექტივიზმი მოგონებე- ბის უპირველესი ნიშან-თვისებაა.

ჩვენი მკითხველი ალბათ მალე მიიღებს სხვა ქართველი პოლიტიკური ემიგ- რანტების მოგონებათა წიგნებს. მაშინ ვნახავთ, თუ ერთდაიმავე ისტორიულ როვ- ლენებზე, ისტორიულ ფაქტებზე, როგორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხე- ლულებები არსებობს. წარსულის ობიექტური სურათი მხოლოდ მეცნიერული კვლევის შედეგად შეიძლება შეიქმნას და ასეთი მეცნიერული შესწავლა საქართვე- ლოს ისტორიის ამ მეტად საინტერესო ზანისა კი მხოლოდ ახლა იწყება. მხოლოდ ჩალრიავებული ისტორიული კვლევის შედეგად შეგვიძლია შევქმნათ გამართული, მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციები.

ნოე უორდანიას მოგონებათა წიგნის გამოსვლამ ქართველ ემიგრანტთა შორის ერთგვაროვანი რეაქცია არ გამოიწვია. მთელი რიგი ავტორები (რ. გაბაშვილი, პ. ქვინიტაძე და სხვები) მეტად მშვავედ აკრიტიკებდნენ ამ წიგნს. წიგნის მრა- ვალი ნაკლი ადვილად დასანახია. ზოგჯერ გაოცებასაც კი იწვევს ასეთი შეცდო- მები. 1921 წლის თებერვალში საქართველოს რესპუბლიკის ჭარმა შეძოტევას ვერ გაუძლო და უკან დაიხია. დასავლეთ საქართველოსაკენ გაეშურა. მთავრობაც გაემგზავრა. 6. უორდანია წერს, რომ თბილისიდან წასვლის შემდეგ „ვაგონში და- ვეძინა. გამომეღვიძა გზაში და დავინახე სადგური აქსტაფა“ (?) გვ. 124). მისი პოლი- ტიკური მოწინააღმდეგენი ამ და მსგავს სხვა შეცდომებს სხვადასხვა მიზეზებით ხსნილნენ. თითქმის სამოცდაათი წელია ნოე უორდანიას თხზულებანი საქართველოში არ გამოსულა. ამ წიგნით მკითხველი გაეცნობა გამორჩეული პოლიტიკური მოლ- კაწის ბიოგრაფიას და იმ ეპოქას, მლელვარე პოლიტიკური ცხოვრების ისტორიას, რომელსაც ჩვენი ისტორიული მეცნიერება წარსულში გვერდს უვლიდა.

უშანგი სიდამონიძე:

ସାରି ୧୩୦

ଶବ୍ଦଗୀଳ ପ୍ରେରଣାତ୍ମକ. ନାହିଁ ପରିଚାରକ	5
ନୃତ୍ୟ ପ୍ରାଣୀଙ୍କରେ	9
ଶବ୍ଦଗୀଳ ସିଦ୍ଧାଂତବିଜ୍ଞାନୀ. ବ୍ୟାକ୍ସନରେ ପରିଚାରକ	130

НОЭ НИКОЛАЕВИЧ ЖОРДАНИЯ

Мое прошлое

(Воспоминания)

(На грузинском языке)

Издательство Общества Руставели «Саранги»
Тбилиси, Руставели, 37
1990

რედაქტორი ა. გომართელი
გამომცემლობის რედაქტორი მ. რამიშვილი
მხატვარი დ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი ლ. ლვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი გ. ანუაშვილი
კორექტორი რ. სირაძე

გადაეცა წარმოებას 10.02.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.03.90. საბეჭდი
ქალალდი № 1 60X84¹/16. გარნიტური ვენა. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,9 კირ.
სალ.-გატ. 8,14 საალრ.-საგამომც. თაბახი 7,8. ტირაჟი 80 000, შეკვ. № 1340.

ფასი 4 მან.

რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა
„სარანგი“
თბილისი, რუსთაველის, 37.
1990

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по печати Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.

1186/869



ჩვენი საუკუნის ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნოე უორდანიას (1868—1953) მოვონებათა წიგნი „ჩემი წარსული“ პირველად პარიზში გამოვიდა 1953 წელს. უძრავი ის რუსულადაც გამოსცეს ამერიკაში.

წინამდებარე წიგნს ქართველი მკითხველი არ იცნობს. მასში კარგად ჩანს, საქართველოს მღელვარე პოლიტიკური ცხოვრება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოწყობის ძირითადი ეტაპები. ეს წიგნი ქართულ მემუარულ ლიტერატურაში ღირსეულ ადგილს დაიჭირს; ის დააინტერესებს მკითხველთა ფართო წრეებს.